

ღვინთ ბაბრატორნი

საქართველოს სამართლისა და
კანონმცოდნეობის მიმოხილვა

აკოლონ რობავას

რედაქციითა და გამოკვლევით

წინასიტყვაობა

წინამდებარე ძვირფასმა საისტორიო ძეგლმა—დ. ბაგრატიონის „მიმოხილვამ“—მოპოვების დროიდანვე (1948—49 წწ.) დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტებს შორის.

გასული ათი წლის განმავლობაში „მიმოხილვას“ ჩვენ არა ერთხელ ვეხებით სხვადასხვა შრომებში. დაინტერესებულ მკითხველს მათი გათვალისწინება უფრო ვრცელ წარმოდგენას მისცემს ამ ძვირფასი ძეგლის საისტორიო მნიშვნელობის შესახებ. ასეთი შრომებია: 1) „სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი¹“; 2) „კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე მეორის პოლიტიკა“ (იბეჭდება); 3) „დავით ბაგრატიონის „მიმოხილვაში“ აღნიშნულ ისტორიულ ქეშმარიტებათა დამახინჯების წინააღმდეგ“; 4) „ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში“²; 5) „მიმოხილვის“ წინამდებარე გამოკვლევის ავტორეფერატი, 1956 წ. გამოცემული რუსულ ენაზე: «Обозрение Грузии по части прав и законовeдений Давида Георгиевича Багратиони (исследование и текст памятника)», Издательство АН ГССР, Тбилиси.

ხუთივე ნაშრომში სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას „მიმოხილვა“ ერთ-ერთი ძირითადი წყაროა; მის ჩვენებებს ჩვენ ამ ნაშრომებში კრიტიკულად ვიყენებთ და, ამავე დროს, ვამაგრებთ სხვა სანდო საისტორიო წყაროების ცნობებითაც.

წინამდებარე ძეგლში წარმოდგენილი უამრავი კანონები და წესები, სახელმწიფო ინსტიტუტები, ადათები, ჩვეულებები და სხვა, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების, ბრძოლისა და შემოქმედების ნაყოფია. მათი შემოქმედი

¹ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა საკვლევა-სამეცნიერო ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1950.

² მე-3 ნაშრომი წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების დია სხდომაზე 1953 წელს, ხოლო მე-4 გამოქვეყნდა კიდევ (იხ. უფრ. „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 4).

სინამდვილეში მთელი ქართველი ხალხია, დავით ბაგრატიონი კი მათი შემკრებ-აღმწერი და კომენტატორია. „მიმოხილვა“ ფასდაუდებელი სარკეა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის ცხოვრებისა, ქართველი ხალხის მაშინდელი მიღწევებისა შემოქმედების სხვადასხვა დარგში.

„მიმოხილვის“ მოპოვებითა და გამოქვეყნებით ჩვენ თუ ოდნავ წაინც შუქა მოვფინეთ ქართველი ხალხის ისტორიის დღემდე გაურკვეველ ზოგიერთ საკითხს, დიდად კმაყოფილი დავრჩებით. ეს ძეგლი, რომელიც თვით დავით ბაგრატიონის დროს არაკჩენის რეჟიმის შედეგად უუურადღებოდ იყო მიტოვებული, ქართველი ხალხის საუნჯეთა საგანძურში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს, როგორც ერთ-ერთი დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულება.

აპ. როგავა



დავით ბაგრატიონი

თაშე პირველი

ცნობები „მომოხილვის“ ავტორისა და ტექსტის შესახებ

1. „მომოხილვის“ ავტორის საფიქსაციო ანკარაჟი

წინამდებარე ტექსტის ავტორი, დავით ბაგრატიონი, გიორგი მეთორმეტის (1746—1800 წწ.) შვილი იყო, ხოლო ერეკლე მეორის (1720—1798 წწ.) შვილისშვილი და ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე. იგი 1767 წ. 1 ივლისს დაიბადა.

დავით ბატონიშვილი XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეა საქართველოში. ერეკლეს გარდაცვალების დროს ის 31 წლისა იყო და თავისი საბელოვანი პაპის მეფობის ანგებლ კარგად იცნობდა. დავითი აღრიდანვე, ხშირად თავისივე პაპის დავალებით, მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ცხოვრებაში, განსაკუთრებით სამხედრო, სამართლისა და განათლების ხაზით. ამგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ის თავის მამის—გიორგი XII-ის—მეფობის დროსაც (1798—1800წწ.) ეწეოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ დავითი, როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი იყო (1801 წ. იანვრიდან ივნისამდე), მაგრამ მეფობას ვეღარ ეღობა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1803 წ. 23 თებერვალს, იგი რუსეთის მთავრობის განკარგულებით რუსეთში გადაასახლეს სხვა ბატონიშვილებთან ერთად. ამრიგად, მას სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, 1803 წ. მაისიდან 1819 წ. 19 მაისამდე, ცხოვრება სამშობლოს გარეთ, პეტერბურგში მოუხდა.

რუსეთის მთავრობამ დავითს, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ყოფილ მემკვიდრესა და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხის მქონეს (1800 წლიდან), იქ ჩასვლისთანავე სენატორობა უბოძა, ყოველწლიურად კარგი ხელფასი დაუნიშნა და მატერიალურად უზრუნველყო. ასევე დააკმაყოფილა რუსეთის მთავრობამ

რუსეთში გადასახლებული ერეკლესა და გიორგის დიდი ოჯახის სხვა წევრებიც: დარეჯან-დედოფალი, მარიამ-დედოფალი, იულიონი, ვახტანგი, კათალიკოზი ანტონ II, იოანე და სხვანი. ყველა ამათ საქართველოდან გადასახლებისას თავ-თავიანთი ამალის წევრებიც გაჰყვნენ. ეს ახალგადასახლებულები მიემატნენ ჯერ კიდეც XVII—XVIII საუკუნეებში მოსკოვსა და პეტერბურგში შექმნილ ქართულ კოლონიებს. ამრიგად, 1803—1819 წლებში დავით ბატონიშვილს, ახლობელ სხვა ქართველებთან ერთად, სულ სხვა გარემოსა და ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება.

დავითი 1803 წლამდეც იმყოფებოდა რუსეთში. ადრე ის თავის პაპამ, ერეკლემ, მიავლინა რუსეთის სამეფო კარის გასაცნობად და „ევროპული“ განათლების მისაღებად. პირველად იგი 1787—1789 წწ. რუსეთში სწავლობდა და მსახურობდა, ხოლო მეორედ, 1797—1798 წლებში, სამხედრო სამსახურში იყო პეტერბურგში, პრეობრაჟენსკის პოლკში¹. მაშინ დავითი თავს გრძნობდა საქართველოს მომავალ მეფედ, ერეკლესა და გიორგის სამეფო ტახტის მემკვიდრედ, 1803 წ. კი იგი პეტერბურგს ჩავიდა, როგორც პატივდარი უფლისწული. ახლა უკვე მისი ყოფილი სამეფო, ქართლ-კახეთი, რუსეთის იმპერიის კოლონიას წარმოადგენდა.

1801 წელს რუსეთის იმპერატორების—პავლეს და ალექსანდრეს—მიერ (18 იანვარსა და 12 სექტემბერს) გამოცემული მანიფესტების ძალით ქართლ-კახეთის საძეფომ დაკარგა სუვერენიტეტი და რუსეთს შეუერთდა, მის ერთ-ერთ განაპირა გუბერნიად იქცა. 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე მოსალოდნელი იყო დავით ბატონიშვილი ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცებულყო. ეს მოლოდინი დავითს გაუცრუვდა, რის გამოც ის ცარიზმის უკმაყოფილო დარჩა. ამას მოჰყვა ისიც, რომ ის რუსეთში გადასახლეს. მიუხედავად ამისა, დავითს არ დაუკარგავს რუსული ორიენტაცია. საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლას დავითი მაინც რუსეთთან ურთიერთობას უკავშირებდა და ირან-ოსმალეთთან დაკავშირების წინააღმდეგი იყო. იგი ამ თვალსაზრისს მტკიცედ იცავდა სხვებთან ერთად იმ დროს, როცა რიგი სხვა ბატონიშვილები ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით სამეფო

ქ

¹ დავითი მაშინ (1797—1798 წწ.) რუსეთში იმყოფებოდა დაახლოებით 1² წლის განმავლობაში. 1796 წ. დეკემბერს ის საქართველოში გენერალ ზუბოვის ექსპედიციის „პოლკოვნიკად“ ასახელებს თავისთავს, ხოლო 1798 წ. მეორე ნახევარში იგი უკვე გენერალ-მაიორის ხარისხით უბრუნდება სამშობლოს პეტერბურგიდან.

ტახტის დაკარგვის გამო ანტირუსული მოძრაობის სულისჩამდგმელები გახდნენ.

დავითმა მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციის სწორად განხილვის შედეგად 1803 წელს საბოლოოდ დაკარგა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის დაკავების იმედი; ამიერიდან იგი ცდილობდა საქართველო თვითმპყრობელური რუსეთის შემავიწროებელი პოლიტიკისაგან დაეცვა, რომ მშობლიურ ქვეყანას თავისი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი კულტურა არ დაეკარგა.

ცარიზმის უკმაყოფილო დავითი, როგორც ჩანს, რუსეთის პროგრესულობას კარგად ხედავდა. ვ. ი. ლენინის მიერ გენიალურად განსაზღვრული მაშინდელი „ორი რუსეთის“ კონცეფცია კარგად ხსნის, თუ რა იწვევდა იმას, რომ დავით ბაგრატიონი რუსული ორიენტაციისა იყო, მაგრამ ამავე დროს შესანიშნავ ქართველ პატრიოტსა და ცარიზმის პოლიტიკის მამხილებელ ისტორიკოსსაც წარმოადგენდა. „ორი რუსეთის“ კონცეფცია გვიხსნის იმ გარემოებასაც, რომ დავითი 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტსაც ასე თუ ისე შეურიგდა. როგორც ჩანს, მან კარგად განჰვრტა, რომ ამიერიდან ამ აქტით, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მიუხედავად, დგებოდა ხანა, როცა ქართველი ხალხი ირან-ოსმალეთის ძალადობას სამუდამოდ თავს დააღწევდა და მშვიდობიანი განვითარების გზაზე გამოვიდოდა. საქართველოს უკეთესი მომავლის ინტერესებს ემსახურებოდა დავით ბატონიშვილი ამ შეგნებით, რუსეთის მეფისადმი წარდგენილი თავისი პროექტებით, საქართველოში დანიშნულ თვითმპყრობელობის უხეშ სატრაპთა წინააღმდეგ ბრძოლითა და სხვა ღონისძიებებით.

დავითი ებრძოდა ცარიზმის რეაქციულ კოლონიურ პოლიტიკას, ეროვნულ ჩაგვრასა და ამ პოლიტიკის გამტარებელ არაქჩეველ მოხელეებს. ამ სამართლიან ბრძოლაში იგი ეყრდნობოდა ლომონოსოვის, რადიშჩევის, სპერანსკისა და სხვათა მოწინავე რუსეთს. ამასთანავე, დავითს, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა რუსი და ქართველი ხალხების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული დაახლოების პროგრესული პროცესის უაღრესად დიდი ნიშნულზე აღწერის აუცილებლობა. სრულიად ბუნებრივია, რომ ამგვარი მაღალი საზოგადოებრივი შეგნებით აღჭურვილმა და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანმა გარკვეულ ისტორიულ პირობებში თავისი სოციალური წრისათვის დამახასიათებელი ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისი არსებითად გადალახა და ქართველი ხალხის ფართო ეროვნულ ინტერესებს გამოექიმაგა.

ცარიზმს არ შეეძლო მხარი დაეჭირა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული დაკავშირებისა და ევროპელ განმანათლებელთა ჰუმანური იდეების ისეთი მიმდევრისათვის, როგორც დავით ბატონიშვილი იყო. რუსეთის იმპერატორის მოწვევები ზეჯის ეცადნენ მისი მებრძოლი სულისკეთება ეეცვალათ, მაგრამ მათგან დავითისათვის ბოძებულმა „ჩინ-ეპოლეტებმა“ და კარგმა მატრიარალურმა უზრუნველყოფამ მათთვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღეს. დავითი ვერც მათმა შექარცხნა დააწინა.

მეუვის რუსეთის სანაბრო-კოლონიური რეჟიმის დამყარებით საქართველოში ძველი საბელმწიფოებრივი მმართველობა ნოისპო და ხალხისათვის უცხო წესები დაინერგა. პოლიტიკური ცხოვრებიდან განიღვრა ქართული ენა. საქართველო თანდათანობით აივსო რუსეთის მეუვის ჯარებით. განსაკუთრებით განწევდა გლეხთა ექსპლოატაცია. ძველ კლასობრივ ჩაგვრას ახლა ეროვნული ჩაგვრაც დაემატა. ცარიზმის თავგასული მოხელეები აბუჩად იგდებდნენ ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებებს და, განსაკუთრებით გლეხობის ეკონომიური ჩაგვრის გაძლიერებაც შენგრძელ, ეს გარემოებაც ქვნიდა „ახალი მთაყრობისადმი“ სანდუარავს მწრომელ მასებში. უკმაყოფილო იყო ქართველ ფეოდალთა ერთი ნაწილიც, რადგან ის ძველ პოლიტიკურ პრივილეგიებს კარგავდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში 1802 წლიდან მოყოლებული შეთქმულებები და აჯანყებები ძალზე ხშირი მოკლენა გახდა.

საქართველოში შექმნილი მძიმე ეითარება დიდ ჭავლენას ახდენდა პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებზე და უპირველეს ყოვლისა დავით ბაგრატიონზე. ბუნებრივია, რომ საქართველოს ასეთ მდგომარეობას მაშინ მის საზღვრებს გარეშე წყოფი სხვა ქართველებიც მწვავედ განიცდიდნენ. საქართველოს ანებებს განსაკუთრებით აქტიურად ეხმაურებოდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის კოლონიის წევრები. ამასთანავე, მოწინავე რუსი მოაზროვნეებიც თანაუგრინობდნენ ქართველებს. ასეთები იყვნენ განსაკუთრებით დეკაბრისტები, პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი და სხვ.

ცნობილია, რომ რუსეთმა დავით ბატონიშვილის რუსეთში გადასახლების შემდეგ დიდი სამამულო ომი გადაიხადა. რუსეთს შემოსეულმა ნაპოლეონ პირველის ლაშქარმა მარცხი განიცადა. რუსეთის ძლევა მოსილი მხედრობა გაეცნო პარიზს და რევოლუციურ ფრანგ ხალხს. ამ გარემოებამ დეკაბრისტულ მოძრაობას დიდად შეუწყო ხელი რუსეთში. ამასთანავე, რუსეთის ინტელიგენციისაში ადრიდანვე ვრცელდებოდა ევროპელი განმანათლებლებ-

ბის; ჰობსის, ლოკის, მონტეპეციის, რუსოს, ვოლტერის, ფრანკო მატერიალისტების, ბეკარისა და სხვათა აზრები. იაინი ნოწინავე რუსი მოღვაწეებისათვის საკანოდ ცნობილი იყვნენ. ამავე დროს, ახალგაზრდა მხარედი რუსი პურუჟანი და თავადანაყოფილი რევოლუციონერები თვითმპყრობელი წევრია ტაატს გმუჟობოდნენ. დიდ სამამულო ომში ბევრი ქართველი იღებდა ნოწინავე რუსებსა და ვრთად. ფრანგული რევოლუციური იდეები ნაშინ ბევრ ქართველს დაეუფლა. თვითმპყობელურ რუსეთში, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის სამეფონი, ყველაფერ ამას, როგორც ცნობილია, თავისი შედევრი მოჰყვა. რუსეთში მყოფ ქართველ კოლონიისტთაგან ნოწინავე პარტიოტები რუსულ კოლნულ-სასელმწიფოებრივ საქმეებთან ერთად, ქართულ ეროვნულ ინტერესებაც არ ივიწყებდნენ.

პეტერბურგში გადასახლებული ქართველი ინტელიგენტები თავგამოდებით იცაენდნენ ქართულ კულტურას თვითმპყრობელ რუსიფიკატორთა შემორღეებისაგან. არქირეაქციონერ არაკჩევის რეჟიმს ნაშინ რუსეთში ფრთა ჰქონდა გაწლილი და მისი სუახნი როგორც რუს, ისე არარუს ხალხებს, კერძოდ ქართველებსაც სულს უთუთავდა. ამიტონაც ამ ხალხთა რჩეული შვილები ერთად იბრძოდნენ როგორც არაკჩევის რეჟიმის, ისე საერთო გარეშე მტრების წინააღმდეგაც. ასეთ ვითარებაში მოუხდა რუსეთში ცხოვრება ქართლ-კახეთის სამეფო ტაატის ყოფილ ნემკვიდრეს, რუსეთის სენატორს, გენერალ-ლეიტენატს დავით გიორგის ძე ბაგრატიონს. ისიც, როგორც გენერალი, მონაწილეობას იღებდა სამამულო ომში; ისიც, როგორც ფართოდ განათლებული პირი, კარგად იცნობდა ევროპელ განმანათლებელთა აზრებს და კარგად იყო გაცნობილი სამართლის დარგში სპერანსკის შებედულებებსაც; საფაქრებელია, მას, როგორც არაკჩევეშიინით უკმაყოფილო პოლიტიკურ მოღვაწეს, ზოგი რამ სცოდნოდა დეკაბრისტთა მუშაობის შესახებაც.

დავით ბაგრატიონი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო რუსეთში მცხოვრებ ქართველ კოლონიისტთა შორის. ის მათში რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს მოხელეს წარმოადგენდა. იგი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს საქართველოში მომხდარ ამბებს, აქ გაჩაღებულ პოლიტიკურ მოძრაობას, რა თქმა უნდა, დავითს ჰაშინ ძალიან აინტერესებდა რუსული ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური ამბები, მაგრამ მისი ყურადღების ცენტრში იდგა საკითხი საქართველოს სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა

შესახებ. თუ რაში გამოიხატა ამ მხრივ მისი პირადი საქმიანობა, ეს სპეციალურ კვლევას მოითხოვს და ამ საკითხის გაშუქება ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. აქ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ და ვიხილავთ დავითის მიერ რუსეთში გაშლილ სამწერლო მუშაობის შესახებ, რომლის მიზანი იყო ქართული ეროვნული თვითმყოფობისა და მაღალი კულტურის დაცვა იმდროინდელი ყველა ჯურის ნიჭილი სტუდენტისა და რუსიფიკატორებისაგან. ამ მხრივ დავით ბაგრატიონს ფრიად საპატიო ადგილი უკავია იმ სახელოვან წინაპართა შორის, რომლებმაც ჩვენში XIX ს. მეორე ნახევარში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებს — ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და სხვებს წინასწარ გზა გაუკაფეს ამავე საუკუნის დასაწყისიდანვე¹.

დავით ბატონიშვილი თავისი დროისათვის ფართო განათლების მქონე ადამიანი იყო. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო ჯერ კიდევ საქართველოში ანტონ პირველის, დავით რექტორისა და სხვათა ხელმძღვანელობით; კერძოდ, დავით რექტორი იყო მისი ლალა ბავშვობის დროს. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ერეკლეს მიერ ის ორჯერ იქნა გაგზავნილი რუსეთში, სადაც მან მრავალმხრივი განათლება მიიღო. ასე რომ დავითი კარგად იცნობდა არა მარტო მშობლიურ ქართულ მწერლობასა და კულტურას, არამედ რუსულსა და დასავლეთ ევროპულ მეცნიერებასა და მწერლობასაც. ის კარგად იცნობდა XVI—XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპელ განმანათლებელთა ნააზროვესაც, კერძოდ XVIII საუკუნის ფრანგი ენციკლოპედისტების შეხედულებებს. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდა ბატონიშვილი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე თავისუფალი მოაზროვნის სახელით იყო ცნობილი, რაც გიორგი მეთორმეტისა და მის ახლობელთა წრეში ერთგვარ აღშფოთებასაც კი იწვევდა². მაგრამ ეს ბუნებრივი იყო მონტესკიეს, რუსოა, ვოლტერისა და ფრანგი ენციკლოპედისტების

¹ სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1802 წელს დავით ბაგრატიონი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სულიწკვეთებით საჯაროდ აცხადებს შემდეგს: „ერთა შორის ჩემნთა იპოების სული მამაკაცებრი და სიყუარულიცა მამულისა, და მათ მიერ კეთილობითა აღგებული დაუსახავ თავსა ჩემსა მზა ყოფად სამსახურისათვის თნებისა მათისა“ (იხ. წინასიტყვაობა დავითის თარგმანისა „საქმეთათვის ნადირ ავშარელისა დიდისა ჯელმწიფისა სპარსეთისათა“, — აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყ. ხელნაწერთა ფონდი, M 15, ფურც. 3—4).

² კლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბილისი, 1936, გვ. 69—71.

იღებებს ზიარებულ ბატონიშვილისაგან, რომელმაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის ამბებიც კარგად იცოდა. რუსი მოხელეები დავითში, მისი საქართველოს გამგებლობის დროიდანვე, უმიზეზოდ როდი ხედავდნენ იაეთ ადამიანს, რომელიც მუდამ ნაპოლეონ ბონაპარტიისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქებას ეწეოდა¹.

დავით ბატონიშვილი არა მარტო თვალსაჩინო ქართველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე იყო, არამედ საყურადღებო მეცნიერი და მწერალიც. თავისი დიდი და მრავალმხრივი განათლება მან გამოამყვანა მეცნიერებასა და მწერლობაშიც. ამგვარ მოღვაწეობას დავითი საქართველოშიც ეწეოდა და გადასაიღების დროსაც—რუსეთში. მისი მუშაობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო სამეცნიერო ხაზით.

დავითი იყო პოეტი და დრამატურგი, ისევე, როგორც ერეკლე მეორის მრავალი სხვა შთამომავალი. მან ქართულ მწერლობაში უფრო მეტად თავი ისახელა როგორც მთარგმნელმა; დავითმა ფრანგულიდან თარგმნა ფრ. ვოლტერის „შობისათვის“², რუსულიდან—შ. მონტესკიეს „კანონთა არსის შესახებ“³ და ანსილიონის შრომა ესთეტიკის შესახებ⁴. ეს თარგმანები გარკვევით ნოწმობენ მისი გონების ფართო პორიზონტს. კერძოდ, მონტესკიეს დასახელებული ნაწარმოები მას ერთ-ერთ „უმჯობეს“ შრომად მიაჩნია „ყოველსა ევროპიასა შინა“⁵ დავითს გააჩნია სხვა ენებიდან ნათარგმნი ნაწარმოებებიც, მაგრამ ამ თარგმანებზე უფრო საყურადღებო და ძვირფასია მიაივე სამეცნიერო ხაზითა ორიგინალური შრომები ენათმეცნიერების, ფიზიკის, ისტორიისა და სამართლის დარგებში⁶. ქართული კულტურის ისტორიისათვის დღეს დიდად

¹ А к т ы Кавк. арх. ком., I, გვ. 329; შიად. Акты..., II, გვ. 68.

² აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, II 20, ფურც. 67—75.

³ თარგმანის სათაურში დავითი ასე წერს ამ შრომაზე: „გ უ ლ ი ს ხ მ ი ს-ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს ს ჯ უ ლ თ ა ს ა, ქ მ ნ ი ლ ი უ ფ ლ ი ს ა მ ო ნ ტ ე ს კ უ ს ა გ ა ნ, ბ ო ლ ო რ უ ს უ ლ ი თ თ ა რ გ მ ნ ი ლ ი მ ე ფ ი ს ძ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ წ ე ლ ს ა 1813, ნ ო ე მ ბ ე რ ს 1“. თარგმანი მიძღვნილია უმცროსი ძმის თეიმურაზ ბაგრატიონისადმი (იხ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, II 26, ფურც. 2). თარგმნა დასრულებულია 1815 წლის 3 იანვარს (იხ. დავითის ბიოგრაფიის ნაწილი, ფურც. 587v).

⁴ იხ. „ე ს ტ ე ტ ი კ ე ბ რ ი გ ა ნ ს ჯ ა ნ ი...“, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, II 35.

⁵ იმავე ხელნაწერთა განყოფილების II 26, ფურც. 2v

⁶ დ. ბატონიშვილის ნაშრომთა შესახებ იხ. ვრცლად ტრ. რუხაძის ნაშრომში „დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა“,—

მნიშვნელოვანია დავითის ეს შრომები. ამ მხრივ შიში მდიდარი წმენკადრობა განსაკუთრებულ შეაწავლან შოთოსოვს. დავითის ზოგიერთი მეცნიერული ნაშრომი ასე თუ ისე აქამდეც იყო ცნობილი, ზოგიერთი კი შოლოდ ამ ბოლო წინასწარ იქნა მიკვლეული. უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება წინანდებარე ახსენებაც— „მიმოხილვა“ („Обзор...“).

„საქართველო უყვე აღი“ საქართველო“,—ვანეცსადა დავით ბატონიშვილმა გენ. ლახარევა 1801 წ. 18 იანვარს. მას „ოთხი პლუტი და ერთი დურაკი საითავს“,—ლაუმბა მანვე იმანვე წლის ივნისში გენერალ კნორინგისა და რუჟი მეთის პოლიტიკის ფანტიკურად გამტარებელი ოთხი მთავლის მისამართით. დავითის „მიმოხილვაში“ მოთარობილია იმის შესახებ, თუ როგორ იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაერთიანებული ქართლ-კახეთის („საქართველოს“) სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მართველობა, სამართალი და სხვ.

2. „მიმოხილვის“ ხელნაწილები

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვა“ სამი ხელნაწერის სახით არსებობს. სამივე ხელნაწერი დღევანდელი მეცნიერებისათვის ხოლოდ 1948—1949 წლებში გახდა ცნობილი.

საფიქრებელია, რომ ცნობილი მეცნიერი შარი ბროსე (1802—1880) იცნობდა დ. ბატონიშვილის „მიმოხილვას“, რადგან ამ თხზულების ერთ-ერთი ხელნაწერი (B) ბროსეს მასწავლებლის, დავითის უმცროსი ძმის—თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში აღმოჩნდა (ლენინგრადში). ცნობილია, რომ დავითის ხელნაწერთა ერთი ჯგუფი იმის გარდაცვალების (1819 წ.)

„ლიტერატურული ძიებანი“, I. 1943 წ.; ლ. ასათიანი, ვოლტერინობა საქართველოში. თბილისი, 1933 წ.; კ. კეკელიძის, ა. ცაგარლისა და სხვთა შრომებშიაც მოიხილება ცნობები და ზოგჯერ დახასიათებაც დ. ბატონიშვილის შრომების შესახებ. აგრეთვე, იხ. დ. ბაგრატიონის „შემოკლებული თვისება“, ვ. პარკაძის გამოცემა, თბილისი, 1954.

¹ Акты... I, გვ. 298,—დავით ბატონიშვილის წერილი გენ. ლახარევს, 1801 წ. 18 იანვრის თარიღით.

² Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 г. Тифлис, 1866. стр. 125; მისივე „Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России“. 1897. стр. 226.

XIX ს-ის დასაწყისში საქართველოში გაბატონებული რუსი მეფის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ დავითმა დაწერა ფრიად საყურადღებო სატრეტიკო ლექსებად (იხ. ტრ. რუხაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 135—140).

145.

Обзоръ нис Грузіи,

по части правъ и законовъденія.

Твореніе Царевича Давида.

Санктпетербургъ.

1813.

В 21—თხზულები სათაური დაწერის ადგილისა და დროის აღნიშვნით, შესაბამე გადამწერის ნაწერი

172.

« В селе селенце село
 школы и смотрит Загориде
 и в монастырь, и в полошье
 приказание. Вокруг; прирав.
 отню ильский и при деревенный
 судья и мочув приуотствуй
 с в. Москвою и в родили сел.
 скими судами.

173. Старинные также по
 зуротих на время своей судьино
 стии чьскалькими челоуками
 с в. селеня где обривотиний сел
 мив.

174.
 Архангельский
 в 1717 году
 Архангельский
 в 1717 году

Восстановить

владельца

Архангельский в Малой (судья) в сел
 мивеи селенце в урочагии сел
 и вилетти сурдин во сел в сел
 скими Спершинами. с в. при
 циде карамой сел и Малка
 сотудажик и Казимишишиу.
~~с в. селенце~~ Зурини пошвау
 Зосан и Малка малт селенце
 в в. сел срамнии и в рини с в.
 ликово, кой приуокне достоян
 ства суренко. А в Мал
 мивеи Казимишишиу.
 сурдинеи Казимишишиу, с в. сурдинеи
 сурдинеи сурдинеи сурдинеи.

შემდეგ იქცა თეიმურაზის საკუთრებად. თეიმურაზის ხელნაწერთა დიდი კოლექცია დავითის ამ ხელნაწერთან ერთად 1847 წ. გადაეცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმს (დღევანდელი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება). შესაძლებელია, რუსეთში მყოფმა დავითმა რომელიმე ძმამ (თეიმურაზმა, ბაგრატმა ან სხვ.) გააცნო რუსეთში მოღვაწე ბროსეს „მინოსილის“ ეს ხელნაწერი ჩანაშლის, სანამ ის, სხვა ხელნაწერთან ერთად, სააზიო მუზეუმს გადაეცემოდა. ქართული კულტურია დიდი მკვლევარი მ. ბროსე 1847 წლამდეც ახლო კულტურულ ურთიერთობაში იყო ქართველ ბატონიშვილებთან; ის მათგან ღებულობდა მაშინ, სხვათა შორის, ქართულ ხელნაწერებსაც. ასე რომ ამ გზით იქნებოდა თუ სააზიო მუზეუმის მეშვეობით, მ. ბროსეს შეეძლო გაცნობოდა აღნიშნულ ხელნაწერს. ბროსეს შრომებისა და პირადი არქივის გულდასმით შესწავლამ, მოაალოდნელია, ამ ვარაუდის დამადასტურებელი რამე აღმოაჩინოს.

თეიმურაზს თავის ხელნაწერთა კოლექციის კატალოგში (შედგენილია 1835 წ.) „მინოსილა“ არ აქვს დასახელებული¹. თხზულების ლენინგრადულ (B) ხელნაწერს დავითის ნაშრომთა ჩამოთვლისას ასახელება მხოლოდ პროფ. ალ. ხახანაშვილი 1901 წ. გამოცემულ შრომაში „Очерки по истории грузинской словесности“, вып. III, 337-ე გვერდზე ამგვარად: „...Описание Грузии по части права и законовещения (рук. Ак. Наук)...“ სხვა მხრივ კი მას დავითის ამ თხზულების შესახებ არც ერთ ნაშრომში არაფერი უთქვამს.

ამასთანავე, სამეცნიერო ლიტერატურაში დავით ბატონიშვილის ამ თხზულების არსებობის შესახებ რაიმე სხვა ცნობა ჯერჯერობით ჩვენ არ მოგვეპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ა ხელნაწერის შესახებ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელთათვის ზერეღედ შედგენილ ანოტაციას („Записки отдела рукописей“, № 1, 1938 г., стр. 57—58).

დავით ბატონიშვილის თხზულება რუსულ ენაზე დაწერილი, მაგრამ მას არ იცნობდნენ რუსეთის არქივთსაცავებში დაცული მასალების ისეთი მცოდნენიც კი, როგორც იყვნენ პ. ბუტკოვი, ნ. დუბროვინი, პოტო და სხვები. ამ ნაშრომის გამოყენების კვალი სხვათა ნაშრომებშიც ვეღარ გვიპოვია.

¹ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. III, стр. 149—186; შეად. ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბილისი, 1948.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „მიმოხილვა“ დღემდის უცნობი ნაშრომია დ. ვით ბატონიშვილისა.

თხზულების ტექსტი ჩვენ მიერ დადგენილია სამივე ხელნაწერის მიხედვით. ჩვენ ზათ ვუწოდებთ A, B, C ხელნაწერებს. A—მოსკოვური ხელნაწერია, B—ლენინგრადული, C—თბილისური.

პირველად ჩვენ B ხელნაწერს მივაკვლიეთ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1948 წლის გაზაფხულზე სამეცნიერო მიზნით შევლინებული ვიყავით რუსეთში. ჩვენი მიზანი იყო ერთ-ერთ მგორის დროინდელი ახალი საისტორიო მასალების მოპოვება. იმავე წლის აპრილს ლენინგრადში მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ხელნაწერთა კატალოგში H 24-ით (ძველი შიფრით G 101; H 11) აღნიშნულმა დავით ბატონიშვილის ნაშრომმა. ამ შიფრით აღნიშნული ხელნაწერის (B) ფურც. 1r და 2r ამოვიკითხეთ გადამწერის ხელით მიწერილი თხზულების სრული სათაური: „Объяснение Грузии по части прав и законовведения. Творение царевича Давида“. ამის ქვემოთ, ფურც. 2r კი წერია: „Санкт-петербург. 1813“. თხზულების შიგნითა ფურცლების გადაშლისთანავე ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ეს ნაშრომი დავითის „სამართლის“ რომელიმე პროექტი კი არ იყო¹, არამედ სულ სხვა ნაწარმოები, აქამდე უცნობი ძვირფასი ძეგლი.

B ხელნაწერის შესწავლისას გამოირკვა, რომ იგი თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციას ეკუთვნოდა. ხსენებული ხელნაწერი კარგადაა შენახული. მას აქვს მუყაოს კარგი ყდა (ზომით 35,5×22 სმ) და ფართო ფორმატის ფურცლები (ზომით 34,5×22 სმ., ტექსტის ზომა—29×13 სმ.). გვერდები შავი მელნითაა ნაწერი და თითოეული მათგანი 20—28 სტრიქონს შეიცავს. შრომა 156 დაწერილი ფურცლისაგან შედგება (312 გვ.). მათ მე-19 ფურცლის შემდეგ სამი, ხოლო ბოლოში ერთი დაუწერიელი ფურცელიც ემატება. ამრიგად, წიგნში სულ 160 ფურცელია. B ხელნაწერი დაწერილია ორგვარ ქალაქზე; თავფურცელი (1) ლურჯი ქაღალდისაა, შემდეგი ფურცლები კი თეთრი ქალაქ-

¹ საქ. მუხ. № 2330 H, შეად. № 840 H; И. Ениколопов, Две записки царевича Давида, — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942, ნაკვ. 1, გვ. 127—138, 160—165.

ზედა იქვე იხსენიებენ, რომელიც
 ცერამიკის მუზეუმის მიერ
 გამოქვეყნებულია, რომელიც
 იხსენიებს



122. *საქართველოს მუზეუმების ცენტრის*
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც

123. *საქართველოს მუზეუმების ცენტრის*
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც
საქართველოს მუზეუმების ცენტრის
გამოქვეყნებულია, რომელიც

შენივე მოხატულია ^{მე} ყველაფერი
-10-

ცხე მეორეცა და დაგვიბრუნე,
დაბნელებულია აქამდეც
შენივე მოხატულია ^{უფრო მეტად} ყველაფერი
შენივე მოხატულია ^{და} ყველაფერი

ნა დაბრუნე ^ა ნა დაბრუნე
მი, თანავე, ანა დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე

და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე

და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე

და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე
და დაბრუნე, და დაბრუნე



დისა მე-19 ფურცლის ჩათვლით. ამ უკანასკნელს დაუწერლად თეთრივე ქაღალდის საზე ფურცელი მისდევს პაგინაციის გარეშე, ხოლო შემდეგი ფურცლები ვიდრე 88-დე—თავფურცლის მსგავსი ლურჯი ქაღალდისაა ერთგვარი ჰვირნიშნებით; ზოგ თეთრ ფურცელს ჰვირნიშანში უზის ქაღალდის დამზადების თარიღი— „1811“ წელით „ოგს კი— „1812“. აგრეთვე ორივე თარიღიან აღნიშნულია ასლები „AO“. ყდის ყუაზე მოთავსებულია წარწერა: „Царевичъ Давыдъ. Обзоръне Грузинъ по частп правъ и законовешеннн“.

1948 წლისვე მაისს, მოსკოვს, ვ. ი. ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში „მიმოხილვის“ A ხელნაწერსაც (M 10601)² მივაგენით. ეს ხელნაწერი სქელ, ფართო ფორმატის ფურცლებზეა დაწერილი (ფურცლების ზომაა 35,2> 21, . სმ.). ამ ხელნაწერსაც აქვს მუყაოს კარგი ყდა და შენახულია კარგად, ყოველგვარი დაზიანების გარეშე. ის შეიცავს შავი მელნით ნაწერ 176 ფურცელს (352 გვ.), რასაც თავსა და ბოლოში ერთვის დაუწერელი თითო-თითო ლურჯი ფურცელი. A ხელნაწერის ფურცლებს ჰვირნიშნები არ გააჩნია. მის ზემო ყდაზე ლათინური ასოებით ოქროსფრად ამოკვეთილია: „Carewiczъ Dawida. O prawachъ Gruzynъ“.

ჩვენს ხელთაა მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკაში არსებული A ხელნაწერის მიკროფილმი და ლენინგრადში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნ. განყოფილებაში) დაცული B ხელნაწერის ფოტოსურათები. „მიმოხილვის“ გაშოცემისათვის ჩვენ ვსარგებლობთ არა მარტო ამ ასლებით, არამედ მათი დედნებითაც.

ზემოხსენებულ ორ ხელნაწერს გარდა, 1949 წლის მაისში მესამე ხელნაწერსაც მივაკვლიეთ თბილისში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში: № 2828 Sd/3678 S. იგი მოთავსებულია ერთ წიგნად აკინძულ

¹ შეად. P. P. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, вып. I, Москва-Ленинград, 1956, стр. 109—110.

² ამ ხელნაწერის არსებული ანოტაცია („Записки отдела рукописей“, № 1, 1938, стр. 57—58) ძლიერ მოკლეა, ზერელედ და თხზულების მეცნიერული მნიშვნელობის შესწავლელად არის შედგენილი და ამიტომაც შეცდომების შემცველია. ანოტაციაში გაკვრივითაა აღნიშნული, რომ „...несомненно, эта книга представляет интерес... для историка Грузии...“ ანოტაციის უცნობ ავტორს (ბიბლიოთეკის თანამშრომელს) შეგნებული აქვს, რომ „ეს წიგნი უეჭველად საინტერესოა საქართველოს ისტორიკოსისათვის“, მაგრამ სახელდობრ რა ღირსების შემცველია ის, ამის შესახებ ვერაფერს ეუბნება მკითხველს.

ქართულ-რუსული ხელნაწერებისა და საბუთების კრებულში. ამ ნაწარმოებთაგან ზოგი ორიგინალია, ზოგი კი—ასლი. კრებულში შემავალ ყოველ ნაწარმოებს აზის Sd ფონდის სათანადო შიფრიც, საკუთარი ნომრით. მათგან № 2828 Sd შეიცავს ჩვენთვის საყურადღებო თხზულების ხელნაწერს, C-ს. კრებულს საერთო პაგინაცია არ გააჩნია. ამიტომ C-ს თვითონ ჩვენ გაუუკეთეთ პაგინაცია თანქრით. კატალოგში ჩანაწერიდან ჩანს, რომ მთელი კრებული № 3678 S, ზოგიერთ სხვა ხელნაწერთან ერთად, საქართველოს მუზეუმს „დავით იესეს-ძე ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკიდან“ (პეტერბურგი) აქვს მიღებული უფრო ადრე, ვიდრე მას სხვა ხელნაწერებიც გადმოეცემოდა 1923 წელს რუსეთიდანვე¹.

C ხელნაწერი შეიცავს 48 გვერდს და გადაწერილია შავი მელნით თეთრ ქაღალდზე. მისი ფურცლები ფართო ფორმატისაა (22×20 სმ.). ყოველ ფურცელს ქვირინიშნად გააჩნია პარალელური ხაზები და სურათი (მუზარადიანი მეომარი ძალით ან მეფე გვირგვინით წრეში). ათიოდე ფურცელში მოჩანს ასოები „A“¹, ხოლო ქვემოთ თარიღი ქაღალდის დამზადებისა—„1812“ წელი. C ხელნაწერი A და B ხელნაწერებზე უწინარეს არის ავტოგრაფიდან გადმოწერილი პირველი გადამწერის ხელით. მას გზადაგზა აქვს ავტორის ხელით ჩანართები (მაგალითად, მთელი მუხ. 192), შესწორებები, გადახაზვები და სხვა. საერთოდ ჩანს, რომ ავტორს (C ხელნაწერი თავიდან ბოლომდე განუხილავს და შეუსწორებია. ამასთანავე C ხელნაწერს თავფურცელი არ გააჩნია და წასში მხოლოდ 1—19 მუხლებია მოცემული. A და B ხელნაწერები კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გაცილებით სრულ ტექსტს შეიცავს. მუხლები 197—1019 C ხელნაწერში არ მოიპოვება და, ამგვარად, ის სხვა ხელნაწერებთან შედარებით ნაკლებია.

„მიმოხილვაში“ სულ აღრიცხულია 1019 მუხლი, მაგრამ აღნიშნული არაა ნომრები „333“-ე და „766“-ე მუხლებისა (მათ შესახებ იხ. ჩვენი შენიშვნები 332, 334 და 767-ე მუხლებს ქვემოთ, აპარატში). ეს გარემოება მუხლების რიგითი ნომრების თანმიმდევრობის დარღვევით აიხსნება. ზოგიერთი რიგითი ნომერი ორჯერ მეორდება და სხვადასხვა შინაარსის მუხლებს აღნიშნავს; ასეთებია მუხლები: 260, 399 და 731. ამრიგად, საერთოდ „მიმოხილვაში“ სხვადასხვა შინაარსის 1020 მუხლია, მაგრამ ამ რიცხვს

¹ სრულიად რუსეთის სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის 1922 წ. 29 აგვისტოს დადგენილებით მაშინ საქართველოს მუზეუმმა რუსეთის დაწესებულებებიდან მიიღო ბევრი ძვირფასი ხელნაწერი.

Глава 1

Въра. в. Божественные притчи и сказки
и отвлеченное искусство прилагали
в латинском мире. Религия сдвинулась
и утвердилась общества, и были первые
основатели. Как, следовательно, фиделиста
Принципиальны. Государства утверждаются, слу-
шают иерархическую доктрину, которая с
определенной истинности. И по этому религия
должна быть поставлена в высшей степени
использована.



Въ Царство Грузинское изданы
религия сего православной фиделиста
Апостольской, возложена Церковь.

Въ Грузии доприказе свободное откры-
тие Божественной науки религии.

В. Власти неслучайно и основаны на
принципах, которые не только имеют место
религия, а также и в других странах.



დენთ ცხილ უმეტრესი ცოდინთ
ნოტი დიხობათათ, ცხილთ მთ.
თა ცხილ ბო პრესიონით ცხილ
დადამცონით იმეზუ ცხილ
ბო მთხილთათ ბიჯათ,
მითნი ბო ცოდინთათ ცხილ
ფრთხილთათ.

მთხილთათ.

364.

დვალთათათ ბიჯათ ცოდინთ,
მთხილთათ ბიჯათთ ნა
სადრთათ, მთხილთათ
ბიჯათთ.

365.

მთხილთათ მადრთათ ბიჯათთ
ბიჯათ მადრთათთ.

366.

მთხილთათ მადრთათთ
მთხილთათ მადრთათთ
მთხილთათ მადრთათთ
მთხილთათ მადრთათთ
მთხილთათ მადრთათთ
მთხილთათ მადრთათთ

367.

მთხილთათ მადრთათთ
მთხილთათ მადრთათთ
მთხილთათ მადრთათთ

368.

მთხილთათ მადრთათთ

ემატება ხელნაწერებში ხელმეორედ მოთავსებული შვიდი მუხლი, რის შედეგად მუხლების საერთო რაოდენობა 1027-ს უდრის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ავტორი ზოგიერთ მუხლს ქვემუხლებად ყოფს. ასეთებია, მაგალითად, მუხლები: 247, 301 და სხვ.

ჰ. ხელნაწერთა შემადგენელი და თხზულების დასრულების თარიღები

როგორც ითქვა, ჩვენ გვაქვს დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ორი საკმაოდ სრული ხელნაწერი (AB) და ერთი ნაკლები (C). სამივე ხელნაწერი ავტორის მიერაა განხილული და მელნით შევსებულ-შესწორებული. ამასთანავე, A და B ხელნაწერები Jის მიერ აქა-იქ ფანქრითაც არის გადაკეთებული.

„მიმოხილვის“ ტექსტის აპარატში ჩვენ თავ-თავის ადგილას შევნიშნავთ, რომ B ხელნაწერში მუხლები 113—174 და 185—196 არ მოიპოვება და 184-ე მუხლს უშუალოდ მისდევს მუხ. 197—1019. ამასთანავე, საჭიროა აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ თხზულების ტექსტი B ხელნაწერში სატიტულო ფურცლიდან დაწყებული 184-ე მუხლის ჩათვლით გადაწერილია AC ხელნაწერების მთელი ტექსტისა და B ხელნაწერის 197—1019 მუხლების შემდეგ, „1813“ წელს, და წინ აქვს დართული 197—1019 მუხლებს B ხელნაწერშივე. მხოლოდ B ხელნაწერის ეს გვიანდელი, 1813 წელს დაწერილი ნაწილის ტექსტი (და არა AC-სი) დაუყვია დავით ბატონიშვილს რომაული ციფრებით რვა თავად. შემდეგ კი ადრე გადაწერილი მუხ. 197—1019 ტექსტის შედგომისას, მუხ. 197-ის ზემოთ არა „I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX“-თი, არამედ არაბული რიცხვისნიშნით „1“-ით განუგრძია მას „მიმოხილვის“ ტექსტის დაყოფა თავებად, მაგრამ იქვე შეჩერებულა. ჩანს, დავითს, B ხელნაწერში როცა „1“-ს დაწერა, სურდა მთელი თავის სათაური დაეწერა და ტექსტში ქვესათაურებიც გამოეყო ისე, როგორც ეს ზემოთ რვა თავში გააკეთა. მაგრამ ეს საქმე მას შეუსრულებელი დარჩენია AB ხელნაწერებში, ხოლო C-ს, როგორც ითქვა, „მიმოხილვის“ ეს ნაწილი (მუხ. 197—1019) სრულიად აკლია.

ამრიგად, თხზულების დაყოფა „თავებად“ („ГЛАВЫ“) მხოლოდ B ხელნაწერში გვაქვს სწორედ იმ ნაწილში, რომელიც ყველაზე უფრო გვიან, 1813 წელსაა გადაწერილი მესამე გადამწერის ხელით. B ხელნაწერის ეს ნაწილი შეიცავს თავებს I—VIII: მუხლები 1—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184 (ფურც. 1r—19r); მუხლები 113—174 და 185—196 კი, როგორც ითქვა, B

ხელნაწერს საერთოდ აკლია. ჩანს, ავტორი 1813 წელს B ხელნაწერში ცდილობდა თხზულება მთლიანად დაეყო თავებად, რასაც გამოუწვევია თხზულების ტექსტში ზოგიერთი მუხლის ადგილის შენაცვლება და შინაარსის მიხედვით გარკვეული თავისადმი მიკუთვნება (მაგალითად, იხ. 62-ის მომდევნო მუხლები [a, b, c, d]). მაგრამ ეს საქმე B-ში წარმოდგენილი მხოლოდ 1—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184 მუხლებისათვის რვა თავად შეძლო ავტორმა; დანარჩენი ნაწილი ამ ხელნაწერისა (მუხლები 197—1019) თავებად არაა წარმოდგენილი, რადგან ადრეა დაწერილი.

ზემოხსენებული შემთხვევის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორმა დანარჩენი მუხლებიც თხზულებისა (113—174, 185—196 და 197—1019), B ხელნაწერის რვა თავის მსგავსად, სათანადოდ თავებში მოაქცია ჩვენთვის დღემდე უცნობ, 1813 წლის შემდეგ გადაწერილ მეოთხე (D) ხელნაწერში. ავტორმა მეოთხე ხელნაწერში თხზულება უთუოდ ბოლომდე დაჰყო „თავებად“ და ქვეთავებად.

ამ მოსაზრებას ამაგრებს შენდები საფუძვლებიც: 1) ჩვენთვის აშკარაა, რომ ავტორს 1813 წელს მისწრაფება ჰქონია „მიკ მოხილვა“ ბოლომდე დაეყო „თავებად“ („глава“), აგრეთვე ზოგიერთი მუხლი სათანადოდ დასათაურებული „თავის“ და ქვეთავის ქვეშ მოეთავსებინა და, საერთოდ, თხზულების ტექსტი სისტემაში მოეყვანა. ამას ის, ალბათ, თხზულების გამოცემის მიზნით აკეთებდა. ჩანს, ამ აზრითაა ავტორის მიერ შედგენილი და მესამე გადამწერის მიერ 1813 წელს გადაწერილი B ხელნაწერის რვა თავი (მუხ. 1—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184,—ფურც. 1v—19r). 2) B ხელნაწერში ფურც. 3r მესამე გადამწერის ხელით წერია „Оглавление“, მაგრამ მთელი ფურცელი ორივე მხრით დაუწერელია. ეს გარემოება მეოთხე ხელნაწერის (D) ცალკე არსებობის მაუწყებელია: ავტორს „1813“ წელს B ხელნაწერში მხოლოდ რვა თავის დასახელება შეეძლო სარჩევში (მუხ. 1—184); ამიტომ მან ამ დროს თავი შეიკავა სარჩევის შედგენაზე, ხოლო ადგილი კი დატოვა შესავსებად, რაც მთლიანად მხოლოდ მეოთხე ხელნაწერის შესრულების შემდეგ იყო შესაძლებელი. ეს საქმე, სავარაუდოა, ავტორმა 1813—1819 წლებში D ხელნაწერში გააკეთა, ხოლო B-ში ამ განზრახვით დატოვებული Оглавление-ს ფურცელი შეუვსებელი დაოჩა. 3) B ხელნაწერში ტექსტის ერთ-ერთი განაკვეთის სათაურის — „[Глава]—оруде“—ს ქვემოთ ავტო-

რის ხელით (730-ე მუხლის გვერდით) მიწერილია: „К началу 12-й Главы 4-го отдел.“ ხოლო А ხელნაწერში ავტორისვე ხელით მიწერილია კვლავ არშიაზე: „К началу 12-й Главы 4-го отделен“. საყურადღებოა შემდეგიც: АВ ხელნაწერებში 221-ე მუხლის გვერდით, მარცხენა არშიაზე იმავე ხელით მიწერილია: „Глава... (sic). Дворяне“. როგორც ითქვა, თხზულების ტექსტის „თავებად“ დაყოფა ავტორს 1813 წელს В ხელნაწერის პირველ მუხლიდანვე (იხ. „Лавна I“) დაუწყია და უკანასკნელ „თავად“ მას ამ ხელნაწერში „Лавна VIII“ აღუნიშნავს. ეს რვა თავი В ხელნაწერში მხოლოდ 1—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184 მუხლებს შეიცავს და არა შემდეგ მოთავსებულ (197—1019) მუხლებს; ეს მომდევნო მუხლები В ხელნაწერში (1019-ე მუხლის ჩათვლით), მსგავსად АС ხელნაწერების მთელი ტექსტისა, „თავებად“ და ქვეთავებად არაა დაყოფილი. როგორც ითქვა, ტექსტში არაა აღნიშნული „Глава IX“ და სხვა მომდევნო „თავები“. მაშ, საიდან გაჩნდა В (და А) ხელნაწერში ავტორის ხელით მინაწერი: „К началу 12-й Главы 4-го отдел[ения]“, თუ თხზულების ავტორს, დავით ბატონიშვილს, ამ შემთხვევაში „მიმოხილვის“ მეოთხე (Д) ხელნაწერი არ აქვს მხედველობაში? საფიქრებელია, მეოთხე ხელნაწერის შექმნისას (1813—1819 წლებში) დავითს დასჭირდა АВ ხელნაწერებში აღნიშნული მინაწერები გაეკეთებინა. ჩანს, მეოთხე ხელნაწერში „12-я глава 4-го отделения-“ც კი ყოფილა. თუ ეს სწორია, გამოდის, რომ „მიმოხილვის“ ტექსტი ჩვენთვის უცნობ, მეოთხე (Д) ხელნაწერში არათუ „თავებად“ და ქვეთავებად, არამედ „განყოფილებებადაც“ კი ყოფილა დაყოფილი. დავით ბატონიშვილი გარდაიცვალა 1819 წ. 13 მაისს. 1813 წლიდან ამ დრომდე, ცხადია, შესაძლებელი იყო მთელი „მიმოხილვის“ ტექსტი დავითს ბოლომდე გაემართა, თავებად და ქვეთავებად დაეყო და კვლავ გადაეწერინებინა ვინმესთვის. სწორედ ამ დროისა უნდა იყოს ის ორი მინაწერი, რომლებიც АВ ხელნაწერებიდან წარმოვადგინეთ.

В ხელნაწერის 1.—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184 მუხლები (რვა თავი) მესამე გადამწერის მიერ 1813 წელსაა გადაწერილი, რადგან ამ მუხლთა წინ მისი ხელით (ფურც. 2r) თხზულების დაწერის თარიღად „1813“ წელია აღნიშნული. მაშასადამე, В ხელნაწერის ზემოხსენებულ ნაწილს (რვა თავს) გარდა, თუ კიდევ დაიწერა „თავებად“ („Лавна“) დაყოფილი „მიმოხილ-

ვის“ ტექსტი (ე. ი. მეოთხე ხელნაწერი), იგი უნდა დაწერილიყო არა უწინარეს 1813 წლისა და არა უგვიანეს 1819 წლის 13 მაისისა, როცა ავტორი გარდაიცვალა. ამასთანავე, „თაგებად“ („ГЛАВЫ“) დაყოფის გარეშე არსებული „მიმოხილვის“ ტექსტის შემცველი A და C ხელნაწერები მთლიანად და B ხელნაწერის 197—1019 მუხლები გადაწერილია არა უგვიანეს 1813 წლისა და არა უადრეს 1812 წლისა, რადგან ყველაზე უადრესი ხელნაწერის, C-ს ფურცლების ქვირნიშანში „1812“ წელია აღნიშნული. B ხელნაწერის სათაური, ეპიგრაფი და რვა თავი (1—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184 მუხლები) გადაწერილია „1813“ წელს „სანკტ-პეტერბურგში“, როგორც B ხელნაწერის თავფურცელზეა აღნიშნული.

ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ A და B ხელნაწერების თავფურცლები, სადაც თხზულების სათაურია მოცემული, ორივე ხელნაწერში მესამე გადამწერის ხელითაა გადაწერილი. ამავე ხელით გადაწერილ მხოლოდ B ხელნაწერის ერთ ნაწილს თხზულების სათაურშივე (ფურც. 2r) აქვს თხზულების დაწერის ადგილისა და თარიღის აღნიშვნა — „САНКТ-ПЕТЕРБУРГ. 1813“. ჩანს, ავტორი მხოლოდ 1813 წელს თვლიდა თავის ამ თხზულებას არსებითად დასრულებულად და მესამე გადამწერსაც ავტოგრაფის მიხედვით ეს თარიღი მაშინ დაურთავს B ხელნაწერისათვის. B ხელნაწერის ამ ადგილზე უფრო ადრე ჩანს დაწერილი A ხელნაწერი და ამიტომაც მასზე მხოლოდ თხზულების სათაური და ავტორი აღნიშნული. A ხელნაწერზე ადრე ჩანს დაწერილი C ხელნაწერი და ამიტომ ავტორს მასზე არამც თუ თხზულების დაწერის ადგილი და თარიღიც არ აღუნიშნავს, არამედ თვით სათაურიც თხზულებისა; მას ჯერ დაუსრულებლად მიაჩნდა თხზულება. მხოლოდ B ხელნაწერის 1—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184 მუხლების გადაწერისას, როცა ავტორს თავისი თხზულება „თაგებად“ („ГЛАВЫ“) დაუყვია, მესამე გადამწერს, თანახმად ავტოგრაფისა, მიუწერია თხზულების დაწერის თარიღად „1813“ წელი. ხელნაწერთა ტექსტების ურთიერთი შედარება, ტექსტობრივი მსგავსება-განსხვავებანი, გადამწერის მიერ თავის ხელნაწერში ადრინდელი ხელნაწერიდან ავტორის შესწორებათა გადმოღება და სხვა, რომლებიც გამოცემის აპარატში ჩვენ მიერ თავ-თავის ადგილასაა წარმოდგენილი, გარკვევით მოწმობენ ჩვენი ვარაუდის სისწორეზე.

ამრიგად, დავით ბატონიშვილმა „მიმოხილვა“ დაწერა 1812—1813 წწ. პეტერბურგში. ამ თხზულების წერისას ავტორს სამი გადამწერი ეხმარებოდა. პირველ გადამწერს ავტოგრაფიდან, უპირველეს ყოვლისა, გადაუწერია C ხელნაწერი (მუხ. 1—196), რაც ავტორს თავისი ხელით შეუვისია და შეუსწორებია. შემდეგ ავტოგრაფიდანვე იმავე გადამწერსა და ვილაც მეორეს B ხელნაწერის 197—1019 მუხლები გადაუწერია: პირველს 197—997, ხოლო მეორეს 998—1019 მუხლები. ეს მუხლები ისევ ავტორს თავისი ხელით შეუვისია და შეუსწორებია. შემდეგ მესამე გადამწერს არსებული C და B ხელნაწერების გამოყენებით A ხელნაწერი შეუქმნია, რაც ისევ ავტორს აქა-იქ შეუსწორებია. ეს ხელნაწერი უფრო სუფთაა და მთლიანი, ვიდრე პირველი ორი (BC) ხელნაწერი. ბოლოს, 1813 წელს B ხელნაწერის მხოლოდ თავფურცელი, ეპიგრაფი და 1—112, 157-ის მომდევნო [a, b, c] და 175—184 მუხლები, რვა თავად ავტორის მიერ უკეთ ჩამოყალიბებული (განსაკუთრებით A ხელნაწერის გამოყენებით), მესამე გადამწერს ლამაზად და სუფთად გადაუწერია და წინ დაურთავს B ხელნაწერისათვის დანაკლისი ნაწილის შესავსებად. B-ს ეს ნაწილიც ადგილ-ადგილ ავტორის ხელითაა შესწორებული¹.

ამგვარად წარმოიშვა ორი დაახლოებით სრული A და B ხელნაწერი და ერთი ნაკლები—C ხელნაწერი. წარმოდგენილ „მიმოხილვის“ სრულ ტექსტს სამივე ხელნაწერი ავსებს, განსა-

¹ პრ.ფ. ალ. ხახანაშვილისათვის თავის დროზე, როცა B ხელნაწერი მას შეუნიშნავს საახლო მუხებში, ყველა ზემოაღმოცემული გარემოება, რა თქმა უნდა, უცნობი იყო, თორემ იგი მარტო ამ ხელნაწერის დასახელებით არ შემოიფარგლებოდა თავის ნაშრომში და დავითის ახალი ამ ღირსშესანიშნავი თხზულების აღმოჩენასაც გვამცნობდა საგანგებო შრომის გამოქვეყნებითაც კი. მის მიერ 1901 წელს ამ ხელნაწერის დასახელების შემდეგდაც, სამწუხაროდ, დავითის „მიმოხილვის“ რაობის შესახებ დღემდე არავინ არ დაინტერესებულა მეცნიერებაში და მხოლოდ 1948 წლიდან მოგვიხდა ჩვენ მასზე საგანგებოდ ყურადღების მიქცევა მთელ რიგ შრომებში სარგებლობით და წინამდებარე გამოცემით. ამის შედეგად უკანასკნელად „მიმოხილვის“ შესახებ სხვათა მიერაც ხოგი რამ ქვეყნდება კიდევ. ძველის წინამდებარე გამოცემამდე გამოქვეყნებულ ამგვარ შრომებში ზოგიერთი ავტორი, ბუნებრივია, რომ უშუალოდ ზოგიერთ შეცდომას „მიმოხილვის“ შინაარსის თუ მის ხელნაწერთა შესახებ და სხვა. მაგალითად. ამგვარი შეცდომები აქვს დაშვებული, როგორც თქმულთა ჩვენ მიერ წინამდებარე გამოკვლევაში, პრ.ფ. ივ. სურგულაძეს; რ. ორბელიანის მიერ განთავსებულ წიგნსაც („Грузинские рукописи Института востоковедения“, вып. 1, Москва-Ленинград, 1956, стр. 109—110) ზემოთქმულთა მიხედვით ესაჭიროება ზოგიერთ ადგილას შეცდომის გასწორება და ა. შ. სხვათაც.

კუთრებით A, შემდეგ B ადგილ-ადგილ (უმეტესად გვიანდელი ნაწილი, რაც „1813“ წელს დაერთო ხელნაწერს), აგრეთვე, C-ც კი საყურადღებო გახდა ზოგიერთ შემთხვევაში. სამივე ხელნაწერი, როგორც ითქვა, ავტორის მიერაა შესწორებული და ამიტომ თითოეული მათგანი ავტოგრაფის უფლებით დიდად სარგებლობს. ჩვენ „მიმოხილვის“ გამოცემისას განსაკუთრებით A ხელნაწერს ვეყრდნობით, რადგან თვით ავტორი BC ხელნაწერებთან შედარებით ხშირ შემთხვევაში მას ანიჭებს უპირატესობას. თხზულების ავტორების ის სისტემა, რომელიც დ. ბატონიშვილისათვისაა საერთოდ დამახასიათებელი, A ხელნაწერში უფრო ჩანს, ვიდრე BC ხელნაწერებში; თუ არ მივიღებთ მხედველობაში B ხელნაწერის ზემოხსენებულ გვიანდელ ნაწილს. B ხელნაწერის ეს მცირე ნაწილი და მთლიანად A ხელნაწერა ჩვენთვის მთავარი საფუძველია ძეგლის ტექსტის დადგენისას. ამიტომ ამ ღირებულებათა თვალსაზრისით ჩვენ შევარქვით ხელნაწერებს A, B, C.

„მიმოხილვის“ ხელნაწერთა შორის არსებული განსხვავებები თავ-თავის ადგილას ნაჩვენებია გამოცემის აპარატში. A, B, C ხელნაწერები „მიმოხილვის“ ვარიანტებია; ვერსიულ განსხვავებებს ამ ხელნაწერებში საერთოდ ადგილი არა აქვს.

4. თხზულების მნიშვნელობა და გადაწყვეტილი შეხახვა

პირველი და მესამე გადამწერის ხელი ლამაზი და კარგია. ჩანს, რომ ეს გადამწერები რუსები არიან, რადგან გზადაგზა სიტყვებს წერენ ისე, როგორც ის შეიძლებოდა გამოეთქვა რუსს.

მეორე გადამწერის ხელი (B, მუხ. 997—1019) ზემოთ მოხსენებული გადამწერების ხელთან შედარებით ცუდია. ამასთანავე ეს გადამწერი ისეთ ორთოგრაფიულ შეცდომებს უშვებს, რომელიც რუსისათვის არაა დამახასიათებელი; ის ზოგჯერ სიტყვაში ან სიტყვის ბოლოს ნიშან ხ-ის ნაცვლად ზ-ს წერს და სხვა. საფიქრებელია, დავითმა ამ შემთხვევაში გადამწერად ქართველი გამოიყენა.

„მიმოხილვის“ ავტორის ენა ზოგჯერ მოიკოკლებს: გვხვდება შემთხვევები, როცა ქართული აზროვნების საფუძველზეა აგებული რუსული წინადადებები და სხვა. მაგრამ დავითი რუსულ ლექსიკას კარგად ფლობს; მას რუსული ენა მაინც შედარებით კარგად შეუაწავლია. დავითს ეტყობა დიდი ნაკითხობა ქართულსა, რუსულსა და სხვა ევროპულ ენებზე. ეს მის სხვა ნაწარმოებებშიც კარგად ჩანს.

ავტორის თხზულების ღირსებად, სხვათა შორის, ჩაითვლება ისიც, რომ რუსული სახელწოდებებისა და ტერმინების გვერდით იგი ბევრგან ხმარობს შესატყვის ქართულ სახელწოდებებსა და და საქართველოში მაშინ მიღებულ უცხო ტერმინებს. ასეთებია, მაგალითად: вера—სარწმუნოება; внутренняя стража, очередь—Мориге; пушкани—топჩი; пытка—თანჯვა და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი რუსული სახელწოდებისა თუ ტერმინის სათანადო ქართული შესატყვისი დავითს „მიმოხილვის“ ტექსტში არ უხმარია. ასეთებია, მაგალითად: чрезвычайное вооружение, вспомогательные войска, Военная контора, Царский Непременный Совет და ა. შ.

„მიმოხილვის“ ავტორი ტექსტში ხმარობს საერთაშორისო ტერმინებს, დასაველეთ ევროპის განმანათლებელთა ცნობილ გამოთქმებსა და სხვ., რომლებიც მას, საერთოდ, ხელს უწყობს სათქმელის ნათლად გადმოცემაში. ეს გარემოებაც კარგად მოწმობს დავით ბატონიშვილის დიდ ნაკითხობას რუსულსა და უცხოურ მწერლობაში.

ავტორის ენისათვის დამახასიათებელ თვისებებს და მართლწერას „მიმოხილვის“ გამოცემაში ვტოვებთ უცვლელად, ვასწორებთ მხოლოდ მის უნებლიე შეცდომებს, რასაც ვსვამთ ფრჩხილებში [.]. ადგილ-ადგილ ვცვლით არასწორად დასმულ სასვენ ნიშნებს (რაც ხშირად გადამწერთა ბრალია) და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ გამოცემაში ყველგან შევცვალეთ დედანში არსებული სიტყვის ძველი დაბოლოება -аго სამაგიერო -ого ან -его-დ (მაგ., друго—другого, всякаго—всякого, виновнаго—виновного; настоящаго—настоящего, нападающаго—нападающего, пресекающагося—пресекающегося). აგრეთვე სიტყვის ძველი დაბოლოება -яго შეცვლილია -его-დ (მაგ., ближняго—ближнего, внутренняго—внутреннего, последняго—последнего).

ავტორი მსაზღვრელი სიტყვის მრავლობითი რიცხვის ძველ ნიშანს -ия თუ -ья-ს „მიმოხილვის“ ტექსტში ბევრ ადგილას არ იცავს და მის მაგიერ ხმარობს -ие ან -ье-ს, როგორც ახალი მართლწერით დღეს იწერება. მაგალითად, მოცემულია: Земля чужия || земля лучше, земли неудобныя || земли выгонныя, дети побочныя || дети побочные, руки посторонныя || руки посторонние და ა. შ. ამ შემთხვევაში ავტორის დაწერილობა „მიმოხილვის“ გამოცემაში უცვლელადაა დაცული.

„მიმოხილვის“ ავტორი ადგილ-ადგილ ტექსტში ნაცვალსახელთან სახმარ სიტყვას нирѣдს ან лири-ს გულისხმობს. ამგვარ

შემთხვევებში ჩვენ მიერ ეს სიტყვები საკიროებისამებრ მოთავსებულია კუთხურ ფრჩხილებში.

„მიმოხილვის“ გამოცემაში მიღებული გვაქვს შემდეგი წესებიც: ნიშანს Σ სიტყვის ბოლოს არ ვათავსებთ; ასოები \mathbf{h} , \mathbf{i} და \mathbf{m} შეცვლილია შესატყვისი \mathbf{c} , \mathbf{h} , \mathbf{q} ასოებით; გამოყენებულ ხელნაწერში სტრიქონს ზემოთ არსებული ყოველგვარი ჩასწორებები შეტანილი გვაქვს სტრიქონში, ხოლო ხელნაწერთა ვარიანტული განსხვავებები ჩატანილია ძირითადი ტექსტის აპარატში. აპარატში კუთხური ფრჩხილი () გვიჩვენებს გამოცემული ძირითადი ტექსტის იმ სიტყვებს, რომელთა სამაგიეროდ ხელნაწერებში სხვა სიტყვებია გამოყენებული.

5. „მიმოხილვის“ სახანი

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ XVII—XVIII საუკუნეების რუსულ საბუთებში და ზოგჯერ ქართულშიაც სიტყვა „Грузия“—„საქართველო“ საკუთრივ ქართლს აღნიშნავდა, ზოგჯერ კი, მაგალითად, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ზოგიერთ საბუთში—ქართლ-კახეთს. ამასთანავე, მთელი საქართველოს აღსანიშნავად მაშინ იხმარებოდა ტერმინი „ყოველი საქართველო“—*Вся Грузия*, თანაც ჯერ კიდევ ხმარებაში იყო XVI საუკუნიდან დამკვიდრებული „საქართველოები“: „ქართლი“—*Карталия*, „კახეთი“—*Кახетия*, „იმერეთი“—*Имеретия*, „გურია“—*Гурия* და სხვა.

როგორც ცნობილია, ტერმინი „საქართველო“ ჯერ კიდევ XI საუკუნიდან იხმარებოდა ქართულ მწერლობაში, როგორც მთელი საქართველოს აღმნიშვნელი სიტყვა: XI—XIII საუკუნეებში გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს არსებობამ განაპირობა ამ ტერმინის წარმოშობა ამგვარად შინაარსით. შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურმა დაშლამ გამაერთიანებელ ცნებებსაც თავისებური დალი დაასვა და XVI საუკუნიდან დამკვიდრდა, როგორც ითქვა, „საქართველოები“.

დავით ბატონიშვილს, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა, რომ „Грузия“ ისტორიული თვალსაზრისით მთელ საქართველოს ნიშნავდა, მაგრამ იგი თავის დროზე იძულებული იყო ანგარიში გაეწია შექმნილი ვითარებისათვის. ამ დროს, XIX ს. დამდეგს, რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალურ მიმოწერებში „Грузия“-დ მხოლოდ ქართლ-კახეთს თვლიდნენ. გარდა ამისა, თვით დავით ბატონიშვილი, მართალია, ადრე თავისთავს მთელი საქართველოს სა-

შეფო ტახტის კანონიერ შემკვიდრედ თვლიდა, მაგრამ შემდეგ ფაქტიურად მხოლოდ ქართლ-კახეთის, ანუ მაშინდელი „Грузия“-ს სამეფო ტახტის პატივსაცემად შემკვიდრედ დარჩა. ანტიომაცია, რომ იგი თავის „მიმოხილვაში“ „საქართველოს“ ვიწრო მნიშვნელობით ხმარობს; მისი „Грузия“ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს.

ამრიგად, დავით ბატონიშვილი თავის ნაშრომს, როცა სათაურად აწერდა „Описание Грузии по части нрав и законобеления“ — „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“ — ეს მისთვის და მისი თანამედროვე რუსი მკითხველისათვის აღნიშნავდა „ქართლ-კახეთის სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“-ს.

ამასთანავე, დავითს არ ჰქონია დასახული მიზნად „მიმოხილა“ „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის“ დარგის ისტორიული განვითარება. ავტორის თანამედროვე მკითხველი, როგორც ჩანს, მისგან მოელოდა ერეკლე მეორისა და გიორგი მეორემეტის დროინდელი ქართლ-კახეთის „სამართლისა და კანონთმცოდნეობის“ „მიმოხილვას“ ანუ აღწერას. ეს საქმე ჰქონდა დავითს 1812—1813 წლებში განზრახული და თავისი ნაშრომის სათაურითაც მხოლოდ ამას შეჰპირდა მკითხველს. მისი ამოცანა შედარებით გაადვილებული იყო იმით, რომ XIX საუკუნის დამდეგს ერეკლესდროინდელი კანონები ჯერ კიდევ ნაწილობრივ მოქმედებდნენ. მართალია, რუსეთის მთავრობამ 1801 წლიდანვე თანდათან გააუქმა დავითის მიერ „მიმოხილვაში“ აღწერილი ერეკლესა და გიორგისდროინდელი ქართული სახელმწიფოს ძირითადი კანონები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი 1812—1813 წლებშიაც კი განაგრძობდა არსებობას. დავითი ამ ნაშრომში მიზნად ისახავს არა ჩვენში 1801 წლიდან იძულებით დამკვიდრებული რუსული სამართლისა და კანონთმცოდნეობის აღწერას, არამედ ქართლ-კახეთში XVIII ს-ის მეორე ნახევარში მოქმედი კანონების გადმოცემას.

აგრეთვე, დავითის თხოვნების სათაურიდანაც ჩანს, რომ მას რაინე ახალი სამართლის პროექტის შედგენა კი არ განუზრახავს, არამედ უკვე არსებული სამართლის ნორმების „მიმოხილვა“ დაუსახავს მიზნად. მართლაც, რომ დავითი ამ ნაშრომში მხოლოდ ერეკლესა და გიორგისდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფო სამართალსა და კანონთმცოდნეობას აგვიწერს და არა სხვას რასმე, ამას გარკვევით მოწმობს თვით შინაარსი „მიმოხილვის“ უამრავი

მუხლებია: 226 [§6] || 11, 259—262, 539—540, 545—546, 869
474, 78—81, 129, 175—184, 14—42, 45, 64—65, 77 და სხვა.

დავით ბატონიშვილს სამართლის ყოველი ინსტიტუტი, ჩვეუ-
ლება, ადათი, კანონი, წესი და სხვა გადმოცემული აქვს „მიმო-
ხილვაში“, როგორც XVIII ს-ის მეორე ნახევარში მოქმედი. მაგ-
რამ იგი თვლის, აგრეთვე, რომ ამ კანონ-წესჩვეულებათა დი-
დი უმეტესობა ქართლ-კახეთში XIX საუკუნის დასაწყისშიაც არ-
სებობდა. მაგალითად, 507-ე მუხლში ნათქვამია: „Если кто [пощудил]
ранит, но не убьет, хотя бы после раненый и умер, суди-
тся и наказывается по артикулу, в Уложении Вахтанговом
начертанному“. დავითს ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მხედვე-
ლობაში აქვს არა მხოლოდ ერეკლესა და გიორგის მეფობის
დრო, არამედ XIX საუკუნის დასაწყისიც, როცა იგი წერდა
(1812—1813 წწ) „ნიმობილვას“. ეს კარგად ჩანს აგრეთვე „მიმო-
ხილვის“ 508, 509, 510, 511, 512, 513 და სხვა მუხლებში.

„მიმოხილვის“ ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღე-
ბა უნდა მიექცეს ზმნებს, რომ ერეკლესა და გიორგის მეფობის-
დროინდელი ფაქტები სხვა დროს არ მიეკუთვნოს. ამ კანონთა
კრებულის სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ მის რომელიმე კანონს მასთან დაკავშირებულ სხვა კანონებთან
მთლიანობაში განვიხილავთ.

დავით ბატონიშვილი „მიმოხილვის“ ტექსტში მრავალ ადგი-
ლას აცხადებს, რომ იგი საგანგებოდ აგვიწერს XVIII ს-ის მეორე
ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედ სამართალსა და კანონთმცოდნე-
ობას, მართლმსაჯულებაში ანგარიშგასაწევ ხალხურ ჩვეულებებს,
ადათებსა და სხვ., აგრეთვე სახელმწიფოებრივ წყობილებასა და
სამოხელეო აპარატს¹.

¹ დავით ბატონიშვილის „შრომას,— აღნიშნავს პროფ. ივ. სურგულაძე.—... სათაური აქვს: „Обозрение Грузии по части прав и законовения“. სინამდვილეში კი, როგორც შრომის შინაარსიდან ჩანს, ავტორი იხილავს მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს სამართლის ისტორიას და ისიც მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევრისა: 1) შრომა ეხება საქართველოს იმ ნაწილებს, რომლებიც XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს შეადგენდა (ქართლი, კახეთი, სომხეთი, ყაზახი, შამშადილი, ბაზბაკი და სხვ.); 2) შრომაში მოცემულია სახელმწიფოებრივი წყობილების ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ქალანთარი, საგარეო საქმეთა სამმართველო, მორიგე ლაშქარი და სხვ.)“ („საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, I, თბილისი, 1952 წ., გვ. 10). სრულიად სამართლიანად მსჯელობს ამ ციტატის ავტორი, ოღონდ მას დავითის მიერ ნახმარი ტერმინი „Грция“-ს მნიშვნელობა, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არა აქვს.

„მიმოხილვის“ შედარება სამართლის პროექტებთან

დავითის „მიმოხილვა“ შინაარსობლივ ცოტათი მაინც შეესაბამება დავითისავე ისტორიული ხასიათის შრომებს: 1800 წელს თბილისში გამოცემულ მისივე „ნარკუჭის“¹, რუსეთში 1805 წ. გამოცემულ „Краткая история Грузии“-ს², ხელნაწერად დარჩენილ დიდად საყურადღებო ვრცელ ნაშრომს „История Грузии“-ს³ და „ქართლის ცხოვრების“ II ტომში შესულ მისივე „შედგეს კახეთის ცხოვრებისას“⁴ ანუ, თითქმის იგივე, „ახალ ისტორიას“⁵.

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ ვერ გამოვუდგებით დავითის „მიმოხილვისა“ და ზემოხსენებული ისტორიული ხასიათის შრომების ურთიერთ შედარებას, საჭიროდ ვცნობთ შევჩერდეთ მხოლოდ ზოგიერთ პარალელზე დავითის სხვა ნაშრომებიდან. ეს ნაშრომებია: 1) 1800 წელს დაწერილი პროექტი „სამართალი ბატონის-შვილისა დავითისა“, გიორგი XII-ისათვის წარდგენილი⁶; 2) 1812 წ. 25 სექტემბერს დაწერილი პროექტი „О лучшем устройстве Грузии“, იმავე წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის წარდგენილი⁷, და 3) 1817 წ. 11 მარტს დაწერილი „Исполнение на высочайшее его императорское воличество имя“, ამავე წელს ალექსანდრე პირველისათვის გადაცემული⁸. აგრეთვე საჭიროა დავითის „მიმოხილვა“ შევადაროთ მისი ძმის, იოანე ბატონიშვილის 1799 წ. ცნობილ პროექტს „მსჯულდებას“ ანუ „წინადადებას“⁹.

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვასთან“ მისივე 1800 წლის „სამართალი ბატონის-შვილისა დავითისა“ შესადარებლად ვიასარებლეთ საქ. მუზეუმის ორი ხელნაწერით: № 2330 H-ითა და

¹ ქართული წიგნი, I, 1941, გვ. 77—78.

² Царевич Давид, Краткая история Грузии, СПб, 1805, изд Академии Наук.

³ საქავშირო მე ნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწ. ფონდი. M 25 (ძვ. ზიფრით M 14).

⁴ ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 501—516.

⁵ თ. ლომოურის მიერ გამოცემული 1941 წელს.

⁶ საქ. მუზ. №№ 2330 H და 840 H

⁷ И. Ениколопов, Две записки царевича Давида, — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. 1942. ნაკვ. 1, გ. 127—138.

⁸ იქვე, გვ. 160—165.

⁹ საქ. მუზ. № 2155 H.

№ 840 H-ით. ეს უკანასკნელი ხელნაწერი ს. გორგაძის მიერ გამოცემად გამზადებული „დავით ბატონიშვილის სამართლის“ ტექსტია; მას იგი, როგორც თვითონ გვაუწყებს, „სამართლის წიგნის“ ვორდროპის ვარიანტის ბოლოში“ მოთავსებული ნუსხის მიხედვით. 1911—12 წლებში დაუმზადებია გამოცემად¹.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ს. გორგაძის მიერ გამოყენებული ნუსხა და № 2330 H ხელნაწერი 1800 წელს „...ქელითა ანჩისხატის კანდელაკის მღუდლის გაბრიილისათა“ არის გადაწერილი; № 2330 H „სრულ იქმნა ოქტომბრის ე“ (5)-ს, ხოლო მეორე ხელნაწერი „სრულ იქმნა დეკემბრის კ“ (27)-ს.

ფრიად საყურადღებოა დავით ბატონიშვილის მიერ დაწერილი შესავალი შრომისა „სამართალი ბატონის-შვილის დავითისა“. ამ შესავლის ორი ვარიანტი არსებობს:

I. „ბრძანებითა მისის უმაღლესობის მეფისა გიორგისათა წარმოუდგენ ყოველთა საზოგადოებათა გონებისა ჩემისა სჯაათა.

ვინათგან უწყიან ყოველთა, თუ ვითარითამე სურვილითა კელ-ეყოთ წინაპართა ჩუშნთა სამოქალაქოსა სჯულისათჳს ერთად-მი კარგიერებისა მოყვანად, რომელთაცა ჳშრომაჲ არა არს უსარ-გებლო; და ვინათგან სოფლისა ცელილებისა გამო მწერალთა მიერ და თვით მსაჯულთაგანცა იხილვებოდა მეტ და ნაკლულევანებაჲ, და ამით ოდესმე იხილვებოდა უთანხმობაჲცა სჯულსა შინა და კარგსა,—ამად ნებრძანა უმაღლესისა მამისა ჩემისაგან და შევსთ-ხზე, რომელსაცა აქეს უმეტეს მიდრეკილებაჲ ბუნებითისა მიმართ სჯულისა. და ამით ვაჩქენო მეფესა ჩემსა სამსახური, და ერთაცა ვუჩქენო გზაჲ კარგიერებისა და უღელსაცა ქვეშე მორჩილებისასა მოყვანაჲ, და მსაჯულთაცა რათამცა აქვნდესთ ღონის-ძიებაჲ განს-ჯისადმი ნანდვილისა მოქალაქეთადმიცა და მხედართა.

საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე, რუსეთის ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დჳავით.

ნოემბრის 26, 1800 წელსა, ტფილისს².

II ვარიანტი დავით ბატონიშვილის მიერ უფრო ადრეა დაწერილი:

„შეწევნითა ღვთისათა ჩვენ, საქართველოს მემკვიდრე და რუსეთის სამხედროს ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი მეფის

¹ საქ. მუხ. № 840 H, გვ. 01—02.

² ს. გორგაძე, გამოცემად გამზადებული ხელნაწერი დავითის „სამართლისა“, საქ. მუხ. № 840 H, გვ. 1—2.

ძე და ვით წარმოვუდგენთ ერთა ჩუმნთა გონებისა ჩემისა ჰსჯასა, რომლისადაცა კარგიერებაა შემოიტანს შეკავშირებასა ერთასა.

ვინადგან უწყიან ყოველთა თუ ვითარითამე სტრავილითა უყოფიესთ წინაპართა ჩუმნთა სჯულისათვის ერთა კარგიერებისადმი მოსაყუანთა, რომელთაცა შრომაა არა არს უსარგებლოა; მაგრა ცუდილებისა გამო სოფლისა და ანუ უვითარებლობისა მწერალთასა იხილვებოდა ქელ-ყოფილსა შინა მათსა მეტ და ნაკლყოფობაა, რომლისა გამო იყო უთანხმოობაა და დაუმორჩილებელობაა ჰსჯულთა მათ და განწესებათა, რომელთაცა აქუნდა-ყე მახლობელ დგომაა ბუნებითისა ჰსჯულისა, რათა ამით უჩვენო ერთა ჩემი ესე უმწვერვალესი სიყვარული და მოვიყვანო ივინი კარგიერებასა შინა, და მით უღელსა ქმუშე მორჩილებისასა, და რათა მსაჯულთაცა მივსცე გზაა ქმნად სამართლისა და მოცემად ჰსჯისა.

საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე, რუსეთის ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით¹.

ამრივად, დავითის „სამართლის“ შესავლის ამ ორი ვარიანტიდან გარკვევით ჩანს, რომ ავტორს ეს ნაწარმოები დაუწერია „ბრძანებითა მისის უმაღლესობის მეფისა გიორგისათა“. იგი მას დაუწერია იმიტომ, რომ „სოფლისა ცვლილებისა გამო მწერალთა მიერ და თვით მსაჯულთაგანცა იხილვებოდა მეტ და ნაკლულევა-ნებაა, და ამით ოდესმე იხილვებოდა უთანხმობადაცა სჯულსა შინა და კარგსა“. ამის გამოსწორებლად დავითს „მებრძანა უმაღლესისა მამისა ჩემისაგან და შევსთხზე, რომელსაცა აქვს უმეტეს მიდრეკილებაა ბუნებითისა მიმართ სჯულისა“.

რა თქმა უნდა, 1800 წელს, როცა ქართული ძველი სახელმწიფოებრივი წესწყობილება თავის აღსასრულს უახლოვდებოდა, არსებული ქართული სამართალი თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებთან ბევრი რამით შეუსაბამო აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ აღრიდანვე მოქმედ სამეთოს „სჯულის“ კანონებში, „ცუდილებისა გამო სოფლისა და ანუ უვითარებლობისა მწერალთასა იხილვებოდა ქელყოფილს შინა მათსა მეტ და ნაკლყოფობაა, რომლისა გამო იყო უთანხმოობაა და დაუმორჩილებელობაა ჰსჯულთა მათ და განწესებათა...“ იმიტომ ბუნებრივია ისიც, რომ ასეთ პირობებში გიორგი XII-მ ნიმართა თავის გონიერსა და მეცნიერ შვილებს, იოანესა და დავითს, და მათ დაავა-

¹ საქ. მუხ. № 2330 H, ფურც. 87—91.

ლა სახელმწიფოებრივი ქვესწყობილებისა და სამართლის დარგში რეფორმის მოსახდენად წარმოდგინათ თავიანთი პროექტები. მართლაც, 1799 წ. იოანე ბატონიშვილმა მამას საამისოდ წარმოუდგინა თავისი ცნობილი პროექტი „სსჯულდება“ ანუ „წინადადება“, ხოლო 1800 წელს დავით ბატონიშვილმა—ზემოხსენებულ თავისი „სამართალი“.

ამრიგად, „სამართალი ბატონის-შვილის დავითისა“ წარმოადგენს პროექტს და არა მოქმედ სამართალს. ამ ძეგლის რიგ ადგილებში თვით ავტორი ამის შესახებ ჩვენ პირდაპირ გვაუწყებს კიდევ. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა წყაროებით სარგებლობდა დავითი ამ ძეგლის შედგენისას, როგორ „შესთხზა“ მან იგი?

ამ საკითხის გამორკვევას, უპირველეს ყოვლისა, ნათელჰყოფს დავითის „სამართლის“ შედარება მისვე „მიმოხილვასთან“. პირველი ნაწარმოები მან დაწერა 1800 წელს თბილისში, ხოლო მეორე კი—არა უადრეს 1813 წლისა. ამრიგად, „მიმოხილვის“ წერილის დავითს შეეძლო ესარგებლა თავისი ადრინდელი პროექტით—„სამართლით“ და, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, დიდად უსარგებლია კიდევ. ამასთანავე, ჩვენ ვარკვევთ იმ წყაროებსაც, რომლებითაც უსარგებლია დავითს 1800 წ. „სამართლის“ შედგენისას.

„სამართალი ბატონის-შვილისა დავითისა“-ს წინ უძღვის ავტორის ხელითვე მინაწერი ეპიგრაფი: „მომეც მონასა შენსა გული გონიერი სმენისა და სამართლისა ერისა შენისა სიმართლეთა შინა რომელი ვსცნობდე შორის ბოროტისა, დ. კეთილისა რ ვინ შეუძლოს სჯად ერთა შენთა ფიცებელთა ამათ; ვ: მეფეთა—თავი გ. სტხი თ.“ რუსულ ენაზე ეს ეპიგრაფი დავითს „მიმოხილვისთვისაც“ წაუმძღვარებია.

ქვემოთ მოვიყვანთ ზოგიერთ პარალელს ამ ორ ძეგლს შორის.

„ამომხილვა“ დავით ბატონიშვილისა „სამართალი ბატონის-შვილისა დავითისა“, საქ. მუზ. № 2330 H

„[Глава] 1

[. . .]

„თავი ა

1. ამბოხისათვის¹

Б у н т. 197.1. Учинивший рунт против царя и царства, а особливо во время войны, имеет быть повешен.

ვიეთთაცა იწყონ ამბოხი პირისპირ მეფისა და ანუ საზოგადოებისა და უმეტეს ეამსა ბრძოლისასა, იგინი ძელსა მოეკიდნენ.

¹ საქ. მუზ. № 840 H: „ა. ამბოხისათვის“.

198.2. Заводчик крахмала наказывался по вине и состоянию, а ширинские чины палками.

[Обнажение 199.3. Кто об-
оружия]. нажит оружие,
но не ранит, наказывался вдвое.

[Неуважение 200.4. ЕСТЬЛИ КТО-
К СУДИЛИШУ]. -[нибудь]не сохра-
нит уважение к судилищу, бу-
дет кричать или говорить не-
благопристойно пред судьями,
подвергается тюремному заклю-
чению, денежному штрафу, а
люди низкого состояния нака-
зываются телесно, поколику
пренебрегающий суд оскорбля-
ет власть законодательную.

[Действия в уго- 201. 5. Нака-
ду неприятеля зываются как
своего государс- изменники и
тва). враги государ-

ству все те, кои имеют связь
и сношение с неприятелем,
равно и те, кои, принимая от
него приказы, рассе[и]вают их
в войске и народе, чтоб скло-
нить своих на неприятельскую
сторону. 202.6. В городе и в
войске рассе[и]вающие слухи
к оскорблению величества ца-
рского или к вреду общест-
венному — судятся и наказа-
ываются как изменники отече-
ству. 203.7. Те же, кои пропу-

ხოლო მეშფოთენი ჯურუ-
მითა დაისჯებიან და სალდათნი
განიჯობიან.

ხოლო იარალთა კელ-მყო-
ფელნი ორზომად განიპატიე-
ბიან.

და მოსამართლეთაჲცა წინა-
შე ავად-მქცევენი ტანჯულ იქმნე-
ბიან პატიმრობითა, გუშმითა და
გინა ჯურუმითა, ვით რამეთუ
მსაჯულთა შეურაცხ-მყოფელნი,
შეურაცხ-ჰყოფენ პირმშოსა.

2. ამბისა ცრულ განფენიხათჳს¹

ვინცა ქალაქთა შინა ანუ
მხედრობათა განფინოს ესე ვი-
თარი ქორი, რომელიცა დამაკ-
ლებელ იყოს მეფისა და სამე-
ფოსა, განიხილონ საქმე ესე ვი-
თარი და, უკეთუ აქუნდეს საქ-
მესა მას საჯე ორგულობისა²,
მსგავსად ორგულთა დაისაჯოს.
ხოლო ჩუშულებისა გამო აზნა-
ურნი პატიმრობითა განიპატიე-
ნენ და გლეხნი და სალდათნი—
ჯობითა.

განმარტება:

ეგ სახედვე³ დაისჯებიან,
რომელნიცა მტრისა მიერ აღთ-
ქმითა ჯილდოსათა შინა განმ-

¹ ბ. ამბისა ცრულ განფენისათვის № 840 Н.

² სახე ორგულებისა № 840 Н.

³ ეგ სახედვე № 840 Н.

სკაიოთ ლოჟნიჲ იჰვესთია იო პრивыჩკე კ ბოლთივოსთ, შტრა-
ჩიუოთჲ დენჲგამი ილი არესთო
იო სოსთაიიუ ვიჲი ი ჩსოვეკა,
ა იიჟნიე ვოენიჲე ჩიჲი ი
ჩერნი—პა. ჯამი.

ცემელ იქნებოიან და მტრისა
მიერ მოღებულისა ბრძანებისა
განმაცხადებულ და მიდრეკასა
ერისასა მეცადინობენ—მსგავსად
ორგულთა დაისაჯენენ¹.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც,
რომ ერეკლე მეორის სამეფოში,
მართლაც, არსებობდა საზოგა-
დოების „მაღალი“ წრის წარმო-
მადგენელთათვის სასჯელად და-
პატიმრება, ხოლო გლეხთათვის
„ჯოხის დაპყვრა“. მაგალითად,
ერეკლესა და ანტონ პირველის
1768წ. „ბრძანებაში“ ნათქვამია:
„...მლუდელმა თავის სამწყსოს
განუწყსოს და შეატყობინოს,
რომ დღეს უქმი არისო; თუ
ვინმე ურჩეკმნას და არ იუქმოს,
მისი ნამოქმედი ცეცხლით დაწ-
ვან, იმ კაცს ორმოცი ჯოხი
დაპყრან, თუ გლეხი იყოს, და
თუ მაღალი ვინმე იყოს, მათ
სიმაღლეს მეფეს მოახსენოს და
ამან საჯოს, ვითა წეს არს“².

აღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ დავით ბატონიშვილი
„მიმოხილვის“ შედგენისას უხვად სარგებლობს მის მიერვე აღრე
დაწერილი „სამართლის“ პროექტით (1800 წ.). ნითითებულს გარ-
და, ანალოგიურ დამთხვევებს ვხვდებით, აგრეთვე, „მიმოხილვის“
სხვა მუხლების მიხედვითაც, მაგალითად:

„მიმოხილვის“ მუხლები

204—206

207—210

211—213

1800 წ. პროექტი „სამართლის“
მუხლები

3. „ამოვარდნილის კაცისათვის“³.

4. „ანდერძისათვის“⁴.

5. „ამანათისათვის“⁵.

¹ „მსგავსად ორგულთა დაისაჯენენ“ აკლია № 840 H-ს.

² საქ. მუხ. № 317 A, ფურც. 179—186.

³ საქ. მუხ. № 2330 H, ფურც. 11.

⁴ იქვე, ფურც. 11v—12r.

⁵ იქვე, ფურც. 12r.

214—218

219—220

221—226

227—242

243—247

248—253

6. „ამხანაგობისათვის“¹.

7. „ალწერასა შინა დამალვისათვის გლეხისა“².

8. „აზნაურთათვის“³.

პროექტი „სამართლის“ ხუთი გვერდი (საქ. მუხ. № 2330 H, ფურც. 91r—93r) შეესატყვისება შინაარსობლივად „მიმოხილვის“ ამ ადგილთა ზოგიერთ მუხლს.

9. „აპელაციისათვის“⁴,

პროექტი „სამართლის“ მე-9 მუხლი სრულიად არ მოიპოვება „მიმოხილვაში“.

ერთი სიტყვით, დასახელებულ ძეგლებს შორის სხვა ადგილებშიაც ხშირად ვხვდებით ტექსტობრივსა და შინაარსობლივ დამთხვევებს და ხშირია, აგრეთვე, შინაარსობლივად განსხვავებული ადგილებიც.

ამ ძეგლთა შორის არსებული ამგვარი დამთხვევა-განსხვავებანი აიხსნება შემდეგი გარემოებით. როცა დავითი 1800 წელს თავის პროექტ-„სამართალს“ ქართულ ენაზე წერდა გიორგი მეთორმეტისათვის წარსადგენად, იგი ეყრდნობოდა საქართველოში მაშინ მოქმედი სამართლის ძეგლებს. მაგრამ, ამასთანავე, იგი უცხო სახელმწიფოთა, განსაკუთრებით კი რუსული კანონმდებლობითაც სარგებლობდა და თანაც მან, თავის მიხრიავაც, ბევრი რამ ახალი შეიტანა თავისი „სამართლის“ პროექტში. ხოლო შემდეგ, „მიმოხილვის“ წერისას ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების მასშტაბი, ისევე როგორც მისი აზროვნება, უფრო ფართო იყო. ამასთანავე, ამ დროს (1812—13 წწ.) მას აინტერესებდა ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოში მოქმედ კანონთა შეკრება ერთ კრებულში და მათი „მიმოხილვა“ განსაკუთრებით რუს მკითხველთა საყურადღებოდ. ეს საქმე ამ მიზნით მან შეასრულა კიდევ „მიმოხილვის“ შედგენით.

ამრიგად, „Обозрение Грузии по части нрав и законопovedения“ და „სამართალი ბატონის-შვი-

¹ საქ. მუხ. № 2330 H, ფურც. 12.

² იქვე, ფურც 12 რ.

³ იქვე, ფურც. 12v—13r; 90r—93r.

⁴ იქვე, ფურც. 93.

ლისა დავითისა“ სხვადასხვა ნაწარმოებებია, სხვადასხვა მიზანდასახულებისამებრ სხვადასხვა დროსა და ადგილას შექმნილი. მაგრამ მათ შორის არსებობს შინაარსობლივი და ადგილ-ადგილ ტექსტობრივი შესატყვისობაც. ჩანს, დავითს „მიმოხილვის“ წერისას, 1812—13 წლებში, ვრცლად უსარგებელია თავისი ადრინდელი ნაშრომით, 1800 წ. პროექტ-„სამარჯლით“. ამასთანავე, ცხადია, ამ პროექტიდან მას „მიმოხილვაში“ ჩაწერილი აქვს არასხვა რაიმე, არამედ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედი კანონ-წესები, მართლმსაჯულებაში ანგარიშგასაწევი ჩვეულებები, ადათები და სხვა.

ზემოთ ნახსენები „Прошение на высочайшее его императорское имя“ დაწერილია 1817 წლის 11 მარტს, უფრო გვიან, ვიდრე „მიმოხილვა“. როგორც ეს „თხოვნა“, ისე დავითის მიერვე 1812 წ. 25 სექტემბერს დაწერილი პროექტი „О лучшем устройстве Грузии“ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის ზოგიერთ ინსტიტუტს, კანონს, წესს, ჩვეულებასა და სხვას იმგვარივე შინაარსით გადმოგვცემს, როგორადაც ეს „მიმოხილვაშია“ მოცემული. ანრიგად, აშკარაა, რომ ამ ორი ნაწარმოების ზოგიერთი ადგილის წერისას დავითი თავისი „მიმოხილვითაც“ სარგებლობდა.

დავით ბატონიშვილს „მიმოხილვის“ წერისას უნდა ესარგებლა თავისი უმცროსი ძმის იოანე ბატონიშვილის 1799 წ. „მსჯულებებით“ ანუ „წინადადებებით“, ამ საკითხის გამოსარკვევად „მიმოხილვა“ შევადარეთ იოანეს დასახელებული ნაშრომის ავტოგრაფს (საქ. მუხ. № 2155 H-ს).

ამ ორ ნაწარმოებს შორის ნათლად შესამჩნევი ტექსტობრივი იგივეობა არ არსებობს, მხოლოდ გავრით ადგილ-ადგილ შესამჩნევი ხდება შინაარსობლივი შესატყვისობა. ირკვევა, რომ ორივე ძმას 1799—1800 წლებში თავიანთ პროექტებში შეუტანია არა მარტო რუსული სამართლის მიბაძვითა და პირადი მოსაზრებების მიხედვით შემუშავებული ახალი კანონ-წესები, არამედ, აგრეთვე, ზოგან ცვლილებებით და ზოგან უცვლელად, ერეკლესა და გიორგის მეფობისდროინდელი მოქმედი მრავალი კანონი და წესიც. მაგრამ, ცნობილია, რომ ორივე ძმას ეს პროექტები მხოლოდ ქალღმერთ დარჩა. ია სამეფო ხელისუფლებისაგან მათ სანქცია არც

მისცემია სამეფოს სამართლის დარგში სახელმძღვანელოდ; 1799—1800 წლებშივე ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ზემოხსენებული პროექტები მის აწეწილ საქმეთა გამოსწორებას ვერაფერს ვერ შევლიდა. 1801 წელს ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიამ შეიერთა.

ამრიგად, დავით ბატონიშვილი „მიმოხილვის“ წერისას ანგარიშს უწევდა ყველაფერს, რაც კი ქართული სამართლისა და კანონმცოდნეობის დარგში მანამდის იყო გაკეთებული. „მიმოხილვაში“ მას უკვე არ შეაქვს თავისი მოსაზრების მიხედვით შემუშავებული ის კანონები, რომლებიც მან 1800 წ. პროექტში შეიტანა; იგი მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედ კანონთა აღწერით იფარგლება.

თავი მესამე

ერთკლემ მეორის მეფობის დროინდელი საქანონმდებლო საქმიანობა

1. ერთკლემ მეორისა და თეიმურაზ მეორის განჩინება ბიეთალმანი მამულის შესახებ

ერთკლემ მეორეს 1791 წ. დაწერილ ანდერძში „განწესებანი საქართუშლოს, მეფის ირაკლისნი ძეთა თუსთადმი სამეფოადათუს საქართუშლოასა“ ნათქვამი აქვს ერთ-ერთ მუხლში: „ბიეთალმანი თავადისა და აზნაურისა მამულისათვის, თუ როგორც უნდა ქნან ძმებმა, ეს უნდა რომ პირველად სახასოდ დაიდვას, როგორც საქართველოებში¹ რიგი არის და მასუკან ბატონმა და ძმებმა, თუ ამჟღობინონ გაცემა, გასცეს მებატონებ, და თუ იქილამ ფეშქაში შემოვიდეს რამე, ორი წილი მეფეს და ერთი ძმებს და, თუ იმ მამულზე ქვრივი და ობოლი ქალი დარჩეს, ქვრივმა რაც იმ მამულს შეძლება, აქონდეს, თავისი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან, როგორც მამის ჩემისაგან განწესებულა და ჩემგან საქართველოს სამართალში, ობოლსაც და ქვრივსაც, ისე უნდა არჩინონ იმ წესით, როგორც არის განწესე-

¹ ხედავთ აღნიშნულისამებრ, აქ თვითონ ერთკლემ კი ხმარობს მაშინ ტერმინ „საქართველოს“ მთელი საქართველოს სედასაზე პოლიტიკური ერთეულების მნიშვნელობით, ხოლო ქვემოთ, როგორც უნახავთ, მას „საქართველო“ ქართლ-კახეთის მნიშვნელობით აქვს ნახმარი.

ბული. თავადისა და აზნაურიშვილისა სხვა რიგად არის და გლეხისა სხვა რიგად არის¹.

ზემომოტანილ მუხლში ერეკლე მეორე ჩვენ ფრიად საყურადღებო ცნობას გვაწვდის. საისტორიო წყაროებიდან საერთოდ ცნობილია, რომ ერეკლე მეორის მეფობის დრომდეც ბეითალმანის მამული „სახასოდ დაიდებოდა“ ხოლმე. ისიც ცნობილია, რომ ერეკლეს არა ერთი ასეთი მამული უწყალობებია სხვისთვის. მაგრამ ფრიად საყურადღებო ამ მუხლში ის არის, რომ „თუ ამ მამულზე ქვრივი და ობოლი ქალი დარჩეს, ქვრივმა რაც იმ მამულს შეძლება ჰქონდეს, თავისი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან, როგორც მამის ჩემისაგან განწესებულია და ჩემგან საქართველოს სამართალში, ობოლსაც და ქვრივსაც, ისე უნდა არჩინონ იმ წესით, როგორც არის განწესებული“, — წერს თვით ერეკლე. მაშასადამე, ერეკლესა და თეიმურაზ მეორეს ასეთი „ქვრივისა და ობოლი ქალისათვის“ მთელი განჩინება შეუდგენიათ „საქართველოს სამართალში“ სახელმძღვანელოდ. ბეითალმანი მამულის ყოფილი პატრონის „ქვრივისა და ობოლი ქალის“ დასაკმაყოფილებლად მათ ახალი „სამართლითა“ და „წესით“ შეუტანიათ ამ განჩინებაში კანონები, რომლებიც „თავადისა და აზნაურიშვილისა სხვა რიგად არის და გლეხისა სხვა რიგად არის“ ჩაწერილი.

ჩვენ არ ვიცნობთ ერეკლესა და თეიმურაზის მიერ ბეითალმანი მამულის ყოფილი პატრონის „ქვრივისა და ობოლი ქალის“ შესახებ „საქართველოს სამართალში“ შექმნილი ახალი ამ განჩინების ტექსტს. მაგრამ იგი, უეჭველია, არსებულა. ეს ძეგლი, თუ ეამთა ვითარებაში არ დაიკარგა, შესაძლოა აღმოჩნდეს.

აღნიშნულ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ დავით ბატონიშვილს თავის „მიმოხილვაში“ შეაქვს ბეითალმანი მამულის ყოფილი პატრონის „ქვრივისა და ობოლი ქალის“ კანონ-წესები სწორედ „თავადისა და აზნაურიშვილისა სხვა რიგად“, ცალკე, გლეხისაჲი „სხვა რიგად“: „Въ морочныя имения. 204. Князь, дворяне и всякого состояння люди, естли по смерти не оставят в роде своем наследников, то имения их описываются в казну. 205. А естли после кого -[нибудь] останется жена, то она получает из всего восьмую часть. 206. С имениями казен-

¹ „განწესებანი...“, მუხ. „მზ“, — ექვ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, ტ. I, წ. 1, 1920, გვ. 217.

ных поселян поступается точно таким же образом, но только с тою разницею, что вдова пользуется уже целою половиною из всего движимого, оставшегося после мужа, равно и всем своим приданым, а недвижимое обращается на царя».

ანალოგიებს ვპოულობთ, აგრეთვე, „მიმოხილვის“ 459—463 მუხლებშიაც. ამასთანავე, საინტერესოა 472-ე მუხლიც.

საყურადღებოა, აგრეთვე, ბეითალმანობის შემთხვევაში ვაქართა წრის წარმომადგენლის შესახებ თქმულიც: „832. Состояние купеческое по торговым своим оборотам преимущественнее прочих может приобретать капиталы и лутчие в городах выгоды, что все, в случае неимения наследников, по установлению государственному, принадлежит царю, то чтобы казённые имения не переходили в частные руки, запрещается помещикам, без царского соизволения, купеческих вдов брать за своих крепостных людей. В противном случае, женившийся от помещика будет свободен и запишется в состояние купеческое“. სახელდობრ, როგელ „установление государственное“-ს შესახებ აქვს აქ საუბარი „მიმოხილვის“ ავტორს? ერეკლეს მეფობის დრომდე ეს კანონი დღემდე შემორჩენილ არც ერთ სამართლის ძეგლში არ მოიპოვება. დავითის მიერ აქ, უეჭველია, ერეკლესა და თეიმურაზის ის განჩინება იგულისხმება, რომელსაც შეეხება 1791 წ. „განწყებათა“ ზემოთ მითითებული მუხლი.

ბეითალმანი მამულ-დედულის საკითხთანაა დაკავშირებული „მიმოხილვის“ 933-ე მუხლიც: „Когда после общего раздела имения умрёт дворянин, а после него не останется детей мужеска пола, тогда может быть допущена до наследства дочь покойного. А когда именно будет неразделенное, тогда дочь получает узаконенную 14-ю часть из родового, пользуется всем благоприобретённым отцовым имением и материным приданым. О поселянах разумеется то же самое“.

შემოხსენებული გარემოების შემდეგ ცხადია, რომ დავით ბატონიშვილს „მიმოხილვის“ წერისას ხელთ ჰქონდა ერეკლეს მიერ დასახელებული კანონ-წყესების განჩინება და იმის მიხედვით შეუტანია მას თავის „მიმოხილვაში“ ზემოთ ნაჩვენები 11 მუხლი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „ნიმოხილვის“ ავტორის მითითებები ქართული სახელმწიფო კანონმდებლ ობათაარსებობის შესახებ. 832-ე მუხლში მოხსენებული „установление государственное“-ს გარდა, დავითი ხაზს უსვამს ბანქოს თამაშის

შესახებ არსებულ კანონებს (მუხ. 935—938); გარყვნილი ქალების შიშართ მსაჯულები თურმე ხელმძღვანელობდნენ არა მარტო ძველი წეს-კანონებით, არამედ ახალი „ГОСУДАРСТВЕННЫМИ УЗАКОНЕНИЯМИ“-თაც (მუხ. 983); სანხედრო მუდმივ მოსამსახურეთა დისციპლინარულ სასჯელთათვის ერეკლეს მეფობისას არსებულა „ОСОБЕННОЕ ПОСТАНОВЛЕНИЕ“ (მუხ. 150); ჯარიმებისათვის იყო „ГЕНЕРАЛЬНОЕ УСТАНОВЛЕНИЕ“ (მუხ. 148) და ა. შ. აშკარაა, ყველა ამგვარი „განჩინებები“, „დადგენილებები“ და სხვ. „მიმოხილვის“ წერისას დავით ბაგრატიონისათვის ცნობილი ყოფილა, ხოლო ჩვენ დღემდე არაფერი ვიცოდით მათ შესახებ.

აღნიშნული საკანონმდებლო ძეგლები შესაძლებელია ოდესმე აღმოჩნდეს ჩვენს არქივსაცავებში. შესაძლოა აგრეთვე, რომ ამგვარი ძეგლების დიდი ნაწილი 1795 წ. ირანელთა შემოსევის დროს დაიღუპა, როდესაც მეფისა და კათალიკოზის სასახლეები დაიწვა. არაა გამორიცხული ისიც, რომ ასეთი სამართლის ძეგლები XIX ს. დასაწყისში ქართველმა თავადებმა განზრახ გაანადგურეს იმ მიზნით, რომ მათთვის არახელსაყრელი ზოგიერთი კანონი რუსეთის მთავრობისათვის ცნობილი არ გამხდარიყო. სამაგიეროდ მათ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და 1810—15 წლებში ჩაწერილი „ჩვეულებითნი ჰსჯულნი“, ამავე თავადების წარმომადგენელთა მიერ შედგენილი, შეაჩვენეს ხელში რუსეთის მთავრობას ბატონყმობის უფრო მეტად გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად. ერეკლე მეორის დროინდელი საბატონყმო სამართლის ძეგლები, მართლაც, ძლიერ ნაკლებად გამოადგებოდათ ფეოდალებს; ერეკლეს განჩინებები რამდენადმე ამსუბუქებდნენ გლებთა მდგომარეობას და თავადების აღვირახსნილობას ზღუდავდნენ. ასეთ კანონთაგან ბევრი რამ დავით ბატონიშვილის „მიმოხილვამ“ შემოგვინახა. 1760—61 წლებში და შემდეგ ერეკლეს მიერ შემუშავებულ კანონებს, რომელთა შესახებ ქვემოთ შევჩერდებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში მწარმოებელი კლასისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ გასაგებია, რომ ფეოდალები მათ სიძულელით შეხვდებოდნენ.

არქივანდკით პიკილფსა და როანე ხუცესხონაჯონის
 სახუკადღებო ცნობები
 მუხ. ხელნაწერი № 1426. H-ის ბოლოს, ფურც. 284 v
 ვადმწერის ხელით ასეთი მინაწერი მოთავსებულია: „ღმერთო, იდრდე კეთილმსახური შეფე კახეთისა ერეკლე, რომელმან მიბრძანა მე, მდაბლად სანელ-დებულსა ცოდვილს არქიმანდრიტს კი-

რილეს, გარდაწერად ამა სამართლის წიგნისა. ხოლო წიგნისა ამის დასასრული ათიოდენი რვეული მუკლზედ დაეწერე ეკლესიასა შინა ალავერდისასა, თვესა დეკემბერსა იდ [14], ქორონიკონსა უმშ [44მ], ქრისტეს აქათ ჩლ [1760]*. გადამწერის ეს ანდერძი შეეხება ხელნაწერ წიგნში მოთავსებულ რუსულიდან ნათარგმნ ორ ნაწარმოებს—ალექსი მიხეილის-ძის „სამართალსა“ და პეტრე პირველის „საცხადო განწყებას“ ანუ 1720 წ. 28 თებერვალს მის მიერ ხელმოწერილ „Генеральным регламент или устав“-ს; ორივე გადაწერილია ზემოხსენებული კირილეს მიერ ერეკლეს „ბრძანებით“ 1760 წელს. სამართლის ეს ძეგლები თარგმნა იოანე ხუცესმონაზონმა (დიმიტრი ყოფილმა) 1760 წელსვე, ერეკლესვე ბოიანებით.

ზემოთქმულიდან გარკვევით ჩანს, რომ ერეკლე 1760 წელს დაინტერესებული ყოფილა რუსული კანონმდებლობის გაცნობით. კიდევ მეტი, მას მაშინ განზრახვა ჰქონია, რომ ქართლ-კახეთის კანონმდებლობა ნაწილობრივ რუსული კანონების ძიბაძვითაც შეეცსო. ამას მოწმობს ალექსი მიხეილის-ძის „სამართლის“ მთარგმნელი იოანე ხუცესმონაზონის ერთი შენიშვნა (ხელნ. № 1426 II-ია ფურც. 159), სადაც ნათქვამია: „ორი სამართალი გაუფი ამაღ, რომ თუ არ რუსეთში, არსად გამოდგება ისიები“-ო. მთარგმნელის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ერეკლეს ბრძანებისამებრ მას შეეძლო დაეტოვებინა რუსული ძეგლიდან გადმოუთარგმნელად ისეთი ადგილები, რომლებიც საქართველოს სინამდვილეს არ შეეფერებოდა, ე. ი. ერეკლეს აინტერესებდა მისგან განსაკუთრებით ისეთი მუხლები, რომლებიც ქართულ პირობებშიაც გამოდგებოდა.

საინტერესოა აღნიშნული ძეგლების მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელიც წამძღვარებული აქვს ალექსი მიხეილის-ძის „სამართალს“. იოანე ხუცესმონაზონის მიერ „სამართლის“ წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ მეფე ერეკლემ „...გამოიძია და განიზრახა და განზრახული იგი სულითა ძლიერებისათა ინება და აღიშურვა სულითა ღვთის-მსახურებისათა... და პირველად ჩვენსავე ქნასა დაწესებულნი ნეტარად ხსენებულთა მეფეთანი

* მისი სრული სათაური ასეთია: „Генеральный Регламент или Устав, по которому Государственные Коллегии, також и все иных принадлежащих к ним Канцелярий и Контор служители, не токмо во внешних и внутренних учреждениях, но и во отправлении своего чина, должнейше поступать имеют.“—см. Полное собр. законов Российской империи, СПб., 1830, т. VI, стр.141—160.

გამოიძივნა საქმენი სამართალნი და სჯულდებანი სამოქალაქონი, ღვთის შიშისა მიმდგომიან, და შემდგომ სხვათა ენისაგანცა ჯერიინა, რომლისა მიერ მეცა მებრძანა ჯელყოფა რუსთა ენისაგან სამართლის წიგნისა გარდმოღება. რომლისა ბძანება იყო სიტყვა და სიტყვა იგი იქმნა საქმე და ესე საქმე ჩემ უნდოსა მიერ ჯელყოფილ, რომლისა აღსრულების მადლი ღვთისა არს“. შემდეგ მისდევს ტექსტი „სამართლისმოყვარეობის“ შესახებ საღმრთო წერილებისა და სხვადასხვა ისტორიულ პირთა მაგალითებით. ავტორის სიტყვით. სახელმწიფოში კარგი „სამართალის“ დადგენისათვის „...ესეოდენ იქმნებოდეს წამება და ამისათვის უკანასკნელ იქმნეს ესრეთ განცხადებულ: ესე შეყვარება სამართლისა იქმნა, ვითარცა ვთქუთ ზემო, ღვთის-მოყვარისაგან მეფისა. ხოლო სამართლის-შეყვარება ეს-გვარისა სამართლისა დაიწესა, რომელ საშუალ იყოს, მსგავსად სამეუფოსა გზასა, არცა მარჯულ, რომელ არს სიყვარულით, რომლისა მიერ მრავალნი დაეცნენ, და არცა მარცხლ, რომელ არს შურიით, რომლისაგანცა დასაბამსაცა იქმნა კაცის-კვლა, და მრჩობლ, არამედ სიმართლით და ღვთის-სასოებით და კეთილმოყვარეობით, სადა დავითისაგან ვყოთ დასასრული, რომელი ეტყვის უფალსა ესრეთ: «წყალობასა და სამართალსა შინა გაქებდეთ საუკუნოდ, ამინ»¹.

3. 1760—61 წლების ძარბული სამართლის ძმგლები

როგორც უკვე დავინახეთ, მეფე ერეკლეს 1760 წელს მტკიცედ „განუზრახავს“ დროის შესაფერისი ქართული სამართლის გამომუშავება. ამ დიდი საქმისათვის მას სათანადო „გამოიძიებაც“ უწარმოებია. ერეკლე მეორემ „...პირველად ჩვენსავე ენასა დაწესებულნი ნეტარ ხსენებულთა მეფეთანი გამოიძივნა საქმენი სამართალნი და სჯულდებანი სამოქალაქონი,“—გადმოგვეცემს იოანე ხუცესმონაზონი. ამით აშკარა ხდება, რომ ერეკლე მეორეს, საგანგებოდ შერჩეულ მუშაკთა დახმარებით, თუ უფრო ადრე არა, 1760 წლიდან მაინც, უპირველეს ყოვლისა, ქართული აღრინდელი სამართლის ძეგლები „გამოიძიებია“ და, თანამედროვე სახელმწიფოებრივ პირობებთან შეფარდებით, ბევრი რამ ცვლილება შეუტანია მათში მართლმსაჯულებაში სახელმძღვანელოდ. ერეკლეს

¹ აღექსი მიხეილის-ძის „სამართლის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობა. იოანე ხუცესმონაზონისა,—საქ. მუხ. № 1426 H, ფურც. 5v—10v.

თეიმურაზთან ერთად სწორედ მაშინ (სანამ თეიმურაზი რუსეთში წავიდოდა და იქ გარდაიცვლებოდა 1762 წ. 8 იანვარს), 1760—61 წლებში, უნდა დაეწერა ახალი „სამართლითა“ და „წესით“ ზემოხსენებული განჩინება ბეთალმანი მამულის ყოფილი პატრონის „ქვრივისა და ობოლი ქალის“ შესახებ. აგრეთვე, ერეკლეს მამასთან ერთად ამავე დროს და შემდეგაც, თავის ერთმეფობისას ქართლ-კახეთში გამოუცია რიგი ახალი, დღემდე უცნობი ის სხვა განჩინებებიც, რომელთა შესახებ ქვემოთ, თავ-თავის ადგილას გვაქვს მსჯელობა.

ამრიგად, ერეკლეს ასეთი მოღვაწეობის გარკვევა ჩვენთვის „მიმოხილვის“ საფუძვლიანი შესწავლით ხდება შესაძლებელი და აქვე, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენს წინაშე ასეთი სურათი იშლება: ერეკლე მეორის მეთაურობით საგანგებოდ შერჩეული სწავლულნი პირნი და დამხმარე პერსონალი (მთარგმნელები, სტილისტები, გადამწერები და სხვ.)¹ 1760 წელს უკვე მუშაობენ სამართლის დარგში ადრინდელი და თანამედროვე ქართული და უცხოური ძეგლებისა და მასალების თავმოსაყრელად და შესასწავლად. ერეკლესა და სწავლულებს მთელი ეს საქმიანობა სკირდებათ ქართლ-კახეთში არსებული სამართლის გადასინჯვისა და ახალი კანონ-წესების შემოსაღებად. მეტად საინტერესოა ამ კოლექტივის ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, კომისიისა და დამხმარე პირების მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება. ირკვევა, რომ 1760 წელს არსებულ ძველ სამართალში ცვლილებების შესატანად გამომუშავებულ წესს კომისიისათვის სახელმძღვანელო ძირითად პრინციპად დაედო ის იდეა, რომ ქართლ-კახეთის სამართლისა და მართლმსაჯულების ყოველ დასადგენ კანონს თუ წესს შეეფერება „საშუალ იყოს, მსგავსად სამეუფოსა გზისა“ ერეკლესი.

თუ როგორია ერეკლეს ეს „საშუალო სამეუფო გზა“, რას წარმოადგენს მის მიერ სწავლულთათვის სახელმძღვანელოდ მიცემული აღნიშნული პრინციპი—ესეც ქვემოთ გამოჩნდება².

¹ ი თ ა ნ ე ბ უ ც ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს სიტყვით, მას ჰყოლია რუსულიდან თარგმნის დროს ქართული ვინის სტილისტად ისააკ მცირე (იხ. ზემოხსენებული ქართული თარგმანის—ალექსი მიხეილის-ძის „სამართლის“ წინასიტყვაობა). ასევე ზოგიერთ სხვა მთარგმნელსაც მაშინ, ერეკლეს ბრძანებით, უთუოდ ეშველებოდნენ სხვა სტილისტებიც, ხელნაწერთა გადამწერებიც და სხვ.

² აგრეთვე იხ. ვრცლად ამ საკითხის შესახებ აპ. როგავას ნაშრომში „კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე მეორის პოლიტიკა“.

„მიმოხილვა“ და მისი წყაროები

1. „მიმოხილვის“ საკითხები

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვა“ მეცნიერების მრავალი დარგისათვის ძვირფასია, როგორც საისტორიო წყარო. მეცნიერების ყურადღებას აპყრობს „მიმოხილვის“ I-სავე თავში ქვეთავები: „Вера—сартмуноება“, „Присяга“ (მუხ. 1—9); II თავის—„Царь и царствующий дом“-ის ქვეთავები (მუხ. 10—42); თ. III—„Духовенство“-ს ქვეთავები (მუხ. 43—62); თ. IV—„Военные силы“-ს ქვეთავები (მუხ. 63—77); თ. V—„Непременной Царской Совет“-ის ქვეთავები (მუხ. 78—106); თ. VI—„Иностранные дела“-ს მუხლები 107—112; მომდევნო თავები: „Народы, Грузию населяющие, их вероисповедание и преимущество“ (მუხ. 113—119), „Законы и их необходимость“ (მუხ. 120—123), „Казенные дворцовые, церковные и помещичьи крестьяне“ (მუх. 124—128), „Пытка—тан[д]-ჯვა“ (მუხ. 129—140), „О свидетелях“ (მუხ. 141—144), „Штраф—джарима“ (მუხ. 145—157); თ. VII—„Чины и должности“ (მუხ. [a, b, c]+158—174); თ. VIII—„Народное просвещение“ (მუხ. 175—184)¹; მომდევნო თავი „Суд междоусобиц“ (მუხ. 185—191) და სხვა თავების მუხლები—192—196. აგრეთვე დიდად საყურადღებოა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის თავების მუხლები 197-იდან დაწყებული თხზულების ბოლომდე, 1019-ეს ჩათვლით; და მათ შორის: გზადაგზა, სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგასაწევი „წეს-აღათების“, ჩვეულებებისა და სხვათა აღწერანი დიდი საისტორიო ღირსებისა. თუნდაც ასეთი თავები: „Городовое хозяйство—კალიკის უმედება“ (მუხ. 903—907), „Граждане и купцы“ და მომდევნო თავები (მუხ. 908—960), „Правной развод“ და მომდევნო თავები (მუხ. 961—971), „Самозванцы—твигцодебуლება“ და მომდევნო თავები (მუხ. 972—997), „Ремесленники“ და მომდევნო თავი (მუხ. 998—1015), „Блашки“ (მუხ. 1016—1018) და სხვა.

¹ „მიმოხილვის“ ამ თავის მუხლები გამოყენებული გვაქვს ნაშრომში „სახალხო განათლება ერგულე მეტრეხის ხანის იქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“, თბილისი, 1950, საიდან აღებულია ეს ინსტრუქციის ქსი იქს-მის პირობებზე.

ამგვარ საკითხთა შესახებ დღემდე ასე მწყობრად და სისტემატურად დალაგებული ცნობები ძლიერ ცოტა ან, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიადაც არ მოგვეპოვებოდა. შემონახული სათანადო საისტორიო წყაროების სხვა ცნობებს დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ამგვარი ადგილები მრავალმხრივ ავსებს და საერთოდ ძლიერ აზღვრებს ჩვენს ცოდნას XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის შესახებ. ცალ-ცალკე, „მიმოხილვის“ ყოველი მუხლის საისტორიო მნიშვნელობის გარშემო საგანგებო მსჯელობას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით. წინააღმდეგ გამოკვლევაში განვიხილავთ „მიმოხილვის“ ტექსტის ზოგიერთ ადგილს, რაც ზოგადად მაინც მისცემს შესაძლებლობას მკითხველს წარმოდგენა იქონიოს ამ ძეგლის საისტორიო ღირებულების შესახებ. ასეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლის ყოველმხრივი გამოკვლევა და შეფასება მეცნიერების სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა ერთობლივ შრომას მოიძიხოს.

2. „მიმოხილვის“ ზოგადი ხასიათი

სადაც დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, შეკრებილი და ჩაწერილია ერეკლე მეორისა და გიორგი მეორეების მეფობის დროს ქართლ-კახეთის სამეფოში მოქმედი წერილობითი კანონები; აგრეთვე, გზადაგზა, საქირობის-სამებრ; მოკლედ აღწერილია სახელმწიფო ინსტიტუტები, ხალხური ზნე-ჩვეულებები, ადათები, ჩვეულებითი სამართლის წესები და სხვა, რომლებიც აღმინისტრაციული და სასამართლოს ორგანოების მოხელეთათვის მართლმსაჯულებაში ოფიციალურად ანგარიშგასაწევი გამხდარა.

ეს მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტები, კანონები, წესები და მართლმსაჯულებაში ანგარიშგასაწევი ხალხური ადათები „მიმოხილვაში“, როგორც ამას თვით სათაურიც გვიჩვენებს, მიმოხილვის სახითაა გადმოცემული. დავითს ყოველი ინსტიტუტი, კანონი, წესი თუ ადათი არა მარტო უბრალოდ აღწერილი, არამედ ბევრი მათგანი სათანადო კომენტარებით აქვს გადმოცემული. აგრეთვე, დავითს როგორც ამრიგად შედგენილი, ისე სხვა მუხლებიც „მიმოხილვაში“ სათანადო თავსა და ქვეთავში, ჩვეულებრივ, შესაფერის ადგილას მოუთავსებია; გამონაკლის შემთხვევაში კი მას ზოგიერთი მუხლი „მიმოხილვაში“ არაშესაფერის ადგილას აქვს შეტანილი, ყოველგვარ სათაურს გარეშე. ამიტომ ჩვენ საქიროდ მივიჩნით „მიმოხილვის“ ასეთ ადგილთა დასათაურება, რაც კუთხურ

ფრჩხილებშია მოცემული. ჩვენ შევეცადეთ, რომ „მინოხილვის“ ტექსტის უსათაურო ადგილები მათი შინაარსისა და ავტორის მიერ ნახზარი სიტყვების მიხედვით დაგვესათაურობინა.

დავით ბატონიშვილის „მინოხილვაში“ მოცემულია როგორც XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის მონარქიული სახელმწიფოს დაუწერელი ძირითადი კანონების, ისე სახელმწიფო სამართლის, პოლიციური სამართლის, სამოსამართლო სამართლის, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კანონ-წესების მუხლები. ავტორი ცდილობს ეს მუხლები თავ-თავის ადგილას მოაქციოს, მაგრამ გზადაგზა, მთელი თხზულების სიგრძეზე, როგორც ითქვა, ეს სისტემა მის მიერ არაა თანმიმდევრობით დაცული. მართალია, ძირითადი კანონების მუხლები უმეტესად 1—196 ნუხლებს შორის, რვა თავშია მოცემული, მაგრამ ზოგიერთი მათგანი თხზულების სხვა ადგილებშიცაა გაბნეული—სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მუხლებს შორის. ამგვარადვე, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მუხლებიც აქა-იქ თანმიმდევრობით არაა მოცემული—ძირითადი კანონების მუხლებს შორისაა აქა-იქ მოტანილი. ჩანს, ავტორს თანმიმდევრობითა და თემატიკური პრინციპის დაცვით ვერ დაულაგებია კანონთა კრებული, თუმცა ასეთი რამ მას „მინოხილვის“ შედგენისას, ცოტა მოგვიანებით უცდია. A ხელნაწერში და განსაკუთრებით კი B ხელნაწერის რვა თავში (მუხლები 1—184) ჩანს, რომ შეტანილია ცვლილებები, ზოგიერთი მუხლი ადგილშენაცვლებულია, გადატანილია თავ-თავის ადგილას, სათანადო სათაურებს ქვეშ (მაგ., იხ. 62-ის მომდევნო [a, b, c, d] მუხლები და სხვ.).

XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთში მოქმედი კანონების გვერდით, ავტორს „მინოხილვაში“ მოცემული აქვს საკუთრივ მის მიერ შემუშავებული ისეთი მუხლებიც, რომლებიც ერეკლესა და გიორგის საწეფოს მდგომარეობას, მართალია, ახასიათებენ, მაგრამ მათი ტექსტობრივი შესატყვისობა შეუძლებელია ვეძიოთ სამართლის რომელიმე სხვა ძეგლში. ამ შემთხვევაში ავტორი ზოგადად ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებს, იურიდიული ხასიათის ფაქტებს ან დამკვიდრებულ ტრადიციას. მაგალითად, „მინოხილვის“ მე-12 მუხლში ნათქვამია: „По древнему, вскамы утвердившимся и союзными государствами признанному установлению, царский грузинский престол должен наследовать первородный сын царствующей особы, а по нём старший его сын и так далее по нисходящей в роде его линии. Но когда

ნარქ ილი მემკვიდრე სიგე ნე ოსტავიტ პო სებე მეთეი მუჟესკა პოლა, თოგდა მემკვიდრე ნე რეხოდიტ კ პროჩიმ ჭლენამ შარსკოგო დომა ნო შარშინსტვუ, ნ დამჟე მოჟეტ ონოსიტსე კა პრინცამ კროვი, დლა კონი პრავო ნა მემკვიდრე უდერჟივანეტსე დო ჭეტვერტოგო კოლენა. ნო დალეს ნე იმეოტ უჟე სეგო პრავა, ნოკოლიკუ თოგდა ჭამილია იხ ნე ბუდეტ პრევიშატი ვ სვოემ დოსტოინსტვე პროჩიხ გრუზინსკიხ კიპაზეი“.

დავით ბატონიშვილის მიერ გადმოცემული ეს მუხლი სახელმწიფო წყობილებების ერთი პირობის განმსაზღვრელია; „მიმოხილვაში“ აქ ძველთაგანვე ტრადიციულად („по древнему... установлению...“) მომდინარე მონარქიული სახელმწიფოს ერთი ძირითადი კანონია მოცემული. ამასთანავე დავითი კარგად გადმოგვცემს ერეკლესა და გიორგის მეფობის დროს ქართლ-კახეთში მის მიერ ხილულ ფაქტიურ ვითარებას სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. იგი მონარქიული სახელმწიფოს დაუწერელ კანონს აღნუსხავს. ამგვარად, ეს მუხლი დავითის მიერ ქართული სახელმწიფო წესწყობილებისა და სამართლის „მიმოხილვაში“ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ჩაწერილი ერთ-ერთი მუხლია და არა რომელიმე წერილობითი სამართლის ძეგლში შეტანილი მუხლის სიტყვასიტყვითი გადმოცემა. შესაძლოა აგრეთვე, რომ ზოგიერთი ასეთი მუხლი დავითს ერეკლესეული სამართლის ჩვენთვის უცნობი ძეგლებიდან გადმოეწერა.

დავით ბატონიშვილის მიერ 1812—13 წლებში ნასარგებლი წერილობითი წყაროები დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ შემოგვრჩა. ამასთანავე, თავისი მემსიერებითა და სხვათა დაკითხვითაც მის მიერ „მიმოხილვაში“ ჩვენთვის მეტად მდიდარი ცნობებია უხვად გადმოცემული. მაგალითად, საინტერესოა „მიმოხილვის“ 552-ე მუხლის ბოლოში მიწერილი: „Армяне ни в каком случае млизнаи-ōгами не бывають, поколику они суть народ торговый“. ვ ხელნაწერში ეს სიტყვები გადამწერის ხელით წერია, ხოლო A-ში თვით ავტორის ხელითაა მიწერილი. მაგრამ ორივე ხელნაწერში ეს ადგილი ხაზგადასმულია, უთუოდ, ავტორის მიერვე, რადგან იგი მაშინ, როგორც ჩანს, ორქოფობდა ამ სიტყვების სიმართლეში. შემდეგ, საფიქრებელია, დავითს ეს მინაწერი სათანადო წყაროს მიხედვით შეუმოწმებია და ამოსაღებად აღარ მიუჩნევია; A ხელნაწერის მარცხენა არშიაზე იგი ფანქრით, საკუთარი ხელით შენიშნავს: „(Так в подлиннике)“. დავითისათვის „подлинник“-ის წყაროა, რომლითაც მან შეამოწმა თავის დროს თხზულებაში

მეხსიერებით ჩანაწერი ეს ადგილი. საფიქრებელია, ეს წყარო ერეკლესეული ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი ძეგლი იყოს.

მართლაც, მდივანბეგად ყოფნის უფლება სომხებს არ ჰქონდათ. ამას მოწმობს „მიმოხილვისავე“ 651-ე მუხლი: „В званіе мюравов всегда избираются из первейших князей и дворян грузинских; фамилии же армянские, какого бы они достоинства ни были, в сем чиновначалии места иметь не могут, поколику нация и самая отдаленнейшей древности почтается в Грузии не более как только торговою и, по вкоренившемуся мнению в народе, не должна участвовать в отправлении должностей общественных“. მდივანბეგობა კი მოურავზე არანაკლები, თუ არა უფრო მეტი თანამდებობა იყო ფეოდალურ საქართველოში.

როგორც ამ შემთხვევაში, ისე „მიმოხილვის“ სხვა შემთხვევებიდანაც ჩანს, რომ, მართალია, ავტორს თავის თხზულებაში გზადაგზა ესა თუ ის მუხლი სხვათა გადმოცემით, თუ თავისი მეხსიერების მიხედვით ჩაუწერია, მაგრამ ზოგი მათგანის სინამდვილე წერილობითი წყაროებითაც შეუძლოა შემოწმება; მას ამით მეცნიერული სიფრთხილე შეძლებისამებრ დაუცავს.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „მიმოხილვაში“ მოცემული კომენტარების წყაროები საძიებელია არა მარტო მშობლიურ, არამედ უცხოური მწერლობისა და კულტურის ნიადაგზედაც: ცნობილია, რომ დავითი არა მარტო ქართულსა და რუსულ, არამედ დასავლეთ ევროპულ ენებსაც ფლობდა და უცხოურ ლიტერატურასაც იცნობდა.

3. „მიმოხილვა“ და ვახტანგ ვეფხვის კამაზულში შესული ხაზართლის კვლავი, გარდა „სჯულისა“

XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში მოქმედი სამართლის ზოგიერთი კანონი და წესი, რა თქმა უნდა, შორეული წარსულიდან მომდინარეობდა. ეს კანონ-წესები ერეკლესა და გიორგის მეფობის დრომდე ძველი ქართული სამართლის ძეგლებითა და ლიტერატურული ტრადიციით იყვნენ შემონახულნი. სახელმწიფო მართლმსაჯულებაში სახელმძღვანელოდ მიღებული იყო მაშინ არა მარტო ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ და, განსაკუთრებით, მისი „სჯული“, არამედ ვახტანგისვე კრებულში შესული ძველი ქართული სამართლის წიგნებიც—ე. წ. „ბექა-აღბულას

კანონები“, გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დება“ და „კათალიკოზთა კანონები“, აგრეთვე უცხოური წარმოშობის „მოსეს კანონები“, „ბერძნული კანონები“ და „სომხური კანონები“¹. აგრეთვე ცნობილია, რომ 1810—15 წლებში, რუსეთის მთავრობის დავალებით, ერეკლესა და გიორგისდროინდელი ქართული სამართლის კარგად მომსწრე და მკოდნე ქართველ „თავადთა“ მიერ შეკრებილ და ჩაწერილ იქნა, ვახტანგ VI-ის „სჯულთან“ ერთად სახელმძღვანელოდ, „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი“. ამ ნაშრომში ზოგიერთი „ჩვეულებას“ აღწერის ბოლოს, თითოეული შეძთხვევისათვის ცალ-ცალკე აღნიშნულია თუ რამდენად იყო ვახტანგის კრებულში შესული ამა თუ იმ ძეგლის სათანადო მუხლი ჩაწერილ „ჩვეულებასთან“ დაკავშირებით ერეკლესა და გიორგისდროინდელ სახელმწიფო სასამართლოში მსაჯულთაგან გამოყენებული².

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით დავითის „მიმოხილვის“ ზოგიერთ ადგილს შევადაროთ შესატყვისი ადგილები სამართლის ზემოხსენებული ძეგლებიდან და საქირო მაგალითებით ნათელვყოთ „მიმოხილვის“ ძველი წყაროები.

ა) „მიმოხილვა“ და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ზოგიერთ მუხლს „ბექა-აღბუღას კანონებშია“ მოეპოვება საფუძველი:

1) „მიმოხილვის“ 806, 807, 813 და 995 მუხლების საერთო საფუძვლად „ბექა-აღბუღას სამართლის“ 53-ე („ნგ“) მუხლი უნდა

¹ ესარგებლობთ საქართველოს მეზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ვახტანგ VI-ის კრებულის ორი ხელნაწერთი: № 16 1070 H და 1102 II. ეს კრებული გამოცემულია სრულად რუსულ ენაზე დ. ბაქრაძის მიერ—„Сборник законов грузинского царя Вахтанга VI“, Тифлис, 1887.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე შემონახული ძველი სამართლის რიგი სხვა წიგნებით ერეკლეს სამეფოში იშვიათად თუ ვინმე იხელმძღვანელებდა მართლმსაჯულებაში. მაგალითად, XIV ს. ძველი „ქელმწიფის კარის გარიგება“, რომლის ტექსტი XX ს-ში ექვეთიმე თაყაიშვილის მიერ იქნა აღმოჩენილი და გამოცემული (იხ. თბილისის უნივერსიტეტის გამოც. 1920 წ.). საფიქრებელია, ვრეკლესდროინდელ მსაჯულთათვის იშვიათად თუ ვისმესთვის იყო ცნობილი და მას არც არაინ ასახელებს მაშინ. ამიტომაც ამ ძეგლს ვრეკლეს სამეფოს მოკმედ სამართალთან უშუალოდ არავითარი კავშირი არ აქვს და მას, ბუნებრივია, ვერც დავითის „მიმოხილვაში“ უპოვია არსებითი გამოხატულება.

² „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი“, პ. გუგუშვილის

მივიჩნით¹. ამ შემთხვევაში, მართალია, ძველი კანონი ერეკლესა და გიორგისდროინდელი ქართლ-კახეთისათვის დიდად შეცვლილია, მაგრამ დავითის „მიმოხილვის“ ტექსტის ხსენებულ ადგილებსა და შესაბამ „ზექა-ალბულას სამართლის“ 53-ე მუხლს შორის აქა-იქ მაინც მოიპოვება შინაარსობლივი შესატყვისობა (საკითხი ეხება პირუტყვისაგან ვნებას სხვის მეურნეობისადმი, მის მოკვლას და ზარალთან დაკავშირებულ საზღაურს).

„მიმოხილვა“

2) მუხ. „210... Завещатель по воле и усмотрению своему имеет совершенную свободу переменить духовную и вовсе уничтожить“.

3) „465. Позволяется усыновлять зятя, когда не будет детей мужского пола. 466. Усыновленный таким образом наследует во всем усыновившему и должен принять его фамилию для возобновления пресекающегося рода. 467. Однако все сие должно быть с воли и утверждения царского“.

„ზექა-ალბულას კანონები“²

„ნწ. ანდერძი რომელმან კაცმან თქუას, მისისა სიკუდილისა შემდგომადლა იქმნების მტკიცე და დასტურებული, თუ არა სიცოცხლესა შინა ორივე კელეწითების, გინა მოშლა, გინა გათავება...“

„რწ. თუ სიძისა შვილებულისა ასრე იცოდით, თუ წიგნით შესრულ იყუნენ და მამული დაეწეროს, რა გაიყუნენ, საუხუტესო — მამულისა პატრონსა, სხვა შუა გაუყავით და შეტანილი და დახვედრებული ერთმანეთისა გაყუეს. რნთ. თუ უწიგნოთ შესრულ იყუნენ, შეტანილი და კირნახული გაყუეს და შესმულ-შექმული არა სახსენოა“.

მიერ გამოცემული, — ენიშნის „მასალეები...“, 1938, III ნაკვ., გვ. 74—90; „Обычаи, введенные при грузинских царях законом“, — დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული „Сборник законов грузинского царя Вахтанга VI“, 1887, გვ. 365—382. ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა დ. ბაქრაძის მიერ ამავე წიგნში, კვემოთ, „დამატებათა“ სახით მოტანილი საისტორიო მასალეებიც, გვ. 382—387.

¹⁻² ვსარგებლობთ საქ. მუხ. №№ 1070 II-ითა და 1102 II-ით; შეად. დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოც. „ქართული ქრისტიანობა...“, ნაწ. I, 1863 წ., გვ. 208—233 (ამ გამოცემაში მუხ. 52 = ზემოხსენებულ მუხ. 53-ს); ი. დ. ოლიძის მიერ 1953 წ. გამოცემული. იხ. აგრეთვე რუსული თარგმანიც, დ. ბაქრაძის გამოც. „Сборник законов груз. царя Вахтанга VI“, Тифлис, 1887, გვ. 95—128.

4) № 638. *Естьли кто-[нибуди] по праву сильного завладеет чужим имуществом или присвоит какие бы то ни было вещи, при-суждается к немедленному воз-вращению всего насильно отня-того и платить в казну штраф против цены присвоенного. За-ведення, же и пристройки, ка-кия произведены будут на за-хваченных имуществах, останутся в пользу настоящего хозяина*“.

5) 155. *Когда отогнаты будут овцы или другой скот из чужого стада, тогда по воз-вращении оногo хозяину, ви-новатые платят штраф, равной полной цене отогнанной ско-тины*“.

ბ) „მიმოხილვა“ და გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დება“

„ძეგლის დებაც“, მსგავსად „ბექა-ალბულას კანონებისა“, ვახტანგ VI-ის მიერ შეტანილი იყო თავის კრებულში და ისიც ისეთივე სახელმძღვანელო იყო XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო სასამართლოში, როგორც ბექა-ალბულას სამართლის წიგნი. ამას ნათლად მოწმობს აგრეთვე „მიმოხილვის“ შედარება „ძეგლის დებასთან“.

„მიმოხილვა“

1) „149. *Когда при случас внезапного вторжения горских хищнических партий сказан бу-*

ნბ. თუ კაცმან კაცსა ეამი-სათვისა რა გინდა რამე მიწა, გი-ნა მზღვარი დაუჭიროს, ოდესცა სამართალი იშოვნოს, ნაკემითა დაუდვას იგი აღგილი მან კაც-მან“.

„რმბ. თუ ჯოგი წაასხან, რაზომიცა სულიცა იყოს მამა-ცისა თუ დიაცისა, თავის თვი-სად გაცრცული საუპატიოდ და-ეურვოს: მამაკაცისა—ორი ათა-სი, დიაცისა—სამი ათასი, და ჯოგი უკლებელად შეექცეს. თუ ჰელდაჰელ წაუსხან — ნახევარი სისხლი დაუურვონ“.

„ძეგლის დება“¹

„ით. სალაშქრო საქმე ასე გაეაჩინეთ: რომელიც ქვეყანა, თემნი აწვიენეს ბრძანებითა

¹ ესარგებლობთ საქ. მუხ. №№ 1070 H და 1102 H-ით; შეად. დ. ბაკ-რაძის მიერ გამოცემული „Сборник законов...“, გვ. 81—94; იხ. აგრეთვე „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, — „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ“, ი. დოლიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილ-სი, 1957.

დეს რეპრესალ, თოდა ღლა ოტრ-
ჟენია ვრინუვნიქსა ვრიაგო ვსე
სოსოიანია ბეზისკლუჩიტელნი
ობჟანია ნემედლენი პრინია
ორუჟიე. ტეჟე, კოი ბუდო ოტ
სეგო უკლონიათ [ი.]სია, ობდერგაუთსა
შტრაფუ, ჯო ნებრეგუშიე ო
პოლზე ბლავოსოსოიანია სვოგო
ოტეჩესთვა. ონიაზია, დვორიაე,
სოსოიანია გრავდანიკოე, რავნი
ი კუჩესთვო ოსუჟდაუთსა ჯაპ-
ლათია ს კაჟდოგო ჩელოვეკა ო
ოდნოუ ტუანუ (10 რ.), ა ოტ ო-
სეღიაინია ბერესია ვოლ“.

2) №409. ნესოსოიანელნი
დოჟნიკაჟ პროჟაუთსა ო-
პროცენთა. იმ რავსროჩიავეთსა ოპლა-
თა ი სავოგო კაპიტალა ო
ჩასთია, ჟობ მენეე მოღლა ბუთ
ჩუვსთვითელნია ი ნე პრიჩინია
ბ სოვრენიკოგო რავსროიჟთვა“.

ერისთავებანი და განმგებელნი და
ეამიერად არა გამოვიღენენ,—
კუჟეიანებანი თუ სოფელნი და ან
ერთნი კაცნი და რაზომაცალა
კაცნი დააკლოს ლაშქრობა,
ერთს წელიწადს არ შეენდოს და
მამული დაეკიროს სასეფოლ და
თითო ჯარი წაეგვაროს სასეფოლ
და მეორე წელიწადს მამული
ისევე ებოძოს ერისთავისა და
განმგებლობისაგან საურავითა.
ესე ეროვნისა და სოფლიონისა
იყოს. და თუ კევისბერნი კაც-
ნი დააკლოს და არ გაყვეს—კე-
ვისბერობა წაელოს და მამული
დაეკიროს, ერთს წელიწადს
უკან მამული ისევე ებოძოს, თუ
ნამსახური იყოს და სხვა არა
შეეცოდოს რა“.

„მგ. ვალის საქმე ასე გავა-
ჩინეთ: სარგებელი არც ქარ-
ველთ სჯულსა შიგან ძეს წესად,
რომე აიღონ და არც სხვათა
სჯულთა წესია, და სარგებელი
არის უწესო. და თუ რადმე მიმ-
ცემი კაცი ასრე ავი იყოს, რო-
ზე სარგებელი აიღოს, რა გინდა
რა ხანი გამოსულიყოს, ათაა
თეთრსა ზედა ორი თეთრი მიე-
ცეს, რაზომი დიდი ხანი დაე-
ყოს. ამის მეტს ნურას მისცემს
და არც სამართალია მისაცემე-
ლად. და თუ დია რათმე ავი
კაცი არ არის, არც ამისი აღე-
ბა მართებს. სამართალი ესრეთ
ყონ ყოველთა მოსამართლეთა
და სამართალს ნურავინ გაამ-
რუდებს“.

ამასთანავე, აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ „ბეჭა-აღბუღას კანონების“ 95-ე მუხლით, ვალის თავნზე 20%-ის აღებაა წლისთავზე დაშვებული, როგორც ეს „ძეგლის დების“ ზემოხსენებულ მუხლშიაც (უკიდურეს შემთხვევაში) არის გათვალისწინებული. ამავე ძეგლებით, პროცენტზე პროცენტის აღება აკრძალულია. ვახტანგ VI-ც, თავისი „სჯულის“ 125-ე მუხლით, აკრძალავს პროცენტზე პროცენტს, სამართლიანად თელის თავნზე 12%-ის აღებას, ხოლო უკეთესად მიაჩნია—სრულიადაც არ იქნას აღებული პროცენტი.

ამრიგად, როგორც ზემომოყვანილ მაგალითებში, ისე ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიაც დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ზოგიერთი მუხლი შინაარსობლივად ადგილ-ადგილ, მეტ-ნაკლებად, შეესატყვისება გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დების“ ამა თუ იმ მუხლს.

გ) „მიმოხილვა“ და „კათალიკოზთა კანონები“

ვახტანგ VI-ის კრებულში შესული „კათალიკოზთა კანონებიც“ ნაწილობრივ გამოყენებული იყო XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამართლის დარგში სახელმძღვანელოდ. „კათალიკოზთა კანონებიც“ დ. ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა.

„მიმოხილვა“

„კათალიკოზთა კანონები“¹

1) „866. Бывали примеры, что люди, исполненные постыдного желанния к прибутку, для удовлетворения сей пагубной страсти, дерзнули отважиться на самую ужасную и оскорбляющую природу средства; они, поправ святость взаимных обязанностей и права человечества, насильственно продавали своих соотечественников, особенно

„ბ. რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, დიდმან ან მცირემან, ჯელმწიფემან თუ თავადმან, აზნაურმან ან გლეხმან, წმინდათა შვიდთა კრებათაგან შეჩვენებული იყოს და განჯილი ყოველის კეთილისაგან. რასაც კაცსა მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის გასყიდვა გამოაჩნდეს, თუ ისივე ტყუე დაიხსნას და მოიყვანოს, მისსავე

¹ ვსარგებლობთ საქ. მუხ. №№ 1070 Н და 1102 Н-ით; შეად. დ. ბაკრაძის მიერ გამოც. „Сборник законов груз. царя Вахтанга VI“, 1987, გვ. 129—133.

же помещики своих крепостных людей, персианам, туркам и другим народам магометанским. 867. Хотя бы и не следовало дать места на возможность такового действия, порамляющие нацию христианскую, но в отвращение чрезвычайного сего явления существовало в Грузии нижеследующее правило: изобличенный немедленно принуждался искупить проданного им в неволю, которому дается уже навсегда свобода, сверх того виноватый платит большой денежный штраф в казну и понесет покаяние церковное как убийца; когда же проданного искупить будет невозможно или местопребывание его будет неизвестно, тогда осуждается как смертоубийца“.

2) „Управители церковные. 325. Управителей церковных есть обязанность пешись о сохранении и приращении достояния церкви. Все те, кои изобличатся в небрежении о устройстве имений, посвященных и посвящаемых храму господню, равно и те, кои святотатственною рукою дерзнут присвоивать и расхищать стяжание церкви, навсегда отторгаются и изгоняются от своих мест.

საყდარსა და ეპისკოპოსს დაუურვოს და რა ერთიც ძალ ეღვას, დამკლების პატრონსაც მისცეს. და თუ ვერ მოიყუანოს, ვინც უნდა იყოს — ჯელმწიფე, თავადი ან აზნაური თუ გლეხი — ვერა საქმემ ვერ იხსნას — უკანონოდ ძელს მიეცეს. ვინც ქრთამი აიღოს იმაზე და არ ჩამოახრჩონ, შეჩვენებული იყოს წმიდათა კრებულთაგან და წმიდათა მოციქულთაგან“. „კ. რომელმანცა კაცის მსყიდველი და ეკლესიის მტეხელი მართალი მრუდად გამოიკუდიოს და მრუდი განამართლოს, შეჩვენებული იყოს“.

1748 წ. 13 ნოემბრის საეკლესიო კრების დადგენილებაში, რომელიც ერეკლე მეორის მიერ სანქცირებულია ხელმოწერით, ერთ-ერთ მუხლად ნათქვამია: „ამასაც ვიკადრებთ ღვთის-მსახურებისა თქვენისათვის, კეთილმორწმუნენო მეფენო, რათა საეპისკოპოსონი ეკლესიათა აგარაკნი და დაბანი, ანუ საარქიმანდრიტოთა და წინამძღვართა მონასტერთანი, ერის-კაცთა არ ხელეწიფოდეს დამძღვრებად მამულად თუსად მიტაცება და დამკვდრება. ამას წმიდაჲ ესე

კრება რჯულ-გიდებთ, გევედრებით და გამცნებთ ესე ვითარისა განუენებასა ერისაგან¹. ამასთანავე, ერეკლე მეორე და ანტონ პირველი სასტიკად კრძალავდნენ ვინმეს მიერ ეკლესიის ქონებისა და სახელოს გაცემას მათ დაუკითხავად².

326. Духовенство и люди

монашеского чина судятся соборными и церковными правилами, а лица светские подвергаются изъятию гражданского суда. 327. 2 (sic). Им также строго запрещается собственность церкви, в каком бы не было соотношении, продавать, променивать, ни даже отдавать на время, чтобы не навлечь в таком случае праведного гнева божия. 328. Все утраченное и разстроенное по прежнему возвращается храму, а виновные изгоняются от места и лишаются своего достоинства“.

3) №730. Все изменники

почитаются врагами отечеству. Закон осуждает их без изъятия на смертную казнь. 731. Изменою почитается... покушение на жизнь царскую и всей высокой его фамилии, и оскорб-

„კათალიკოზთა კანონები“:

„გ. ეკლესიის მკრებველთათვის ესე განგვიწესებია: ვინცა ეკლესია გასტეხოს და ხატი განძარცოს—უკანონოდ ძელსა მიეცეს. დ. ვინცა ეკლესიასა შინა შევიდეს და საქონელი გამოიტანოს, წმიდას ეკლესიას მისი საქონელი უკლებლად მიერთვას და კაცი იგი დაშავდეს“. „ჟა. ვინცა ვინცა დიდმან ან მცირემან საყდარსა და მონასტერსა მამული გამოახვას ან სოფელი, ან ვენახი და მიწა-წყალი და რაგინდარა, შეჩვენებული ოყოს“.

„იზ. ვისაც მეფის ღალატი გამოაჩნდეს მართლის განკითხვითა, რა რიგადაც წმიდათ კრებათა და მოციქულთაგან განჩენილი იყოს და სჯულის კანონსა შიგან ეწეროს, სიკუდილითა განიპატიეოს“.

¹ 1748 წ. 13 ნოემბრის საეკლესიო კრების დადგენილება, ვინმე მესხის მიერ გამოცემული („კვლი“ 1694, № 37).

² იხ. ერეკლესა და ანტონის 1768 წ. „ბრძანება“ ქართულ სასულიერო პირთადმი (საქ. მუხ. № 317 A, ფურც. 179—186).

ление высочества царского“. „202. 6. В городе и в войске разсе[и]вающие слухи к оскорблению величества царского или к вреду общественному — судятся и наказываются как изменники отечеству“.

4) „934. ЕСТЬЛИ КТО-[НИБУДЬ], УМЫСЛИВ УБИТЬ ДРУГОГО, ПО ЗЛОБЕ ЗАСЯДЕТ В СКРЫТНОМ МЕСТЕ, ЧТОБ НАПАСТЬ НЕЧАЯННО НА СВОЕГО НЕПРИЯТЕЛЯ, ТО, ЕСТЬЛИ ПРИЧИНИТ СМЕРТНОЕ УБИЙСТВО, ОСУЖДАЕТСЯ КАК СМЕРТОУБИЙЦА“.

დ) „მიმოხილვა“ და ვახტანგ VI-ის კრებულში შესული „მოსეს კანონები“, „ბერძნული კანონები“ და „სომხური კანონები“

ვახტანგ VI-ის კრებულში შესული „მოსეს კანონები“, „ბერძნული კანონები“ და „სომხური კანონებიც“ დავითის „მიმოხილვის“ გარკვეულ წყაროებს წარმოადგენენ. უცხოური წარმოშობის სამართლის ამ ძეგლებსაც ჩვენი ქვეყნის იურისდიქციაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული სამართლის ამა თუ იმ წიგნის მუხლთა ნაკლებობის იშვიათ შემთხვევაში უცხოურ კანონებსაც იყენებდნენ. გასაგებია, რომ მათი ნაკვალევი „მიმოხილვაშიც“ ჩანს.

„მიმოხილვა“

„მოსეს კანონებიდან“:

1) მუხ. 132. მსაჯულთათვის შემთხვევა „...свидетельства одного человека, кто бы он ни был, есть недостаточно...“ „131.

„... გამოიძიეთ და გამოიკითხეთ ფარულად თუ ქეშმარიტად ყოფილიყოს სიტყვა იგი ბილწებისა. განიყუანონ კაცი იგი

¹ № 1070 Н-შია: „და ან გაანდოს“.

² № 1102 Н-შია: „რისმე ქურდობით“.

³ ციტატები მოგვყავს ვახტანგ VI-ის კრებულის იმავე ხელნაწერების მიხედვით: საქ. მუხ. №№ 1070 Н და 1102 Н; შეად. დ. ბაკრაძის მიერ გამოცემული „Сборник законов...“: „Законы Моисеевы“—გვ. 145—157, „Законы греческие“—გვ. 158—229 და „Законы армянские“—გვ. 230—350.

Судьи должны смотреть, чтоб обвинение было полное, подкреплялось достоверным, свидетельством...“ №141. Свидетельствующие о...важных преступлениях должны быть люди, достойные всякого доверия, безпристрастные и честные“.

გარეშე ქალაქისა... და... ორისა და სამის მოწამითა მოკლან, ნუ ერთითა მოწმითა. ხოლო ჯელნი პირველად მოწამეთანი შეეხნენ მოკუდინებად სიკუდილისა თანამდებსა მას და მაშინლა ყოვლისა ერისა“. „იგ... ნებასა ერთისა მოწამისასა ნუ ირწმუნებთ, რომელი წამებდეს ყოვლისავე უსჯულოებისათვის და ცოდვისათვის, რამეთუ ორითა და სამითა მოწამითა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა“. თითქმის ასევეა ნათქვამი „ბერძნულ კანონებშიაც“: „არცა ქრისტიანისა ერთისა მოწმობა არ დაიჯერება ამისთვის, რამეთუ წერილი ბრძანებს, რამეთუ ყოველი სიტყუა ორისა და სამისა მოწამისათა დაამტკიცოს“ და მოციქული იტყვის, რამეთუ „ერთი მოწამე ნუ გწამსთ, არამედ ორი და სამი“ (რმგ.¹)

2) „მიმოხილვაში“ ცრუმოწმის შესახებ ნათქვამია:

„143. Бстыли же кто- [нибудь] сделает о сём извет и оного не докажет, или по изследовании донос его окажется ложным, подвергается тому же самому наказанию, какое определяют законы за внесенное им на другого преступление“. იხ. აგრეთვე ამგვარივე შინაარსის მქონე მუხ. 280 და 731 (bis).

„მოსეს კანონებიდან“:

„იდ. წარმოდგეს ვინმე ცრუმოწამე რომლისავე კაცისათვის და იტყოდეს უსჯულობასა, წარმოდგენ ორნივე კაცი და შეიყუანნენ წინაშე უფლისა და მღვდელთა და წინაშე მსაჯულთა, რომელნი იყუნენ მათ ღამთა. გამოიკითხონ მათ კეშმარიტებით და თუ იპოოს იგი წამებასა მას ზედა ცრუსა, რამეთუ სიცრუ-

¹ საქ. მუხ. № 1070 Н: „რმბ“. იხ. აგრეთვე „ბერძნული კანონები“ მუხლები: „რნც“, „რმდ“, „რმე“, „რმზ“ და „სომეხური კანონები“ მუხ. „რრე“ და „სნც“.

ვით წამებდა მოყუსისა მიმართ და ზრახვად აღუდგა მას, უყვედ მსგავსად სიბოროტისა მისისა, რომელ იგი ზრახა მოყუსისა თვისისათვის; მოისპეთ ეგვეითარი¹ ბოროტი თქვენ შორის, რამეთუ რომელნი დაშთენ, ეშინოდენ და არლარა შესძინონ საქმედ ბოროტისა საქმიეთრთ. ნუ რიდებს თვალი შენი ეგვეითარსა მას: სული სულისა წილ, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, გელი გელისა წილ, ფერკი ფერკისა წილ, რასაცავინ უყოს მოყუასსა თვისსა“.

„ბერძნული კანონებიდან“:

3) „555. Закон... опровергает свидетельство женщины...“

„პდ. დედაკაცი მსაჯულად არ დაიყენებიან და არცა უფროსად, არც ვეზირობაში დაისმის და არც არა სხვა საქმე ეკითხვის, სახლის მოვლის მეტი. პე. დედაკაცისა არა ჯერ არს რისაც საქმისათვის² სამართალში მივიდეს. ხოლო თუ მოუკლას ვინმე რაზე მამა ანუ შვილი, ანუ პატრონი, ანუ ნათესავნი, იმ საქმის საჩივლელად მივა სამართალშია, უნდა გაუგონონ და არა სხვისა საქმისათვის მივა. და თუ სხვისათვისმე მივიდეს, ნუ გაუგონებენ“.

„რმშ. არა ჯერ არს დედაკაცისაგან, რომ საჯელო დაიჭიროს, და არც მოწმობა დაიჯერება და არც ჯერ არს ქმნად ვინცავინ

¹ № 1070 H: „იგი ვითარცა“.

² № 1070 H: „გაპირვებისათვის“.

იმოწმოს; თუ არ ნახოს თავისი თვალითა, გაგონილზე ნუ ამოწმებენ“.

აქვე აღსანიშნავია „სომხური კანონებიდან“: „ოწ. რიგ-მან არ მისცა ბძანება დედა-კაცსა თავდებობისა და არც სა-კაცო საქმისა მოქმედება“.

4) თავი „Приданое — м з и т е в и“ -ს ზოგიერთი მუხლი:

„ 451. Приданое женщи-
но ни в каком случае, до об-
стоятельств мужа относящемся,
не может быть отсуждаемо.
Оно есть навсегда твёрдо и
неотъемлемо. 452. Без доброй
воли и согласия жены, муж не
вправе располагать приданым
ея имением. 453. В случае смер-
ти женщиной, наследуют при-
даное имение дети ея. 454. А
когда детей не останется, то
имение возвратится в прежнюю
фамилию, яко родовое, за выде-
лом мужу законами положен-
ной части; а о вещах и дви-
жимой собственности покойной
обязан муж дать расчёт ея
родным, равно и приобретенное
ею на свою собственность во
время замужества, если не оста-
нется завещания в пользу мужа,
дѣрут родственники покойной“.

„ნიმობილის“ ზემოხსენე-
ბული თავის დანარჩენი ნაწილიც
(მუხ. 449—450, 455—458) ად-
გილ-ადგილ შინაარსობლივ შეე-

ბერძნული კანონებიდან“:

„სიე. რომელმანცა კაცმა
ქორწილი ქნას და ცოლი შინ
მიიყვანოს, მერმე მამა და დე-
და ქალს რომ მოსაკითხავს გა-
უგზავნიან, იმას გარეთ-ზითევი
ჰქვიან. და ზითევთან ქმარს ჰე-
ლი არა აქვს; და თუ დახარ-
ჯავს, ერთი დრო მოვა, რომე
მის მშობელთა ის საქონელი
ითხოვონ იმ ქალის ქმრისაგან
და მისთა ნათესავეთაგან. თუ შეი-
ლი არ დარჩა, როგორც ზითევს
ითხოვენ — წაიღებენ, ისე ამას
გამოართმევენ. სივ. რომელსაც
დედაკაცსა გარეთ-ზითევი მო-
ყვა თავისის ნათესავისაგან, მისი
გელმწიფება აქუს ქალსა მას,
რომ იმითი ვაჰრობა ქნას და
სარგებელი შეიძინოს. და სხვა
ზითევი, რომელიც წიგნით
მისცემია, სანამღი მისი ქმარი
ცოცხალია, იმისგან ვერას და-
ხარჯავს ქალი იგი“.

სატყვისება „ბერძნული კანონების“ „სიე-სიე“ მუხლებს, ბევრგან კი სხვაგვარი შინაარსისაა.

5) „405. Законом и обыкновением допускается прощение неважных проступков, когда виноватый прибегнет под покров церкви. По уважению к святости храма господня наказание отменяется. 406. Важнейшим преступникам государственным, избличенным в измене, злом умысле, смертоубийстве, грабеже и разбое, церковь не дает прибежища. Они изтязуются и наказываются законом по винам своим, без всякого изъятия“.

„ბერძნული კანონებიდან“:

„სლბ. ესრეთ ვბრძანებთ: ვინცა ვინ და მნაშავენი კაცი საყდარს შეეხვეწნენ, არას კაცს იმასთან კელი არა აქუს. ვინც მივიდეს და ეკლესიიდან შეხვეწილი კაცი გამოავდოს ან კარზედ გამოიყვანოს ძალად, თუ ასე ქნას, ვინმე ის კაცი, ვითარცა ეკლესიისა მკრებველი, ესრეთ განიპატიოეს“. საყურადღებოა საკითხთან დაკავშირებით მუხ. „სლგ—სლე“-ც, მაგრამ მეტად გასათვალისწინებელია შემდგომი ადგილები: „სლვ. ნურცა კაცსა მას, რომელიც ეკლესიასა შინა შეიხვეწა, ძალად გამოიყვანს ვინმე. და კაცმან მან ყოველივე თავისი დანაშაული ეკლესიისა მის მღვდელსა აღუაროს, და მღვდელმან ის კაცი სასამართლოში მოიყვანოს ასე, რომე არავინ რა აწყინოს, და მოსამართლემ სჯულიერად როგორც ბრძანოს, ესრეთ ქნან“. „სლზ. ღვთისმოყუარეთა ეპისკოპოზთა, მღვდელთა და გამგებელთა ამას უბძანებ, რომე რომელნიცა ეკლესიასა შეეხვეწნენ, მათთვის ინალვლონ რამე და რისაც მიზეზით იქ შეიხვეწა, ის სახელდობლივ ათქმევიონ და თავისი სახელიცა და მოსამართლეს მოახსენონ ამ მიზეზისათვის შემოი-

ხეწაო, და მოსამართლემ სჯულ-
ლიერად სამართალი უყოს. და
რომელიცა შემხვეწებელი კაცი
თავისს საქმესა ეკლესიის მის
მღვდელსა არ გაანდობს, ის შემ-
ხვეწებელი არ იქნება¹.

„მიმოხილვასა“ და „ბერძნულ კანონებს“ შორის საერთოდ
ბევრი პარალელი არსებობს. ზემოთ ნახვევებთან ერთად, შეიძლე-
ბოდა კიდევ მიგვეთითებინა

6)	„მიმოხილვის“	მუხ. 423—448 —	„ბერძნული კანონების“	მუხ. „სმთ—სნგ“;
7)	„	„ 706—712 —	„	„ „სნდ“—„სნე“;
8)	„	„ 885—886 —	„	„ „ტომ“;
9)	„	„ 215 —	„	„ „ტაზ“;
10)	„	„ 901 —	„	„ „ტმგ“;
11)	„	„ 494 —	„	„ „ტოზ“;
12)	„	„ 87,102,764—765,669—	„	„ „ტაგ“.

ანალოგიებს ვპოულობთ აგრეთვე „მიმოხილვასა“ და „სომ-
ხურ კანონებს“ შორის.

„სომხური კანონები“

13) „მიმოხილვის“ თა-
ვი: „Торговые люди и
купцы—вачари. 421. В го-
родах, без изъятия, все торги
отправляются по установленной
и устанавливаемой от царя и го-
родских начальников таксе.
422. Мера, вес и доброта всего
вообще продаваемого учрежда-
ется правительством. Наруши-
тель наказывается как вор“.

„ტე. ვაჰარნი კელმწიფისა
ბრძანებითა გარიგდენ ანუ ქა-
ლაქისა თუ სოფლისა მოხელე-
ებით. რასაც ადგილისა უწინ-
დელი უნახონ საწყაო, სასწორი,
ადლი, ლიტრა, რომ მათით დას-
დვან და ნახონ ძალი აღებ-მი-
ცემისა და ისრე გაარიგონ და
დააყენონ კაცი თავსა, რომ ერთ-
მანეთს ძალა არ უყონ და არ
იბრიყონ და ქიშობა და ინა-
დობა არა ქნან, და ვინცა რევე-
დეს, სცენ და დაარიგონ ბრძა-
ნებითა შემძლითა და მოხელითა.
ვინც იქურდოს ნაკლების საწყა-

¹ № 1070 Н-ში უფრო მოკლედაა „სლზ“ მუხლის ტექსტი მოცემული
ხოლო № 1102 Н-ში—აქ წარმოდგენილისამებრ.

ოთი, აღლითა და სასწორითა, ერთისათვის ოთხი წაართვან და ავის კაცის ნიშანი დასდვან... ვაქართა სწორედ და მართებულად უნდა ისარგებლონ, არათუ გზიდამ გასვლით და უმართებულოდ. აღებ-მიცემაში ვინც დაატყუოს უცოდინარი და საბრალო, როგორც ქურდსა, ისე მოხელემ ერთი ოთხად უნდა აზღვევინოს“.

აქვე აღსანიშნავია „მოსეს კანონებიდან“ მუხ. „ნ. ნუ იპოვებინ ქურქელსა შინა შენსა სასწორი ერთი დიდი და ერთი კინი, ნურცა იყოფინ სახლსა შენსა შინა სასწორი ერთი დიდი და ერთი კინი, არამედ სასწორი სარწმუნოებისა და სიმართლისა იყავნ შენ შორის და კეთილი გეყოს შენ“.

„სომხური კანონებიდან“:

„რპა. ყოველს ქვეყანას, ქალაქსა და სოფელსა, სადაც ოქროს ქანი გამოჩნდეს, მისი გამოსავალი ჯელმწიფისა არის, და სადაც ვეცხლის ქანი გამოჩნდეს—დედოფლისა არის. თუ სათავადოში გამოჩნდეს აგრევე ოქრო—ჯელმწიფისა არის და ვეცხლი—დედოფლისა; და, თუ ნება[არს] ჯელმწიფისა, თავადსაც ერთი რამე წილი დაუდვან, თუ არადა, ბრძანება ჯელმწიფისა გათავდეს. სპილენძი, კალა, რკინა და სხვა ამისთანა რაგინდარა—თავადისა არისიმგვარად, მარლი და შაბი, ბორაკი,

14) „29.9. Когда на землях“ членов царского дома „будут открыты минералы и руды, тогда золотые, серебряные и медные принадлежат короне, а железные остаются в пользу их“.

ნავთი, კუბრი—თავადის არის, თვალი და მარგალიტი—ჯელმ-წითისა არის“, და სხვა.

„სომხური კანონებიდან“:

15) „499. Смертоубийство разделяется на два главнейших пункта, т. е. на умышленное и неумышленное. 500. Умышленным убийством почитается то, когда произойдет от ссоры, ненависти, зависти, личного неудовольствия, от желания завладеть стяжанием другого, от насилия, разбоя, грабежа и воровства. Смертоубийца казнится смертию. 501. Неумышленное убийство бывает в случаях нечаянных и без всякого намерения. Здесь наказание хотя и гораздо смягчается, но совесть должна быть очищена церковным покаянием, 502. Когда будет сделано насильственное нападение и тот, на кого было нападение, защищаясь, убьет нападающего — осуждается на церковное покаяние. 503. Если кто-[нибудь] с оружием в руках устремится, чтоб убить другого, а сей, защищая свою жизнь, убьет его—от всякого наказания свободен, но совесть должна быть очищена церковным покаянием“. 505. Если учинится смертоубийство в общей драке, тогда подозреваемый подвергается изтязанию,

„ტპგ. ნებით და უნებურად სიკუდილი მრავალი იქმნების და აქ ნიშანს მივსცემთ თავ-თავის ზომიერად. მოვლდების, რომე კაცი ხესა სჭრიდეს, წავარდეს ცული, ეცეს კაცსა და მოკუდეს, ან მადლის მთილამ თუ ალაგილამ ხე ჩამოაგდონ, ან ქვა ეცეს ვისმე და სხვა ამისთანაები, რომლითაც სიკუდილი მოხდეს, ვენახილამ ქვას ისროდეს თუ ბალილამ, ან ხეს ესროდეს, ან ოსტატმა შეგირდსა ჰკრას რამე, ან მამამ ვაჟსა, ან დედამ ქალსა, ან დედამთილმა რძალსა, ან ძმამ ძმასა, ან პატრონმა ყმასა და ან მანდილოსანმა მხლებელსა თვისსა, ან ცხენის გაქენებაში, ან ურემმა გარდაიაროს, ან ყაზახთ შუა შეუვარდეს და შემოკრას რამე და მოკლას, ან უსჯულო ქრისტიანსა კლვიდეს და ქრისტიანმა ქრისტიანის გული-სათვის დაჰკრას რამე და მოკვდეს. ესეები ასე რომ მოხდეს, ვისიმე უნებურია. შულლში და აეს დიდს ჩხუბში და ან ლაშქარში რომე კაცმან კაცი მოკლას—ნებაა, მაგრამ უნებური სიკუდილია. თუ კაცმა კაცს ჯობი ჰკრას, ან დაჰკრას თუ შემოსტყორცოს ხე ან რკინეული, ან სასიკვდინე წამალი ასვას რა-

ა прочие участвовавшие в драке свободны. Но когда виновного открыто не будет, тогда все, без изъятия, несут церковное покаяние. Когда же подозреваемый или кто-[нибудь] другой судом изобличится, понесет одно на казание, — он осуждается на смерть, как смертоубийца“.

აგრეთვე აღსანიშნავია თავი „Нешастные случаи — фатеракисა“ (მუხ. 878—883), განსაკუთრებით შემდეგი მუხლები: „878. Нешастные случаи называются те, когда действие произойдет совершенно нечаянно, например: 879. Когда рубится лес и нечаянно деревом задавлен будет другой человек. 880. Когда кто-[нибудь], бросая на дерево палку или что-[нибудь] другое, чтоб сшибить с оногo плод, нечаянно убьет или поранит человека; когда во время конского ристания не может удержать лошадей и причинит смертное убийство. 881. Без намерения убить, ударить другого, а тот умрет“ და სხვა.

16) თავიდან „Ремесленники“ (მუხ. 998—1014) შესაბამისი მუხლები:

„998. Ремесленники должны отпирать ремесло свое

მე და მოკუდეს—ნებით სიკუდილია. ამისთანაები ნებიერი და უნებურისაც სისხლი ჯელმწიფის სამართალსა და გარიგებას ფეხქვეშ სწერია“. „სპგ. თუ წავიდეს კაცი უბრალოდ და არა ქონდეს არავისი პირველი მტერობა, და მოკდეს და შეეყაროს ყოველთა ქურდთა და ავაზაკთა და მოკლას ამან ისინი, არა როგორც მკვლელი გასაჯონ და გააპატივოს წმიდამ ეკლესიამა. მაგრამ შემზინებელის წმიდის ტრაპეზით განიწმიდოს ტანი მისი ზომიერ ხანსა და იფიქროს და მოინანიოს მღვდლის სიტყუითა და საქმით. სხვას მოსამართლეს ამასთან კელი არა აქვს,—ეკლესიისა არის ეს სამართალი; ყუელამ თავ-თავისი სამართალი უნდა ქნას“.

აქვე აღსანიშნავია „ბერძნული კანონებიდან:“ „ტპშ. კაცის სიკუდილი მოსამართლემ უნდა კარგად გასინჯოს, ასე რომე რომელმან კაცი მოკლას, მისი სიკუდილი უნდოდა თუ არა“. სასჯელიც ამის მიხედვითაა „ბერძნული კანონების“ როგორც ამ მუხლში ქვემოთ, ისე სხვა მუხლებშიაც მოცემული (მუხ. „ტპშ“, „ტპთ“, „აა“ და სხვ.).

„სომხური კანონებიდან“:

„ტვა. მოკვლეთა ყოველთა, როგორც პატრონს უნდა, ისეთი საქმე ქნან და იმუშაონ, კაცი

честно и добропорядочно. За нарушение общественной доверенности призываются в цех, судятся стабашами (старшинами цеха) и по вине штрафуются деньгами“. 1010. Когда ремесленник испортит взятую работу, тогда собираются старшины цеха и старшие мастера, смотрят испорченное и принуждают ремесленника за то заплатить, а испорченное останется уже у ремесленника. 1011. Кто из мастеровых изоблится в покраже материалов, отданных ему в работу, тогда взыскивается с него покраденное, да столько же штрафа в казну. 1012. Когда мастеровые люди будут брать работу по поденьшине, должны прилежно работать известное по условию время. За леность же и пренебрежение о работе лишаются платы по условию. 1013. Когда ремесленник воз[ь]мет работу и будет дслать проволочку, тогда старшины побуждают мастеровых поспешить окончанием работы по порядку, а виновный штрафуется по усмотрении цеха“.

ამრიგად, როგორც ზემოთხსენილ მაგალითებში, ისე ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიაც დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ზოგიერთი მუხლი შინაარსობლივად ადგილ-ადგილ, მეტ-ნაკლებად, შეესატყვისება ვახტანგ VI-ის კრებულში შესულ „მოსეს კანონე-

არ დაატყუნ, არც რიგი გელოსნობისა წაახდინონ. რაც კელოსანი იყოს, მკერვალი თუ კონი, თუ ვინცაჲინ იყოს, რასაც უკეთებს ვისცე, თუ წაუხდინოს, როგორც ღირს, ფასი უნდა მისცეს. თუ მოიპაროს რამე მისს სამუშაოში, როგორც ქურდს, ისე აზღვევინონ. თუ დაუკარგოს ან დასაპურელი იყოს და თავგის დაქრით დაშავდეს, ან სხვა რიგათ წაუხდინოს, სამართლით უნდა უზლოს. თუ მოიპარონ მისგან და კელთუანი კელთ ექიროს, ნახევარი უნდა უზლოს, და თუ არ ექიროს და კელოსანსაც მასთან დაკარგოდეს რამე, ვერას შეუვიდეს და დამკარგავმაც მათთან ეძებოს, და თუ აეს ადგილს შეენახოს— უზლოს. თუ მიხდომილის ლაშქრისა და თარეშისაგან წამხდარიყოს, დაკარგულიყოს და წაელოსთ, ვერას შეუვიდეს კელოსანსა, და თუ გირაოდ დადვან ის საკელოსნო, ან იქ დაიკარგოს და ან თავათ დაკარგოს. უნდა ზლოს. თუ ცეცხლით დაიწვას და იმასთან სხვაც დამწვარიყოს, მტრისაგან მომხდარიყოს—ვერ აზღვევინონ. თუ მართო ის დამწვარა მოუვლელით და უნალვლელით, უნდა ზლოს, სამართალი ეს არის“.

ბის“, „ბერძნული კანონების“ ან „სომხური კანონების“ ზოგიერთ მუხლს, ხოლო ადგილ-ადგილ სიტყვისიტყვითაც კი არის გადმოღებული ესა თუ ის გამონათქვამი. დავითის „მიმოხილვა“ თავისი ამგვარი შესატყვისი ადგილებით გარკვევით მოწმობს იმ გარემოებას, რომ, მსგავსად ვახტანგ VI-ის მეფობის დროისა, ერეკლესა და გიორგის მეფობის დროშიაც „მოსეს კანონების“, „ბერძნული კანონებისა“ და „სომხური კანონების“ ზოგიერთი მუხლი მსაჯულთაგან გარკვეულ შემთხვევებში სრულად ან ნაწილობრივ, ცვლილებებით, გამოყენებული იყო სახელმწიფო მართლმსაჯულებაში; ამ უცხოური წარმოშობის ძეგლებში წარმოდგენილ კანონთა დიდი უმეტესობა კი სრულიადაც არ იყო მათგან გამოყენებული ერეკლესა და გიორგის მეფობისას (და, უეჭველია, ვახტანგ VI-ის მეფობის დროსაც). ბუნებრივია, რომ უცხოურ კანონთა ეს დიდი უმეტესობა მაშინაც შეუფერებელი იყო ქართული სახელმწიფოებრივი სინანდვილისათვის და ისინი ამიტომ არ იყვნენ გამოყენებული. ამასთანავე, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის მსაჯულთაგან მათ მოხმარებას, ცხადია, მტკიცედ ზღუდავენ როგორც ძველი, შემორჩენილი ქართული კანონ-წესები, ისე ერეკლეს მიერ ახლად „განწესებული“, „განჩინებული“ ანუ „ბრძანებული“ კანონ-წესებიც. სწორედ ეს ძველი და ახალი, მკვიდრი, თვითმყობადი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამართლის კანონ-წესები და, აგრეთვე, სახელმწიფო მართლმსაჯულებაში ანგარიშგასაწევი ქართული ხალხური ჩვეულებები, ადათები და ჩვეულებითი სამართლის კანონ-წესები წარმოადგენენ მთავარ სახელმძღვანელოს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამართლის დარგის მუშაკთათვის და არა უცხოურიდან ამა თუ იმ შემთხვევაში გადმოღებული, უმეტესად გარდაქმნილი და ქართულ პირობებთან ბუნებრივად შეგუებული მცირერიცხოვანი „კანონები“. ფესვმაგარი, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურა როგორც წინათ, ისე ერეკლე მეორის მეფობის დროსაც ორგანულად ინელებდა როგორც სხვა დარგებში, ისე სამართლის დარგშიაც მისთვის მისაღებ ყოველ აზრიანსა და პრაქტიკულად გამოსაყენებელ „უცხოურსაც“; მოწინავე ქართველობა თავისი ეროვნული მიზანდასახულობისამებრ შუდმივ აქართულებდა მათ. ამ წირივ ქართველობას არასდროს არ შემოუვლია თავისი ეროვნული კულტურისათვის „ჩინური კედლები“ და ამაშიაც გამოიხატება თვითმყობადი ქართული კულტურის ძლიერება და სიდიადე, კერძოდ კი, ამ შემთხვევაში, ერეკლესა და გიორგისდროინდელი სამართლის დარგშიაც.

ერეკლე მეორესაც, როგორც ადრინდელ ქართველ დიდ მეფეებს, თავისი ახალი კანონ-წესები გამოუძეშაებია თავისი სამეფოსათვის შესაფერისად და, ამასთანავე, ძველ ქართულ კანონ-წესებთან ერთად, არამც თუ მოსეს (ებრაული), ბერძნული და სომხური ზოგიერთი გამოსაყენებელი ძველი კანონი დაუტოვებია თავის სამეფოს სამართლის დარგში სახელმძღვანელოდ, არამედ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ზოგიერთი რუსული კანონიც გადმოუღია. ამით ქართული სამეფოს სამართლის სიდიადე ოდნავადაც არ დამცილებულა. პირიქით, ეს საქმეც მოწმობს ჩვენი მაშინდელი სამართლის დარგის სიმძლეს, გეუყინველობასა და, სახელმწიფო შინაგანი მოთხოვნილებების მიხედვით, გაუმჯობესებასა და განვითარებას¹.

ვახტანგ VI-ის კრებულში შესული უცხოური წარმოშობისა და რუსული სამართლის ძეგლებთან დაკავშირებულმა ზემოხსენებულმა გარემოებებმაც, მსგავსად ვახტანგის კრებულშივე შესული ქართული სამართლის ძეგლების ზემოხსენებული შემთხვევებისა, ბუნებრივად ჰპოვა თავისი გამოხატულება დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“, რადგან იგი სწორედ XVIII ს-ის ზეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამართლის კანონ-წესთა შემცველი კრებულია.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემომოყვანილ მაგალითებში და სხვაგანაც გამოკვლევაში ის, რაც მსგავსი და ერთგვარია ერეკლესდროინდელ ქართულ კანონ-წესებსა, ადათებსა,

¹ ქართველთა მიერ რუსული სახელმწიფო წესწყობილებისა და სამართლის შესწავლის გარდა, პროფ. ივ. სურგულაძის სიტყვით, „არის ცნობები, რომ XVIII საუკუნის მესვეურნი საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდნენ ევროპული სახელმწიფოების სახელმწიფოებრივი წყობილებისა და სამართლის შესწავლისადმი. ასე, მაგალითად, არის ცნობა იმის შესახებ, რომ ერეკლე მეორემ გადმოათარგმნინა ქართულად მისი დროისათვის ცნობილი ზონენფელსის სახელმძღვანელო პოლიციურ სამართალში (Sonnenfels, Grundsätze der Polizei, Handlung und Finanzwissenschaft, 1763—1767)“ (საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952 წ., გვ. 6). ზონენფელსის ან წიგნზე უფრო ადრე შექმნა ერეკლე მეორემ თავისი ახალი სამართლისათვის ერთი რიგი სამართლის ძეგლები, როგორც ითქვა, 1760—61 წლებში და ამიტომ შეუძლებელია ამ გერმანული წიგნის ნაკვალევი ერეკლეს ამ დროის სამართლის ძეგლებში ყოფილიყო. გვიან, 1767 წ. შემდეგ, ზონენფელსის ამ წიგნის თარგმნა ქართულ ენაზე ერეკლეს ბრძანებით მართლაც შესაძლებელია მომხდარიყო, მაგრამ ჰპოვა კი მან რაიმე გამოხმაურება ქართულ მოქმედ სამართალში—ეს საკვლევი საკითხია მომავლისათვის. დავით ბატონიშვილის „მიმოხილვას“ ამ საკითხის გამოსარკვევად შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს მკვლევარს.

ჩვეულებებსა, ებრაულ, რომაულ, ბერძნულ, სომხურ, რუსულ თუ სხვა უცხოურ კანონ-წესებს, ადათებსა და ჩვეულებებს შორის, შეუძლებელია თავდაპირველი წარმოშობით ხელალებით მივაკუთნოთ მხოლოდ ებრაელ, რომაელ, ბერძენ, სომეხ, რუს თუ სხვა ხალხს და, ამრიგად, ქართველთა მიერ ყოველი მათგანი იმ ხალხისაგან გადმოღებულად ვცნოთ. ასეთ შემთხვევებში ზოგი მსგავსი და ერთგვარი რამ მართლაც გადმოღებულია ოდესმე უცხოურიდან და ის წარმოშობით, ცხადია, არაქართული არის კიდევ, საკიროებისამებრ სხვისაგან შეთყვისებული; ასეთი რამ ხალხთა შორის ურთიერთობაში ბუნებრივია. მაგრამ ზემოხსენებულ შემთხვევებში ზოგი რამ მაინც სხვა ხალხებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ქართულ ნიადაგზე და ხანგრძლივი ტრადიციით მომდინარეობს ჩვენში, შესაძლოა, დღემდეც კი. დასასრულ, შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი თავდაპირველი წარმოშობით წმინდა ქართული მოვლენა იყოს, მაგრამ მეზობელი ხალხის მიერ ჩვენგანვე ოდესმე ათვისებული და დღეს კი იგი, ორივე ხალხში ერთგვარად თუ სრული მსგავსებით არსებობის გამო, ჩვენში ვინმემ, შეცდომით, „უცხოურად“ მიიჩნიაოს.

მრავალსაუკუნოვანი მალალი კულტურის მატარებელი ქართველი ხალხი არამც თუ თავის შინასახელმწიფოებრივი, არამედ საერთაშორისო სამართლის დარგშიც მეზობელ ხალხებს ძლიერ იშვიათად ჩამორჩებოდა ოდესმე. ამ მხრივ საქართველოში უძველეს დროიდანვე არსებული როგორც ხალხური ანუ ჩვეულებითი, ისე სამეფოს ოფიციალური სამართალი, კერძოდ ერეკლესა და გიორგის მეფობის დროშიაც, საერთოდ ქართული, თავისთავადი, წმინდა ეროვნულ-საზოგადოებრივი კულტურული მოვლენაა. ქართულ ფესვმაგარ დიდ ეროვნულ კულტურას ყოველი საკირო „უცხოურის“ ქართული მიზანდასახულებისამებრ ათვისებისა და მონელების სახელმწიფოებრივი და ფართო საზოგადოებრივი სალი ორგანოები უძველეს დროიდანვე მუდმივ გააჩნდა. ამგვარი თვითმყობადი და მონოლითურია ერეკლესა და გიორგისდროინდელი როგორც ქართული ჩვეულებითი, ისე სამეფოს სამართალიც. სწორედ ამიტომეა, რომ ზემომოყვანილ მაგალითებში კანტი-კუნტად მოცემული ნამდვილად უცხოური წარმოშობის კანონ-წესები და ჩვეულებები იმდენად გაქართულებულია, რომ მათ უცხოურობისა ძლიერ ცოტა რამ შერჩენია. ამასთანავე, მათ გვერდით, ზოგიერთი საერთაშორისო ხასიათის კანონი, წესი ან ჩვეულებაა, რომლებიც, სხვა ქვეყნების სამართლის წიგნთა მსგავსად, ქართულ

სამართლის წიგნებშიაც უნდა აღნიშნულიყო და გათვალისწინებულია კიდევც.

ერეკლესა და გიორგისდროინდელი ქართლ-კახეთისათვის დამახასიათებელ ყველა ზემოხსენებულ გარემოებაშიც დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ ბუნებრივად ჰპოვა თავისი გამოხატულება, რადგან იგი სწორედ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამართლის კანონ-წესების, მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგასაწევი ხალხური ადათებისა და ჩვეულებების და ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონების აღმწერი კრებულია.

4. „მიმოხილვის“ ცნობები მამალისა და გიორგის სამეფოს მართლმსაჯულებაში ვახტანგ VI-ის „სჯულით“ მხოლოდ ნაწილობრივ სარგებლობის შესახებ

ერეკლესა და გიორგის „მსაჯულთ-შეკრებულება“ და ყოველი მდივანბეგი, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობდნენ ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალითა“ და „სჯულით“. დავით ბატონიშვილის მიერ მკაფიოდ არის აღნიშნული ეს გარემოება თავის „მიმოხილვაში“. კერძოდ „სჯულის“ მიმართ, მაგალითად, შემდეგ ადგილებში:

1) ავტორი „მიმოხილვის“ მე-5 მუხლში, სადაც მსჯელობს ფიცის შესახებ, მიუთითებს ფიცის იმ სხვადასხვა გვარობაზე, რომლებიც დატული იყო ერეკლესა და გიორგის მეფობის დროსაც და საამისოდ დასძენს: „Можно видеть в Законе Вахтанговом подробное разделение всех степеней присяги“. ჩანს, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო სასამართლოს მსაჯულნი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდნენ ვახტანგის „სჯულით“ (= „Закон“).

2) ამგვარადვე 342-ე მუხლში ნათქვამია: „Раздел движимых и недвижимых имений установлен Законом царя Вахтанга; там можно видеть о степенях старшинства, при сем случае наблюдаемых“. როგორც ვხედავთ, აქაც, ქონების გაყოფის შემთხვევაში, დავითი პირდაპირ მიგვითითებს ერეკლესა და გიორგის სამეფოში მსაჯულთა მიერ ვახტანგის „სჯულით“ ხელმძღვანელობის შესახებ.

3) აგრეთვე 507-ე მუხლში ნათქვამია: „Если кто-[нибѣдъ] ранит, но не убьет, хотя бы после раненый и умер, судится и наказывается по артикулу, в Уложении Вахтанговом начертанному“. ვახტანგის „სჯულში“ კი საამისოდ მართლაც მოიპოვება სათანადო

მუხლები 43—49 და სხვ.¹ ამრიგად, დავით ბატონიშვილის მოწმობით, ერეკლესა და გიორგის სამეფოში ქრილობის მიმუყენებელს სახელმწიფო სასამართლო ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის— „სჯულის“ სათანადო მუხლებით სჯიდა.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან (და ქვემომოყვანილი მაგალითებიც) გარკვევით ჩანს, რომ დავით ბატონიშვილი „მიმოხილვაში“ „Закон Вахтангов“-ის ან „Уложение Вахтангово“-ს დასახელებით გულისხმობს საკუთრივ ვახტანგის „სჯულს“ და არა ვახტანგის კრებულში შესულ სხვა რომელიმე ძეგლსაც. ამგვარადვე, დავითი „მიმოხილვის“ 510-ე მუხლში „по разделению, Вахтангом положенному“-სა და 512-ე მუხლშიც „определены Вахтангом“-ის თქმით გულისხმობს ვახტანგის „სჯულს“, ჩხუბისა და ადამიანის მკვლელობის შემთხვევების საქმეთა გარჩევისას მსაჯულთა მიერ სათანადო განაჩენის გამოსატანად.

4) აგრეთვე, ამგვარადვეა ნათქვამი „მიმოხილვაში“ გაყრის საკითხთა გარჩევის შემთხვევაშიც: „735, При разделе именной недвижимых царь получает гасамкредо, т. е. часть, которая положена по Вахтангову Закону в пользу казны“.

5) თავში „Есаулы и сыщики“, სხვათა შორის, ნათქვამია: „337. При отправлении должности никто да не дерзает чинить им помешательства, какого бы чина и достоинства ни был. 338. Виновный, по Закону царя Вахтанга, осуждается на отсечение руки“. ამ ადგილას პირდაპირ ნათქვამია, რომ ერეკლესა და გიორგისდროინდელი სამეფოს სამართალი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა ვახტანგის „სჯულს“. მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ერეკლესა და გიორგის მეფობის გვიანდელ პერიოდში ეს კანონი საკმაოდ შეცვლილა, რის შესახებაც ვაღმოცემულია ქვემოთ მუხლებში: „339. Но впоследствии времени наказание сие смягчено и виновный осуждается заплатить в казну денежный штраф, какой полагается по тому же Закону царя Вахтанга за кровь руки. Сие относится только к сыщикам царским. 340. Причинивший обиду сыщикам судейским наказывается по усмотрению вины и обстоятельствам. 341. В обеих сих случаях наблюдает-

¹ დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულის გარდა, იხ. დ. ბაქრაძის რუსული გამოცემა— „Сборник законов груз. царя Вахтанга VI“, 1887, Тифлис, გვ. 1—80; აგრეთვე თ. ვნუქიძის რედაქციითა და გამოკლევით გამოც. 1955.

სა: чем сопровождалось самое действие, не было ли личности между обиженным и в том виновным; в таком случае наказание ещё смягчается и зависит от благоразумия и справедливости судей". ამჟამად, ერეკლესა და გიორგის მეფობისას ამ მხრივ, შედარებით ვახტანგის კანონთან, უფრო ჰუმანური კანონი გამოშვებულა. მაგრამ ამ ახალი კანონით აღრინდელი, ვახტანგის კანონი არსებითად არ უარუყვიათ, არამედ იგი მასზე დაუფუძნებიათ.

ბ) ასევე საყურადღებოა შემდეგი: „896. Когда жена изобличится в самопроизвольном прелюбодеянии и муж будет требовать распушения брака, тогда дело отошлётся на суд Дикастерии, участвовавший же в прелюбодеянии удовлетворять мужа за причиненную ему обиду уже не принуждается. 897. Но ежели муж развода не пожелает и оставит жену в своем доме, тогда прелюбодей осуждается удовлетворить мужа деньгами за кровь по Вахтангову Закону“. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, დავითისვე მოწმობით, ვახტანგის „სჯულის“ სათანადო კანონი ძალაში იყო ერეკლესა და გიორგის მეფობის დროს, მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეულ გარემოებაში, ერეკლეს მეფობის დროს დაარსებული დიკასტერია მოქმედებს თავისი სამართლით.

გ) „მიმოხილვის“ 807-ე მუხლში ნათქვამია: „Те же, кои выдают поносительныя сочинения на лица частныя, должны удовлетворить обиженнаго против 8-й части той цены, какая положена за кровь одного человека по Вахтангову Закону, и дать такой же штраф в казну“. ამრიგად, ჩანს, ამ შემთხვევაშიაც ერეკლესა და გიორგის სამეფოს სასამართლოში მსაჯულები ხელმძღვანელობდნენ ვახტანგ ზეექესის „სჯულის“ სისხლის სამართლის მუხლებით, კერძოდ სისხლის ზღვევინების მუხლებით, უფარდებდნენ რა „სალანძლევი“ ნაწარმოებით გამოწვეულ დანაშაულს ვახტანგის სამართლის ამ მუხლებში გათვალისწინებულ ამა თუ იმ სასჯელს.

შემომოყვანილი მაგალითებისამებრ, „მიმოხილვის“ ავტორი სხვაგანაც მიუთითებს ვახტანგ VI-ის „სჯულზე“. ჩანს. XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში, მართლაც, დიდად მიღებული იყო მართლმსაჯულებაში ვახტანგის „სჯულითა“ და, როგორც სხვა ადგილას დავინახავთ, ნაწილობრივ „დასტურლამალითაც“ ხელმძღვანელობა. მაგრამ, ამასთანავე, განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ამ დროს ნაწილობრივ თეიმურაზ მეორეს და

ნამეტნავად კი ერეკლე მეორეს (ხოლო გიორგი მეთორმეტესაც „სჯულის“ ერთი სასჯელი) ვახტანგ მეექვსის ამ ძეგლთა მრავალი კანონი და წესი გაუუქმებიათ, ზოგიც გარდაუქმნიათ და თანაც მრავალი სრულიად ახალი კანონი და წესიც დაუდგენიათ სამეფოს სამართლის დარგში სახელმძღვანელოდ. ამ გარემოებათა შესახებ ჩვენ განსაკუთრებით მომდევნო ქვეთავებში გვექნება მსჯელობა.

5. მამკლავს მიერ ვახტანგის „სჯულის“ და კველევურ სხვა სისხლის სამართლის სასჯელთა შემადგენელ ხალხმძველი ნაწარმოებების ავტორების დანაშაულობათა მიმართ

„მიმოხილვის“ ზემომოტანილი 807-ე მუხლიდან ირკვევა, რომ ერეკლესა და გიორგის მეფობისას ქართლ-კახეთში სახელმწიფო მსაჯულები ხელმძღვანელობდნენ ვახტანგ მეექვსის „სჯულის“ სისხლის სამართლის მუხლებით, კერძოდ, სისხლის ზღვევინების მუხლებით იმ შემთხვევაში, როცა უფარდებდნენ „სალანძღველი“ ნაწარმოებით გამოწვეულ დანაშაულს ვახტანგის სამართლის ამ მუხლებში გათვალისწინებულ ამა თუ იმ სასჯელს. ამ საქმესთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაიმე სალანძღველი წერილობითი ნაწარმოების შესახებ ვახტანგის საკუთარ სამართლის წიგნებში („სჯული“ და „დასტურლამალი“) და, მით უფრო, ადრინდელ, „ბექა-ალბუღას კანონებში“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაში“ ან რომელიმე სხვა სამართლის ძეგლში საგანგებოდ არაფერია თქმული. ჩანს, ეს კანონი ერეკლეს მეფობისას იქნა შეიშუავებული; ყოველ შემთხვევაში, მანამდე თუ ასეთი რამ არსებობდა, საისტორიო წყაროებით ჯერჯერობით მაინც უცნობია. ერეკლე მეორეს კი თავის მეფობისას ყოველგვარი „სალანძღველი წიგნების“ შესახებ ბუნებრივი იყო ის კანონები, რომლებიც დავითის „მიმოხილვის“ 803—810 მუხლებშია მოცემული, გამოემუშავებინა კიდევ, რადგან მისი მეფობის დროს არათუ სხვა პირთა, არამედ თვით მისსა და კათალიკოზ ანტონ პირველის შესახებაც კი ცოტა „სალანძღველი წიგნი“—პასკვილები, პამფლეტები თუ სატირები და სხვა—როდი იწერებოდა. ასეთებია, მაგალითად, ცნობილი პამფლეტი—პოემა „კატის ომი“ ისაკ მცირისა (და არა ზაქარია გაბაშვილისა, როგორც დღემდე ცნობილი იყო), დაწერილი ანტონ პირველის, ერეკლე მეორისა და მათ თანამგრძნობთა საწინააღმდეგოდ; ზაქარია გაბაშვილის მოწაფეთა და, პირიქით, მათ საწინააღმდეგოდ დავით ურიაყოფილის გამკილავი

პორნოგრაფიული სატირები ლექსებად¹; ალ. ამილახვარის პამფლეტი ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოზის შესახებ „История георгианская о юлоше князе Амилахорове“, 1779 წ. რუსეთში გამოცემული და შემდეგ, ერეკლეს მეფობის დროსვე, ქართულადც თარგმნილი², და სხვა მისთანანი³.

ამრიგად, დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ 803—810 მუხლებით გადმოცემულია დიდად საყურადღებო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა მწერლობაში, რომლის შესახებ სამეფო ხელისუფლებას გარკვეული ზომები მიუღია სამეფოს სამართლისა და მართლმსაჯულების დარგში. „სალანძღველი წიგნების“ წერა ძველ საქართველოში, რა თქმა უნდა, ერეკლეს მეფობის უწინარესადაც იყო. მაგრამ ჩვენს ყურადღებას ერეკლეს მეფობისას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ დროს „სალანძღველი წიგნების“ წერას მიუღია მეტად ფართო საზოგადოებრივი ხასიათი; ეს საქმე მაშინ არსებულ ურთიერთ დაპირისპირებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეთა შორის გამოყენებულია როგორც პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ბასრი იარაღი, რაც აღრინდელ მწერლობაში ასე ფართო საზოგადოებრივი წასშტაბით არ შეინიშნება.

ამასთანავე, ერეკლესდროინდელ მწერლობაში განვითარებული ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენა გამხდარა მთელ სამეფოში „სახალხო ზნეობის შემრჯენელი“, რაზედაც სამეფო ხელისუფლებას ყურადღება მიუქცევია კიდევ თავის სამართალში სათანადო კანონების შეტანით. ეს კანონები, ბუნებრივია, აღრინდელ ქართულ სამართლის ძეგლებში არც მოიპოვებიან. დავითი წერს: „პასკვილები“ ანუ „სალანძღველი წიგნები“ არიან „все вообще ругательныя и соблазнительныя письма и сочинения, выпускаемыя в народе или подбрасываемыя в церквах, публичных местах и на улице, без означения имени сочинителя“ (მუხ. 803). ჩანს, ასეთ „წიგნებს“ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მართლაც ფართო გამოხმაურება ჰქონია და ამიტომ დაინტერესებული პირები მათ ზემოხსენებულ ფართო საზოგადოებრივ ადგილებშიაც კი განგებ ავრცელებდნენ. ასეთი

¹ დავით რეკტორის კრებული, საქ. მუხ. № 1511 S, გვ. 969—973; 973—979.

² საქ. მუხეუმი, № 99 H.

³ იხ. ზემოხსენებულ ნაწარმოებთა შესახებ ვრცლად აპ. როგავას ნაშრომში „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“ (წაკითხულია მოხსენებად აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში 1948).

აღვირაბსნილი საქციელი კი საზოგადოების ზნეობასა და ერეკლეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას დიდ საფრთხეს უქმნიდა. ამიტომ, უეჭველია, ერეკლეს იგი სასტიკად აუკრძალავს სათანადო კანონების გამოცემითაც. დავითი „მიმოხილვაში“ ამ გარემოებას გარკვევით აღნიშნავს: „Пасквили никакому лицу позволены быть не могут, поколику, сверх личного оскорбления, они развращают нравственность народную. И потому положены были (ერეკლეს მიერ.—ა. რ.) на сочинителеи сих писем нижеследующия наказания“,—გადმოგვცემს დავითი (მუხ. 804) და ქვემოთ საამისოდ მოაქვს სათანადო მუხლები. ამ მუხლებში კი კონკრეტულად აღნიშნულია არა მარტო დანაშაულთა ხასიათი და სასჯელები, არამედ საზოგადოდ დასახელებულია ის დაწესებულებები და მოხელეებიც, რომელნიც იყვნენ ბრალდებულთაგან ცილისწამებული.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დავითის მიერ გადმოცემულ მთელ საჯანგებო განჩინებაში მოკლედ, მაგრამ მშვენივრად ასახულია მთელი მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ეს სამწერლო მოვლენა და მისდამი ერეკლე მეფისა და სამეფოს სამართლის დამოკიდებულება.

ამ მხრივ ჩვენთვის მეტად საყურადღებოა მომდევნო მუხლიც: „805. Сочинитель пасквиля против религии и ея тайнств, равно на царя или дом царский, без всякого помилования осуждается лишиться руки“. ეს მუხლი, ასე ლაკონიურად გამოთქმული, ბევრ რამეს გვეუბნება სწორედ ერეკლეს სამეფო საქმეთა შესახებ. ამ კანონს ღრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლები გააჩნია და ამ მხრივ გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ ნიადაგზე აქვს იგი გამომუშავებული ერეკლეს თავისი სამეფოსათვის. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებისა და მის წმინდა საიდუმლოებათა დაცვას, როგორც ადრე, ისე ერეკლეს მეფობის დროსაც არა მხოლოდ რელიგიური, არამედ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქართველთა საზოგადოებრივი თვალსაზრისით, სარწმუნოებრივი მრწამსი ამ დროსაც, ძველებურად, სათანადო ეროვნულ-პოლიტიკურ მრწამსაც აღნიშნავდა: ფართო საზოგადოებრივი თვალსაზრისით, „ქართველობა“ მაშინაც, როგორც ადრინდელ ხანებში, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლობაში გამოიხატებოდა და ვინმე ქართველის მიერ ამ სარწმუნოების შეცვლა თავისი ეროვნების მხრივაც რენეგატობას ნიშნავდა. ერეკლე მეფე ოდითგანვე ტრადიციით

განმტკიცებულ ამ ფართო საზოგადო პრინციპულ თვალსაზრისზე ურყევად იდგა, თუმცა მას და განსაკუთრებით მის „სულისა ერთებრივ ძმა“ კათალიკოსს, ანტონ პირველს, ევროპული მეცნიერული ფილოსოფიურ-რაციონალისტური მსოფლგაგების გაზიარებისა გამო, არაერთხელ შეეწამათ მოწინააღმდეგეთაგან „კათოლიკობა“ ანუ „გაფრანგება“¹.

ამრიგად, ერეკლე სწორედ ეროვნული საქმისათვის, „ქართველობისათვის“ იბრძოდა, როცა იგი მართლმადიდებლური ქრისტიანული „რელიგიისა და მის საიდუმლოებათათვის“ სახელმწიფოში „სალანძღველი წიგნების“ შემთხვევითა მიმართ მეტად მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს თავის კანონში—ხელის მოქრას. სწორედ „ქართველობის“ დასაცავად ეს ზომა მისი მალაღონიერებისაგან მიზანშეწონილი იყო მისი მეფობის დროს. თუ რატომ—ეს გასაგებია ჩვენთვის.

მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში არა ნაკლებ საყურადღებო ისაა, რომ 805-ე მუხლშივე, „რელიგიისა და მის საიდუმლოებათა“ შესახებ პასკვილის ავტორის მიმართ აღნიშნული სასჯელის თანაბრად, მეფისა და მისი სახლის შესახებაც პასკვილის ავტორის მიმართ გათვალისწინებულა იგივე სასჯელი—ხელის მოქრა: „Сочинитель пасквилья против религии и ея таинств, равно на царя или дом царский, без всякого помилования осуждается лишиться руки“. ერეკლე მეფეს თავისი თავი მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის მალიარებელი ქართველობის უპირველეს შეთაურად და დამცველად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც მის მონარქს, და ამიტომაც ამ რელიგიის, მეფისა და მისი „სამეფო სახლის“ „სალანძღველი წიგნის“ შემთხვევლს („сочинитель“) იგი მძიმე სასჯელს უდებს—ხელის მოქრას. ამ მუხლში, მეფისა და სამეფო სახლის მეტად დიდი ავტორიტეტის მტკიცედ დაცვასთან ერთად, გარკვევით მოჩანს ერეკლეს უალრესად დიდი პატრიოტული გრძნობა საერთოდ ქართველობისათვის.

იგივე პატრიოტული გრძნობა და თავისი მონარქიული ხელისუფლების განმტკიცება სამეფოში ამოძრავებს მეფე ერეკლეს სამართლისა და მართლმსაჯულების გზაზე, როცა მას გამოუმუშავებია ღვეთის მიერ „მიმოხილვაში“ ჩვენთვის გადმოცემული მორიგი მუხლიც: „806. За ругательныя письма, выпускаемая против

¹ იხ. ამის შესახებ ვრცლად აბ. როგავას ნაშრომში „სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“, 1950.

პრავიტელვტა, იზობლიჩენნიი იზგონიეტსა ჯა გრანიცუ, ჯაკი ნებლაკი-
დარნიი სინი იტეჩესტვა ი ნედოვოლნიი სვოიმ პრავიტელვტომ“. ყოველ გონიერსა და მტკიცე ნებისყოფის მქონე თვითმპყრობელ მონარქ მეფეს, ვინც კი სამეფოში ოდნავ მაინც პატრიოტულ მიზნებს ისახავდა, თავისი ცენტრალისტური ხელისუფლებისა და ყოველი მოხელის ავტორიტეტის გამაგრების სასარგებლოდ ამგვარი რამ უნდა ეთქვა და სამეფოს კანონდაც უნდა დაედვა, თუ არ მოეპოვებოდა იგი სამეფოს სამართალში. ცხადია, ერეკლე მეორესაც ასეთი მუხლი უნდა გამოემუშავა თავის სამეფოში მეტად გახშირებული „სალანძღველი წერილების“ ავტორების საწინააღმდეგოდ სამეფოს სამართლისათვის, მსაჯულთა სახელმძღვანელოდ, და ეს კანონი მას შეუღგენია კიდევც.

ამასთანავე, ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ მეფე ერეკლეს შემოულია ძველებური სასჯელი, რომელსაც, კერძოდ, დავით აღმაშენებელიც კი მიმართავდა თავის მეფობისას პოლიტიკურ ზომად მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების მოწინააღმდეგე პირის მიმართ, — სამშობლოდან განდევნა, ექსორია¹. მართლაც, ცნობილია ფაქტები, რომ ერეკლე თავის მეფობისას ასედაც იქცეოდა. მაგალითად, მან სამშობლოდან რუსეთში განდევნა თავისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მოწინააღმდეგე და ცილისმწამებელი ზაქარია გაბაშვილი (ბესიკის მამა); აგრეთვე, მის მიერვე საზღვარგარეთ გაძევებულ იქნენ სხვებიც.

ზემოხსენებულ პირთა გაძევებისას ერეკლეს მიერ, უეჭველია, გამოყენებული იყო ზემომოყვანილი კანონი და, ცხადია, მას ეს კანონი გამოუმუშავებია არა უგვიანეს 1767 წლისა, რადგან ზაქარია გაბაშვილი მის მიერ ამ წელს იქნა რუსეთს განდევნილი². ეს გარემოება კი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ „სალანძღველ წიგნთა“ შესახებ დავითის „მიმოხილვაში“ მოცემული არა მარტო 806-ე მუხლი, არამედ მთელი ეს თავი კანონ-წესებისა, მუხ. 803—

¹ მაგალითად, ცნობილია, დავით აღმაშენებელმა სამშობლოდან განდევნა განდგომილი დიდგვარიანი, მისი დიდი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ლიპარიტ ამირა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება ანანუელი ნუსხა, 1942, გვ. 205—206), თამარ მეფემ—გიორგი რუსი, და ა. შ.

² იხ. ერეკლე მეორის წერილი ყიზლარის კომენდანტისადმი, —საქ. მუხ. № $\frac{2801 \text{ Sd}}{3182 \text{ S}}$; ანტონ პირველის წერილი „სულიერსა პრავლენისა ყიზლარ ქალაქისასა“, —იმავე ხელნაწერში; და სხვა.

810, ერეკლეს მიერ გამომუშავებულია, უექველია, თავისი მეთაურობით არსებული კოლექტივის წევრთა შემწეობით, ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ განჩინებად 1760—61 წწ. ახალ ძეგლთა შორის. ამას მოწმობს შემდეგი საფუძვლები: 1) დავით ბატონიშვილს ეს დღემდე ჩვენთვის უცნობი კანონ-წესები გადმოწერილი აქვს „მიმოხილვაში“, ცხადია, ერეკლეს ერთ-ერთი, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი განჩინებიდან „სალანძღველი წიგნების“ შესახებ. 2) 1760—67 წლებამდე, 1750-იან წლებში და ადრეც, ერეკლეს ამ კანონ-წესების შეზღველი განჩინება არ შეიძლება ვიგულოთ და არც მოგვეპოვება სინამდვილეში. ხოლო 1760—67 წლებში, ზაქარია გაბაშვილის რუსეთს განდევნამდე, ერეკლეს მიერ ეს კანონ-წესები სახელმწიფო მსაჯულთათვის სახელმძღვანელოდ რომელიმე სამართლის ძეგლში უნდა ფიქსირებულიყო. ამიტომ ერეკლეს მიერ ისინი, უექველია, 1760—61 წწ. ძეგლთა შორის ერთ-ერთ საგანგებო განჩინებაში ჩაწერილ იქნენ, ცხადია, მის მიერვე 1791 წ. „განწესებანში“ ხსენებული ბეთალმანი მამულის გარდაცვლილი პატრონის „ქვრივისა და ობოლი ქალის“ შესახებ (თეიმურაზ მეორის თანაშემწეობით) „განწესებული“ კანონ-წესების განჩინებისა და ახალი სამართლის ერთი რიგი სხვა ძეგლების შექმნის პირობებში. სწორედ ამ ძეგლთა შესადგენად, როგორც ვიცით, მთელი კოლექტივი მუშაობდა ერეკლეს ხელმძღვანელობით 1760—61 წლებში. 3) ცნობილია ის ფაქტი, რომ 1779 წელს რუსეთში ა. ამილახვარის ზემოხსენებული პამფლეტის გამოცემის შემდეგ ერეკლე მეორე მოითხოვდა ეკატერინე მეორისაგან ამ წიგნის აკრძალვას. ჩანს, თვითონ ერეკლესაც თავის სამეფოში მანამ გამოცემული სათანადო კანონით აკრძალული ჰქონდა ამგვარივე ნაწარმოებები შესაფერისი სასჯელებით. ამასვე მოწმობს დავითის განცხადება: „...положены были на сочинителей сих писем нижеследующия наказания“ (მუხ. 804). 4) ერეკლე მეორის, ანტონ პირველისა და სხვათა მისამართით „სალანძღველი წიგნების“ წერა განსაკუთრებით 1755—1761 წლებში წარმოებდა. ამიტომაც, უექველია, 1760—61 წლებში დაწერა ერეკლემ განჩინება „სალანძღველი წიგნების“ შესახებ.

მთავრობის წარმომადგენელთა გარდა, მეფე ერეკლე იცავს სახელმწიფოში ყოველ მოქალაქესაც, კერძო პირთაც, „სალანძღველი თხზულებების“ ავტორებისაგან. ამგვარი შემთხვევისათვის ასეთი მუხლი მოიპოვება „მიმოხილვაში“ სასჯელის ზონად: „817. Те же, кои выдают поносительныя сочинения на лица частныя,

должны удовлетворить обиженного против 8-й части той пены, какая положена за кровь одного человека по Вахтангову Закону, и дать такой же штраф в казну“.

რა თქმა უნდა, კერძო პირის დაცვა „სალანძლევი წიგნის“ ავტორისაგან მხოლოდ მტკიცე ცენტრალისტური ხელისუფლების მატარებელ მონარქ მეფეს შეეძლო მაშინ ჩვენში და ამის უზრუნველსაყოფად ერეკლეს თავის 1760—61 წწ. განჩინებაში „სალანძლევი წიგნების“ შესახებ ეს მუხლიც შეუტანია. ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მის სახელმწიფოში „მშვიდობიანი“ ცხოვრებისათვის ყოველი მოქალაქე პირადი უფლებების დაცვას მოითხოვდა და საამისოდ, ცხადია, მას მაშინ საჭიროდ მიუჩნევია ზემომოყვანილი კანონის გამომუშავებაც.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა „მიმოხილვის“ თავიც „Безчестие—улатиоеба“, რომელშიც მოცემულია ორი მუხლი: „861. Безчестием полагаются все бранные и поносительные слова, сказанные в лицо. Действие сие неприлично и непростительно никому, поколику полагается в числе причин, нарушающих общественное спокойствие. Люди благородные за нарушение сего арестуются, нижние же воинские чины и чернь подвергаются телесному наказанию. Но когда к безчестию присовокуплены будут побои, тогда сверх сего виноватыи обязан удовлетворить обиженного осьмою частью пены, положенной за кровь по Вахтангову Закону. 862. Заочная же брань ни во что не вменяется и будет в нареkanie тому, кто ее произносит“. ამრიგად, ამგვარი კანონებითაც ერეკლეს მიერ მიზნად იყო დასახული „საზოგადოებრივი მშვიდობიანობა“. უეკველია, ეს მუხლებიც დავითს „მიმოხილვაში“ ჩაწერისას ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი განჩინების მიხედვით შეუდგენია.

უძველეს დროიდანვე მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების გამამაგრებელი საქართველოში, ჩვეულებრივ, სამღვდელოება იყო და ამ საქმეს ერეკლეს მეფობის დროსაც სამღვდელოების მოწინავე ნაწილი კათალიკოზ ანტონ პირველის მეთაურობით საუცხოოდ ახორციელებდა. ერეკლე ამ გარემოებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სათანადო ყურადღებას აქცევდა, რასაც მოწმობს მრავალი საისტორიო წყარო¹. ცხადია, ამიტომ და იმიტომ

¹ იხ. ა. რ. თ. გ. ა. ვ. ა. ს. ნაშრომი „ანტონ პირველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“, აგრეთვე „სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“, 1950.

მაც, რომ საერთოდ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება და ეკლესიის ავტორიტეტი განემტკიცებინა ქართველობისათვის, ერეკლეს ასეთი კანონიც დაუდგენია: „808. А кто напишет пасквиль на духовный или монашеский чин, наказывается вдвое, ибо, сверх личной обиды, нарушил должное уважение к религии“.

მაგრამ თვით მართლმადიდებელ ეკლესიაშიაც ხომ მოიპოვებოდნენ რენეგატები და მის დამცველთა შეურაცხმყოფელი ცილისმწამებელნი, რომელნიც თვით მეფის ტახტს ძველთაგანვე ებრძოდნენ და ერეკლეს მეფობის დროსაც განსაკუთრებით ხელგამოღებულნი იყვნენ თვით მისი მეფური ხელისუფლების, მისი „ძმა“ კათალიკოზ ანტონისა და სხვათა წინააღმდეგ? უპირველეს ყოვლისა, სწორედ ასეთების შესახებაა ერეკლეს მიერ 1760—61 წწ. განჩინებაში ჩაწერილი ის კანონი, რომელიც დავითს გვიან იქიდან „მიმოხილვაში“ გადმოუღია: მუხ. „809. Юди же духовного звания, изобличенныя в составлении пасквиля, судятся в Дикастерии и наказываются духовными канонами“. დიკასტერია ჩვენში სწორედ ერეკლეს მეფობისას შეიქმნა მისი „სულის ერთებრივი ძმის“¹, კათალიკოზ ანტონ პირველის მიერ და ჩვენთვის სრულიად გასაგებია რატომ უქვემდებარებს ერეკლე ასეთ პირებს საგანგებოდ დიკასტერიის კანონებს: ერეკლესეული სულისკვეთებითვე ანტონ პირველი და მისი მიმდევარი დისკასტერიის წევრები მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების ორგულსა და შემცოდებელ დანაშავეს სასულიერო პირებს დაუნდობლად, მკაცრად სჯიდნენ დიკასტერიაში მოქმედი საეკლესიო საგანგებო სამართლის მიხედვით. ჩვენს საარქივო დაწესებულებებში შემონახულ საეკლესიო კრებებისა და დიკასტერიის დადგენილებებში ამის შესახებ უამრავ ცნობებს ვპოულობთ².

როგორც ყოველი, ისე, კერძოდ, მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებისათვის ყოვლად მიუღებელი იყო ადგილობრივი თვითგასამართლებანი, თავისებური ლინ-

¹ ტ. გაბაშვილი, ანტონის „სპეკალის“ წინასიტყვაობა, — საქ. მუხ. № 1743 A.

² იხ. ზაქარია გაბაშვილისა და მის მიმდევართა გასამართლების მასალები, იონა გედევანიშვილის შესახებ მასალები და სხვა მრავალი, — საქ. მუხ.: № 2801 Sd/3182 S, № 2802 Sd/3182 S, № 2803 Sd/3182 S და სხვა; № 1543 S, გვ. 181—189; № 2510 H-ში შემონახული ასლი ანტონ პირველის წერილისა „კოსტანტინუპოლის პატრიარხთან“ და სხვა.

ჩის კანონები და კერძო პირთა შურისგება და სხვა მისთანანი. საამისოდ ერეკლეს სამეფოშიაც არსებობდა ადრიდანვე საქართველოში მოქმედი ასეთი კანონი: „598. Строго запрещается делать суд и расправу самим собою, поколику учреждены для сего особенныя места и правительства“. მაგრამ მეფე ერეკლეს თავის სამართალში „სალანძველ თხზულებასთან“ დაკავშირებით ასეთი მუხლიც გაუთვალისწინებია თვითგასამართლების შემთხვევაში: „810. Впрочем, и тем, против кого выдано было ругательное сочинение, строго запрещается самоуправство. В противном случае потеряют они право на удовлетворение, да и сами еще отпшлются к суду“.

ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, ერეკლე მეორის სამართალი მხოლოდ „სალანძველ წიგნთა“ შესახებ, რის მსგავსსა და თანატოლ შესატყვის კანონებს ერეკლეს მეფობის უწინარეს ქართულ ძეგლებში ჯერჯერობით მაინც ვერ ვამჩნევთ და, ალბათ, არც მოიპოვებოდა. ამასთანავე, არც დღემდე ცნობილ ერეკლესდროინდელ წყაროებში მოიპოვება ეს კანონები, მაგრამ, შექველია, ერეკლეს რომელიღაც ძეგლში ესენი ჩაწერილი ჰქონდა. XVIII ს. 50—60-იან წლებში, როგორც ითქვა, „სალანძველ წიგნთა“ წერა ქართლ-კახეთში დიდად გავრცელებული იყო და ერეკლეს, სრულიად ბუნებრივია, ზემომოყვანილი კანონები ამ მოვლენის შესახებ, თავისი კოლექტივის შემწეობით, 1760—61 წლებში გამოემუშავებინა. ამიტომ „სალანძველ წიგნთა“ შესახებ კანონები დავით ბატონიშვილს 1812—13 წლებში პეტერბურგში, უეკველია, ერეკლეს მიერ 1760—61 წწ. შექმნილი ერთ-ერთი განჩინებიდან აქვს „მიმოხილვაში“ გადმოწერილი 803—810 მუხლებად, იმგვარადვე, როგორც „მიმოხილვის“ ბევრი სხვა მუხლიც კანონ-წესებისა მან დაწერა ერეკლეს მიერ 1760—61 წლებშივე შექმნილი ახალი სამართლის სხვა ძეგლების მიხედვით.

6. მკვლავს მიერ ვახტანგის „დასტურლამალსა“ და „სჯულში“ მოცემული ზოგადი წესისა და კანონის შემცვლა ახლით

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, ერეკლე მეორე თავის სამეფოში მტკიცე მართლმსაჯულების დასამყარებლად ვახტანგ VI-ის „დასტურლამალსა“ და „სჯულში“ მოცემულ ზოგიერთ წესს თუ კანონს ცვლიდა ახლის შემოღებით. ამის სანიმუშოდ შეგვიძლია ქვემოთ მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი ერეკლეს მეფობის დროს არსებული ახალი კანონ-წესების და ვახტანგ

VI-ის სამართლის წიგნების სათანადო კანონ-წესების ერთმანეთი-სადმი შედარების საშუალებით. მაგრამ საამისოდ ჩვენ აქ, ზემო-თქმულთა გარდა, ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოკლედ მოვიყვანთ თქმულის საილუსტრაციოდ.

1) ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალში“ მოცემულია მდივანბეგის შესახებ ორი პარაგრაფი: „რ. მდივანბეგის გარიგე-ბისათჳს“ და „რა. მდივანბეგის ასალევისათჳს“¹. დავით ბატონი-შვილს კი თავის „მიმოხილვაში“ ორი თავი აქვს მოთაყსებული: „Мдиванбегн“, მუხ. 539—542, და „Преимущества и обязанности мдиванбегов“, მუხ. 543—552. ორივე თხზულების ეს ადგილები არათუ ტექსტობრივად არ შეესატყვისება ერთმანეთს, არამედ შინაარსობლივადაც კი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჯერ-ერთი, „დასტურლამალში“ ერთი მდივანბეგი ჩანს სამეფოში, დავითის ნაშრომში კი სამეფოს შვიდ ადგილას არიან მდივანბე-გები სამყოფლად მოხსენებული: „Мдиванбегн имеют свое при-сутствие: в Тифлисе, в Гори, в Телаве, Сигнахе, а татарские— в Казахе, в Шамшадиле и Борчадохе“ (მუხ. 545). ჩანს, ვახტანგ VI-ის შემდეგ, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მდი-ვანბეგთა ინსტიტუტს დიდი მნიშვნელობა მიეცა სამეფოში და ამი-ტომ მათი რიცხვი სამყოფელ თუნდაც შვიდ ადგილას შვიდზე მეტი ყოფილა, რადგან ზემოთ დასახელებულ ზოგიერთ ადგილას (მაგ., თბილისში) „მდივანბეგები“ იხსენიებიან ქვემოთ (მუხ. 546) დავი-თისვე მიერ². ამასთანავე, მდივანბეგის სამოხელეო ფუნქცია ერეკ-ლეს მეფობისას უფრო გაზრდილა ვახტანგ მეექვსის დროინდელი მდივანბეგის უფლებებთან შედარებით. ასე რომ „Мдиванбегн мо-гут присутствовать при всех судах царских“ (მუხ. 543), მათ ბრძოლის ველზე სამხედრო საბჭოშიაც კი ეკითხება მეფე აზრს

¹ იხ. პ. უმიკა შვილის რედაქციით 1886 წ. გამოცემული, გვ. 56—59.

² როგორც ვხედავთ, დავით ბატონიშვილი შვიდზე მეტ ადგილს არ ჩა-მოთვლის, თორემ გაცილებით მეტ მდივანბეგს გულისხმობს. მართლაც, თუ „XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლს ჰყავდა მხო-ლოდ ერთი მდივანბეგი, რომელსაც ყველა ქვეშევრდომის საჩივარი და სარჩელი უნდა გაერჩია“, შემდეგ მათი რიცხვი თვითმურახისა და ერეკლეს სამეფოებში თანდათან ძლიერ მატულობს. „XVIII ს. 80-იანი წლებიდან კი ქართლ-კახეთში იყო უკვე 13-ზე მეტი მდივანბეგი, რომელნიც სხვადასხვა კუთხეებში მოსამართ-ლეობდნენ. ამათგან ორი საგანგებოდ თბილისში იყო, დანარჩენი კი გორში, თელავსა და სხვაგან“ („საქართველოს ისტორიის“ მაკეტი, I, 1956 წ., გვ. 352), რომელთაგან დავითი მხოლოდ ზოგიერთს ჩამოთვლის სახელდობრ და არა ყველას.

(მუხ. 544), მათ ხელშია არა მარტო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები, არამედ იმდენად არიან აღჭურვილი მეფის მიერ ნდობით, რომ „...им вверяются тайны государственныя“ (მუხ. 548). მდივანბეგებს აქვთ თავიანთი შეხედულებისამებრ მოწყობილი კანცელარიებიც: „все сии мдиванбегии ко усмотрению своему составляют канцелярию для производства дел“ (მუხ. 547); ამასთანავე, „თბილისის მდივანბეგები“ სხვა მდივანბეგებზე უფროსი არიან ხარისხით: „между ними мдиванбегии тифлисские имеют степень старшинства“ (მუხ. 546), — მოგვითხრობს დავით ბატონიშვილი და ა. შ. სხვასაც. მდივანბეგისაგან ასეთ საქმიანობათა შესახებ „დასტურლამალში“ არაფერია თქმული და, ჩანს, ასეთი უფლებები და მოვალეობები მხოლოდ გვიან, ერეკლეს მეფობისას შეიძინა მდივანბეგმა. ამრიგად, უეჭველია, დავით ბატონიშვილი იცნობდა „დასტურლამალის“ ადგილებს მდივანბეგის შესახებ, მაგრამ მან თავის თხზულებაში მისი სამოხელეო ფუნქციები ერეკლესა და გიორგის მეფობის დროის მიხედვით უფრო დაწვრილებით წარმოგვიდგინა და სხვაგვარად აგვიწერა, ვიდრე ეს „დასტურლამალშია“ მოცემული. მდივანბეგის უფლება-მოვალეობანი ერეკლე მეორის მიერ მტკიცედ იყო განსაზღვრული სამეფოში უკეთ მართლმსაჯულებისათვის, ვიდრე ადრე. ამიტომ დავითმაც კონკრეტულად და უფრო მრავალმხრივ ეს გარემოება აგვიწერა თავისი თხზულების მუხლებში არა მარტო საკუთარი მუხსიერების წყალობით, არამედ, უეჭველია, ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი განჩინების მიხედვითაც ხელმძღვანელობით. ეს განჩინება კი ერეკლემ შექმნა, უეჭველია, პეტრე პირველის 1720 წ. 28 თებერვლის „Генеральный регламент“-ის იმ ადგილების ნაწილობრივი ზეგავლენით, რომლებიც „Юстиц-Коллегия“-ს შეეხება¹.

2) ქურდობა ვახტანგ მეექვსის დროინდელი სამეფოს სამართლითაც ისჯება და ერეკლეს დროინდელი სამეფოს სამართლითაც. მაგრამ ნაქურდალის ზღვევინება და სასჯელი ერეკლესა და გიორგის მეფობისას დიდად შეცვლილია წინანდელთან შედარებით. ამ მხრივ საყურადღებოა შევადაროთ ვახტანგის სამართლის წიგნებში მოცემული კანონები დავითის „მიმოხილვაში“ ჩაწერილ ერეკლესა და გიორგის დროინდელ კანონებს. ვახტანგ მეექვსეს „დასტურლამალში“ უწერია: „ქურდობა თუ საქართველოს მამულში

¹ ამის შესახებ იხ. ვრცლად გამოკვლევის ამავე თავში ქვეთავი 11.

შეაჩნდეს, შეიდეულად აზღვევინოს მოურავმან და ერთი ორად პატრონს მისცეს, სხუა საბატონოდ მოვიდეს. თუ სხვის ქვეყნის ქურდობა შეაჩნდეს, ერთი ორად აზღვევინონ, ერთი პატრონს მისცენ, და ერთი საბატონოდ მოიყუანონ. მოურავმან ძროხაზედ აბაზი გამოართვას საიასაულოდ, და რაც საბატონოდ მოვიდეს, ხუთის-თავს იმისგან მოურავი აიღებს¹. ვახტანგისვე „სჯულში“ კი ქურდობის შესახებ საგანგებოდ ცალკე „კარია“ მოცემული, მუხლებად 150—159. ნაქურდალის „შეიდეულად“ ზღვევინების შესახებ აქაცაა თქმული და სხვა. მაგრამ დავით ბატონიშვილის მიერ თავის „მიმოხილვაში“ ზოტანილი მუხლები 884—888 ტექსტობრივ განსხვავდება ვახტანგის ორივე სამართლისწიგნის შესატყვისი ხსენებული მუხლებისაგან და, ამასთანავე, შინაარსობლივადაც კი მხოლოდ ნაწილობრივ უდგება მათ: ბევრგან, რაც დავითის წიგნშია ამ ადგილას თქმული, იგი ვახტანგის სამართლის წიგნებში არ მოიპოვება და, პირიქითაც, ამგვარივე გარემოებას ვამჩნევთ ჩვენ ვახტანგის წიგნებშიაც დავითის წიგნთან შედარებით. ჩანს, ვახტანგ მეექვსის შემდეგ, ერეკლეს მეფობისას ქურდობის შესახებ ძველი კანონმდებლობის მუხლები დიდად შეცვლილა. მაგალითად, დავითის „მიმოხილვაში“ ნაქურდალის „შეიდეულად“ ზღვევინების შესახებ არის თქმული, როგორც ეს ვახტანგის სამართლის წიგნებშიცაა, მაგრამ, „მიმოხილვით“, ერეკლესა და გიორგის მეფობისას საგანგებოდ მეტ ყურადღებას აქცევენ რეციდიულ ქურდობას. მაშინ მეორე და მესამე ქურდობისას ნაქურდალია ზღვევა და ჯარიმა პროპორციულად იმდენჯერვე იზრდება, ხოლო მეტჯერ ქურდობისათვის ქურდი ხელს (მოქროთ) ჰკარგავს და წოდებრივ პატივსაც ღირსების აყრასთან ერთად. ზემოთქმულის შესახებ დავითის „მიმოხილვის“ ორ მუხლში ვკითხულობთ: „884. Все те, кои изблнчаютя в воровстве, вместо всякого другого наказания осуждаются до некторого известного времени на денежный штраф по нижеследующим распределениям. 885. За первое воровство платят в семь раз более против цены покраденного, за второе—вдвое, за третье—втрое, далее же [вор] лишается руки, без изъятия лица, и совлекается от своего звания и достоинства“. ამასთანავე, ნაქურდალის ზღვევინებისა და ჯარიმის გარდა,—„886. Сверх того, дворяне, чиновники, старшины и первейшие граждане подвергаются аресту в первой

¹ პ. უმიკაშვილის მიერ გამოც., გვ. 94.

раз на полмесяца, и так далее по вышесказанному расчислению (ე. ი. ორმაგად და სამმაგად ეზრდება დატუსალების დრო.—ა. რ.);
няжные же чины наказываются телесно“.

ამრიგად, ერეკლესა და გიორგის მეფობისას, ზემოხსენებული წესით ნაქურდალის ზღვევინებისა და ჯარიმის გარდა, ქურდობაზე სასჯელად დაკანონებული იყო რეციდივისტზე, საში შემთხვევის შემდეგ, ხელის მოკვეთა, განურჩევლად პიროვნებისა, წოდებრივი პრივილეგიების ჩამორთმევა და ღირსების აყრა; ხოლო ქურდობის პირველ სამ შემთხვევაში სასჯელიც თანდათან მატულობდა— ორმაგად და სამმაგად. ასე რომ აზნაური, მოხელე და სხვა პრივილეგირებული წრის პირი პირველად თუ ნახევარი თვით დატუსალებოდა, ხელმეორედ—ერთი თვით და მესამეჯერ კი—თვენახევრით ჰკარგავდა თავისუფლებას. ამასთანავე, ცხადია, დაბალი წრის წარმომადგენელთა ფიზიკური დასჯაც ამგვარადვე მატულობდა.

ერეკლეს თავის სახელმწიფოში კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების დასაცავად ეს კანონები ზომად იმიტომ შემოუღია თავისი ახალი სამართლის ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ განჩინებაში, რომ, დავითისვე სიტყვით ვთქვათ: „887. Мера сия в Грузин была необходима по местным обстоятельствам, ибо не было такого места, куда бы можно было сослать изобличившихся в сем непростительном преступлении; да и вредно бы было всякое другое действие для малолюдного сего края, между тем как важное количество штрафа могло удерживать людей в страхе и ограничивать от поползновения к воровству“.

ცნობილია, რომ ერეკლე მეორე ძლიერ იყო დაინტერესებული სახელმწიფოს შიგნით ყოველმხრივ მშვიდობიანობითა და ეკონომიური ცხოვრების, კერძოდ სასოფლო მეურნეობისა და სამრეწველო და სავაჭრო დარგების აღორძინებით ევროპულ წესზე. ცხადია, ასეთი მიზნის მქონე მეფეს კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა ყოველგვარი ქურდობისა და მიმოტაცებისაგან უნდა უზრუნველყო სამეფოს ახალი სამართლით. ამიტომ დავითის მიერ მოყვანილი ზემოხსენებული ახალი კანონები, რა თქმა უნდა, ამ საქმეს ემსახურებოდნენ კიდევ ერეკლეს სახელმწიფო მართლმსაჯულებაში.

აგრეთვე, ერეკლე მეორე ებრძოდა თავის სახელმწიფოში ყოველგვარ ძალადობას, ყოველი მოქალაქის შევიწროებასა და სხვას. ამიტომაც დავით ბატონიშვილს „მიმოხილვაში“, რომ

აქვე ჩაწერილი ასეთი ზოგადი ხასიათის მუხლიც: „597. В Грүзии все изобилующее в насилни, грабеже и разное осуждались на виселицу, без изъятия лица“. ერეკლეს მიერ სახელმწიფოში მიღებული „საქვეყნო“ ყოველგვარი „აღდგომითი“ ღონისძიებებისათვის ასეთი კანონიც იყო ერთ-ერთი ხელისშემწყობი საშუალება სამართლის დარღვი. ჩანს, ბოროტმოქმედ „ურჩთა“ დასაურევებლად და შინასახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად ასეთ შკაცრ სასჯელსაც მიმართავდა პატარა კახი თავისი ქვეყნის „უმჯობესისათვის“¹.

დავითი ზემომოტანილი მუხლების ჩაწერისას „მიმოხილვაში“, უეკველია, ძლიერ სარგებლობდა ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი განჩინებით.

7. ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ და დავითის „მიგონილვა“

„ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ძემან, სრულიად არაგვის საერისთაოს მპყრობელმან ვახტანგ, სანატრელის ჩვენის ძმის ბატონიშვილის ლეონისაგან მთებში დადებული განჩინება ხელმეორედ განვაახლეთ და რაედენნიმე ჩვენ მიერ განწყებულებიც თან ჩაურთევით“, — წერს ვახტანგ ბატონიშვილი 1782 წ. 14 ოქტომბერს დასაწყისშივე სამართლის ძეგლისა, რომელიც ატარებს სათაურს „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“.

ეს ძეგლი ე. თაყაიშვილის მიერ ორჯერ გამოიცა², ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“ მოკლედ განხილულ და შეფასებულ იქნა „ეს საყურადღებო ძეგლი“, როგორც „არაგვის ხეობის სასამართლო წიგნი“³. დაწვრილებითი ანალიზი ამ ძეგლისა როგორც გამომკვებელს ე. თაყაიშვილს, ისე მის გამომკვლევს ივ. ჯავახიშვილს და არც ვინმე სხვას დღემდე რავიანთ ნაშრომებში არ მოუციათ. ამიტომ ჩვენ შევეცდებით მხოლოდ დავით ბატონიშვილის „მიმოხილვასთან“ დაკავშირებით განვიხილოთ ეს მართლაც საყურადღებო სასამართლო წიგნი.

ლევან ბატონიშვილი არაგვისხევის საუფლისწულოს მპყრობელად ჩანს, დღემდე ცნობილი საისტორიო წყაროების მიხედვით,

¹ ანტონ პირველი, „ლეთის-მეტყულების“ II ტომის წინასიტყვაობა, თ. „ბ“, § 17, —საქ. მუხ. № 3658 S, და სხვა ნაწარმოები.

² საქართველოს სიძველენი, პირველი გამოც.—ტ. I, გვ. 203—208, ხოლო მეორე გამოც.—ტ. I, წ. I, 1920, გვ. 192—196.

³ ივ. ჯავახიშვილის დასახ. ნაშრომი, წ. I, 1928, გვ. 125.

ლაშქარს ნუ შეიყრის და მკუ-
ლელს ნუ დალაშქრავს, და ნურც
თვითან ეცდება იმისს სიკუ-
დილსა, ჩვენს სამართალში მო-
ვიდეს და სამართალი მიეცემა.
თუ ჯარით დალაშქრავს და ან
სხვა რიგად მოინდომებს რასმე
იმის გარდაცდევინებას, იმ მკუდ-
რის სისხლსაც ჩაუტარებთ, და
რომელიც კაცი იმას დალაშქრად
მიჰყვება, იმასაც ჯარიმას წავარ-
თმევთ, და უჩვენოთ იმასთან
საქმის გასარიგებლად ბჭეებიც
ნუ დაუხსნდებიან, თორემ ბჭეებ-
საც დიდად ავად მოვეპყრობით“.

вред и смертоубийство, осуж-
дается наравне с начинателем.
Если же при сем случае сам
будет убит или ранен, тогда
виновный в его смерти, хотя и
не подвергается никакому осу-
ждению, но во очищение со-
вести понесет епитимию“.
„318. Всякое насилие, в каком
бы то роде и виде ни было,
запрещается. 319. Но важнос-
ти дела, избялченный в сем
преступлении подвергается на-
казанию“. 598. Строго запре-
щается делать суд и расправу
самим собою, покоянку учреж-
дены для сего особенныя места
и правительства“.

ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „განჩინების“
წერისას ამ შემთხვევაში, ცხადია, ემყარებიან ერეკლეს მეფობის
1778—1782 წლებანდეც არსებულ სამეფოს სამართლის იმ კანონ-
წესებს, რომლებიც დავით ბატონიშვილის მიერ გვიან, 1812—13
წლებში, „მიმოხილვის“ შემოხსენებულ მუხლებში ჩაწერილ იქნა
განსაკუთრებით ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი,
ჩვენთვის მოუპოვებელი განჩინების მიხედვით.
ამრიგად, ლევანი და ვახტანგი „განჩინების“ „ა“ მუხლის წერისას,
ხოლო დავითი „მიმოხილვის“ შემოხსენებული მუხლების წერისას,
უქვევლია, სარგებლობენ განსაკუთრებით ერეკლეს შემოხსენებული
განჩინებით, ამასთანავე, დავითი „მიმოხილვაში“ შემოხსენებული
მუხლების ჩაწერისას, ცხადია, იცნობდა თავისი ბიძების „განჩინე-
ბის“ შემომოტანილ მუხლს. მაგრამ „განჩინების“ ამ ადგილსა და
„მიმოხილვის“ შემომოტანილ მუხლთა შორის შინაარსობლივი შე-
სატყვისობა აიხსნება უფრო მეტად მათი საერთო წყაროთი,—
უქვევლია, ერეკლეს შემოხსენებული განჩინების სათანადო ადგი-
ლებით, ვიდრე დავითის მიერ „მიმოხილვის“ ამ ადგილთა წერი-
სას ბიძების „განჩინებიდან“ სარგებლობით.

ლევანისა და ვახტანგის
„განჩინება“

დავითის „მიმოხილვა“

„ბ) ქ. თუ ვისმე უქორწილოდ ქალი ჰყვანდეს მიყვანილი ცოლად, ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწეროს იმ ქალზედ და ან ახლავ კელი უნდა აილოს. თუ შეუტყვევით, რომ რომელსაც ქალი შინ მიყუანილი ცოლად ჰყოლია და იმაზედ ჯვარდაუწერელი ყოფილა, იმას ჩვენზედ შეცოდებასაგით მოვიკითხავთ, და ქალის პატრონი, რომელიც თავისს ქალს ჯვარდაუწერელს მისცემს, იმასაც ავად მოვეპყრობით. ჯვარდაუწერელად ქალის შინ მიყვანა არ იქნება“.

„961. Таинство брака установлено самим богом при начале мира“. „983. По государственным узаконениям, распутные, изобличённые в блуде и прелюбодеянии женщины предаются епитимии и церковному покаянию“.

აგრეთვე ამ შემთხვევაში, ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, მხედველობაში მისაღებია „მიმოხილვაში“ კათალიკოზისა და სხვა არქიერთა შესახებ მოცემული მუხლები 44, 55, 57, 60 და 61, ერეკლეს მეფობის დროს მოქმედნი.

ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „განჩინების“ წერისას ამ შემთხვევაში ემყარებიან ერეკლეს მეფობის დროსვე, 1778—82 წლებამდეც არსებულ სამეფოს სამართლის იმ კანონ-წყესებს, რომლებიც დავით ბატონიშვილის მიერ 1812—13 წლებში „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ მუხლებში ჩაწერილ იქნა ერეკლეს მიერ სანქცირებული ძველი, ვახტანგის კრებულის ძეგლებიდან და სხვათაგან შემონარჩუნებული, და ახალი, თვითონ ერეკლეს მიერ თანდათან შექმნილ-გამოცემული ძეგლებით, მოქმედი „საქართველოს სამართლის“¹ მიხედვით. ამრიგად, ლევანი და ვახტანგი „განჩინების“ „ბ“ მუხლის შედგენისას, ხოლო დავითი „მიმოხილვის“ ზემოხსენებული მუხლების ჩაწერისას სარგებლობენ ერეკლეს მეფობისას ქართლ-კახეთში მოქმედი, ძველი და ახალი „საქართველოს სამართლის“ ზოგიერთი ძეგლით. ამასთანავე, დავითმა „მიმოხილვაში“ მუხ. 961 და 983-ის ჩაწერისას, რა თქმა უნდა, იცოდა თავისი ბიძების „განჩინების“ ზემომოტანილი „ბ“ მუხლი. მაგრამ „განჩინების“ ამ მუხლისა და „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ

¹ ერეკლე მეორე, 1791 წ. „განწესებანი...“, მუხ. „მზ“; აგრეთვე იხ. მისი ახალი სამართლის ძეგლები: „განჩინებები“, „ბრძანებები“, საეკლესიო კრებების დადგენილებები და სხვ.

მუხლთა შორის შინაარსობლივი შესატყვისობა აიხსნება უფრო მეტად მათი საერთო წყაროებით,—უქველია, ერეკლეს მეფობის-დროინდელი, ძველი და ახალი, მოქმედი „საქართველოს სამართლის“ ზოგიერთი ძეგლის ერთი და იგივე სათანადო ადგილებით, ვიდრე დავითის მიერ „მიმოხილვის“ ამ მუხლების წერისას ბიძების „განჩინებიდან“ სარგებლობით.

ლევანისა და ვახტანგის დავითის „მიმოხილვა“
„განჩინება“

„დ) ქ. თუ რომელიც ქვრივს დაიძახებს კაცი ვინმე, იმასაც ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ. დღეის იქით დაძახებით ქვრივის შერთვა აღარ იქნება არას კაცისაგან. რომლისაც კაცის შერთვა ქვრივის ნება იყოს, ის უნდა შეერთოს“.

„889. Вдовы имеют совр-шенную свободу по произво-лению и выбору своему всту-пать во второй брак...“

აგრეთვე, ერეკლეს მეფობისას არსებობდა ქალთადმი ძალ-დატანების წინააღმდეგ საგანგებო კანონ-წესები, რომლებიც დავითს „მიმოხილვაში“ გადმოცემული აქვს 891—895 მუხლებში.

ლევანისა და ვახტანგის „განჩინების“ და დავითის „მიმოხილვის“ შემოხსენებული მუხლების შესატყვისი ადგილები არ მოიპოვება დღემდე შემონახულ, ერეკლეს მეფობის უწინარეს სამართლია ძეგლებში. ეს გარემოება ბუნებრივიცაა: ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „განჩინების“ წერისას ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ემყარებიან ერეკლეს მეფობის დროსვე, 1778—82 წლებამდეც არსებულ სამეფოს სამართლის იმ კანონ-წესებს, რომლებიც დავით ბატონიშვილის მიერ 1812—13 წლებში „მიმოხილვის“ შემოხსენებულ მუხლებში ჩაწერილ იქნა, უქველია, განსაკუთრებით ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი განჩინების მიხედვით. ამრიგად, ლევანი და ვახტანგი „განჩინების“ „დ“ მუხლის შედგენისას, ბოლო დავითი „მიმოხილვის“ შემოხსენებული მუხლების ჩაწერისას სარგებლობენ განსაკუთრებით ერეკლეს შემოხსენებული განჩინებით. ამასთანავე, დავითს „მიმოხილვის“ 889-ე მუხლის წერისას მხედველობაში, უქველია, ექნებოდა თავისი ბიძების „განჩინების“ შემომოტანილი „დ“ მუხლიც.

როგორც ითქვა, „დაძახებით ქვრივის შერთვის“ აკრძალვის შესახებ კანონი დღემდე შემონახულ, ერეკლეს მეფობის უწინარეს

სამართლის ძეგლებში არ გვხვდება. „დაძახებით ქერივის შერთვა“ არაგვისხევში ერეკლეს მეფობისას (და, ალბათ, ადრედაც) ხალხს ჩვეულებად ჰქონია. აშკარაა, ქალის უფლების შემზღუდველი, თავისებური ძალადობის ეს წესი არაგვისხევში ლევან და ვახტანგ ბატონიშვილებს ერეკლეს სამეფოს ზემოხსენებული კანონების მიხედვით აუკრძალიათ 1778—82 წლებში „განჩინების“ „ღ“ მუხლით.

ლევანისა და ვახტანგის „დავითის“ „მიმოხილვა“
„განჩინება“

„ე) თუ ჩვენის ბრძანების წინააღმდეგი შეიქნას კაცი ვინმე, ის... თავისმა სოფლის კაცმა და თავისმა მოწყლემ უნდა დაიქიროს და დაქერილი ჩვენთან უნდა მოიყუანონ“ და სხვა.

„ვ)“: სხვა სოფელში თუ არის დასაქერი პიროვნება, იქაურმა მოხელემ და მოსახლეობამ უნდა დაიქირონ იგი.

„565. Закон божий повелевает иметь повинование к власти пре[д]ержашей... 566. По чему все состояния, составляющие общее государственное тело, непременно должны повиноваться правителям и местам, властью законодательную установленным и устанавливаемым. 567. Нарушители наказываются строго“ და სხვა.

ლევანისა და ვახტანგის „განჩინების“ „ე—ვ“ მუხლების პარალელურად საყურადღებოა დავითის „მიმოხილვის“ მთელი თავებიც: „Царские грамоты и указы—цхалобис цигნისა და окмისა“ (მუხ. 826 — 831), „Об ослушниках—урчта“ (მუხ. 873) და „[Ослушники по призывам судейским и царским]“ (მუხ. 739—740).

დავითის „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ თავებში შემავალი ზოგიერთი კანონი და წესი, რა თქმა უნდა, ერეკლეს მეფობამდეც სამართლის წიგნებში გვხვდება, მაგრამ ზოგიერთი მაინც, აშკარად ჩანს, ერეკლეს მეფობისას იქნა შედგენილი და, ცხადია, მაშინ ყველა ერთად, ასე თავმოყრილად, სამართლის დარგში სახელმძღვანელოდ რომელიღაც სამართლის ძეგლებში იყო ჩატანი-

ლი. ამგვარი, ჩვენთვის დღემდე უცნობი მთელი რიგი სამართლის ძეგლები ერეკლეს მეფობისას, უეჭველია, ერეკლეს მიერვე განსაკუთრებით 1760—61 წლებში, თავისი კოლექტივის წევრთა დახმარებით, და შემდეგაც, თავის იურისტთა შემწეობით, იყო შექმნილი. ლევანი და ვახტანგი თავიანთ „განჩინებაში“ „ე“ და „ვ“ მუხლების ჩაწერისას ემყარებიან ერეკლეს მეფობის დროსვე, 1778—82 წლებამდეც არსებულ საშეფოს სამართლის იმ კანონ-წყესებს, რომლებიც დავით ბატონიშვილის მიერ 1812—13 წლებში „მიმოხილვის“ შემოხსენებულ თავებსა და მუხლებში ჩაწერილ იქნა განსაკუთრებით ერეკლეს 1760—61 წწ. და შემდეგ შექმნილი მთელი რიგი ახალი ამ ძეგლების მიხედვითაც. მაშასადამე, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „განჩინების“ „ე“ და „ვ“ მუხლების შედგენისას ცოტათი მაინც სარგებლობდნენ ერეკლეს მთელი რიგი ახალი ამ ძეგლებით, იმგვარადვე, როგორც უფრო ვრცლად გვიან ისარგებლა მათმა ძმისწულმა დავითმა ამ ძეგლებიდანვე „მიმოხილვაში“ შემოხსენებული თავებისა და მუხლების ჩაწერისას. ამასთანავე, დავითმა „მიმოხილვაში“ შემოხსენებულ ადგილთა წერისას, რა თქმა უნდა, იცოდა თავისი ბიძების „განჩინების“ შემოხსენებული მუხლებიც. მაგრამ, ამ შემთხვევაშიაც, „განჩინების“ ამ მუხლებსა და „მიმოხილვის“ შემოხსენებულ ადგილთა შორის შინაარსობლივი შესატყვისობა აიხსნება უფრო მეტად მათი საერთო წყაროებით,—ერეკლეს მეფობისას მოქმედი როგორც ძველი, ისე ახალი სამართლის ზოგიერთი ძეგლის სათანადო ადგილებით, ვიდრე დავითის მიერ „მიმოხილვის“ ამ ადგილთა წერისას ბიძების „განჩინებიდან“ სარგებლობით.

ლევანისა და ვახტანგის დავითის „მიმოხილვა“
 „განჩინება“

„(C) [დ]ღის იქით ტყუილად საჩივარი და ტყუილად წადავება ვისიმე აღარ იქნება სამართალში გამტყუნებულისაგან... თუ ის საბუთები კეშმარტი არ არის და ტყუილად წადავება და სამართალში გაივლის, დიდად გარდავახდევინებთ“.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა თავი „Ложные доносители. 280. Ложные доносители и все те, кои не докажут своего извета, подвергаются тому же наказанию, какому подлежал бы обвиненный ими“. ამას თანავე საყურადღებოა მეორე თავი „Клевета и клеветники—ога-

ლო. 731 (bis). Клевета часто навлекает вред обществу и бывает причиною к угнетению невинности. Клеветники наказываются строго; их осуждают на то самое наказание, какому подлежал обвиняемый ими“. აგრეთვე, „მიმოხილვის“ თავი „Насилие“-დან ორი მუხლიც შეესატყვისება „განჩინების“ „შ“ მუხლს: „322... Помещичьим крестьянам, в случае притеснения их господ, разрешается право приносить на них жалобы в суд. 323. Тогда обязанностию суда будет рассматривать и удовлетворять обиженного, или наказывать за несправедливость извета“.

მართალია, გლეხს თავისი ბატონისაგან მიმძლავრების შემთხვევაში სამეფო სასამართლოში ჩივილის უფლება ერეკლეს მეფობის დრომდეც ჰქონდა, რაც ადრინდელი მრავალი სამართლის ძეგლითა და დოკუმენტით დასტურდება, თანაც ისიც ვიცით, რომ ერეკლეს მეფობის დრომდეც ოღალოს შემთხვევაში დამნაშავე სამართლით ისჯებოდა. მაგრამ იმ დრომდე ყველა ასეთი შემთხვევა ასე გარკვევით და კანონ-წესებში ჩამოყალიბებითა და გააზრებით არც ერთ ქართულ სამართლის წიგნში არ არის მოცემული. ეს კანონ-წესები ასე ჩამოყალიბებითა და გააზრებით ერეკლეს მიერ უთუოდ შეტანილი იყო თავის 1760—61 წწ. ან შემდეგი დროის ერთ თუ ორ, ჩვენთვის დღემდე უცნობ განჩინებაში და უთუოდ ამ კანონ-წესებზე დაყრდნობით შედგენილ იქნა ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების „განჩინების“ მუხ. „შ“ არაგვისხეველთათვის. ამასთანავე, ცხადია, დავით ბატონიშვილს ზემოხსენებული თავების შედგენისას უსარგებლია ერეკლეს ამ ერთი თუ ორი განჩინების მიხედვით, თანაც სკოდნია თავისი ბიძების „განჩინების“ ზემომოტანილი მუხლიც. მაგრამ, ამ შემთხვევაშიაც, „განჩინების“ ამ მუხლსა და „მიმოხილვის“ ზემომოტანილ ადგილთა შორის შინაარსობლივი შესატყვისობა აიხსნება მათი საერთო წყაროთი,—

განსაკუთრებით ერეკლეს ზემოხსენებული ერთი თუ ორი განჩინების სათანადო ადგილებითვე, ვიდრე დავითის მიერ „მიმოხილვის“ ამ ადგილთა წერისას ბიძების „განჩინებიდან“ სარგებლობით. ამასთანავე, როგორც ლევანი და ვახტანგი თავიანთი „განჩინების“ წერისას, ისე დავითი „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ ადგილთა შედგენისას უშუალოდ იცნობდნენ ერეკლეს მეფობისას მოქმედი ძველი სამართლის ძეგლების ზოგიერთ შესატყვის ადგილსაც.

ლევანისა და ვახტანგის დავითის „მიმოხილვა“
„განჩინება“

„თ) ქ. ლმერთმან ნუ ქნას, თუ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწყდეს, ან შეილი, ან ძმა არ დარჩეს, იმის მამულს ნურვინ დაიჭერს, თუ უნდა გაყრილი ძმაც ჰყუანდეს, მანამდის ჩვენ არ მოგვახსენოს, მანამდის ის მამული ისევ ბეთალმნად უნდა იღვას; მოგელე მოვიდეს, მოგვახსენოს, და როგორც ჩვენ უბრძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს“.

აქვე საყურადღებოა 1791 წ. „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თუსთაღში სამეფოხასათუს საქართველოვსა“: „მზ) ბეთალმანი თავადისა და აზნაურისა მამულისათვის, თუ როგორც უნდა ქნან ძმებმა, ეს უნდა რომ პირველად სახასოდ დაიდვას, როგორც საქართველოებში რიგი არის და მასუკან ბატონმა და ძმებმა, თუ ამჯობინონ გაცემა, გასცენ მებატონემ, და თუ იქილამ ფეშქაში შემოვიდეს რამე, ორი წილი მეფეს და ერთი

თავი „Въморочныя имения. 204. Князья, дворяне и всякого состояння люди, естли по смерти не оставят в роде своём наследников, то имения их описываются в казну. 205. А естли после кого-[нибудь] останется жена, то она получает из всего восьмую часть. 206. С имениями казённых поселян поступаетя точно таким же образом, но токмо с тою разностию, что вдова пользуется уже целою половиною из всего движимого, оставшегося после мужа, равно и всем своим приданным, а недвижимое обращается на царя“.

ჩვენ ზემოხსენებული მუხლების მოტანა ერთხელ მოგვიხდა გამოკვლევაში ზემოთ, III თავის პირველ ქვეთავში. აგრეთვე, იქვე, ერეკლეს „განწესებათა“ „მზ“ მუხლში თქმული ბეთალმანი მამულის ყოფილი პატრონის „ქვრივისა და

ძმებს. და, თუ იმ მამულზე ქვრივი და ობოლი ქალი დარჩეს, ქვრივმა რაც იმ მამულს შეძლება ჰქონდეს, თავისი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან, როგორც მამის ჩემისაგან განწესებულია და ჩემგან საქართველოს სამართალში, ობოლსაც და ქვრივსაც, ისე უნდა არჩინონ იმ წესით, როგორც არის განწესებული. თავადისა და აზნაურიშვილისა სხვა რიგად არის და გლეხისა სხვა რიგად არის“,—წერს ერეკლე მეორე¹.

ჩვენ მიერ შემოხსენებულ ქვეთავშივე აღინიშნა ის გარემოება, რომ ერეკლეს მეფობის დრომდე შექმნილ, დღემდე შემორჩენილ სამართლის ძეგლებში „მიმოხილვის“ შემოხსენებული 11 მუხლის კანონ-წესები საერთოდ არ მოიპოვება (გაკვირით თუ შეესაბამება რომელიმე ძეგლის ტექსტს) და, ერეკლეს მოწმობისამებრ, ეს კანონ-წესები მის და მამამისის—თეიმურაზის მიერ იქნენ შეტანილი 1760—61 წლების თავიანთ განჩინებაში ბეითალმანი მამულის გარდაცვლილი პატრონის „ქვრივისა და ობოლი ქალის“ შესახებ ამასთანავე საყურადღებოა, რომ დავით ბატონიშვილის მიერ „მიმოხილვაში“ არა მარტო შემოხსენებული 11 მუხლი არის შედგენილი ერეკლეს 1760—61 წლების ამ განჩინების მიხედვით, არამედ, როგორც წინამდებარე გამოკვლევაში საბოლოოდ დავრწმუნდებით, ერეკლეს ახალი სამართლის 300-ზე მეტი მუხლი კანონ-წესებისაგან, 100-ზე მეტი მუხლი ჩვენთვის დღემდე ცნობილი ძეგლებიდან, ხოლო 200-ზე მეტი—უცნობი ძეგლებიდან აქვს მას „მიმოხილვაშივე“ გადმოღებული.

როგორც თვითონ ერეკლე თავის 1791 წ. „განწესებანში“ „მზ“ მუხლის წერისას ხელმძღვანელობდა, ისე ლევან და ვახტანგ ბატონიშვილებიც თავიანთი „განჩინების“ „თ“ მუხლის შედგენის დროსაც, 1778—82 წლებში, უთუოდ ხელმძღვანელობდნენ თავი-

¹ ეკვ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, ტ. I, წ. I, 1920, გვ. 217.

ანთი მამის—ერეკლეს 1760—61 წწ. ზემოხსენებული განჩინებით. ამასთანავე, ერეკლეს „განწესებათა“ „მზ“ მუხლს, ლევანისა და ვახტანგის „განჩინების“ „თ“ მუხლსა და „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ მუხლთა შორის შინაარსობლივი შესატყვისობა აიხსნება უფრო მეტად მათი საერთო წყაროთი—ერეკლეს 1760—61 წწ. ამავე განჩინების სათანადო აღგილებითვე, ვიდრე დავითის მიერ „მიმოხილვის“ ამ აღგილთა წერიასს თავისი პაპის „განწესებათა-გან“ და ბიძების „განჩინებიდან“ სარგებლობით, თუმცა დავითი მშვენიერად იცნობდა ერეკლეს „განწესებათა“ ამ მუხლს („მზ“), ისე, როგორც თავისი ბიძების „განჩინების“ ზემომოტანილ („თ“) მუხლს.

ლევანისა და ვახტანგის დავითის „მიმოხილვა“
 „განჩინება“

„ი) ქ. ნურცავინ ჩვენი ყმა საყდრის მამულს იყიდის და ნურც საყდრის ყმა ჩვენის ყმის მამულს. დღეის იქით თუ იყიდის ვინმე, იმ მამულზედაც კელს ავალებინებთ და თავისსა მამულსაც წავართმევთ“.

მუხ. 126. Крестьяне „церковные составляют достояние церкви. Они пожалованы царями или принесены в дар богу благочестивыми вкладчиками. Собираемыми с их доходами поддерживаются и возобновляются здания монастырския и церковные и содержатся служители алтарей господних с их причтами“. ამასთანავე აღსანიშნავია მთელი თავი „Управители церковные. 325. Управителей церковных есть обязанность пещись о сохранении и приращении достояния церкви. Все те, кои изобличатся в небрежении о устройстве именованных и посвящаемых храму господню, равно и те, кои святотатственною рукою дерзнут присвоивать и расхищать стяжание церкви,

навсегда отторгаются и изгоняются от своих мест. 326. Духовенство и люди монашеского чина судятся соборными и церковными правилами, а лица светские подвергаются изгнанию гражданского суда. 327... Им также строго запрещается собственность церкви, в каком бы не было соотношении, продавать, променивать, ни даже отдавать на время, чтобы не навлечь в таком случае праведного гнева божия. 328. Все утраченное и разстроенное по прежнему возвращается храму, а виновные изгоняются от места и лишаются своего достоинства“. აქვე აღსანიშნავია 125-ე მუხლში ნათქვამი: Крестьянами „дворцовыми называются все те поселения, кои принадлежат лично царю и царскому дому. Они составляют уделы членов царского дома“.

დავით ბატონიშვილის მიერ „მიმოხილვაში“ ხსენებული „სასახლის“ ყმა-გლეხები, ცხადია, იგულისხმებიან „სასახლის“ მიწებზე მიმაგრებულად, იმგვარადვე, როგორც „საყდრის“ ყმა-გლეხები არიან მიმაგრებული „საყდრის“ მიწებზე, მათ, „მამულეებზე“. მთელი ეკლესია ბატონ-პატრონია საყდრის ყოველგვარი დოვლათისა, მათ შორის მისი ყმა-გლეხებისა და მიწებისა, და ვინმეს მიერ მისი საკუთრებიდან გლეხის ან რაიმე საქონლის გაყიდვა (მით უფრო, მეფის დაუქითხავად) ან მითვისება და სხვა მისთანანი „სასტიკად აკრძალულია“ და კანონით ისჯება კიდევ. ამგვარადვე „სასახლის“ ყმა-გლეხები „მიეკუთვნებიან პირადად მეფეს და სამეფო სახლს. ისინი წარმოადგენენ სამეფო სახლის წევრთა სამფლობელოებს (უделы)“, ცხადია, ამავე „სასახლისეული“ მათი

„მამული“ მიწა-წყლით. ამასთანავე, დავითის მიერ „მიმოხილვაში“, როგორც ზემომოტანილ მუხლებში, ისე სხვაგანაც, არაერთხელ გარკვევით აღნიშნულია ერეკლესა და გიორგისდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს კანონ-წესების ჩაწერით ის გარეწობა, რომ „საყდრის“ ანუ „საეკლესიო“ ყოველგვარი საკუთრება რომელიმე პირისაგან ხელშეუხებელია. ამგვარადვე, ზემომოყვანილის გარდა, „მიმოხილვაში“ დავითის მიერ ჩაწერილია „სამეფო სახლის“ წევრთა საერთო და კერძო საკუთრებრივი იმტერესების დამცველი სხვა კანონ-წესებიც.

დავითს ყველა ეს კანონ-წესი ერეკლესა და გიორგის მეფობის დროს მოქმედად აქვს ჩაწერილი. მაგრამ, ცხადია, ეს კანონ-წესები ერეკლეს მეფობის დრომდეც მოქმედი იყვნენ ქართული სამეფოს სამართლის დარგში, რასაც მოწმობს მრავალი საისტორიო წყარო, მათ შორის ზოგიერთი აღრიხიანი სამართლის წიგნიც, რომლებიც ერეკლესა და გიორგის მეფობისას მეტნაკლებად სახელმძღვანელოდ იყო მიღებული მართლმსაჯულებაში (ვახტანგ VI-ის „სჯული“, „დასტურლამალი“ და მის კრებულში შემავალი ნათარგმნი ნაწარმოებები). ასე რომ ლევან და ვახტანგ ბატონიშვილებს „განჩინების“ ზემომოტანილი მუხლის წერისას და დავითსაც „მიმოხილვაში“ ზემოხსენებული მუხლების ჩაწერისას შეეძლოთ ამ აღრიხიანი სამართლის წიგნებით და, აგრეთვე, ზეპირსიტყვიერი ტრადიციული გადმოცემებითაც ეხელმძღვანელათ. მაგრამ, უფრო საფიქრებელია, „მიმოხილვაში“ შესული ეს კანონ-წესები ერეკლეს 1760—61 წწ. ან შემდეგი დროის თავის ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ განჩინებაში ამგვარადვე თავმოყრილად ჰქონოდა და როგორც ლევანსა და ვახტანგს, ისე დავითსაც ამ ძეგლით უფრო ესარგებლათ, ვიდრე სხვა რამით თავიანთი ნაწარმოებების ზემოხსენებულ აღდგენას შედგენისას. ამასთანავე, „განჩინების“ „ი“ მუხლსა და „მიმოხილვის“ ზემომოტანილ მუხლთა შორის შინაარსობრივი შესატყვისობა აიხსნება საერთო ამ წყაროებიდან მათი მომდინარეობით.

ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები, როცა „განჩინების“ „ი“ მუხლში ბრძანებენ: „ნურცავინ ჩვენი ყმა საყდრის მამულს იყიდის და ნურც საყდრის ყმა ჩვენის ყმის მამულს“-ო, ამით ისინი ებრძვიან „სამეფო სახლისა“ და მისი წევრის—უფლისწულის ქონების გაღმსვლას „საყდრის“ ხელში და, მეორე მხრითაც, „საყდრის“ ანუ „საეკლესიო“ ქონების გადასვლას სხვის ხელში. მათ ეს საქმე-

ები ევალეზოდანთ კიდევ თავიანთ საუფლისწულოში (არაგვისხევში), პირველ შემთხვევაში—როგორც „სამეფო სახლის“ წარმომადგენლებს, ხოლო მეორე შემთხვევაში—როგორც სამეფო ხელისუფლების მთავარ რწმუნებულებს და, მოვალეობისამებრ, ეკლესიის ინტერესების დამცველებს სამეფოს გარკვეულ მხარეში. ლევანი და ვახტანგი ორივე შემთხვევაში განსაკუთრებით სახელმწიფო ინტერესებს იცავენ მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების სასარგებლოდ და ბუნებრივია, რომ ისინი ერეკლეს სამეფოს ზემოხსენებულ კანონ-წყესებს რომ დაყრდნობიან თავიანთი „განჩინების“ „ი“ მუხლის შედგენისას.

ლევანისა და ვახტანგის „განჩინება“

„იგ) ქ. თუ სახასოს კაცის მამულს აზნაურშვილი, თუ სხვა მოკვლე ვინმე იყიდის ჩვენს შეუტყობლად, იმ აზნაურშვილს დიდად უწყენთ. თუ სყიდვის მოწადინე იქნება, მოვიდეს, იმ აზნაურშვილმა ჩვენ მოგვახსენოს; თუ მუნასიბი იქნება; ჩვენ გავსინჯავთ და ჩვენის დასტურით იყიდოს ის მამული“.

აქვე საყურადღებოა 1791 წ. „განწყესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსთადმი სამეფოადასათვს საქართველოსა“ ში თქმული: „კე) ქალი რომ გაათხოვონ, იმ ქალის მამა და დედამა, რაც შეეძლოთ. მზითევი მისცენ და მეფემ და სხვა ძმებმა უნდა შეაწიონ მართებულათ თავთავის წილის მეტობით და მცირობით და მზითვის ყულულღი და მოახლე თავისის წილის მამულიდამ უნდა გაატანონ მამამ და დედამ და ძმებმა. სახა-

დავითის „მიმოხილვა“

„124. Казенными крестьянами полагаются все те волости и селений, кои собственно принадлежат короне и, кроме общих государственных повинностей, они не подвержены никаким частным зборам“.

26-ე მუხლში ნათქვამია: Члены царского дома „не дают приказов об отпуске сумм или чего-либо то ни было казенного, или царю собственно принадлежащего. В противном случае ответствен в двое их имене“. „31... Без особенной царской грамоты им никто не принадлежит из казенных и помещичьих поселян“ „33... Они не могут распоряжаться казенными и помещичьими крестьянами, ни же назначать их в свои работы, требовать от них подвод, разве по согласию с помещиком“. „249... Царским

სოსთან საქმე არა აქვსთ. სახა-
სოსთან არც მეფესა აქვს კელი.
მოახლის გამორთმევაში, თუ
გამოართვას, თავის საქუთარს
წილს უნდა გამოართვას¹.

дворянам не позволяется усм-
новлять дворян княжеских во
время их зависимости от кня-
зей, чтобы не переходили име-
ния коронныя в руки частныя“.
თუ „სახასო მამულის გადასელა
კერძო პირთა ხელში“ „არ შეი-
ძლება სამეფო აზნაურის მიერ
თავადის აზნაურის შვილობი-
ლად აყვანით“, მით უფრო აკრძა-
ლულია „სახასო მამულის გადას-
ელა კერძო პირთა ხელში“, მე-
ფის ნებართვის გარეშე. ვინმეს
მიერ გაყიდვით, რა აზრიც არაა
თუ „მიმოხილვის“ 249-ე მუხლი-
დან, არამედ ზემომოტანილი მისი
სხვა მუხლებიდანაც თავისთავად
გამომდინარეობს. ამასვე მოწ-
მობს ერეკლეს 1791 წ. „განწე-
სებათა“ „კე“ მუხლში თქმულიც,
აქვე პარალელურად მოცემული.

მეფე ერეკლე თავის 1791 წ., „განწესებათა“ ზემომოტანილ
ადგილას და ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „გან-
ჩინების“ „იგ“ მუხლის წერისას უთუოდ ეყრდნობიან ერეკლეს
1760—61 წწ. ან შემდეგი დროის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე
უცნობი განჩინების სათანადო მუხლებს, რომლებითაც იხელმძღვა-
ნელა დავით ბატონიშვილმაც „მიმოხილვაში“ 1812—13 წლებში,
ზემომოტანილი მუხლების ჩაწერისას. რა თქმა უნდა, ზემომოყვა-
ნილი კანონ-წესების უმეტესობა ერეკლეს მეფობის დრომდეც არ-
სებობდა და ზოგიერთი მათგანი ადრინდელ სამართლის წიგნებ-
შიაც კი გვხვდება, მაგრამ არა ყველა; უმეტესია, ზოგი მათგანი
თვითონ ერეკლეს მიერ იქნა გამომუშავებული მართლმსაჯულებაში
სახელმძღვანელოდ. ყველა ეს ადრინდელი და ახალი კანონ-წესიც,
უფრო გვიანდელთა გარდა, უმეტესია, უნდა შესულიყო ერეკლეს
1760—61 წწ. ან შემდეგი დროის ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე
უცნობ განჩინებაში, საიდანაც თუ არა მთლიანად, ყოველ შემთ-

¹ ექვ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, ტ. I, წ. I, 1920, გვ. 208.

ხვევაში, უხვად ამოკრებილი აქვს დავითს ერეკლეს მეფობისას მოქმედი მრავალი კანონ-წესი. ამასთანავე, იგი, რა თქმა უნდა, სარგებლობდა ერეკლეს მეფობის დროს მიღებული სხვა სამართლის ძეგლებითაც.

დავითმა „მიმოხილვაში“ ზემომოტანილ მუხლთა წერისას, ცხადია, იცოდა როგორც ერეკლეს „განწესებათა“ ზემომოტანილი ადგილი, ისე თავისი ბიძების „განჩინების“ „ივ“ მუხლი. მაგრამ, ამ შემთხვევაშიაც, „განწესებათა“ ამ ადგილსა, „განჩინების“ ამ მუხლსა და „მიმოხილვის“ ზემომოტანილ მუხლთა შორის შინაარსობლივი შესატყვისობა აიხსნება უფრო მეტად მათი საერთო წყაროთი, განსაკუთრებით ერეკლეს ზემოხსენებული განჩინების სათანადო ადგილებით, ვიდრე დავითის მიერ ამ მუხლთა წერისას ერეკლეს „განწესებათაგან“ და ბიძების „განჩინებიდან“ სარგებლობით.

ლევანისა და ვახტანგის „განჩინების“ „ივ“ მუხლში, სხვათა შორის, ნათქვამია: „რომელიც კაცი დღეის იქით ამ ზემობრძანებას გარდახდება, იმ კაცმა ისე იცოდეს, როგორც კაცის მკულელს სიკუდილით, მამულიდამ და თავის ალაგიდამ აყრით, აკლებით და დაკარგვით გარდავახდევინებთ, ისე ამ ბრძანების წინააღმდეგობს“.

აგრეთვე საყურადღებოა, რომ დავითის „მიმოხილვის“ მთელი პარალელურად მოცემული თავი (მუხ. 497—513) შინაარსობლივად დიდად შეესატყვისება ვახტანგ VI-ის „სჯულის“ სისხლას სამართლის რიგ მუხლებს „მკვლელობისა“ და „ჭრილობის“ მიყენების შესახებ¹.

დავითის „მიმოხილვა“ თავი „Смертоубийство—кажис квлиса [—и ранение]. 497. Смертоубийство суть противно даже закону естественному. Законы положительные без всякого изъятия, осуждают смертоубийцу на смерть. 498. Но [так] как все действия человеческой жизни подвергаются разным переменам, стечению обстоятельств и случаям чрезвычайным, потому как самое преступление, так и наказание за оное весьма многообразно. 499. Смертоубийство разделяется на два главнейшия пункта, т. е. на умышленное и неумышленное. 500. Умышленным убийством“ когда произо-

¹ იხ. დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია, ნაწ. I, 1863 წ.; შეად. დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული „Сборник законов...“, 1887 г., გვ. 1—80; აგრეთვე თ. ენუქიძის მიერ გამოცემული „სამართლის წიგნი“, 1955 წ.

йдет смерть человека, „смерто-
 убийца казнится смертию“. ქვე-
 მოთ, მუხ. 501—513 ეხება წი-
 ნასწარგანზრახული და წინას-
 წარგანუზრახველი მკვლელო-
 ბისა და, აგრეთვე, ქრილობის
 მიყენებათა შემთხვევებს. ამ შემ-
 თხვევებში, აშკარაა, ერეკლეს
 მიერ თავის სახელმწიფო მართლ-
 მსაჯულებაში გამოყენებულია
 განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის
 „სჯულის“ კანონ-წესები; დავი-
 თის მიერ „მიმოხილვის“ ამ
 მუხლებში პირდაპირ იხსენიება
 ვახტანგის „სჯული“ „Закои
 Вахтангов“-ად (მუხ. 506) ან
 „Уложение Вахтангово“-დ (მუხ.
 507), ანდა „Вахтанг“-ის ხსენე-
 ბასთან ერთად მითითებულია ის
 კანონ-წესები, რომლებიც სწო-
 რედ მის „სჯულში“ მოიპოვებიან
 („მიმოხილვის“ მუხ. 509, 510
 და 512) და ერეკლესა და გი-
 ორგის სამეფოშიაც მოქმედი
 იყვნენ სამართლის დარგში.

დავითის მიერ ასე აშკარად დასახელებისა და მითითებათა
 გარდა, ზემოხსენებული ძეგლების ზემოთ აღნიშნული ურთიერთი
 შესატყვისი ადგილების შედარებაც გარკვევით მოწმობს იმას, რომ
 „კაცის კვლისა“ და „ქრილობის“ მიყენების შემთხვევებში ერეკ-
 ლესა და გიორგის სამეფოს სამართლის დარგში გამოყენებული იყო
 ვახტანგ VI-ის „სჯულის“ მთელი რიგი მუხლებისა. მაგრამ ერეკ-
 ლეს ამ შემთხვევაშიაც „სჯულის“ რამდენიმე მუხლში მაინც ცვლი-
 ლება შეუტანია და თანაც ახალი კანონ-წესებიც გამოუმუშავებია
 თავისი სამეფოს მართლმსაჯულებისათვის. მართალია, წინასწარ-
 განზრახულ დანაშაულს წინასწარგანუზრახველი დანაშაულისაგან
 არამც თუ ვახტანგ VI-ის სამართალი (იხ. „სჯულის“ მუხ. 92, 95,
 96, 182, 194 და მრავალი სხვ.), არამედ უძველესი ქართული სა-
 მართლის ძეგლებიც კარგად განარჩევენ და სასჯელიც განსაკუთ-

რებით ამის მიხედვით იყო დადგენილი (ექვთიმე მთაწმინდელის კომენტარები „მცირე სჯულის კანონისადმი“, „ბეჰა-ალბულას კანონები“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“, ვახტანგის კრებულში შესული „ბერძნული კანონები“ და „სომხური კანონები“, და სხვ.), მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ერეკლეს სამეფოს სამართალი ამ გარემოებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ოდესმე მას რომელიმე კანონმდებელი მოქცევია საქართველოში; დავითის „ნიმობილვაში“ ეს გარემოება მკაფიოდ ჩანს, კერძოდ, ზემოხსენებული თავის 499—513 მუხლებშიაც, სადაც ხაზგასმით დაყოფილია „კაცის მკვლელობანი“ „на умышленное и неумышленное“-დ და ქვემოთ, მუხლებად, ცალ-ცალკე მოცემულია კანონები ამგვარ „მკვლელობათა“ მიხედვით.

ამასთანავე, ერეკლეს სამეფოს ახალი სამართალი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ადამიანის ცხოვრების პირობების ცვალებადობის შედეგად ჩადენილ დანაშაულს, თანაც დანაშაულის ჩასადენად შექმნილ კონკრეტულ გარემოებასა და განსაკუთრებულ შემთხვევას, ვიდრე ამას აღრინდელი ქართული სამართლის ძეგლები ითვალისწინებდნენ. კანონმდებლის მიერ, ასეთ ვითარებათა გათვალისწინებითა და ფართო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ხშირად აღრედაც აწონილია ამა თუ იმ ძველ ქართულ სამართლის ძეგლში ესა თუ ის დანაშაული და პროპორციულად ამისა დადებულია კანონში შესაფერისი სასჯელიც. ამრიგად, ბევრი ძველი ქართული კანონი დიდად ჰუმანური იყო და მას, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქის აღმზრდელობითი მიზანი ედვა საფუძვლად და არა „დასჯა—დასჯისათვის“. ამ მხრივ ზემომოტანილი მუხ. 498 ზოგადად, მაგრამ ლაკონიურად და გარკვევით ბევრ რამეს გვეუბნება. ერეკლეს სამეფოს ახალი სამართლის კანონ-წესებში, მართლაც, უკეთ, ვიდრე აღრე ოდესმე ქართულ სამართლის ძეგლებში, გათვალისწინებულია, 498-ე მუხლში თქმულისამებრ, საერთოდ ის ვითარებანი, რომ „все действия человеческой жизни подвергаются разным переменам, стечению обстоятельств и случаям чрезвычайным, потому как самое преступление, так и наказание за оно весьма многообразно“. ეს მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული ჰუმანური აზრი ერეკლეს, როგორც ჩანს, თავის ახალ სამართალში სახელმძღვანელო პრინციპად გააჩნდა და ამიტომ მას ძველი კანონ-წესები თავისი სამეფოსათვის მისაღებად სწორედ ამ ჰუმანური აზრის მიხედვით შეურჩევია და თავისი, ახალი კანონ-წესებიც ამითვე გამოუმუშავებია.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ჩვენ ჯერ კიდევ X—XI სს. მიჯნაზე ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონ-ში“ ვამჩნევთ. იგი შემდეგდროინდელ მთელ რიგ ქართულ სამართლის წიგნებშიც მეტ-ნაკლებად შესანჩნევია და ეს პრინციპი ასე ჩამოყალიბებული ჰუმანური აზრით ერეკლეს მეფობის დროსაც არსებულა. ასე რომ სანამ ევროპელი დიდი განმანათლებელი სამართლის დარგში ჩ. ბეკარია ასეთსავე აზრს გამოთქვამდა თავის ცნობილ შრომაში „დანაშაულობათა და სასჯელთა შესახებ“¹, მანამ, X—XI საუკუნეებიდანვე ქართულ სამართლის წიგნებში იგივე აზრი ბატონობს და საქართველოს მართლმსაჯულებაში იგი პრაქტიკულად ხორციელდებოდა კიდევ. ამასთანავე, ცხადია, ზემომოყვანილი ჰუმანური აზრი არა ბეკარიასაგანაა ნასესხები დავითის მიერ „მიმოხილვაში“ ჩაწერით, არამედ დავითს იგი მასში უნდა ჩაეწერა განსაკუთრებით ერეკლეს 1760—61 წწ. და შემდეგდროინდელი ახალი სამართლის მრავალი, ჩვენთვის დღემდე ცნობილი და უცნობი ძეგლების სათანადო ადგილების მიხედვით; ამ ძეგლებით ის სარგებლობს, ვახტანგის „სჯულთან“ ერთად, არა მარტო „მიმოხილვის“ თავი „Смертоубыство—кашис квалиса [—и ранение]“-ს წერისას, არამედ რიგი სხვა თავების შედგენის დროსაც. დავითს, უეჭველია, ამ შემთხვევაშიაც მშობლიური, ქართული მაღალი კულტურული ნიადაგი გააჩნია მკვიდრ საფუძვლად და მას, მიუხედავად ევროპელ განმანათლებელთა კარგად ცოდნისა², ერეკლესა და გიორგის სამეფოს კანონ-წესების ჩაწერისას „მიმოხილვაში“ ევროპელ განმანათლებელთა ზეგავლენით რაიმე დაუჯერებელი სიტყვა არც უთქვამს თავისი მკითხველისათვის. ამრიგად, ზემომოყვანილი ჰუმანური აზრი ძველ საქართველოში იტალიელ ბეკარიაზე (1738—1794 წწ.) უფრო ადრე იყო მრავალთაგან გამოთქმული არამც თუ ერეკლეს ახალი სამართლის ზემოხსენებულ ძეგლებში, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელ, ძველი ქართული სამართლის წიგნებში მრავალსაუკუნოვანი სამეფოს სამართლის მაღალი კულტურული ტრადიციის ნიადაგზე; დავითს ეს ჰუმანური

¹ ჩ. ბეკარიას სიტყვით: „Чтобы наказание было справедливым, оно должно иметь только ту степень тяжести (intensione), которая достаточна для удержания людей от преступления“ („О преступлениях и наказаниях“ пер. Ив. Соболева, Радом, 1878 г., § 28, стр. 87). „...Должна быть пропорция между преступлением и наказанием“ (იქვე, § 6, გვ. 36). იხ. მისი ამგვარი სხვა გამონათქვამები (§§ 6, 7, 12).

² იხ. ამის შესახებ ვრცლად წინამდებარე გამოკვლევის თ. V.

აზრი „მიმოხილვაში“ ჩაწერილი აქვს ძველ ქართულ სამართლის წიგნებსა და ერეკლეს ახალი სამართლის ძეგლებში კანონმდებელთაგან ტრადიციულად გადმოცემული და თანდათან განვითარებული, ექვთიმე მთაწმინდისეული ზოგადი თეორიული მოძღვრების მიხედვით.

ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „განჩინების“ „იზ“ მუხლის წერისას უთუოდ ეყრდნობიან როგორც ვახტანგ VI-ის „სჯულის“ სისხლის სამართლის რიგ მუხლებს მკვლელობის წესახებ, ისე ერეკლესვე ახალი სამართლის 1760—61 წწ. თუ შემდგდროინდელი ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი განჩინების სათანადო მუხლებს, რომლებითაც იხელმძღვანელა დავით ბატონიშვილმაც „მიმოხილვაში“ 1812—13 წლებში, ზემოხსენებული მუხლების ჩაწერისას. „მიმოხილვის“ ზემოხსენებული მუხლების კანონ-წესების უმეტესობა, როგორც შედარებიდან ირკვევა და თვით დავით ბატონიშვილიც გზადაგზა პირდაპირ მიგვითითებს, ვახტანგ VI-ის „სჯულის“ „მკვლელობისა“ და „ქრილობის“ მიყენების შესახებ რიგი მუხლების მიხედვითაა შედგენილი. მაგრამ დავითს ამ შემთხვევაში წინ უღევს, უეჭველია, ერეკლეს ზემოხსენებული სამართლის ერთ-ერთი ძეგლიც, სადაც ცხადია, აღნიშნული იქნებოდა იგივე მუხლები „სჯულისა“, რომლებიც ერეკლეს მიერ საბერძნეთში მართლმსაჯულებაში სახელმძღვანელოდ დატოვებულ იქნა, და თანაც იქვე, ამავე ძეგლშივე, ჩაწერილი იქნებოდა ერეკლეს მიერ ვახტანგის „სჯულის“ ზოგიერთ მუხლში შეტანილი ცვლილებებიც. ამასთანავე, ბუნებრივია, ერეკლეს თავისი ახალი სამართლის ამავე ძეგლში „მკვლელობისა“ და „ქრილობის“ მიყენების საკითხებზე ახალი კანონებიც შეეკმნა და ესეც დავითს „მიმოხილვაში“ ერეკლეს ამ სამართლის ძეგლიდანვე გადმოეღო. მართლაც, „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ თავში დავითს კერძოდ ერეკლეს ამ განჩინების მიხედვით აქვს ჩაწერილი არა მარტო ერეკლესეული და უფრო ადრეული სამართლის ჰუმანური აზრის შემცველი 498-ე მუხლი, არამედ ერეკლესეული შემდეგი ახალი მუხლებიც, ქართულ ეროვნულ-კულტურულ ნიადაგზევე შეკმნილნი.

დავითის „მიმოხილვაში“ საყურადღებოა განსაკუთრებით მუხლი „497. Смертоубиѣство суть противно даже закону естественному. Законы положительные, без всякого изъятия, осуждают смертоубиѣцу на смерть“. ეს თვალსაზრისი დღემდე შემონახულ, ერეკლეს მეფობის უწინარეს არც ერთ ქართულ სამართლის ძეგლში არ

:გვხედება ამავე ფრაზებით ერთ მუხლად ჩამოყალიბებული, მაგრამ იგი ბევრ მათგანში მაინც ჩანს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს მუხლი დავითმა შეადგინა მისთვის ცნობილი რომელიმე ევროპელი განმანათლებლის აზრის მიხედვით, მაგალითად, ბეკარიას, მონტესკიეს ან რუსოს გამონათქვამების მიხედვით¹. ეს მართლაც შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ მიერ ხაზგასმულ ფრაზაში ჩაქსოვილი აზრის აღრინდელ მატარებლად დავითს ძველი ქართული სამართლის ისტორიაში ბევრი წინაპარი არ მოეპოვებოდა. ასეთებია მისთვის, მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელი (X—XI სს. ქართველი დიდი მოღვაწე), დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე სამეფოს სამართლის დარგში, შოთა რუსთაველი და სხვ.

მეცნიერებაში ცნობილია ექვთიმე მთაწმინდელის (ათონელის) «მოღვაწეობა სამართლის თეორიის დარგში»² მას ეკუთვნის «მცირე სჯულის კანონი», რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. ბოლოში იქ ექვთიმეს ზოგადი მოძღვრება აქვს დართული ბოროტმოქმედების შესახებ³. როგორც კაცისმკვლევლობის არაბუნებრიობის, ისე წინასწარგანზრახულ და წინასწარგანუზრახველ დანაშაულობათა შესახებ საკითხები ექვთიმე მთაწმინდელს დაყენებული აქვს თარგმანი «მცირე სჯულის კანონის» კომენტარებში, განსაკუთრებით ამ ნაშრომის ბოლოში თავის მიერ დართული ბოროტმოქმედების შესახებ მოძღვრების გადმოცემისას⁴. წინასწარგანზრახულ და წინასწარგანუზრახველ დანაშაულს კარგად არჩევს XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელიც «იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში» და შემდეგ სხვანიც. ამგვარადვე, ვახტანგ VI-ის კრებულში შესული ძეგლებიც («სჯული», «ბერძნული კანონები», «სომხური კანონები» და სხვ.) საკმაოდ ნათლად არჩევენ დანაშაულობათა ამ ფორმებს ერთმანეთისაგან. ამასთანავე, ცხადია, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის მეფეები (თეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII) და მათი მოხელეებიც, ხელმძღვანელობდნენ რა ვახტანგის კრებულში შესული ძეგლებით და ერეკლესეული ახალი კანონებითაც, მკაფიოდ

¹ იხ. მათთან დავითის დაშოკიდებულების შესახებ ვრცლად წინამდებარე გამოკვლევის თ. V.

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, I, 1746 წ., გვ. 175.

³ ექვთიმე მთაწმინდელის «მცირე სჯულის კანონი», — საქ. ძეხ. № 143 წ, ნუხ. კად., «პე», «პე», «პე», აგრეთვე ფურც. 1107—1110, 1177—1187; შეად. № 144 ს.

არჩევდნენ სამეფოს კანონებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა ზემოხსენებულ ფორმებს ერთმანეთისაგან.

„მიმოხილვის“ მუხლები 499—501 საერთოდ ეყრდნობა ვახტანგ VI-ის „სჯულის“ მუხლებს „მკვლელობის“ შესახებ. მაგრამ ერეკლეს, როგორც ითქვა, უფრო მკვეთრად გაუყვია „მკვლელობანი“ „на два главнейших пункта, т. е. на умышенное и неумышенное“. ორივე კატეგორიის „მკვლელობათა“ შესახებ „მიმოხილვის“ 499—513 მუხლებში ტექსტი სულ სხვაგვარი რედაქციით არის შედგენილი, ვიდრე ეს ვახტანგის „სჯულის“ სათანადო მუხლებშია მოცემული. ამასთანავე, დავითის სიტყვით, ერეკლესა და გიორგის სამეფოში წინასწარგანუზრახვით მკვლელობის დროს „смертоубийца казнится смертию“ (მუხ. 500; შეად. 505) და თანაც მაშინ, ცხადია, ვახტანგის „სჯულის“ მიხედვით, „სისხლის“ საფასურის გადახდაც არსებობდა. მაგრამ ვახტანგის „სჯული“, „ბეჭა-აღბულას კანონები“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ და ვახტანგის კრებულში შესული სხვა სამართლის წიგნები („ბერძნული კანონები“ და „სომხური კანონები“) იმდენ შეღავათს არ აძლევენ წინასწარგანუზრახველი მკვლელობის ჩამდენს, რამდენსაც ერეკლე თავისი ახალი სამართლით. ამ მხრივ „მიმოხილვაში“ საგანგებოდ ასეთი მუხლი მოიპოვება: „501. Неумышленное убийство бывает в случаях печальных и без всякого намерения. Здесь наказание хотя и гораздо смягчается, но совесть должна быть очищена церковным покаянием“.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ერეკლე თავის ახალ სამართალში ხშირად მიმართავს წინასწარგანუზრახველი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში „საეკლესიო მონანიებას“, ვიდრე ეს ვახტანგის „სჯულში“ ან რომელიმე სხვა ადრინდელ სამართლის წიგნში იყო გათვალისწინებული (იხ. „მიმოხილვის“ მუხ. 502, 503, 504, 505 და სხვ.). ამასთანავე, „მიმოხილვის“ ერეკლესეულ მუხ. 502—503-ში სხვაგვარი ცვლილებებიც არის მოცემული შესატყვისი ვახტანგ VI-ის „სჯულის“ 42-ე („მბ“) მუხლის 3 და 5 პუნქტების მიმართ:

დავითის „მიმოხილვა“

ვახტანგის „სჯული“¹

„502. Когда будет сделано насильственное нападение и тот, на кого было нападение,

„მბ... შესამე: მიმხდომის სიკუდილის სისხლი არ არის, რომ დაშხდურმან მოკლას. მაგრამ

¹ ვსარგებლობთ საქ. მუხ. №№ 1070 Н და 1102 Н-ით; შეად. დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული „Законы царя Вахтанга“, — „Сб. законов Грузии“; царя Вахтанга VI“, 1887 г., გვ. 17—18.

защищаясь, убьет нападающего осуждается на церковное покаяние. 503. Если кто[-нибудь] с оружием в руках устремится, чтоб убить другого, а сей, защищая свою жизнь, убьет его—от всякого наказания свободен, но совесть должна быть очищена церковным покаянием“.

მოყვანილი ამონაწერებიდან აშკარაა, რომ ერეკლე მკვლელობის ასეთ შემთხვევებში ადამიანთა სოციალურ (წოდებრივსა და კლასობრივ) განსხვავებებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, დავითის მოწმობით, იმ დროს, როცა ვახტანგის „სჯულში“ ეს მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნულია. ამასთანავე, როგორც ზემოთ ითქვა, „საეკლესიო მონანიებას“ ერეკლე მკვლელთ, ორივე შემთხვევაში, ავალებს; ვახტანგის „სჯულის“ ამ ადგილას კი ამის შესახებ არაფერია თქმული.

ამრიგად, ჩანს, ვახტანგის „სჯულის“ „მკვლელობის“ შემთხვევათა ზოგიერთ მუხლში ერეკლეს თავის სანეტოს სამართალში გამოსაყენებლად საკმაოდ დიდი ცვლილებები შეუტანია. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი ცვლილება ვახტანგის „სჯულის“ მიმართ ერეკლეს მიერ დაწვრილებით იქნებოდა აღნიშნული თავის ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ განჩინებაში, საიდანაც ეს ცვლილებებიც, ცხადია, გადმოყვა დავითს თავის „მიმოხილვაში“.

დიდად საყურადღებოა „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ თავშივე მუხლები: „504. Когда сделает смертное убийство служитель или раб защищая господина, закон наказание смягчает, но сверх того подвергается духовной епитимии. 505. Если учинится смертоубийство в общей драке, тогда подозреваемый подвергается изтязанию, а прочие участвовавшие в драке свободны. Но когда виновного открыто не будет, тогда все, без, изъятия несут церковное покаяние. Когда же подозреваемый или кто-[-нибудь] другой судом изобличится, понесет одно наказание,—он осуждается на смерть, как смертоубийца“. 511. Огнестрельныя оружия должны содержимы быть в крайней осторожности, также и все то,

что может служить причиною к неумышленному убийству, строго запрещается". № 13... Когда убитый будет состояния бедного, то виновный обязан давать пропитание оставшимся сиротам по мере своего избытка". ამ ოთხი მუხლის შესატყვისი ადგილები ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში ვეღარ ვიპოვეთ (გაკვრით თუ შეესაბამება რომელიმეს). ერეკლეს მიერ ეს კანონები, უეჭველია, თავის შემოხსენებულ ერთ-ერთ განჩინებაში, როგორც უმეტესად ახალი კანონები, შეტანილ იქნენ სახელმწიფო მართლმსაჯულებაში სახელმძღვანელოდ; დავითს თავის „მიმოხილვაში“ ეს მუხლები ჩაწერილი აქვს, ცხადია, ერეკლეს ამ სამართლის ძეგლის მიხედვით, საიდანაც ის საერთოდ უხვად სარგებლობს,—საამისოდ მას უკეთესი სხვა წყარო არც უნდა ჰქონოდა.

„მიმოხილვის“ შემოხსენებული თავის დანარჩენი მუხლების (506—510 და 512) შედგენისას, რა თქმა უნდა, გამოყენებულია ვახტანგის „სჯული“. ამას თვითონ დავითიც იქვე ვახტანგის დასახელებით მოწმობს. მაგრამ იგი სარგებლობს ალბათ არა იმდენად უშუალოდ „სჯულის“ კანონებით, არამედ უფრო ერეკლეს შემოხსენებული ერთ-ერთი განჩინების საგანგებო შენიშვნა-მითითებით იმის შესახებ, თუ ვახტანგის „სჯულის“ რომელი მუხლით უნდა ესარგებლა მსაჯულს ან რომლით არა. ასეთი შენიშვნა თუ მითითება დანაშაულის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ამ განჩინებაში ერეკლეს საჭიროებისამებრ,—იმგვარადვე, როგორც დავითი 506—510 და 512 მუხლებში აღნიშნავს,—უნდა დაერთო კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერეკლეს მსაჯული მართლმსაჯულებისას და ვერც დავითი „მიმოხილვის“ წერისას ზეპირად, მხოლოდ გეხსიერებაზე დაყრდნობით, ვახტანგის „სჯულში“ ვეღარ გაარჩევდნენ ერეკლესათვის მისაღებ მუხლებს მიუღებელი მუხლებისაგან და, მით უფრო, დანაშაულის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეეძლოთ „სჯულიდან“, ხშირად, ესარგებლათ ერეკლესათვის მიუღებელი მუხლით სასჯელის დასადებად. დავითის არაერთგზისი მოწმობით კი, ვახტანგის „სჯულის“ ბევრი მუხლი ერეკლეს სამეფოს მართლმსაჯულებაში მიუღებელია და სამაგიეროდ სხვა კანონ-წესებით ხდება გასამართლება. და რადგან ვახტანგის „სჯულში“ ერეკლესათვის მისაღები მუხლები მიუღებელი მუხლებისაგან შეუძლებელი იყო მსაჯულს ზეპირად, მხოლოდ გეხსიერებაზე დაყრდნობით გაერჩია, ამიტომ თვითონ ერეკლემ, უეჭველია, მთელი ეს საქმე თავის 1760—61 წწ. ან შემდეგი დროის ერთ-ერთ, ჩვენთვის ღღემდე უცნობ განჩინებაში

საქიროებისამებრ მოაგვარა და თავისი სანქციაც ამ გარჩევას მსაჯულთათვის სახელმძღვანელოდ მაშინ მისცა. ასე რომ ამ განჩინების გამოცემის შემდეგ მკვლელობისა და ქრილობის შემთხვევებშიაც მსაჯულთ წარა-მარა, თავიანთი სრული ნებისამებრ, ვახტანგის „სჯულით“ და, მით უფრო, არც რომელიმე სხვა ძველი სამართლის წიგნით ხელმძღვანელობა, უეჭველია, აღარ შეეძლოთ. ამ მხრივ საკონტროლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი განჩინება მკვლელობისა და ქრილობის შესახებ, ჩანს, იყო ყველაზე მეტად ავტორიტეტული სამართლის ძეგლი. ამიტომ „მიმოხილვის“ 506—510 და 512 მუხლებში და სხვა თავთა სხვა მუხლებშიაც ვახტანგსა და მის „სჯულზე“ მითითებანი დავითის მიერ, ხშირ შემთხვევაში მაინც, რა თქმა უნდა, ერეკლეს ახალი სამართლის-ამგვარი ძეგლების მიხედვით წარმოებს, თუმცა დავითს „მიმოხილვის“ წერისას, ცხადია, ვახტანგის „სჯულიც“ წინ უდევს სახელმძღვანელოდ.

ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „განჩინების“ წერისას, როგორც ვნახეთ, „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“, „შ“, „თ“ „ი“, „ივ“ და „იზ“ მუხლების წერისას, უეჭველია, ემყარებიან განსაკუთრებით ერეკლეს ახალი სამართლის 1760—61 წწ. და შემდეგი დროის, ჩვენთვის დღემდე ცნობილ და უცნობ ძეგლებს; აშკარადვე, „განჩინების“ დანარჩენი მუხლების — „გ“, „ზ“, „ია“, „იბ“, „იდ“, „იე“ და „ივ“-ის შედგენისას ისინი, უეჭველია, ხელმძღვანელობდნენ ერეკლეს სამეფოშივე მოქმედი ძველი სამართლის ძეგლებითაც მეტ-ნაკლებად.

ზემოთქმულთაგან საერთოდ აშკარაა ახლა ჩვენთვის ის გარემოება, რომ ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავიანთი „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთას“ შედგენისას ემყარებიან ერეკლეს საერთო, მთელი სამეფოს კანონ-წესებს და მათ შეძლებისამებრ უფარდებენ მთიელთა, არაგვისხეველთა, ყოფა-ცხოვრებას, მათშიაც ერეკლესეული სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. „განჩინების“ შედგენისას, 1778—82 წლებში, ისინი, უეჭველია, ხელმძღვანელობდნენ, ერეკლეს სამეფოშივე მოქმედი ძველი სამართლის ძეგლებთან ერთად, განსაკუთრებით ერეკლეს ახალი სამართლის, ჩვენთვის დღემდე ცნობილი და უცნობი მრავალი ძეგლითაც, რომლებითაც გვიან, 1812—13 წლებში, დავით ბატონიშვილსაც დიდად უხელმძღვანელია თავისი „მიმოხილვის“ წერისას.

როგორც ითქვა, ზემოხსენებული „განჩინება“ ლევან ბატონიშვილის მიერაა აღრე ძირითადად შედგენილი და მხოლოდ „რაგდენნიმე“ მუხლი 1782 წელს ვახტანგის მიერაა მასში „განწესებული“ და „ჩართული“. ჩანს, როგორც ვახტანგი, ისე, მით უფრო, ლევან ბატონიშვილიც არაგვისხევის მპყრობელობისას იზენდა სათანადო გონიერებას მთიულეთში, ადგილობრივი პირობებისდა მიხედვით, საზოგადოებისათვის შესაფერისი სამართლის ძეგლის შექმნით ერეკლესული სამეფოს სამართლის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის. ამასთანავე, ეს „განჩინება“, რა თქმა უნდა, არა მარტო 1743 წლამდე არსებულ არაგვის ერისთავისეულ უფლებრივ მიდრეკილებათა საწინააღმდეგო სულისკვეთებით იყო განსაკუთრებით ლევანის მიერ დაწერილი, არამედ მეზობელი, ახლად დამხობილი (1777 წ.) ქსნის ერისთავისეული უფლებრივი ინტერესების საპირისპიროდაც შექმნილი, ლევანისა და მამა ერეკლეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური საერთო აზროვნების შესაბამისად. ლევანისა და ვახტანგის „განჩინების“ შინაარსი ამას ნათლად მოწმობს. ამრიგად, 1778—82 წლების ეს „განჩინება“ ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების მიერ სათავადოების სისტემისათვის დამახასიათებელი პარტიკულარისტულ-სეპარატისტული მიდრეკილებებით კი არ არის შედგენილი არაგვისხეველთათვის, არამედ ერეკლეს სამეფო ცენტრალისტული ხელისუფლების დიდად განმტკიცებჯს მიზანდასახულებით მთიულეთის ამ ნაწილშიაც. ამგვარი მიზანდასახულებისა და თვითონ ერეკლეს სანქციის გარეშე, ეს განჩინება ხსენებულ წლებში, როცა ქართლ-კახეთის სამეფოს სიმძლავრე აღრინდელზე უკეთესია, შეუძლებელია წარმოშობილიყო კიდევ.

გ. ვახტანგის მიერ „საოლქო ინსპექტორების“ ინსტიტუტის შემოღება და მათი მოვალეობების განსაზღვრა

დიდად საყურადღებოა ერეკლეს სამეფოში ე. წ. „საოლქო ინსპექტორები“, რომელთაც ევალებოდათ სახელმწიფო კონტროლი. ისინი „ყოველწლიურად ინიშნებოდნენ მთავრობის მიერ“ და იყვნენ „მეფის ნდობით მოსილი“. აი, მათ შესახებ დავითის „მომოხილვიდან“ მთელი თავის ტექსტი:

«Областные инспекторы. 289. Всякой год назначаются правительством особы, доверенностию царскою облеченные, из чиновников опытных и испытанной верности для лично-

გო ობზერენია პროვინცია. 290. ოლი ობვზიკაეტ ჸაჸეთიუ, დრუგოი ოსმატრინავაეტ ჸარტალ[ნი]იუ, ა ტრეთი რევიზუეტ სელენია ტატარსკიე, პრინადლეჸაშკიე გრუზიი. 291. ობიჸიანოშტი იჸ ესტ: პოვერჸი მოურავოვ ი დრუგიჸ ჩინოვნიკოვ ი რაივედინავაეტ პოდ რუკოჸ ო იჸ პოსტუპკაჸ ი პოვედენიი, პრინლეჸი სმოტრეტი ი ნაბლუდატი, ჸოტბ ნიკოტი ნე ბილ პრინესიემ ი ობიჸენ. 292. ვჸოდით ვ რაივოტრენიე ჸალობ ი დავატი სუდ პრავიი. 293. ტე იჸ მოურავოვ, გოროდსკიჸ ი დერევენსკიჸ სუდეი, კოი ბუდუტ იმი ნაიფენი ნარუშაიოცნიჸ სვოე ჸვანიე, პრინვერჸენიჸი კ ჸიჸოიწმვუ, რავიო ი ვსე ტე, კოი დერჸუტ დელატი სიმ ობოვრეტსა პომენაეტლვო ვ ოტირავლენიი იჸ დოლჸიანოშტი, ილი ოკაჸუტ კ იჸ დოსტოინსტვუ პეუვჸიენიე ი ნეპოტენიე, ჸიშაიოტსა ნავსეგდა სვოეო გესა. 294. რავიპომერნიჸ ობრაზოჸ ნაბლუდაეტსა, ჸოტბ ი ინსექტორი დონესენიჸ ი ჸაპისკი სვოი ოსოვოვავაი იჸ სავოიი ისტინე ი ნე ბილი ბი პრინსტრასტიჸ კ ḷიენცრინატიჸ. პიშობლიჩენიე ვ პრინსტრასტიჸ, ტაჸჸე, ი ვ მჸდოიწმვე იჸგონაიოტსა იჸ სლუჸბიჸ ი ჸიშაიოტსა ნავსეგდა გოსუდარსტენიჸ დოვერნიჸ ობშესტენიჸ დოლჸიანოშტიაჸ».

როგორც ვხედავთ, ყოველწლიურად სამი საოლქო ინსპექტორი ინიშნებოდა სამი განსაზღვრული ადგილისათვის, — კახეთის, ქართლისა და თათრების სოფლებისათვის. მათ დიდი უფლებები და ნდობა ჰქონიათ მეფისა და მისი ხელისუფლებისაგან. ასეთი რწმუნების მქონე სახელმწიფო კონტროლიორები ერეკლეს მეფობის დრომდე საქართველოში საისტორიო წყაროებით არაა ცნობილი და ისინი, უთუოდ, რუსეთში პეტრე პირველის მეფობის დროიდანვე მყოფი სახელმწიფო კონტროლიორების (государственные контролеры) მსგავსად, ერეკლეს მიერ იყენენ დანიშნული, ოღონდ ყოველწლიური შერჩევით და არა მუდმივი თანამდებობის ქონებით.

პეტრე პირველის სამართლის, კერძოდ კი მისი 1720 წ. 28 თებერვლის „Генеральный регламент или устав“-ის 1760 წ. ქართული თარგმანის — „საცხადო განწყესების“ შესავალსა და თავებში (44,51) „რევიზიონ-კოლეჯიის“ შესახებ თქმულით უნდა ეხელმძღვანელა ერეკლეს 1760—61 წლებში ან შემდეგ ზემოხსენებულ „რევიზორთათვის“ სათანადო „განჩინებისა“ და „წერილობითი წესების“ შესადგენად, რომელთა შესახებ ქვემოთ გვაქვს მსჯელობა.

ერეკლეს სამეფოში ასეთი საოლქო ინსპექტორების არსებობას მოწმობს დავით ბატონიშვილი „მიმოხილვის“ სხვა ადგილა-

საც. V თავის („Непременнои Царскои Совет“) ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია: „100. Из членов Непременнаго Совета назначаются каждагодно ревизоры для личнаго обозрениа провинций, на предписанных им правилах“. ამრიგად, დავითის მოწმობით, ეს რევიზორები ყოველწლიურად ინიშნებოდნენ სამეფო დიდი საბჭოს. წევრთაგან და მათთვის სახელმძღვანელოდ, განსაზღვრული პროვინციების სამიმოხილოდ, არსებულა წინასწარ შედგენილი წერილობითი წესებიც.

ერეკლეს მეფობის დრომდეც ქართველი მეფეები სახელმწიფოს სხვადასხვა მხარეთა რევიზიას პირადად ან თავიანთ სარწმუნო პირთა წარგზავნით ოფიციალურად, ან საიდუმლოდ, თავიანთი აგენტ-მსტოვარების საშუალებითაც, აწარმოებდნენ. მაგრამ მას მაშინ მუდმივი ხასიათი არ ჰქონდა და იგი საქიროებისდა მიხედვით ხდებოდა ხოლმე. ახლა კი, ერეკლესა და გიორგის მეფობის დროს, რევიზია ხდება სისტემატურად, სამეფო საბჭოს წევრთაგან ყოველწლიურად რევიზორთა გამოყოფით, რომელთაც დავითი უცხო სიტყვით—„საოლქო ინსპექტორებს“ უწოდებს. ჰქონდა თუ არა „საოლქო ინსპექტორების“ დაწესებულებას მაშინ თავისი საკუთარი სახელწოდება ქართულ ენაზე—ამის შესახებ დავითი, სამწუხაროდ, არაფერს გვეუბნება. მაგრამ რადგან ერეკლეს მეფობისას ჩვენში ჩნდება თანამედრობის პირთა ევროპული მსგავსივე სახელწოდებანი,—რექტორი, დირექტორი და სხვა,—შესაძლოა ამ ახალი დაწესებულების წარმომადგენელთათვის, იმგვარადვე, საოლქო „ინსპექტორები“ და „რევიზორები“ შეერქვათ ქართველებს; სიტყვები „რევიზია“ და „რევიზიონ-კოლეჯია“ ნაბმარია კიდევ იოანე ხუცესმონაზონის მიერ 1760 წელს თარგმნილი პეტრე პირველის „საცხადო განწესების“ ტექსტში და აქედან სიტყვა „რევიზორის“ წარმოება და ხმარება ქართული სამართლის ძეგლში ერეკლესა და მისი თანამშრომლების მიერ სრულიად ბუნებრივი ჩანს.

ერეკლეს მეფობისას დაწესებულ ამ ინსტიტუტში ინსპექტორთა ანუ რევიზორთა რიცხვი სამი ყოფილა და თითოეულმა თანას სამეფოს განსაზღვრული თითო პროვინცია ჰქონია მიჩენილი. აგრეთვე, მათთვის ამ პროვინციების მიმოსახილავად წინასწარ შედგენილი „წერილობითი წესებიც“ არსებულა. სამწუხაროდ, ეს „წერილობითი წესები“ დღემდე არაა ცნობილი და იქნებ ჩვენს არქივებში არც იყოს შემონახული. „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ ორ ადგილას 7 მუხლად მოცემული კატეგორიული განცხადება

დავითისა ამ ინსპექტორთა ანუ რევიზორთა შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ექვემოთხანლად მოწმობს მათ ინსტიტუტთა არსებობას ერეკლეს სამეფოში. ეს კი ახალი მოვლენაა ქართულ სახელმწიფო სამოხელეო აპარატსა და სამართლის დარგში XVIII ს-ის მეორე ნახევარში და ამ ინსტიტუტის შესასწავლად კვლევა-ძიება მომავალში საჭიროა გაღრმავებულ იქნეს.

დავით ბატონიშვილმა საოლქო ინსპექტორების ანუ რევიზორების შესახებ „მიმოხილვის“ 7 მუხლი შეადგინა, უქვევლია, ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი საგანგებო „ბრძანების“ ან „განჩინების“ მიხედვით. ამასთანავე შესაძლოა, რომ ერეკლეს ამავე სამართლის ძეგლშივე არსებულიყო ამ „რევიზორთათვის“ პროვინციების მიმოსახილავად წინასწარ შედგენილი „წერილობითი წესებიც“, რომელთაც დავითი „მიმოხილვის“ მე-11 მუხლში ახსენებს.

XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო აპარატში ასეთი საყურადღებო ფაქტები და, ძველთან შედარებით, ახალი ცვლილებები სამეფოს სამართლის დარგში დავითის მიერ თავის „მიმოხილვაში“ გზადაგზა ბევრგან სხვაგანაცა აღნიშნული, რაც ამ ძეგლს მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც საისტორიო წყაროს.

9. მკაცრე მორჩის კანონ-წესები უფლისწულების უფლება-მოვალეობებისა და საუფლისწულოების შესახებ

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ მეორე თავს „Царь и царствующий дом“ მოეპოვება პირველ ქვესათაურად „Царь“. ამ ქვეთავში ნათქვამია: „10. В Грузии правительство самодержавное и наследственное. Законодательская власть заключается в особе царского высочества. II. По заключенному в 1783 году царем Ираклием с императрицею Екатериною II трактату, царь поручил себя, дом свой и все царство свое высокому покровительству империи Всероссийской. По силе сего священного обета, царь Грузии при вступлении на престол испрашивает в достоинстве сем утверждения от российской императорской двора“.

როგორც ვხედავთ, დავითს ამ ორ მუხლში აღწერილი აქვს მეფის უფლებები 1783—1800 წწ. მდგომარეობისდა მიხედვით, როცა ქართლ-კახეთის მეფის ზოგიერთი უფლება განისაზღვრებოდა, 1783 წ. ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის იმპერატორისაგან. 1783 წლამდე კი, ცნობილია, ქართლ-კახეთის მეფე სრულიად დამოუკი-

დებელი იყო რუსეთის იმპერატორისაგან „მთარველობისა“ და „ტახტზე დამტკიცების“ საქმეებშიაც; ეს გარემოება დავითის მიერ თავისთავად იგულისხმება კიდევ ზემომოყვანილ ტექსტში. ცნობილია ისიც, რომ 1632 წლიდან, როცა ირანის შაჰის „ვალად“ (მოადგილე) ქართლის მეფის ტახტზე დაჯდა გამაჰმადიანებული როსტომი, ქართლის ყოველი მეფე ირანის შაჰისაგან იყო ამ „ტახტზე დამტკიცებით“ დამოკიდებული 1748 წლამდე, როცა კახეთის მეფის—ერეკლე მეორისა და ქართლის მეფის—თეიმურაზ მეორის მეთაურობით ყიზილბაშობისაგან განთავისუფლდა აღმოსავლეთი საქართველო. ყიზილბაშობისაგან თავის დახსნით ქართლ-კახეთმა მაშინ მოიპოვა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამით კვლავ აღდგა 1632 წ. შელახული, უძველეს დროიდანვე დამკვიდრებული უფლებები ქართველი მეფეებისა 1748 წელს და ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1783 წლამდე, სანამ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი არ დაიდებოდა.

აქასთანავე, ძველი ქართული ტრადიციული კანონ-წყისისამებრ, 1748—1800 წლებშიაც ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლება, დავითის თქმისამებრ, იყო „თვითმპყრობელური და მემკვიდრეობითი“, თანაც „კანონმდებლობითი ძალაუფლება“, ცხადია მეფეს გააჩნდა. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ დავითის ზემომოყვანილ სიტყვებს ის, რომ ქართველი მეფის წოდება „უმაღლესობა“—„ВЫСОЧЕСТВО“ რუსთაგან შემოდებულია; რუსი მოხელეები აღრედაც თეიმურაზ II-ესა და ერეკლე II-ეს ხშირად ასე იხსენიებენ საბუთებში და იმპერატორ ეკატერინე მეორისაგან ოფიციალურად ეს წოდება ერეკლეს მიენიჭა 1783 წელს¹. ასე რომ დავით ბატონიშვილი „მიმოხილვის“ მე-10 მუხლში და სხვაგანაც, ჩვეულებრივ, ერეკლეს მიმართ „ВЫСОЧЕСТВО“-ს ხმარობს ეკატერინესაგან ერეკლესადმი ამ წოდების ბოძების თანახმად, მაგრამ ხანდახან „КАНИУЕСТВО“-საც კი უწოდებს ავტორი ქართველ მეფეს (იხ. მუხ. 247 f, 316...), რუს მოხელეთაგან მიღებული ოფიციალური წესისაგან გადახვევით. ჩანს, დავით ბატონიშვილს მაინცდამაინც დიდად არ ეპრიანებოდა ქართველი მეფისადმი „ВЫСОЧЕСТВО“-ს წოდება, არამედ მას სამართლიანად მიაჩნდა უფრო მეტი პატივით ~~სა~~ „КАНИУЕСТВО“-დ მისი ხსენება. ბუნებრივია ასეთი აზრი დიდი ერეკლეს ტახტსა და საქართველოს განწოვრებული, რუსეთში ძალად გადასახლებული ბატონიშვილისაგან!

¹ იხ. პ. პატრიოტიკის 1783 წ. 24 სექტემბრის წერილი ერეკლესადმი—საქ. მუხ. № 2272 Sd—1633 S, და სხვა.

„მიმოხილვის“ ზემოხსენებული თავის მომდევნო ქვესათაურად მოცემულია „Наследник царской“. ამ ქვეთავში ვკითხულობთ: „12. По древнему, веками утвердившемуся и союзными государствами признанному установлению, царский грузинский престол должен наследовать первопроданный сын царствующей особы, а по нем старший его сын и так далее по нисходящей в роде его линии. Но когда царь или наследник его не оставит по себе детей мужеска пола, тогда наследие переходит к прочим членам царского дома по старшинству, и даже может относиться к принципам крови, для коих право на наследие удерживается до четвертого колена. Но далее не имеют уже сего права, поскольку тогда фамилия их не будет превышать в своем достоинстве прочих грузинских князей. 13. Вдовствующая царица, ни другие особы женского пола, к царскому грузинскому дому принадлежащие, престола наследовать не могут“.

„მიმოხილვის“ მე-10 და მე-12—13 მუხლებში აღნიშნული კანონები ჩვენთვის ცნობილ ძველ ქართულ სამეფოს სამართლის ძეგლებში არ მოიპოვება; ამ მუხლებში დავითი გადმოგვცემს, საერთოდ, საქართველოს ფეოდალურ ეპოქაში და, კერძოდ, ერეკლე მეორის ცხოვრების დროსაც არსებული მონარქიული სახელმწიფოს დაუწერებელ ერთ რიგ ძირითად კანონებს. როგორც გვიანფეოდალურ ხანაში მხოლოდ ზეპირგადმოცემითი ტრადიციით ამგვარად არსებობდნენ ჩვენში სახელმძღვანელოდ, ისე აღრინდელ ხანაშიაც ფეოდალური ეპოქისა, უეჭველია, ძირითადად მაინც არსებობდნენ ეს კანონები. მხოლოდ თამარ მეფისა და მისი ქალიშვილის—რუსუდანის გამეფებისას ნაწილობრივ შეტანილ იქნა ამ კანონებში თავისებური კორექტივი დროებით: როცა მეფეს ვაჟი არ მოეპოვებოდა, დაშვებულ იქნა მამის სამეფო ტახტზე მემკვიდრედ მისი ქალი. შემდეგ ხანებში კი ასეთი გამონაკლისი კვლავ ძველებურადვე აღკვეთილა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საქმეში და XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, ჩანს, დავითის მიერ ზემოხსენებულ მუხლებში აღნიშნული ტრადიციული კანონების მიხედვით წარმოებდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობა მთელ საქართველოში. ასე რომ დავით ბატონიშვილის მიერ „მიმოხილვაში“ ჩაწერილი ეს ტრადიციული კანონები, უეჭველია, უძველეს დროიდანვე მომდინარეობენ და ერეკლეს მეფობის დროისათვის ისინი სრულიად არ არიან ახალი. მხოლოდ საფიქრებელია, რომ „მიმოხილვაში“ დავითის მიერ

მე-10 და მე-12—13 მუხლებში ჩაწერილი ეს ტრადიციული კანონები ადრეც ჩაწერილ ყოფილიყო ერეკლეს მიერ თავის 1760—61 წწ. ან შემდეგი დროის ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ საპარტოლის ძეგლში¹ და იქიდან სარგებლობდეს დავითი „მიმობილვაში“ ამ მუხლების წერისას. ყოველ შემთხვევაში, დავითს შეეძლო ეს მუხლები ერეკლეს ამ საპარტოლის ძეგლის გარეშედაც, ტრადიციული ზეპირგადმოცემით ჩაეწერა „მიმობილვაში“; თვითონ დავითი სწორედ მემკვიდრე იყო სამეფო ტახტისა და თავისვე დროსაც არსებული სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ეს ძველი, ტრადიციული ქართული კანონები მას, ჩანს, კარგადაც სცოდნია. დავით ბატონიშვილის მიერ ამ მუხლებში თქმულს კარგად მოწმობს ქართული გვიანფოდალური ხანის უამრავი საისტორიო წყაროები და მას არ ეწინააღმდეგება, საერთოდ, უფრო ადრინდელი საისტორიო წყაროებიც, კანონებში შეტანილი იმ დროებითი კორექტივის გარეშე, რომელზედაც ღემოთ მსჯელობა გეჭონდა.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მხოლოდ ერეკლეს მეფობის დროიდან მოგვეპოვება ერთი ისეთი დოკუმენტი, რომელიც ბევრ რამეში უპირისპირდება დავითის „მიმობილვის“ მე-10 და მე-12—13 მუხლებს. ესაა 1791 წ. „განწესებანი საქართუქლოს მეფის ირაკლისნი ძეთა თუსთადმი სამეფოხსათუს საქართველოჲსა“. მასში ერეკლე მეორის მიერ მოცემულია ზოგიერთი ისეთი მუხლი, რომელიც აბათილებს დავითის მიერ „მიმობილვაში“ ჩაწერილ, თვითონ ერეკლეს სამეფოში მოქმედ, ზემომოყვანილ ზოგიერთ კანონს. ნაგრამ, ცნობილია, თვითონ ერეკლემ უარყო მთელი ეს თავისი „განწესებანი“ დაწერის შემდეგ და მის მუხლებს სამეფოს საპარტოლის დარგში კანონიერი მოქმედების საშუალება ამით არც მისცემია². ასე რომ დავითი, სამართლიანად, არც სარგებლობს „მიმობილვის“ წერისას ერეკლეს ამ „განწესებათა“ მუხლებით. პირიქით, მას ერეკლეს სამეფოს ის კანონები აქვს „მიმობილვის“ ზემომოტანილ მუხლებში ჩაწერილი, რომლებიც თვითონ ერეკლეს

¹ როგორც, მაგალითად, უფრო გვიან, 1832 წელს ნიკოლოზ პირველის მიერ რუსეთში თავის „Сводъ законовъ основныхъ“-ში ჩაიწერა მონარქიული სახელმწიფოს ამგვარივე ტრადიციული ძირითადი კანონები.

² თვითონ ერეკლე „განწესებათა“ დაწერით უკმაყოფილო თავისი ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილს ამის შესახებ დამარღვეველ სხვა ანდერძს აძლევს (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 222—223).

მიერ საერთოდ, ჩვეულებრივ, მისაღები იყო და სამეფოს სამართალში გამოყენებული. ერეკლეს კი თავისვე მიერ უარყოფილ ამ „განწესებანში“ ყველასათვის ანდერძად უწერია, სხვათა შორის, ის, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოში თავისი ექვსი ვაჟიშვილის—ექვსი ძმის უფროს-უმცროსობის მიხედვით „იყოს რიგით მეფობა და ბატონობა“ (მუხ. „ნე“)¹. „ლთ) მეფობა პირველად უფროს ძმას, მეორედ მეორეს, მესამედ მესამეს, მეოთხედ მეოთხეს, მეხუთედ მეხუთეს, მე[ექვსედ] მე[ექვსეს] და მასუკან კიდევ მეორედ ზოუბრუნდეს პირველის იმიდამ და კიდევ ისე უნდა ჩავიდეს მე[ექვსეს] ძმანდის; ყველამ ძმის შთაწომავლობამ ასე უნდა ჩაირიგონ მეფობა და, თუ ის ერთი ჩამომავლობისა არ ვარგოდეს ან სნეულობითა, ან სხვა რიგად შეუძლებელი იყოს, თუ იმასვე სახლისკაცი ჰყვანდეს თავის წილში, იმას დაანებონ ქვეყნის დამტკიცებით“, —წერს ერეკლე 1791 წ. „განწესებანში“.² მაგრამ, როგორც ითქვა, ეს „განწესებანი“ შემდეგ მან უარყო და ტრადიციული, ძველი ქართული სამეფოს კანონებითვე დარჩა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საქმე ქართლ-კახეთში. სწორედ სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განმსაზღვრელი ეს ტრადიციული, დაუწერელი მონარქიული სახელმწიფოს ძირითადი კანონებია მოცემული დავითის მიერ „მიმოხილვის“ ზემომოტანილ მუხლებში.

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ თვალსაჩინოდ არის ასახული ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ქართველი მეფე, განსაკუთრებით კი ერეკლე მეორე, თავადების პარტიკულარიზმის წინააღმდეგ, სამეფო ცენტრალისტური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. ამ მხრივ თხზულებაში საყურადღებოა უფლისწულებისა და საუფლისწულოების შესახებ მოცემული მუხლები 14—42. ეს მუხლები სამ ქვეთავადაა მოცემული ასეთი სათაურებით: „Члены царского грузинского дома“, „Преимущества членов царского грузинского дома“ და „Исключительныя статьи, кои к членам царского дома не относятся“.

ავტორის სიტყვით, „членами царского грузинского дома полагаются братья и дети царствующего лица, равно и дети наследника престола“ (მუხ. 14). ზემოხსენებულ მუხლებში საერთოდ მსჯელობაა მეფის სახლის ყოველი წევრის შესახებ, განსაკუთრებით კი უფლისწულთა შესახებ, დავითის სიტყვით, როგორც უფლის-

¹ ერეკლეს 1791 წ. „განწესებანი...“—ე. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, ტ. I, წი. I, 1920 წ., გვ. 220—221.

² იქვე, გვ. 213—214.

წულები, ისე მეფის სახლის სხვა წევრები არიან „первоступное в государстве ооном“ (მუხ. 14).

„მიმოხილვის“ ავტორის მიერ 14—42 მუხლებში დაწვრილებით გადმოცემულია ის პრივილეგიები და უფლება-მოვალეობები, რომლებითაც სარგებლობდნენ უფლისწულები ერეკლეს სამეფოში, კერძოდ კი საუფლისწულოებში. ადრინდელ საქართველოში უფლისწულთა ზოგიერთი ეს უფლება-მოვალეობა არ იყო და არც არსებობდა მაშინ ამგვარი საუფლისწულოებიც. ერეკლეს მიერ დაწესებული ახალი ტიპის საუფლისწულოების სისტემა საკმაოდ სხვაგვარი ხასიათისაა, ვიდრე ადრინდელი. თავისი მეფობის დროის, ახალ საუფლისწულოებს ერეკლემ, ადრინდელთან შედარებით, განსაკუთრებით სამეფო ცენტრალისტური ხელისუფლების გამაგრება დაუსახა მიზნად რიგი საგანგებო საქმეებით და ამ მიზანდასახულობით ეს ინსტიტუტი ძველად არსებულისაგან მაშინ ნაწილობრივ მაინც სხვა სახით გვევლინება. ეს, ხელოვნურად წარმოშობილი, ახალი ტიპის საუფლისწულოები საქართველოში (ქართლ-კახეთის სამეფოში) ფაქტიურად ჩნდება XVIII საუკუნის 70-ანი წლებიდან ერეკლე მეორის გააქვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე, ძველთაგანვე ტრადიციით არსებული საუფლისწულოების სახეცვლილებით. ძლიერმა თავადურმა პარტიკულარისტულ-სეპარატისტულმა ტენდენციებმა აიძულა ჩეფე ერეკლე ქართლ-კახეთის სამეფოში ამ, ახალი საუფლისწულოების შექმნით დაეპირისპირებინა თავადობის რეაქციული წრისათვის თავისი შთამომავალი მრავალრიცხოვანი უფლისწულები, ფიქრობდა რა იმას, რომ თავისი ეს შთამომავლები, მისდამი ახლო ნათესაური გრძნობების შედეგად, აღმოფხვრიდნენ სამეფოში მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების მოწინააღმდეგე თავადთა ამგვარ ტენდენციებს. ამრიგად, ახალი ტიპის საუფლისწულოების ინსტიტუტის წარმოქმნით ერეკლე ფიქრობდა დაეძლია თავისი ტახტის ქვებუდანა თავადთა პარტიკულარისტულ-სეპარატისტული მიდრეკილებანი და საერთოდ თავადური რეაქცია სამეფოში. მაგრამ, ცნობილია, მეფეს ეს იმედი არ გაუმართლდა და, პირიქით, ამ ინსტიტუტმა მაშინ ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი შედეგიც გამოიღო, ვიდრე ადრე ოდესმე. სათავადოების სისტემისათვის დამახასიათებელმა პარტიკულარისტულ-სეპარატისტულმა მიდრეკილებებმა, როგორც საერთო სოციალურმა სენმა, უფლისწულთა შორის არა ნაკლებ, ვიდრე თავადებში, ფესვი მოიდგა და ამით თვით ისინი გახდნენ უფრო ძლიერი ბურჟი თავადური რეაქციისა ქართლ-კახეთში და

თვით ერეკლეს ტახტის ძლიერებისა და მისი მონარქიული ცენ-ტრალისტუოი ხელისუფლების დამაქცეველიც. ნეფისადმი მანა-შვილურ ნათესაურ გრძნობას მათში სძლია სათავადოების სისტე-მისათვის დამახასიათებელმა პარტიკულარისტულ-სეპარატისტულმა გრძნობა-მიდრეკილებებმა, რასაც ერეკლე მათგან ეგჭომად წინას-წარ არ მოელოდა ახალი ტიპის საუფლისწულოების ინსტიტუტის წარმოქმნისას და ამით მან დიდი შეცდომა დაუშვა კიდევაც თა-ვის ანგარიშში. მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ საერთოდ „გო-ნიერ“ მეფეს¹ უფლისწულთაგან მოსალოდნელი ანგვარი განდგომის წინასწარ აღსაკვეთად თავის კანონ-წესებში სათანადო მუხლებიც ჩაუტანია, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

ახალი ტიპის საუფლისწულოების ინსტიტუტის წარმოქმნისას ერეკლეს, უეჭველია, სათანადო განჩინება უნდა შეედგინა მუხლე-ბად, საჭირო კანონ-წესების დადგენით, და ამ კანონ-წესებისათვის სანქციაც უნდა მიეცა სამეფოს სამართლის დარღვი სახელმძღვანე-ლოდ. მართალია, ერეკლეს ახალი სამართლის ასეთი განჩინება ჯერ-ჯერობით მაინც ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, უეჭველია, მის მიერ იგი იყო 1750—61 წლებში, თავისი კოლექტივის წევრთაგან შემ-წეობით, ან შემდეგ, თავისივე იურისტების დახმარებით, გამომუ-შავებული და სახელმწიფოში სახელმძღვანელოდ გამოცემული. ერეკლეს ამ კანონ-წესების არსებობას საეკვოდ არ ხდის დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ 14—42 მუხლების ტექსტი: იგი, უეჭველად, რუსული თუ არა სიტყვასიტყვითი, თავისუფალი თარ-გმანი მაინც არის ერეკლეს ამ განჩინების ტექსტისა, ან იგი, ყო-ველ შემთხვევაში, დავითის მიერ (ერეკლესეულ დედანთან ძლიერ დაახლოებით შედგენილი ტექსტია, დედნის ძირითადი აზრების დაცვით მაინც. მუხ. 14—42-ის თვით სტილი, გადმოცემის ზანერა, ენა და სხვა მოწმობს, რომ დავითი მისდევს ერეკლეს მიერ გამო-ცემული სათანადო განჩინების ტექსტს, რომ დავითს ამ მუხლთა წერისას ხელთ გააჩნია სათანადო რაღაც სამართლის ძეგლი. ამ-რიგად, „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ მუხლებში დავითს წარმოდ-გენილი აქვს ერეკლეს მიერ ახალი ტიპის საუფლისწულოების ინსტი-ტუტის შესახებ გამოცემული განჩინების ტექსტის თუ არა სრული რუსული თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, მისი ძირითადი შინაარსი მაინც. ეს გარემოება ნეტად ზრდის „მიმოხილვის“ 14—42 მუხლე-

¹ ერეკლე მეორეს „გონიერს“ და „მაღალგონიერ“ მეფეს უწოდებდნენ ცნობილი მისი თანამედროვენი (ანტონ პირველი, ვაიოხ რეპტორი, იოანე ოსეს-ძე), თვით უცხოელებიც კი (პ. პოტიომკინი და სხვ.).

ბის საისტორიო მნიშვნელობას ამ ინსტიტუტის შესასწავლად. ეს გარემოებაც რომ არ იყოს, დავით ბატონიშვილის მოგონებანიც კი ამ ინსტიტუტის შესახებ მეტად საყურადღებო იქნებოდა. მაგრამ ავტორი „მიმოხილვისა“, ჩანს, ამ შემთხვევაში მარტო თავისი მოგონებებით არ დაჯერებულა და სათანადო სამართლის ძეგლის მიხედვით ხელმძღვანელობს.

ამასთანავე, დავითის მიერ გადმოცემული მუხ. 14—42-ის ტექსტით ირკვევა, რომ მეფე ერეკლეს ახალი ტიპის საუფლისწულოების ინსტიტუტისათვის განჩინების ტექსტი შეუდგენია უფლისწულთა ძველი ჩვეულებითი სამართლით განმტკიცებული უფლებებისა და თავის მიერ ახლად შექმნილი კანონ-წესების საფუძველზე. ერეკლეს მიერ ამგვარი წერილობითი განჩინების გამოცემის გარეშე შეუძლებელი იყო ახალი ტიპის საუფლისწულოების ინსტიტუტის უფლება-მოვალეობანი ყველასათვის ასე ნათლად ყოფილიყო განსაზღვრული ზეპირსიტყვიერებით. სწორედ ამიტომ ერეკლეს სათანადო განჩინების ტექსტში ფიქსირებით უნდა შეედგინა ახალი ტიპის საუფლისწულოებში უფლისწულთა უფლება-მოვალეობათა განსაზღვრელი კანონ-წესები მუხლებად და გამოექვეყნებინა კიდევ მართლმსაჯულებაში სახელმძღვანელოდ და ამ ახალი ტიპის ინსტიტუტის განმტკიცებისათვის. „მიმოხილვის“ მუხ. 14—42-ის შესატყვისი ტექსტი არც ერთ ძველ სამართლის ძეგლში არ მოიპოვება და იგი მხოლოდ გაკვრით უდგება ერეკლე მეორის მიერ 1791 წ. უფლისწულებისათვის შედგენილ „განწესებათა“ 58 მუხლიდან ორიოდ მუხლს¹. უფლისწულთა და საუფლისწულოების შესახებ „მიმოხილვაში“ 1812—13 წლებში ჩაწერილი მუხ. 14—42-ის კანონ-წესები ერეკლეს მიერ, უეჭველია, 1760—61 წლებში, ახალი სამართლის ერთი რიგი ძეგლების შექმნისას, ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ განჩინებაში მოთავსებულ იქნა ან შემდეგ, XVIII ს. 70—90-იან წლებში მაინც, საუფლისწულოების გამრავლებისას სათანადო განჩინების გამოცემით მოცემულ იქნა; სწორედ იქიდან უნდა გადმოეწერა დავითს ეს კანონ-წესები „მიმოხილვაში“. უამისოდ შეუძლებელია „მიმოხილვაში“ ერეკლესდროინდელ უფლისწულთა და ახალი ტიპის საუფლისწულოთა შესახებ კანონ-წესების 29 მუხლი (14—42), ასე მწყობრი განსაზღვრულობით და ნამდვილი კანონმდებლობითი ენითა და სტილით, დავითს ზეპირად (მხოლოდ მუხ-

¹ შეად. ერეკლეს „განწესებანი“, — ექვ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი ტ. I, წ. I, 1920 წ., გვ. 200—221.

სიერებით) ჩაეწერა. ამასთანავე, მის მიერ შეუძღვებელია ეს კანონ-წესები ოდნავადაც განგებ შეთხზული იყოს „მიმოხილვის“ წერი-სას, რადგან მაშინ მრავლად იყვნენ ისეთი თანამედროვენი, რომელნიც კარგად მოსწრებიან ერეკლეს სამეფოში მოქმედ ამ კანონ-წესებს. მართლაც, ერეკლესდროინდელ საისტორიო წყაროებში „მიმოხილვის“ 14—42 მუხლების რომელიმე კანონის თუ წესის გამაბათილებელი რაიმე უტყუარი დოკუმენტი ჩვენ ვერც გვიპო-ვია, — პირიქით, ბევრი მათგანი ამ წყაროებით დასტურდება კი-დეც, — და დავითის „მიმოხილვა“ ამ შემთხვევაშიაც სრულიად სანდო ჩანს.

მეფე ერეკლე არც იმდენად გულუბრყვილო ყოფილა, რომ არ გაეთვალისწინებინა საუფლისწულოებში უფლისწულთაგან მოსალო-დნელი თავადური პარტიკულარისტულ-სეპარატისტული მიდრეკი-ლებანი და პოლიტიკური ურჩობა და განდგომა ჩეფის ცენტრალის-ტური ხელისუფლების წინააღმდეგ. მართალია, ამალი ტიპის სა-უფლისწულოების ინსტიტუტის წარმოქმნით მან, როგორც მონარქმა მეფემ, შეცდომით უდიდესი ნდობა გამოუცხადა თავის შთა-მომავალთ, მაგრამ ამავე დროს, ცხადია, ზემოხსენებული თავისი განჩინების რიგი სათანადო მუხლებით, წინასწარ შეუზღუდავს ისინი მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების განმტკიცების მიზ-ნით. მეფე ერეკლე უფლისწულებს თელის თავის შემდეგ სახელმწი-ფოში უპირველეს პირებად, რომელნიც ყოველმხრივ მის პირად უშუალო მორჩილებაში იმყოფებიან და მისი მეფური მონარქიული ინტერესების დამცველები არიან ადგილებზე. სახელმწიფო საქმე-ებში მათ რომელიმე დიდ მოხელეზე მეტი უფლებები არ ზოგო-ვებათ, პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ამ მოხელეებს ექვემ-დებარებიან. ამ მხრივ საყურადღებოა „მიმოხილვის“ შემდეგი მუხ-ლები: „Члены царского дома могут предпочтительнее прочих князей восходить по службе все воинские степени и чины, однакож когда будут находит[ь]ся в войске, принимают и исполняют все приказы командующего генерала“ (მუხ. 17). „Они также дают суд и расправу в своих уделах, кроме дел уголовных, кои по порядку относятся к суду мдиванбегов“ (მუხ. 19). ზემოთქმულისამებრ განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი მუხ-ლიც: „Все царевичи и члены царского дома не могут строить крепостей, разве только с точного повеления царского, да и в тех крепостях, кои принадлежат к их владениям, бывають гарнизоны царские“ (მუხ. 21). აგრეთვე, აღსანიშნავია შემდეგიც:

„Никто из членов сей высокої фамилии без указа от царя не собиравт войск и не учреждает никаких военных сборов и команд в своих уделах“ (მუხ. 22). „Сами собою не могут чинить нападения и вести войну с окрестными народами...“ (მუხ. 23). „Не имеют артиллерии и не льют пушек“ (მუხ. 24). ასევე, მეფე ზღუდავს უფლისწულებს მეზობელ ქვეყნებთან დიპლომატიურ ურთიერთობაში, სამეფოს სამართლისა და მართლსაჯულების დარგში მეფის საწინააღმდეგო მოქმედებაში, ვინმეს მიმართ უფლებრივად მიმძღავრებაში, სამეფოს ფინანსურ საქმეთა ჩარევაში და ა. შ. (მუხ. 25—39). უფლისწულებს ეკრძალებათ სახელმწიფო მოხელეთა საქმეებში ჩაერიონ, კერძოდ: „в удельных своих имениях члены царского дома не возбраняют моуравам отправление их должности“ (მუხ. 40), და ა. შ.

მაშ რა მოვალეობას ასრულებენ უფლისწულები ერეკლეს სამეფოს საუფლისწულოებში? „მიმოხილვის“ ავტორს პასუხად. კონკრეტულ ვალდებულებათა შემდეგ, მოეპოვება ასეთი მუხლი: „Члены царского грузинского дома, одиченные высоким званием и достоинством, имеют первеншую обязанностью благосостояние царя и царства, внутреннее и внешнее спокойствие, пекутся о приращении государственных интересов и о народном благоденствии“ (მუხ. 41). ასეთი რამ ხდება კერძოდ ისეთი საქმეებით, როგორცაა, სხვათა შორის, უფლისწულთა მოვალეობა, ერთ-ერთ მუხლად ჩაწერილი: „От власти их зависит учреждать в своих имениях всякие фабрики и вообще хозяйственные заведения, водворять училища, госпитали, богадельни и проч.“ (მუხ. 20), და ა. შ.

ამრიგად, ერეკლეს წარმოდგენით, უფლისწულნი საუფლისწულოებში თავიანთი მეფე-მონარქის სახელმწიფოებრივი ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ზომების სანიმუშო მთავარი აღმასრულებელნი და ზედამხედველნი არიან ადგილებზე, საამისოდ მეფის ხელისუფლებისაგან ნდობით აღჭურვილი, საპატიო უჯამაგირო ნახევრად-მოხელეები და არა თითქმის სრულიად დამოუკიდებელი მპყრობელნი სამეფოს ამა თუ იმ მხარისა, როგორცაა ისინი ბშირად წინათ ქვეყანას ევლინებოდნენ. დავითის „მიმოხილვიდან“ ჩანს, რომ ერეკლე მეორე ცდილობდა, ცხოვრებაში ზემოხსენებული კანონ-წესების გატარებით, თავადური პარტიკულარისტულ-სეპარატისტული მიდრეკილებებისა და ობსკურანტობის წინააღმდეგ გამოეყენებინა თავის მიერ წარმოქმნილი ახალი ტიპის საუფ-

ლისწულობების ინსტიტუტი და არა სათავადოების სისტემის რეაქციულ მოვლენათა განსამტკიცებლად.

მთელი ეს ზემოაღწერილი ცდა უფლისწულთა გამოყენებისა ერეკლეს სახელმწიფოებრივი მიზნების საწინააღმდეგოდ რომ არ მომხდარიყო, ამიტომ მის მიერ ამ კანონ-წესებში უფლიაწულთა გასაფრთხილებლად საზოგადოდ თქმულია: „Священному их сану должны быть чужды всякия неприязненные умысления против государя и отечества. Одним словом, они не могут быть изменниками ни в каком соотношении“ (მუხ. 41). ასეთი „მოლაღატეები“ კი ერეკლეს თავის დროზე ბევრი ზოგბოვებოდა თავადთა წრეში და ამიტომბა იგი უფლისწულებს ამგვარად აფრთხილებს, რომ ისინიც არ დაქანდნენ სათავადოების სისტემისათვის დამახასიათებელ ამ მოლიპულ გზაზე. ეს გაფრთხილება მშვენივრადაა გამოთქმული უკანასკნელ მუხლშიც: „В противном случае благо общественное предпочитается выгодам личным. Бытописания времен разкрывают нам чрезвычайнымъ происшествия, что для благосостояния государствъ государии не щадили ни детей, ни родственниковъ своих, избънченныхъ в предательстве и измене,— да и Грузия не раз была свидетельницею сего болезненнаго, но справедливого правосудия своихъ царей“ (მუხ. 42). შენიშვნაში დავით ბატონიშვილს მოყვანილი აქვს სამი მაგალითი ამის შესახებ: აფხაზთა მეფე გიორგის შვილის—კონსტანტინეს შესახებ (798 წ.). დემნა ბატონიშვილის მაგალითი გიორგი III-ის მეფობისას და პაატა ბატონიშვილის დასჯა სიკვდილით თვით ერეკლე მეორის მეფობის დროს.

10. XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს ზოგიერთი ხმა ახალი კანონი და წესი, ჩაწერილი „მომოხილვაში“

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ ერეკლესა და გიორგისდროინდელ ქართლ-კახეთში არსებული ზოგიერთი ახალი კანონი და წესი, ხოლო ერთი რიგი ახალი კანონ-წესებისა საგანგებოდ ამ ქვეთავში უნდა განვიხილოთ. მაგრამ საერთოდ სანამ მათ განხილვაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას გვიანფეოდალურ საქართველოში ყოველგვარი „უცხოური“ ინსტიტუტების, კანონ-წესების და სხვათა შესახებ, რომლებიც თურქთა და განსაკუთრებით ირანელთა ბატონობის დროს ჩვენში, მათი ძალადობის შედეგად, ასე თუ ისე არსებულა და გარკვეულ გადმონაშთთა სახით XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთშიაც დარჩენილა.

XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ მაჰმადიან მეფეებთან არსებული ირანის შაჰის სამეთვალყურო აპარატის მოხელეების—ვეზირის, მუსტოფის, მუნშის და, აგრეთვე, შაჰის სამხედრო-პოლიტიკური წარმომადგენლების — თბილისის ყიზილბაშური გარნიზონის ციხისთავი-მინბაშის და ამავდროულად მეფეებისათვის ქეშიკად მიჩენილი ყიზილბაში სარდლის ფუნქციებს¹ ერეკლე მეორემ 1748 წელს აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრებით ფაქტიურად ბოლო მოუღო. კერძოდ, მუსლიმანი ვეზირ-მუსტოფები, რამდენადაც ისინი ერეკლეს მეფობის დროს არსებობდნენ და ირანის განმგებელის რწმუნებულები იყვნენ, თვით ერეკლე მეფეზე იყვნენ უფრო დამოკიდებული, ვიდრე ირანის ხანთან და, ჩანს, ქართლ-კახეთის მეფის ნამდვილ მოხელეებად იქცნენ².

XVIII ს-ის მეორე ნახევარში დამყარებულ ასეთ პირობებსა და გარემოებაში, მიუხედავად აგრესორი ირანის კვლავ პირისპირ დგომისა, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის თავისთავადობა სრულიად შეუღლებელი იყო ირანის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის რაიმე ზეგავლენისაგან, კერძოდ სამართლის დარგშიაც. ამასთანავე, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ერეკლეს მეფობის დრომდეც, ირანის პოლიტიკური ბატონობის პირობებშია ციხი, ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი ეს თავისთავადობა არსებითად არ შეღებულა. დოც. ვ. გაბაშვილის მართებული აღნიშვნით, «ვახუშტის სწორად აქვს გაგებულნი როსტომის „რეფორმის“ აზრი და მიზანი. XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსის წარმოდგენით, როსტომი არ სცვლის „ქართველობას“ ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისათვის უცხო „ყიზილბაშობით“». «ყიზილბაშური „წესის“ ძლიერი გავლენა მართლაც სამეფო კარს, მეჯლისობის წესს, სასახლის ხელშინაურ მოხელეობას და სამეფო „ქარხნების“ ორგანიზაციას ეტყობა, მაგრამ ძირითადად უცვლელი დარჩა ქართული სახელმწიფო აპარატი. XVII—XVIII სს. სამხედრო საქმეს (ფეოდალური ლაშქრის წვევა-შედგენა), ფინანსებს, სასამართლოს, სახელმწიფო სამდივანმწიგნობროს (კანცელარიას), ქალაქებს და სოფლებს განაგებდნენ ქართველი მოხელენი: სარდლები, სახლთუხუცესები, მდივანბეგები, მდივ-

¹ ვ. გაბაშვილი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანდროდალურ საქართველოში, — „მომომხილველი“, II, 1951 წ., გვ. 166 და სხვ.

² იქვე, გვ. 152—154, 168.

ნები, მოურავები, მამასახლისები. ქართული სახელმწიფო (თავადურ-ბატონყმური) ქართული საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობის შესაბამისი იყო. ანტიკომ არ შეიძლებოდა აღმოსავლურ სამოხელეო სახელებს ქართული სახელმწიფო წყობილება ყიზილბაშურ საფუძველზე გარდაექმნათ. ვახუშტის დაკვირვების უნარის საუკეთესო მოწმობაა ის, რომ იგი ხელისუფალთა შეცვლილ სახელებს ქვეშ უპირატესად ქართულ, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულ, პოლიტიკურ ინსტიტუტებს გულისხმობდა. ქართული წარმოება-მეურნეობა, კულტურა და იდეოლოგია აშკარად განსხვავდებოდა ყიზილბაშურისაგან¹.

გვიანდელი დღის ხანაში ქართველ ხალხს ვერც თურქეთის მრავალგზის ძალადობამ და თურქული წესების ხელოვნურად დანერგვამ და ვერც 1632—1748 წლების „ყიზილბაშობამ“ არსებითად ვერ შეუცვალა თავისი მეურნეობა, სახელმწიფოებრივი წყობილება, კულტურა და იდეოლოგია. ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის საქართველომ, ამერეთმა და იმერეთმა, სახელოვნად დაიცვა „ქართველობა“, თავისი სახელმწიფოებრიობა, მეურნეობა, ეროვნული კულტურა და იდეოლოგია ზემოხსენებულ აგრესორთა ყოველგვარი ხელყოფისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თურქებისაგან მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს ბედ-იღბალს. მაგრამ ერეკლესა და სოლომონის „ხმლები“ ამ მინატაციების დასაბრუნებლად იბრძოდნენ მთელი „ქართველობით“. ამასთანავე, თვითმყობადი „ქართველობა“ სახელმწიფოებრიობის ყოველ დარგში იზუშებდა თურქებისა და ირანელებისაგან დიდი ხნის განმავლობაში მიყენებულ ჭრილობებს ქართული ნაცადი „წამლებით“ — ქართული მრავალსაუკუნოვანი მდიდარი კულტურის ღრმა ათვისებითა და განვითარებით, კერძოდ სამართლისა და მართლმსაჯულების დარგშიაც. ამ მხრივ ამ დარგშიაც გარკვეული წარმატება მოიპოვა სოლომონ პირველმა თავის სამეფო იმერეთში და განსაკუთრებით კი ერეკლე მეორემ თავის მიერ გაერთიანებულ ქართლ-კახეთში. დავით ბატონიშვილი თავის 1812 წ. პროექტში „О лучшем устройстве Грузии“ რუსეთის მთავრობის წინაშე სამართლიანად მოწმობს იმ ფაქტს, რომ „царь Ираклий, по духу и уму известный в истории своего века, сохранил и даже распространил древние права своих предков, как по внутренним, так и внешним отношениям“².

¹ ვ. გაბაშვილი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანდელი დღის საქართველოში, — „მომოხილველი“, II, 1951 წ., გვ. 166—167.

² „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942, ნაკვ. I, გვ. 128—129.

სწორად აღნიშნავს ვ. გაბაშვილი, როცა წერს: «ქართველი მეფეები (განსაკუთრებით გიორგი XI, ვახტანგ VI...) იმის ცდაში უნდა ყოფილიყვნენ, რათა შეესუსტებინათ ვეზირ-მუსტოფების სამეთვალყურო ფუნქცია და გაეძლიერებინათ მეფის სამსახურთან დაკავშირებული მათი სამოხელეო მოვალეობა. ყოველ შემთხვევაში, XVIII ს-ის მეორე ნახევარში ვეზირ-მუსტოფი ქართველი მეფის მოხელედაა ქცეული. ამავდროს ვეზირობა და მუსტოფობა ერთ თანამდებობად გაერთიანებული ჩანს. ამ ორი «ჯელის» გაერთიანება, საფიქრებელია, სამეთვალყურო ფუნქციის მოშლით ყოფილიყო გამოწვეული. საზოგადოდ ერანულ-ყიზილბაშური წარმოშობის ინსტიტუტები (მაგ., მინბაშის, ნასახჩიბაშის და სხვა) თანდათან ქართული ფეოდალური ორგანიზაციის შესაბამისად ეწყობოდა. პირუქუ პროცესი გაზორიცხული იყო, სანამ არსებობდა გვიანფეოდალურ საქართველოს დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური წყობა, რომლის წარმოქმნასაც წარმოადგენდა თავადურ-ბატონყურთი სახელმწიფო¹. დიახ, სწორადაა ნათქვამი. «პირუქუ პროცესი გაზორიცხული იყო...», რადგან მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი ქართული სახელმწიფოებრიობა და, საერთოდ, კულტურა, მიუხედავად წარსულში მრავალი «ძნელბედობის» გადატანისა, მაინც იმ სიმალღეზე იდგა, რომ ერეკლეს მეფობისას მან ადვილად წინიწინა ქართულ ნიადაგზე ადრე ძალად დანერგილი, უღლეური «ერანულ-ყიზილბაშური წარმოშობის ინსტიტუტები», ისინიც კი «გააქართულა»².

ზემოხსენებული გარემოებანი და თავისი ცხოვრების დროის ყოველგვარი საყურადღებო ფაქტები მშვენიერად იცოდა და კარგადაც შეიგნო ერეკლეს უკანასკნელმა ნიქაერმა ეპიგონმა დავით ბატონიშვილმა. ამიტომ, ბუნებრივია, მან თავის «მიმოხილვაში»

¹ ვ. გაბაშვილი, ზემოხსენებული ნაშრომი, გვ. 168.

² ამ მიზრად დიდად საყურადღებოა ერეკლე მეორის მეფობისას თუნდაც «მუნის» წოდების მქონე ნიჩხა გურჯენ ენიკოლოფაშვილის მოღვაწეობა. მას თავის გვარში შთამომავლობით ჰქონდა მიღებული დიპლომატიის თანამდებობა სამეფოს საგარეო საქმეთა უწყებაში. იგი თავის დროზე სპარსული და თურქული ენებისა და აღმოსავლური კვყვნების დიპლომატიკის საუცხოო მცოდნედ ითვლებოდა ჩვენში და, ამასთანავე, ქართველობის დიდ მოამაგედ. ამიტომ ერეკლემ სწორედ მას დააკისრა ელჩობის ხელმძღვანელობა სპარსეთში: ჰერიმ-ხანთან, ხოლო შემდეგ, 1778 წელსვე, ოსმალეთის მთავრობასთან წარგზავნით. ორივე შემთხვევაში მუნშმა გურჯენ ენიკოლოფაშვილმა თავისი მისია ბრწყინვალედ დაასრულა საქართველოსათვის ხელსაყრელი ხელშეკრულებების დადებით სპარსეთისა და ოსმალეთის მთავრობებთან. იგი გარდაიცვალა 1786 წელს თბილისში.

სპარსული, თურქული, არაბული, ბერძნული თუ სხვა უცხოური სიტყვებითა და ტერმინებით აღნიშნული ინსტიტუტები, კანონები, წესები, ჩვეულებები და სხვა არა უცხოურად მიიჩნია, არამედ სრულიად მართებულად სინამდვილეში, მათი შინაარსითა და ბუნებით, ქართულ სახელმწიფო ინსტიტუტებად, კანონებად, წესებად, ქართულ ხალხურ ჩვეულებებად, ადათებად და სხვად წარმოგვიდგინა. დავითი „მიმოხილვაში“ ზოგან პირდაპირ მიგვიითხებებს ან რამით მაინც გვიმედავენებს, რომ ესა თუ ის კანონი თუ წესი „რუსულია“, ერეკლესა და გიორგის მეფობისას შემოღებული, მაგრამ ასეთ რამეს ის არასდროს არ გვამცნებს, თურქული თუ ირანული ტერმინებისა და სხვა სიტყვების ხმარების დროს ან სხვა შემთხვევებშიაც, თურქებისა თუ სპარსელებისადმი მიკუთვნებით. ამ გარემოებათა გათვალისწინებით აშკარა ხდება, რომ დავითმა მშვენიერად იცის და კარგად შეგნებული აქვს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის რეალური მდგომარეობა მთელი თავისი სიღრმითა და სიფართით: დავითს მშვენიერად ესმის ის, რომ ერეკლე მეორე ქართველ ხალხთან ერთად არა მარტო თავისი ხმლით ფიზიკურად იცავდა „დედა“-სამშობლოს მისი მეზობელი „ბარბაროზ“-აგრესორებისაგან (ანტონ I), არამედ მთელი საქართველო ერეკლესვე წინამძღოლობით თავს იცავდა მათი ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ჩამორჩენილობისაგანაც; ამასთანავე, დავითს მშვენიერად ესმის ის, რომ თუ ერეკლეს „მეზობელი“ უცხოელებისაგან (განსაკუთრებით რუსებისაგან) ზოგი რამ ახალი და ცხოველმყოფელი გადმოჰქონდა, ეს ქართული თვითმყობადი ეროვნული კულტურის დამამკირებელი კი არ იყო, არამედ მისი შემავსებელი და განმავითარებელი მათი „გაქართულებით“. ამ მხრივ, მაგალითად, თვითონ დავით ბატონიშვილი უცხო ხალხთა მწერლობისა და კულტურის ფართო და ღრმა მკოდნეობით საუცხოო განსახიერებაა იმისა, რომ ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურა როგორც წინათ, ისე ერეკლე მეორის მეფობის დროსაც არ იყო შემოვლებული ჩინური კედლებით ყოველი ახალი და ცხოველმყოფელური უცხოურის მიწართ; პირიქით, ცნობილია, რომ ქართველობა ასეთ რამეს მუდმივ ეწაფებოდა თავისი თავისთავადი კულტურის ძლიერებით. დავითი თავის 1812 წ. პროექტში „О лучшем устройстве Грузии“, რუსეთის მთავრობის საყურადღებოდ, ამგვარად გამოხატავს ამ გარემოებას: უძველესი დროიდან „Грузия“ имела непрерывным союз с сильнейшими соседственными народами, смотря по обстоятельствам, и чрез несколько

სტოლეთი ყრი ვსჱ ოტეჩესტვსნიჱჱ პრეიჱმუშესტვჱჱ ბჱჱა ვ პოკრო-
 ვიტელესტვჱჱ პერსიჱდსკოჱ პრესტოჱა“¹. მართლჱც, XVIII სჱჱუჱენე-
 შიჱც ქართული კულტურჱ მჱღლჱ იდგჱ არჱმც თუ თურქეთის,
 არჱმედ ირჱნულ კულტურჱზედჱც დჱ ზევრ დარგში არ ჱამორჱჩე-
 ბოდჱ ვეროპის მოწინჱვე სახელმწიფოთჱ კულტურჱსჱც, თუმც ზო-
 გიერთი უცხოელი მოგზჱური თუ რუსი მოხელე ამ გარკემოებჱს.
 მჱშინ უნეცრებით არ გადმოგვეცემს ან, თუ აღნიშნჱვს, აბიჱბრუ-
 ებს². სინამდელიღეში კი, კერძოდ, ქართულ სახელმწიფო წყობი-
 ლებჱსჱ დჱ სამართალშიჱც ქართული კულტურის სიდიდჱდჱ XVIII
 ს-ის მეორე ნახევარშიჱც ბევრი რჱმით გარკვევით ჱანდჱ³. დჱ აი,
 დავით ბატონიშვილმა თავისი „მიმოხილვით“ ქართული კულტურის
 თავისი დროის ნიჱილისტებს XVIII ს-ის მეორე ნახევრის
 ქართლ-კახეთის სახელმწიფო წყობილებიჱსჱ დჱ სამართლის ნამდვი-
 ლი სურათი დჱუფარჱვად, სჱქვეყნოდ წარმოუდგინჱ თავისი დროი-
 სათვის სჱკმაოდ მჱღალი ისტორიკოსის მეცნიერული მიუდგომ-
 ლობითჱ დჱ პასუხისმგებლობით.

ერეკლე მეორე ქართველი ხალხისჱ დჱ მისი კულტურისთვის
 მიუღებელი, მჱვნე ყოველგვარი უცხო ს დჱუძინებელი მტერი იყო.
 მგრჱმ იგი, ამასთანჱვე, დიდად დჱინტერესებულიც იყო მისთვის.
 მარგებელი ახალი, ცხოველმყოფელი ყოველგვარი უცხოურის ათეი-
 სებითჱ დჱ გამოყენებით სამეფოში. ასეთი იყო ყოველი მოწინჱვე
 ქართველი სჱქართველოს მრჱვალსჱუჱუნოვანი ისტორიის მანძილზე
 დჱ ეს ნუღმდივი ნიშანიც „ქართველობაში“ ქუთუოდ მჱღალი კულ-

¹ „მასჱღები სჱქართველოსჱ დჱ კჱვკასიის ისტორიისა-
 თვის“, 1942 წ., ნჱკვ. I, გვ. 128.

² ამ მხრივ დიდად ნიშნდობლივჱ, სხვათჱ შორის, თუნდაც გრ. პოტომკინის
 განცვიფრებჱ ეოყელს მიფო რუსეთის მთავრობჱსთან გჱგზჱნილი ელჩის
 სულხჱნ თუშჱნიშვილის დიდი განათლებით. ამის შესახებ კ. ბუტკო-
 ვი წერს: „Ираклий прислал к князю Потемкину первого своего секрет-
 таря и любимца князя Сулхана Туманова, коего князь Потемкин нашёл
 человеком благоразумным, весьма хорошего просвещения и со многими
 дарованиями. Нельзя, писал князь Потемкин к императрице Екатерине
 7 октября 1783 г., таковым себе представить жителя тифлисского“ („Ма-
 териалы...“, II, სტრ. 129). ცნობილიჱ, რომ სჱქართველოში მშობლიური
 კულტურით აღზრდილი უყუეთის მრჱვალი სხვჱ განათლებული პირიც როგორც
 ადრე, ისე მჱშინჱც მოიპოვებოდჱ სჱმწერლო დჱ სახელმწიფო მოღვაწეობის
 მრჱვალ დარგში. ჱანს, ეს გარემოებჱ მჱშინ ვეღარ შეუშემცნებჱ ცარიზმის დიდ
 მოხელესჱ დჱ პოლიტიკოსს გრ. პოტიომკინსჱც კი!

³ ამ სჱკითხის შესახებ იხ. უფრო ვრცლად ა. პ. როგჱვას ნაშრომში
 „ჱპიტალიზმი ჱანასხი სჱქართველოში დჱ ერეკლე მეორის პოლიტიკა“.

ტურის დამახასიათებელია. მაგალითად, ასეთი იყო ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებელი, იოანე პეტრიწი, დიდი შოთა და სხვა ძველად, ბოლო უფრო გვიან ვახტანგ VI, საბა ორბელიანი, ანტონ I და სხვა მრავალი. ამგვარი მათი ინტერესით ქართული კულტურა კი არ დამდაბლებულა, არამედ საერთოდ „ქართველობა“ მარად ამძლვებულა, როგორც თვითმყობადი და მტკიცე საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზმი პროგრესულ კაცობრიობაში. საქართველოს თვითმყობადმა დიადმა კულტურამ,—თავის მეურნეობაში, სასელმწიფოებრიობაში, ქართულ ინსტიტუტებში, მტკიცე ქართულ ოჯახში, ზნე-ჩვეულებებსა და ადათებში, კანონ-წესებსა და სხვაში მარად გამოხატულმა,—იხსნა პატარა ქართველი ხალხი აღმოსავლეთის ჩამორჩენილი დიდი ხალხების მპყრობელთა მიერ ხშირ ძალადობასა და აგრესიაში განადგურებისაგან. ეს გარემოება თავიანთ დროზე მშვენივრად ესმოდათ ერეკლე მეორეს, დავით ბატონიშვილსა და სხვა მოწინავე ქართველებსაც.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ იყო ერეკლე მეორე თავის დროზე მეზობელ „ბარბაროზთა“ წინააღმდეგ ყოველმხრივ გააფთრებით რომ იბრძოდა მთელი ქართველობითა და, ამასთანავე, „ევროპისაკენ“, განსაკუთრებით რუსეთისაკენ იმზირებოდა „ქართველობის“ გასამაგრებლად. ამ ვითარებაში სრულიად სამართლიანია საქართველოში 1783—1787 წლებში მყოფი რუსი პოლკოვნიკის, ს. ბურნაშევის შენიშვნა მის შესახებ: Ираклий II „ни к чему... так не стремится как преобразовать народ свой по европейски“¹. ერეკლე მეორეს „თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნა (преобразовать)“ წარმოდგენილი ჰქონდა ქართველთაგან ევროპული ტექნიკისა და მეცნიერების კარგად ათვისებით, ჩვენში მემამულურ-ბურჟუაზიული ეკონომიკის დამკვიდრებითა და განათლებული აბაოლუტური მონარქიის დამყარებით. ამიტომ იყო, რომ მას სიამოვნებით გადმოჰქონდა გადმოკეთებულად ქართულ სამეფოს სამართალში ზოგიერთი რუსული კანონი და წესი, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ, საგანგებო ქვეთავში გვაქვს მსჯელობა²; ამიტომ იყო ისიც, რომ იგი ძველი მანე ირანული ინსტიტუტებისა და კანონ-წესების ყოველგვარი გადმონაშთების ლიკვიდაციას აწარმოებდა და, ამასთანავე, „ევრო-

¹ С. Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств карталинского и кахетинского, Тифлис, 1896 г., стр. 10.

² იხ. ამავე (IV) თავის ქვეთავი 11.

პიას“ შეყვარებით სულ ახალ და ახალ კანონ-წესებს „ოგონებდა“. თვითმყოფადი ქართული კულტურა ამით, კერძოდ, სახელმწიფო წყობილებასა და სამართლის დარგშიაც აღმავლობის გზაზე იმყოფებოდა ერეკლეს მეფობისას.

ყველა ზემოხსენებული საქმე, ძველი ქართული კულტურის ღრმად ათვისება-გამოყენებასთან ერთად, დიდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა ერეკლესდროინდელი „ქართველობისათვის“. ქართული კულტურის „აღორძინების“ ხანა (XVI—XVIII სს.) განსაკუთრებით ასეთ დიდ საქმიანობაში გამოიხატებოდა. ერეკლე მთელი ქართველობის ამ ეროვნული დიდი საქმეების მარეგულირებელი და მთავარი სულისჩამდგმელი იყო თავის დროზე. ყველაფერ ამის საუცხოო გამომსატველია დავითის „მიმოხილვა“.

ვახტანგ VI-ის „დასტურლამალითა“ და „სჯულით“ და, აგრეთვე, ძველი სამართლის სხვა ძეგლებით ნაწილობრივ სარგებლობის გარდა, როგორც ითქვა, XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში ახალი სამართლის ძეგლებითაც სარგებლობდნენ. თეიმურაზ მეორემ, გიორგი მეთერთმეტემ და, განსაკუთრებით კი, ერეკლე მეორემ თავიანთი მეფობისას, სხვადასხვა დროს, სახელმწიფო სასამართლოს ორგანოებს საკუთარი მრავალი ახალი წერილობითი ძეგლიც შეუქმნეს. ასეთებია: ზემოხსენებული, ჩვენთვის დღემდე მოუპოვებელი ერეკლეს ახალი სამართლის ძეგლები, ამ მეფეთა ცნობილი „განჩინებები“, „ბრძანებები“, მათი მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამომუშავებული დადგენილებები, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების მიერ 1778—1782 წლებში, შამისვე დასტურით, გამოცემული „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ არაგვისხეველთათვის და სხვა. ვახტანგ VI-ის ზემოხსენებულ სამართლის წიგნთა და სხვ. გარდა, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი სამოხელეო აპარატი ამ ახალ ძეგლებში მოცემული კანონებითაც ხელმძღვანელობდა პრაქტიკულ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, თვითმხილველმა დავით ბატონიშვილმა ეს მდგომარეობა ძლიერ კარგად იცოდა. ცხადია, ამიტომ მან არა მარტო ვახტანგ VI-ის „დასტურლამალისა“ და „სჯულისაგან“ და, აგრეთვე, ძველი სამართლის სხვა ძეგლებიდან განსაკუთრებით ერეკლეს მიერ სანქცირებული კანონ-წესების რიგი მუხლები ამოკრიბა ან ხშირად მიგვითითა მაშინ მოქმედად, არამედ მას გზადაგზა განსაკუთრებით ურეკლეს (ახალი) სამართლის ძეგლებითაც უამრავ ადგილას უხვად უსარგებლია; დავითს თეიმურაზის, გიორგისა და განსაკუთრებით

ერეკლეს ახალი სამართლის „განჩინებათა“, „ბრძანებათა“, საეკლესიო კრებების დადგენილებათა და სხვათაგან ეს წესები და კანონები გულდასმით ამოუკრებია და „მიმოხილვის“ სათანადო ადგილებში შეუტანია კიდევაც. ამასთანავე, მას ზოგიერთისათვის საკუთარი განმარტებაც დაურთავს. ასეთია, მაგალითად, მუხლი „869. Когда будет взят в плен человек несвободного состояния и сам собою возвратит свою свободу, а за прежним помещиком остаться не пожелает, суть в зпие своем свободен, по усгновлению царя Пракляя, но дети его, прежде плена рождшнныя, останутся за помещиком“.

ცნობილია, რომ არა თუ ადრე, არამედ ქართლ-კახეთის გაერთიანების (1762 წ.) შემდეგაც, XVIII საუკუნეში ერეკლეს საშეფო ლეკიანობისაგან დიდად ზარალდებოდა. ამ მხრივ დიდ გასაჰირს განიცდიდა განსაკუთრებით გლეხობა, საზოგადოებრივი დოვლათის ძირითადი მწარმოებელი და მრავალრიცხოვანი ნაწილი საზოგადოებისა. ლეკთაგან დატყვევებულ გლეხთა რიცხვი ამ საუკუნის 60—70-იან წლებშიაც ძლიერ დიდი იყო. ამიტომ ერეკლე II ტყვე-გლეხთა დასახსნელად აღრიდანვე ზრუნავდა. ეს 1765 წ. 23 აპრილს ასეთი „პირობა“ დაუკანონებია: „ჩვენ, მეფეს ერეკლეს, საქართველოს კათალიკოსსა, ეპისკოპოსთა და დარბაისელთა ეს [პ]ირობა დაგვიდგია ღვთის ფიცითა, რომ რომელიც ტყვე მოვიდეს—ძველს პატრონს კელი აღარ აქვს, თავისუფალია, ვისაც უნდა იმას ეყმობა. ამის წიგნი დაგვიდგია და დაგვიმტკიცებია აპრილს კვ, ქრისტეს აქეთ ჩღე“. მისდევს ბეჰედი, უთუოდ, ერეკლესი და ხელმოწერა ანტონ კათალიკოზისა¹. ამ დადგენილებას მეფე ერეკლე და მისი ხელისუფლება სახელმწიფოში მტკიცედ იცავდა².

როგორც ვხედავთ, დავით ბატონიშვილს „მიმოხილვის“ 869-ე მუხლის წერისას უხელმძღვანელობდა, როგორც თვითონაც მიგვითითებს, ერეკლეს ზემომოყვანილი დადგენილებით. მაგრამ ტექსტთა შედარებიდან აშკარაა, რომ დავითს ამ დადგენილებების ტექსტი სიტყვასიტყვით კი არა აქვს გადმოცემული, არამედ თავისუფლად,

¹ საქ. ცენტრ. არქ. ფ. 229 (4), დავთ. 13, № 208,—ასლია; შეად. Д. П у р ц е л а д з е, Груз, крестьянские грамоты..., 1882, გვ. 17.

² ამის შესახებ იხ. ვრცელად ა. პ. როგავას მონოგრაფია „ლევან ერეკლეს-ძე ბაგრატიონი“, თ. „მორიგე ჯარი და მისი მეთაური ლევან ბატონიშვილი“ (წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების ღია სხდომებზე 1950—52 წლებში და მზადდება გამოსაცემად).

თავისივე სიტყვებით, თანაც სათანადო განმარტების ჩართვით („когда будет взят в плен человек несвободного состояния и сам собою возвратит свою свободу...“) და დამატებითაც („...но дети его, прежде плена рожденный, останутся за помещиком“), რომელიც თვით დადგენილებაში პირდაპირ არაა ნათქვამი, მაგრამ საგულვეტელი კი იყო. ამრიგად, დავითის ნათქვამი ზემოხსენებულ დადგენილებას იმეორებს, თანაც ნკითხველისათვის სათანადო კომენტარების მოცემით მას უფრო გასაგებად ხდის.

ერეკლეს ზემოხსენებულ კანონთან დაკავშირებით დიდად საყურადღებოა ტყვეობიდან მოსული გლეხის შესახებ ის კანონებიც, რომლებიც მოცემული აქვს დავითს „მიმოხილვის“ თავში „Попавшиеся в плен“, მუხ. 384—389, აგრეთვე მუხ. 253.

ზემოხსენებული კომენტარები „მიმოხილვაში“ ერეკლეს ზემომოყვანილი კანონისადმი და იმავე საკითხზე საგანგებო მსგავსი სხვა მუხლებიც თვითმხილველი, დიდად დაკვირვებული და განათლებული დავით ბატონიშვილისაგან ფრიად საყურადღებოა მკვლევრისათვის. დავითი პაპამისის, ერეკლეს გარდაცვალებისას (1798 წ. 11 იანვარი) დაახლოებით 31 წლისა იყო და ადრე, პაპისვე დავალებით, მას მართლმსაჯულებაშიაც არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა. ამიტომ დავითის ზემომოყვანილი ცნობებიც ერეკლეს სამეფოს სამართლის შესახებ დიდად სანდო და ანგარიშგასაწევი ხდება ჩვენთვის.

ამასთანავე, დავით ბატონიშვილს ერეკლეს ზოგიერთი სხვა „განჩინებიდან“ თუ „ბრძანებიდანაც“ კანონები და წესები მოჰყავს „მიმოხილვაში“ ხშირად არა სიტყვასიტყვით, არამედ თავისუფლად, თავისი სიტყვებით, მაგრამ აზრის დაუმახინჯებლად. ამ შემთხვევებისაგან საყურადღებოა, მაგალითად, „მორიგობის ლაშქრობის განაჩენის“ მუხლებით სარგებლობა. ერეკლეს ეს „განაჩენი“, რომელიც 1774 წ. 4 იანვრიდან (ერეკლემ, „დარბაზის ერთა“ მოწონებით, ამ დღეს მიიღო ოფიციალურად ეს „განაჩენი“ ანუ „განჩინება“) მოქმედებდა ქართლ-კახეთის სამეფოში, შეიცავს 37 მუხლს¹. თავისი თხზულების დაწერისას დავით ბატონიშვილი ხელმძღვანელობს ამ მუხლებით, მაგრამ, როგორც ითქვა, მათ სიტყვასიტყვით კი არ გადმოგვცემს, არამედ სრულიად თავისუფლად. ამასთანავე, ხსენებული „განაჩენის“ მუხლები ყველა ერთ აღდგილას

¹ იხ. ამ „განაჩენის“ შესახებ ვრცლად ა. ბ. როგავას ნაშრომში „ლევან ერეკლეს-მე ბაგრატიონი“, თ. „მორიგე ჯარი და მისი მეთაური ლევან ბატონიშვილი“.

არა აქვს მას მოტანილი, არამედ სხვადასხვა ადგილებში („განა-ჩენის“ მუხლებთან შედარებით იხ. „მიმოხილვის“ შემდეგი მუხ-ლები: 64, 117, 118, 150, 295, 303—305, 383, 516—517, 679 და ა. შ.). აგრეთვე დიდად საინტერესოა, რომ მორიგე ჯართან დაკავშირებით დავითი გვაწვდის ისეთ ცნობებსაც, რომელთა შე-სახებ პირდაპირ არაფერია თქმული ზემოხსენებულ „განაჩენში“, მაგრამ ნაწილობრივ მაინც გადმოცემულია ერეკლეს 1772 წ. 28 აგვისტოს ბრძანება-ინსტრუქციაში ზემო ქართლის სადროშოსად-მი¹. ამ მხრივ საყურადღებოა „მიმოხილვის“ მუხლები: 64, 150, 295, 303 და სხვ. იგივე ბრძანება-ინსტრუქცია კარგად უდგება შინაარსობრივ დავითის „მიმოხილვის“ სხვა მუხლებსაც: 63, 69, 70, 74, 149 და სხვ.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავით ბატონი-შვილი მორიგე ჯარის შესახებ ერეკლეს „განჩინებასა“ და თავის „მიმოხილვაში“ ჩაწერილ ზემოხსენებულ კანონ-წესებს ეყრდნობა, როცა თავისვე 1812 წ. პროექტში „О лучшем устройстве Грузин“, მე-4 მუხლში ძლიერ მოკლედ აღნიშნავს რუსეთის მთავრო-ბის საყურადღებოდ: „...подтвердить установление царя Ираклия Мориге называемое, т. е. что во всей Грузии без исключения каждый человек обязывался прослужить один месяц в году именя впрочем свой провиант, фураж и все снаряды, по про-шествии месяца он отправился во свояси, а место его по рас-числению занимал другой и так далее“². ამრიგად, დავითი „მი-მოხილვიდან“ სარგებლობს თავისი 1812 წ. პროექტის ამ ადგი-ლის შედგენისათვის და არა ამ ადგილით „მიმოხილვის“ წერისას; ორივე ნაწარმოების საერთო წყარო კი ერეკლეს 1774 წ. „გან-ჩინება“ მორიგე ჯარის შესახებ.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ერეკლე მეორის სამეფოს სამხედრო საკითხებზე დავითს თავის „მიმოხილვაში“ საგანგებო თავიც კი აქვს მოთავსებული—„Глава IV. Военные силы“ (მუხ-ლები 63—77). აგრეთვე, სხვა თავებშიაც იგი მათ შესახებ სხვა ძვირფას ცნობებსაც გვაწვდის (მუხ. 84, 101, 104, 376—377, 380—383, 398, 686—692, 516—517, 630, 679, 682—684, 696

¹ საქ. მუხ. № 13714 Hd; შეად. დ. გვრიტიშვილის „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოე-ბი)“, 1955 წ., გვ. 296—301.

² „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა-თვის“, 1942, ნაკვ. I, გვ. 132—133.

731, 833, 855, 873, 877, 918, 943, 951, 971, 974, 992, 1015 და სხვა მისთ.). ამასთანავე, დიდად საყურადღებოა ასეთი თავებიც: „Отлучающися от места своего“ (მუხლი 295), „Переметчики“ (მუხ. 296—297), „Укрывающися от сражения“ (მუხ. 298), „Брань и личная обидя“ (საინტერესოა: „...птраф на Артилл-лерийскую госпиталь“, მუხ. 299), „Измена“ (მუხ. 300—302) „Дезертиры“ (მუხ. 303—307) და სხვ. მისთანანი. ამ თავებში მოცემულია ისეთი კანონები და აღწერილია სახელმწიფო სასამართლოს მიერ ანგარიშგასაწევი ისეთი ხალხური წეს-ადათები, რომლებიც სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულსა და თავდადებას ავითარებდა. ამ თავებში დავით ბატონიშვილის მიერ ერეკლეს-დროინდელი ქართლ-კახეთის მთელი სამხედრო დარგი და მამული-შვილური პატრიოტიკაა მკითხველისათვის გადმოცემული, სამეფოს „სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვის“ მუხლობრივი თანმიმდევრობით მიწოდებული. შეკველია, ამ კანონ-წესთა ერთი ნაწილი დავითს „მიმოხილვაში“ ერეკლეს ახალი სამართლის, ჩვენთვის დღემდე უცნობი ზოგიერთი ძეგლიდან აქვს ამოწერილი.

დიდად საყურადღებოა ერეკლე მეორის მიერ შემოღებული ერთ-ერთი ახალი სამხედრო დაწესებულება, რომლის შესახებ დავით ბატონიშვილი „მიმოხილვაში“ ცალკე სათაურით ერთ მუხლად მოგვითხრობს: „Военная контора. 77. Для управления всех вообще военных дел при Непременном Царском Совете учреждена была особенная контора, которая веда список очерели людей, собираемых в Мориге, и отмечала людей, бывших во время ополчения, пеклась о продовольствии, провиантс, фураже, артиллерии, ружьях, свинце, порохе и о всех вообще военных снарядах. По распоряжению ея чинился отпуск военных потребностей“. „მიმოხილვის“ ამ ადგილას „სამხედრო კანტორის“ შესახებ თქმულს მოწმობს დავითი ამავე თხზულების მეორე ადგილას, 72-ე მუხლში: Военные „временные силы по окончании компании распускались по своим домам, а до того времени провиант получали от царя и в случае недостатка отпускался им из казны свинец и порох“. როგორც დავითის „მიმოხილვის“ სხვა ადგილებიდან და, აგრეთვე, საისტორიო სხვა წყაროებიდანაც ჩანს, „დროებითი სამხედრო ძალების“ ყოველმხრივი მომარაგება, ჩვეულებრივ, თავიანთი საშუალებებით წარმოებდა ფეოდალურ საქართველოში. მაგრამ დავითის სიტყვებიდან ცხადია, რომ ერეკლეს მეფობისას დროებითი სამხედრო ძალები, საჭიროებისამებრ,

დამატებით იღებდნენ „სახაზინო“ მომარაგების საგნებს „სანჯედრო კანტორიდანაც“. ამასთანავე, უქვევლია, განსაკუთრებით მუდმივ სამხედრო ძალებს—თოფჩებს თავიანთი არტილერიით და ზეთის მცველთა რაზმს—იგივე „კანტორა“ ანარაგებდა პროვიანტით, იარაღით და ტყვია-თოფისწამლით.

„სამხედრო კანტორა“ და მასთან დაკავშირებული წეს-კანონები ერეკლემ, ცხადია, ზეკმნა სათანადო „განჩინების“ თუ „ბრძანების“ გაშორებით მორიგე ჯარის დაწესებასას, 1773—74 წლებში, ან შემდეგ. ამ დაწესებულებისა, და მისი წეს-კანონების შესახებ „მიმოხილვის“ მოპოვებამდე ჩვენ მხოლოდ ცოტა რამ ვიცოდით. მაგალითად, ს. ბურნაშევის სიტყვით, შეკრებილ ქართულ ჯარში „провиант не готовится; каждый идущий на войну берет с собою сколько может, а от того часто претерпевают голод, и иногда бывает подвоз из Тифлиса, но редко (ხაზგასნა ჩვენია, ა. რ.), и потому на походе берут хлеб и прочее для пропитания из селений без разбора и без назначения; недостаток в продовольствии бывает неизбежною причиною, что царь не может вліско свое содержать долго в поле“¹. ამიტომ, ჩანს, თბილისში მყოფ „სამხედრო კანტორიდან“ ჯარს საჭიროებიაამებრ აწვდიდნენ პროვიანტს, სამხედრო საქურველსა და სხვას ერეკლეს ზემოხსენებულ წეს-კანონებისამებრ. დავით ბატონიშვილის მიერ მათ შესახებ ძეგლის ზემოხსენებულ ადგილებში მოცემული ცნობები მეტად ძვირფასია ისტორიკოსებისათვის დღეს.

11. მრავალე ვიოკის მიერ რუსული სამართლის მიხედვით შემოღებული წოკნიმტი კანონი და წესი

ერეკლეს სამეფოში, როგორც ზემოთ ითქვა, დიდად სარგებლობდნენ ვახტანგის „სჯულის“ კანონებით. მაგრამ ერეკლეს ზოგი რამ მისგან მიუღებლად ჩაუთვლია და ერეკლესვე და გიორგის მეფობისას, დავითის სიტყვით, უქვე არაა იგი ქართლ-კახეთის სახელმწიფო მართლმსაჯულების პრაქტიკაში მიღებული. მაგალითად, დავითი „მიმოხილვის“ მე-7 მუხლში გადმოგვცემა: „Здесь, хотя и нужно было бы упомянуть о присяге свидетельской и очистительной, но оных ныне по Уложению Вахтангову не совершается“.

¹ С. Б у р н а ш е в, Картина Грузии..., გვ. 8. ერეკლეს ხსენებული „განჩინების“ წარმოშობის შესახებ იხ. ქვემოთ ქვეთავი 11.

მაშ, რით შეიცვალა ეს წესი ერეკლეს მეფობისას? ავტორი ამის შესახებ ქვემოთ, მე-8 მუხლში გვაძლევს პასუხს: „В настояще время (იგულისხმება XVIII ს-ის მეორე ნახევარი და XIX საუკუნის დასაწყისი.—ა. რ.) предварительное предготовление, форма и обряд [присяги] не имеет никакого различия от установленного на подобные случаи в империи Российской порядка, поелику артикулы сей отсюда заимствован и приравнен“. აქ დიდად საყურადღებო ცნობას გვაწვდის დავითი. მაშ, ერეკლეს თავის მეფობისას, როგორც ქვემოთ ცხადი გახდება, 1760—61 წლებში ან შემდეგ, ფიცისათვის საკირო წინასწარი მომზადების წესი, თვით მისი ფორმა და აღსრულების წესი რუსეთის სამართლის მოთხოვნილებებისდაგვარად დაუწესებია, გადმოუღია რა თავის მართლმსაჯულებაში.

მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მეფე ერეკლეს თავისი „გონიერებით“ არ უარუყვია ძველი ქართული ადათით განმტკიცებული წესიც, რის შესახებ მოგვითხრობს დავითი „მიმოხილვაში“ ქვემოთ, მე-9 მუხლში: „Однакож бываюи случаи, где твёрдо сохраняется древнее установление; напр., тяжущиеся или обвиняемые призывают свидетелей, чтоб дали клятву пред прославившеюся чудесами явленною иконою или в каком-[шубудь] знаменитом, в особенности от народа почитаемом храме“. ჩანს, ეს ხალხური ადათი ძლიერ მტკიცე იყო საზოგადოებაში და ერეკლეც თავის სახელმწიფო მართლმსაჯულებაში გამოსაყენებლად სცნო იგიც.

მეფე ერეკლეს მიერ თავის სამეფოს სამართალში ზოგი რუსული წესისა და კანონის შემოღების შესახებ, გარდა ზემოთქმულისა, მოგვეპოვება ასეთი პირდაპირი მოწმობაც ვახტანგ ბატონიშვილისა: ერეკლე მეფეს „ხვდა... დრო ესეთი ზრუნვისა და ნართებელობისა გამო სამეფოისა თვისისა და... აქვდა მას სურვილი დიდი კანონთა როსიის იმპერიისათა შეძლებისაძებრ გაწესებად სამეფოსა შინა თვის[ს]ა და უფროს სამხედროსა რიგისა. და ყოცა განწესება რაიმე შეძლებისაძებრ, ესე იგი არტელერია და უმეტეს ამისა ვერარა, უცალოებისა გამო და უფროს უბედურობითა ძეთა თვისთათა, რამეთუ უკეთუმცა მისწლომოდამცა საწადასა თვისისა, ესე იგი კანონთა როსიისათა დადებად სამეფოსა შინა თვისისა, იქმნებოდა ძენი და სახლი მისი უმეტეს ბედნიერ დროსაგან მისისა. ხოლო სამეფო მისი არა მოაკლდა ნუგეშინის-ცემასა დიდსა, რამეთუ მოანიჭა მას ღმერთმან მფარველი საუკუნოდ ბედნიერო-

ზისაგან შეურყეველად დამაფუძნებელი¹. მართლაც, დავით ბატონიშვილის მიერ კერძოდ „მიმოხილვის“ მუხლებში (65, 66, 77 და სხვ.) არტილერიის შესახებ თქმული კარგად მოწმობს ვახტანგის ან გადმოცემის სიმართლეს. მაგრამ დავითი არა მარტო, ვახტანგისამებრ, „არტელერიის“ „სამხედრო რიგის“, არამედ, დამატებით, როგორც ზემოთ მაგალითშია და ქვემოთაცაა აღწერილი, პირდაპირ მოწმობს ერეკლეს მიერ თავის სამართალში სხვა რუსული წეს-კანონების შემოღებასაც.

ამრიგად, ერეკლე მეორე თავის სამეფოში ჰქვიცე მართლმსაჯულების დასამყარებლად არა თუ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალსა“ და „სჯულში“ მოცემულ ზოგიერთ წესს თუ კანონს სცვლიდა თავის მიერ „მოგონილით“, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, სამაგიეროდ ზოგიერთი რუსული წესი თუ კანონიც შემოჰქონდა. ამასთანავე, მას მშობლიური ხალხური, ჩვეულებითი სამართლის სათანადო ადათობრივი წესები და კანონებიც კი საკუთარ კანონმდებლობაში შეჰქონდა და მართლმსაჯულებაში გასატარებლად მათ სანქციას აძლევდა.

შევადარეთ დავით ბატონიშვილის „მიმოხილვა“ ერეკლე მეორის დაეალებით „ხუცეს-მონაზონისა დიმიტრი ყოფილი იოანეს მიერ რუსულსისაგან ჩვენ, ქართველთა ენასა (დედანში: ანასა) ზედა, ქართველთა ენათა თან-შეწვენითა მცირისა ისაკისათა, წელსა ჩღჲ“ (1760) გადმოთარგმნილ პეტრე პირველის „საცხადო განწესება“-ს—1720 წ. 28 თებერვლის „Генеральнымъ регламентъ или уставъ“-ს, რომლითაცა საჯელმწიფონი კოლეგიანი (დედანში: კოლევიანი), რომელ არს სასამართლონი, აგრევე და ყოველი მათდა სათანამდებონი მათნი კანცელარიები, რომელ არს სამწერლოები, და კანტორის მსახურები, არათუ საგარეშეთა მხოლოდ და საშინაოთა დაწესებათა, არამედ და განსაგებელთა თავისისა ხარისხისათა უუმონებრიოთესად სლვა აქესთ“ (1735 წ. პეტერბურგში გამოცემულის მიხედვით გადმოთარგმნილი;—საქ. მუზ. № 1426 II, ფურც. 232r—284v)². აღმოჩნდა, რომ ამ ორ ნაწარმოებს შორის ტექსტობრივი მსგავსება არ არსებობს, მაგრამ შინაარსობლივად ზოგან გაკერით მაინც შეესატყვისება ერთნანეთს. ასე რომ დავითის „მიმოხილვისა“ და პეტრე პირველის 1720 წ. 28 თებერვლის“

¹ ი ს ტ ო რ ი ე ბ რ ი აღ წ ე რ ა...“, საქართველოს ზნეჩვეულებათა აღწერა,—ს. კაკაბაძის მიერ 1914 წ. გამოც., გვ. 10—11.

² შვად. „Полное собрание законов Российской империи“, СПб, 1830 г., т. VI, стр. 141—160.

„Генеральным регламент или устав“-ის, ანუ იოანე ხუცესმონაზონის მიერ 1760 წ. თარგმნილი „საცხადო განწყობების“¹, ურთიერთი შედარება მოწმობს იმას, რომ ერეკლე მეორე 1760—61 წლებში, როცა მისი ხელმძღვანელობით არსებული კოლექტივის შემწობით მთელ რიგ სამუშაოებსა და ცვლილებებს აწარმოებდა სამართლის დარგში, და შემდეგაც, თავისი ახალი სამართლის ძეგლების შექმნისას, იპყოფეზოდა ზოგიერთ შემთხვევაში რუსული ამ რეგლამენტის ზოგიერთი თავის ამა თუ იმ ადგილის ზეგავლენის ქვეშ. ერეკლე ცდილობდა განსაკუთრებით XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან ზოგიერთი ახალი ინსტიტუტის დაწესებას და ახალი კანონების შექმნას, თანაც ზოგიერთი ძველი ინსტიტუტისა და ძველი კანონის ახლებურად გარდაქმნას. მას, აშკარაა, საამისოდ უსარგებლია კიდევ მაშინ პეტრე პირველის სამართლის ძეგლებით, განსაკუთრებით ზემოხსენებული რეგლამენტის ზოგიერთი ადგილის ზეგავლენად გადმოღებით, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული პირობების შესაბამისად, და თავის მხრითაც ზოგი რამის წამატებით ახალი ინსტიტუტებისა და კანონების თავისებურად წარმოსაქმნელად.

ერეკლე ამით, რა თქმა უნდა, ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავდა და თანაც, უეჭველია, ფართო მასების რუსულ ორიენტაციასაც ანგარიშს უწევდა; იგი ამით მაშინ მთელ ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მოწინავე „ევროპული“ სახელმწიფოს ცხოვრების გზით წარმართვისათვის დიდად უწყობდა ხელს ფართო საზოგადოებრივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილებებისამებრ. ამრიგად, მეფე ერეკლე 1760 წ., უეჭველია, სწორედ ანგვარი საქმეების გასაკეთებლად სამართლის დარგში ათარგმნინებს თავისთვისა და კოლექტივისათვის იოანე ხუცესმონაზონს პეტრე პირველის ზემოხსენებულ რეგლამენტს და, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ალექსი მიხეილის-ძის „სამართალსაც“. აგრეთვე, მან ანგვარივე მიზნით ათარგმნინა უფრო გვიან გაიოზ

¹ იოანე ხუცესმონაზონის მიერ 1760 წელს ეს ძველი თარგმნილია მთლიანად, ადგილ-ადგილ სიტყვასიტყვით, ხოლო დანარჩენ ადგილებში—თავისუფლად. მთარგმნელი ბევრ უცხო ტერმინს სტოვებს ქართულ ტექსტში გადმოთარგმნულად.

არსებობს ამ ძეგლის მეორე ქართული თარგმანიც, ვ. კილაძის მიერ 1803 წ. შესრულებული (იხ. P. P. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, 1956 г., стр. 111—112).

რექტორსაც პეტრე პირველის მთელი რიგი სამართლის სხვა ძეგლებიც, რომელთა შესახებ ქვემოთვე გვაქვს მსჯელობა. უთუოდ ამგვარივე მიზნით ათარგმნინა ერეკლემ ჩვენთვის უცნობ პირს (რანიეგს?) გერმანული სამართლის წიგნებიდანაც 1763—67 წლებში გამოცემული ზონენფელსის სახელმძღვანელო ნაშრომი „Grundsätze der Polizei, Handlung und Finanzwissenschaft“.

ერეკლე მეორის მიერ, კერძოდ, პეტრე პირველის ზემოხსენებული რეგლამენტით (ქართული თარგმანი „საცხადო განწყესებით“) სარგებლობა გამოიხატება შემდეგში: ა) ჩვენ მიერ ზემოთ „საოლქო ინსპექტორების“ ანუ „რევიზორების“ ინსტიტუტის ქართლ-კახეთში შემოღებასთან დაკავშირებით უკვე ითქვა, რომ მეფე ერეკლეს პეტრე პირველის სამართლის ძეგლებში, კერძოდ კი მისი ამ რეგლამენტის შესავალსა და თავებში (44, 51) „რევიზიონ-კოლედიის“ („Ревизион-Коллегия“) შესახებ თქმულის ზეგავლენით უნდა შეექმნა 1760—61 წლებში ან შექმნეს თავისი სამეფოს „რევიზორთათვის“ სათანადო „ბრძანება“ ან „განჩინება“ კანონთა მუხლებით და პროვინციების მიმოსახილავად საქირო „წერილობითი წესები“ (შეად. დავითის „მიმოხილვის“ მუხ. 289—294 და 100). ბ) ქართული საისტორიო წერილობითი წყაროები საერთოდ მოწმობს, რომ ერეკლესა და გიორგის მეფობისას ქართლ-კახეთში არსებობდა უმაღლესი სასამართლო ორგანოდ ე. წ. „მდივანბეგთა შეკრებულება“. დავითის „მიმოხილვით“, როგორც ითქვა, სამეფოს შვიდი სამყოფელი ადგილის მიხედვით, შვიდზე მეტი მდივანბეგთა დასახელებული მაშინ ქართლ კახეთში, რომელთაგან უფროსნი არიან თბილისის მდივანბეგები. მდივანბეგთა შესახებ განჩინების შედგენა ერეკლეს 1760 წ. უწინარეს შეუძლებელია მოეხდინა, რადგან ამ წელს თარგმნილი პეტრე პირველის „საცხადო განწყესების“ ზეგავლენის შედეგად უნდა შეედგინა მას ზოგიერთი ის კანონი, რომლებიც დავითს „მიმოხილვის“ 539—552 მუხლებს შორის აქვს გადმოცემული. ასეთებია, მაგალითად: მუხ. 542—ფიცის შესახებ (შეად. პეტრეს რეგლამენტის თ. 1), 547—მდივანბეგებთან „კანცელარიის“ მოწყობის შესახებ (შეად. რეგლამენტის შესავალი, თ. 28 და სხვ.), 552—მდივანბეგთა დაჯარიმების შესახებ (შეად. რეგლამენტის თ. თ. 50, 51 და სხვ.). ქართული სახელწოდება „მდივანბეგთა შეკრებულებაც“ კი დიდად შეესაბამება „Юстиц-Коллегия“-ს პეტრე პირველის რეგლამენტისას (შესავალი, თ. თ. 26, 34, 51). გ) დავითის „მიმოხილვით“ (თ. VI, მუხ. 107—112), ერეკლესა და გიორგის მეფობისას

ქართლ-კახეთში „საგარეო საქმეებს“ („иностранные дела“) განაგებდა ორი „მდივანტ-უხუცესი (царские статские секретари)“, რომელნიც, სხვათა შორის, „в важных случаях по приказу царскому сзывали Чрезвычайный Совет и давали ноты иностранным министрам... Мდიвანт-ухуцеси в помощь себе имели двух мдивантов (секретарей)...“ მართალია, აქ ჩამოთვლილია უძველეს დროიდანვე არსებული ქართული თანამდებობები, მაგრამ ამ თანამდებობების მქონე პირთა შეკრება „განსაკუთრებულ საბჭოში“ („Чрезвычайный Совет“) ერეკლეს თავისი ახალი კანონით უნდა გაეთვალისწინებინა 1760—61 წლებში ან შემდეგ, პეტრე პირველის „საცხადო განწესების“ შესავალსა და თავებში (31, 44...) საგარეო საქმეთა „კოლედიის“ შესახებ თქმულის ზეგავლენით. დ) უეჭველია, ამგვარადვე პეტრე პირველის სამხედრო სამართლის ძეგლებსა და სხენებული რეგლამენტის შესავალსა და თავებში (21, 41, 42, 43 და სხვ.) „კანტორის“ შესახებ თქმულის ზეგავლენით შექმნა ერეკლემ სათანადო „ბრძანებით“ თუ „განჩინებით“ კანონი „სამხედრო კანტორის“ („Военная контора“) შესახებ (დავითის „მიმოხილვის“ მუხ. 77), ცხადია, მორიგე ჯარის დაწესებისას, 1773—74 წლებში, ან შემდეგ.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დავით ბატონიშვილის მიერ „მიმოხილვის“ 45-ე მუხლში გადმოცემული კანონი „დიკასტერიის“ შესახებ ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის მიერ დადგენილია პეტრე პირველის 1721 წ. 25 იანვრის „Регламент или устав Духовной коллегии“-ს ზეგავლენით¹ არა უადრეს 1764 წლისა, როგორც ამას მოწმობს რიგი სათანადო საისტორიო წერილობითი წყაროების გადათვალეირება; წყაროებში უფრო ადრე დიკასტერია საქართველოში არ იხსენიება.

შევადაროთ დავით ბატონიშვილის „მიმოხილვა“ რუსულიდან ქართულ ენაზე 1760 წ. გადმოთარგმნილ, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილისძის „სამართალსაც“ („Уложение“ царя Алексея Михайловича). რუსულად ეს „სამართალი“ პირველად დაიბეჭდა 1649 წელს, ხოლო ქართული თარგმანი, რომელიც მოგვებოვება საქ. მუხ. ხელნ. № 1426 Н-ში შესული ტექსტის სახით (ფურც. 1—231. ფურც. 231-ის შემდეგ ამ „სამართლის“ ტექსტის დასასრული ფურცლები წიგნს აკლია), „გა[დ]მოღებულ იქმნა მეორითა

¹ შეად. ხსენ. „რეგლამენტი“, — Полное собр. законов Российской империи, т. VI, 1830 г., стр. 314—346.

დაბეჭდვითა იმპერატორის აკადემიის სასწავლოთა შინა, ჩლღზ [1737] წელსა¹ გამოცემულის მიხედვით¹. იგი ერეკლე მეორის დავალებით გადმოვთარგმნე („გარდმოვიღე“) და მას „მოუძ[ლ]-ვანე გლახაკმან იოანე დიმიტრი ყოფილმან უღირსმან ხუცესმონაზონმან წელთა ჩლღ [1760], თვესა ივნისსა 09 [26], დღესა პარასკევსა“,—წერს თვით მთარგმნელი². ჩანს, აღრინდელი ქართული თარგმანი ამ „სამართლისა“ ერეკლეს ხელში არ ჰქონია და მან იგი 1737 წლის გამოცემის მიხედვით 1760 წ. ხელმეორედ იოანე ხუცესმონაზონს ათარგმნინა თავისთვის სახელმძღვანელოდ³.

დავითის „მიმოხილვისა“ და ალექსი მიხეილის-ძის „სამართლის“ ურთიერთი შედარება მოწმობს იმას, რომ ერეკლე მეორეს თავისი ახალი სამართლის შექმნისას უსარგებლია ზოგიერთ შემთხვევაში ალექსი მიხეილის-ძის „სამართლის“ ამა თუ იმ მუხლით. ეს გარემოება შესამჩნევი ხდება ორივე ძეგლის შემდეგი ადგილების ურთიერთი შედარებით, მაგალითად: ორივე ძეგლში ჯერ მეფისა და სამშობლოს წინაშე „ორგულობის“ შესახებ არის ლაპარაკი, ტექსტები ადგილ-ადგილ შინაარსობლივად შეესატყვისება ერთმანეთს („მიმოხილვის“ მუხ. 730—731 || ალექსის „სამართლის“ მუხ. 1—16) და შემდეგ კი მოცემულია:

დავითის „მიმოხილვა“

ალექსი მიხეილის-ძის „სამართალი“ (საქ. მუხ. № 1426 H)

„Клевета и клеветники—огаго. 731 (bis). Клевета часто навлекает вред обществу и бы-вает причиною к угнетению невинности. Клеветники нака-зываются строго; их осуждают на то самое наказание, какому подлежал обвиняемый ими“.

„შესმენის“ მუხლებს შორის ნათქვამია: „17. და იყოს თუ ვინმე რო შესწანებდეს ვისმე სა-ტელმწიფოს დიდ საქმესა ან ორ-გულებასა და ვერ გაამტყუენოს კი, და გამოჩნდეს სწორედ იმ საქმისათვის, რომ იმან ამგვარი საქმე იმაზედ ნაცილად დაიწყო, იმ შემასმენელს ისივ დაესაჯოს, რისაც რომ ის ცილდაწამებულნი

¹ საქ. მუხ. № 1426 H, ფურც. 1 გ.

² იქვე, ფურც. 10.

³ ალექსი მიხეილის-ძის „სამართალი“ პირველად ითარგმნა ვახტანგ VI-ის ბრძანებითა და ბაქარ ბატონიშვილის შეკვეთით საგარეო საქმეთა კოლეგიის მთარგმნელი იოსების resp. ლევ. პეტროვიჩის მიერ 1729 წელს მოსკოვში, 1649 წ. გამოცემულის მიხედვით (P. P. Орбели, Груз. рукописи Института востоковедения АН СССР, I, 1956 г., стр. 110—111).

იქმნებოდა ღირსი დასჯისა, თუ
რო გამტყუვნებულყო“ (ფურც.
20).

როგორც ითქვა, დავით ბატონიშვილი თავისი „მიმოხილვის“ მუხ. 7—8-ში გადმოგვცემს: „Здесь хотя и нужно было бы упомянуть о присяге свидетельской и очистительной, но оных ныне по Уложению Вахтангову не совершается. 8. В настоящее время предварительное предготовление, форма и обряд не имеет никакого различия от установленного на подобные случаи в империи Российской порядка, поколику артикул сей отсюда заимствован и приравнен“. დავით ბატონიშვილი ამ სიტყვებით პირდაპირ მოწმობს იმას, რომ, ცხადია, ერეკლეს (და არა შემდეგ მაინცდამაინც გიორგი XII-ს) შეუცვლია ვახტანგ მეექვსის საქართლით გათვალისწინებული ფიცის ფორმა და წესი და გარკვეული დროიდან შემოუღია, რუსულიდან გადმოღებული ფორმისა და წესის მიხედვით, ახლებურად ფიცი სასამართლოში. ფიცის ასეთი ფორმა და წესი ერეკლეს „ბრძანებით“ 1760 წ. რუსულიდან გადმოთარგმნილ ალექსი მიხეილის-ძის „სამართალში“ მოიპოვება,—თ. 14, „ჯვარის ამბორისათვის, ესე იგი ფიცისათვის“¹,—და ამ შემთხვევაში ჩვენი მსაჯულები უთუოდ მით სარგებლობდნენ კიდევაც სასამართლოში. ერეკლეს ნიერ დაფიცების რუსული ფორმისა და წესის შემოღებას ქართულ სასამართლოში, უეჭველია, ხელი შეუწყო კერძოდ იმ გარემოებამაც, რომ კონფესიონალური მართლმადიდებლურ-ქრისტიანული თვალსაზრისით თვით ქართული ეკლესია და მისი მწერლობა მაშინ რუსულს ბევრი რამით ბაძავდა და ადრინდელ თავისას „აწრფელებდა“ (ასწორებდა) კიდევაც, რაც ქართული მაღალი სამწერლო ენისა და საეკლესიო ლიტერატურული ტრადიციების დამახინჯებასაც კი იწვევდა ხშირად. „ევროპული“ (განსაკუთრებით—რუსული) ორიენტაციის მთავარი იდეოლოგი ანტონ პირველი და მისი სკოლის მიმდევრები ბუნებრივია, რომ ამგვარ ხელოვნურ „განწრფელებასაც“ მაშინ არ ერიდებოდნენ: საქართველოს ყოველმხრივ „გაეფროპელებისა“ და ქართველობის მით „გამოხსნის“ სურვილი მათში იმდენად მძლავრად იყო გონებაში გამჯდარი, რომ ზოგი საღი ეროვნული ტრადიციის „გაეფროპელობასაც“ კი ხელოვნურად ცდილობდნენ².

¹ საქ. მუხ. № 1426 II, ფურც. 161r—166v.

² ძველი ქართული მაღალი სამწერლო ენისა და საეკლესიო მწერლობის ხელოვნურად ამგვარი „განწრფელების“ წინააღმდეგ დავით ბატონიშვილი სამარ-

დავითის „მიმოხილვა“ ალექსი მიხეილის-ძის „სამართალს“ სხვა ადგილებში ტექსტობრივ სრულიადაც არ შეესატყვისება; ზოგან კი, ადგილ-ადგილ, არსებობს გაკვირითი შინაარსობლივი შესაბამისობა, მაგრამ ეს გარემოება მრავალ შემთხვევაში, საფიქრებელია, შემთხვევითი იყოს და არა მაინცდამაინც ზეგავლენას წარმოადგენდეს რუსული ამ „სამართლისას“ ქართულ კანონმდებლობაზე, ზოგანაც კი ეს უთუოდ ზეგავლენის შედეგია. ორივე იგვლიდან ასეთი დამახასიათებელი ადგილების ამოწერა და პარალელურად აქვე წარმოდგენა ჩვენ საქიროდ არ მივიჩნით და მხოლოდ პირადი შთაბეჭდილების შედეგად ზოგადად აღვნიშნავთ ამ გარემოებას.

ზემოხსენებულ ძეგლთა ურთიერთი შედარება მოწმობს იმ გარემოებას, რომ ერეკლე მეორეს თავის მეფობისას ქართული სამეფოს სამართალში ზოგი რამ ცვლილება შეუტანია რუსული სამართლის ძეგლების მიხედვით. როგორც ზემოთ ითქვა, ქართული სამეფოს სამართალში ცვლილებების მოსახდენად 1760—61 წწ. მომუშავე კოლექტივის ერთ-ერთი წევრის—იოანე ხუცესმონაზონის მიერ საამისოდ 1760 წელს საგანგებოდ გადმოთარგმნილი იყო პეტრე პირველის „საცხადო განწყისება“ და ალექსი მიხეილის-ძის „სამართალი“ ერეკლე მეორის დავალებით¹. მაშასადამე, ერეკლეს კერძოდ ალექსი მიხეილის-ძის „სამართლის“ ამ თარგმანით უსარგებლია კიდევაც თავისი ასალი სამართლის 1760—61 წლების ან შემდეგი დროის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი სამართლის ძეგლის შედგენისას „ფიცისა“ და სხვათა შესახებ. დავითი „მიმოხილვის“ ზემომოტანილ მუხლთა წერისას უთუოდ სარგებლობს ამ ქართული ძეგლითაც და არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოში თავის მიერ ხილული ფაქტების გახსენებით.

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ განხილვისას ერეკლე მეორის კანონმდებლობაზე რუსული სამართლის ნაწილობრივ ზეგავლენის და, საერთოდ, მაშინდელ ქართველთაგან რუსული სამართლით დაინტერესების გამოსარკვევად აგრეთვე საყურადღე-

თლიან კრიტიკას აწარმოებს კერძოდ ანტონ პირველის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მას იგი დიდ მოღვაწედ მიაჩნია „ევროპული“ მეცნიერებისა და ფილოსოფიის ჩვენში ფართოდ გავრცელების საქმეში XVIII ს-ის მეორე ნახევარში (იხ. დავითის თარგმანი ან სი ლ ი ნ ის „ისტორიკები განსჯანის“ ბოლომინაწერი, — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდის № 35, ფურც. 278v—279v).

¹ იხ. წინამდებარე გამოკვლევის თ. III, 2.

ბოა ერეკლე მეორის „ბრძანებით“ 1784 წელს გაიოზ რექტორის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი შემდეგი ნაწარმოებები: 1) პეტრე პირველის „სამკედრო ტიბიკონი“, 1753 წლის – მესამე გამოცემის მიხედვით გადმოღებული¹; 2) პეტრე პირველის „სამკედრო არტიკული მოკლითა განმარტებითა“, 1755 წლის გამოცემის მიხედვით გადმოღებული²; 3) „მოკლედ გამოხატუა სამსაჯულოთა გამომეძიებლობათა“ და 4) „ეგზერციცია, განმზადება მარშისადმი, წოდება და თანამდებობა პოლკის მოჭელთა“, 1756 წლის გამოცემის მიხედვით გადმოღებული³.

პეტრე პირველის სამხედრო სამართლისა და ჯარის წესწყობილების გადმოცემები ეს ნაწარმოებები ერეკლე მეორის „ბრძანებით“ იყო განსაკუთრებით თვით მეფისა და მისი მახლობელი სამხედრო წრის ცოდნის გასაფართოებლად გადმოთარგმნილი გაიოზ რექტორის მიერ 1784 წელს, უეჭველია, რუსეთში და შემდეგ საქართველოში გადმოგზავნილი⁴.

ეს ნაწარმოებები და, აგრეთვე, სხვა „ევროპული“ სამხედრო წიგნები, რომლებითაც დიდად დაინტერესებული იყვნენ ერეკლე და მისი თანამებრძოლნი (დავით ორბელიანი, ლევან ბატონიშვილი, პაატა ანდრონიკაშვილი, დავით ბატონიშვილი და სხვ.), რათქმა უნდა, ძლიერ უწყობდა ხელს მათ პირად განათლებას სამხედრო დარგში და ამასთანავე იმ სამხედრო ცვლილებების გამოუმუშავებასა და ცხოვრებაში გატარებას, რომლებიც ერეკლეს მეთაურობით მოხდა ქართლ-კახეთში განსაკუთრებით XVIII ს. 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში; ერეკლეს მეფობისას ნახევრად რეგულარული ჯარის (მორიგე ლაშქარი) დაარსება, რუსეთში ახალი ტექნიკის ათვისებითა და მანუფაქტურული წარმოების წესით ზარბაზნების გამოდნობა, თოფხანის გაუმჯობესება, არტილერიისტთა მულმივი დანაყოფი („пушкари—топчи“), სამხედრო კანტორა („Военная контора“), სამხედრო ფორმების შემოღების ცდები და სხვა ღონისძიებანი ზემოხსენებულ პირთა-

¹ საქ მუხ. № 2109 II, იხ. თავფურცელი და გვ. 1—195.

² იმავე ხელნაწერის გვ. 198—301.

³ იმავე ხელნაწერის გვ. 332 (უნდა იყოს: 302)—379. ხელნაწერში შემდეგ მოთავსებულია „ზ ა ნ დ უ კ ე ბ ი“ ორი უკანასკნელი ნაწარმოებისა, — გვ. 380—396 + 396—397.

⁴ იმავე ხელნაწერის გვ. 402—479.

⁵ ა. პ. რ. ო. გ. ა. ვ. ა. სხალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, 1950, გვ. 45—46, 119.

გან ამგვარ „ევროპულ“ წიგნთა კარგად გაცნობას გარკვევით მოწმობს.

ამასთანავე, საყურადღებოა XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამართალში შესული ის ახალი კანონ-წესებიც, რომელნიც მაშინ გამოცემულ იქნა ერეკლე მეორის სანქციით (მორიგე ჯარის 1774 წ. „განჩინება“ და სხვ.). ყველა შემორჩენილ ძველ სამხედრო ინსტიტუტთან ერთად, ახალი სამხედრო ინსტიტუტები და მათთან დაკავშირებული კანონ-წესებიც წესიერად აღწერილი აქვს დავით ბატონიშვილს თავის „მიმოხილვაში“ მრავალ ადგილას, განსაკუთრებით IV თავში „Военные чинов“ (მუხ. 63—77) და ადგილ-ადგილ სხვა თავებშიაც. „მიმოხილვის“ ყველა ამგვარი ადგილის შედარება გაიოზ რექტორის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილ ზემოხსენებულ ნაწარმოებებთან ზოგადად მოწმობს იმ ფაქტს, რომ ერეკლე მეორის მიერ შექმნილი სამხედრო ახალი კანონ-წესების ერთი ნაწილი გამომუშავებულია რუსული ჯარის საინტენდანტო დარგის, სამხედრო ტექნიკის, საჯარისო წყობილებისა და სამხედრო სამართლის კარგად შეგნების ნიადაგზე. ამჟამაა, ერეკლე მეორე ზოგიერთი სამხედრო ინსტიტუტის დაწესებისას და ზოგიერთი კანონისა და წესის გამომუშავებისას დიდ ანგარიშს უწევდა პეტრე პირველის მიღწევებსა და გამოცდილებებს რუსეთში, საქართველოში არსებული პირობებისდა მიხედვით. ამრიგად, ტყუილად არ აღარებდნენ ერეკლეს მისი თანამედროვენი პეტრე პირველს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველა დარგში და, კერძოდ, სამხედროსა და სამართლის დარგებშიაც¹.

ცნობილია, რომ ერეკლე მეორემ დასდო რუსეთის მთავრობასთან 1783 წ. 24 ივლისს ტრაქტატი და 1784 წ. დასაწყისს მას

¹ ამის შესახებ იხ. უფრო ვრცლად პ. ბ. როგავას ნაშრომში „კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე მეორის პოლიტიკა“.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერეკლე მეორის მიერ პეტრე პირველისებურად რუსეთში საქმიანობისამებრ მოღვაწეობა საქართველოში ფართოდ ცნობილი იყო ერეკლესვე მეფობისას საზოგადოების როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში. ასე, მაგალითად, დიდად დამახასიათებელია ის შემთხვევა, რომ XVIII ს-ის 90-იან წლებში თავიანთი მოურაე ამილახერისაგან დაჩაგრული გორის მოსახლეობის სახელით მისი ქეთხუდები საჩივარს აძლევენ ერეკლე მეორეს პეტრე პირველის სამართალზე განგებ ნიშნის მოგებით: „ჟ. ჩვენო მოწყალე, დაპირებული კაცი ღმერთს შესცოლდამს, მოხსენებისათვის ნუ გაგვიწყრებთ—პეტრე ქეღელი ვეღვი ვართმა ბაყალმა სამს პერამხედ უჩივლა“—(შ. მესხია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს. საქართველოს ქალაქებში,—მასალები...“, ნაკვ. 32, 1955 წ., გვ. 220).

ხელიც მოაწერა. ამ დროიდან ეს ხელშეკრულება პირადად ერეკლესათვის და მთელი მისი სამეფოსათვისაც განსახორციელებელი გახდა ცხოვრებაში, როგორც ოფიციალურად მიღებული მოქმედი სამართლის ძეგლი. ამიტომ დავით ბატონიშვილი „მომოხილვის“ წერისას სარგებლობს 1783 წ. გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის ტექსტითაც, რასაც ადასტურებს „მომოხილვის“ შემდეგი ადგილი: მუხ. „226. [§ 6]. Все фамилии сии, как княжеские, так и дворянские, есть те самые, кои признаны и утверждены кахетинским и карталинским царём Ираклием в заключённом 1783 года с Великою императрицею Екатериною II трактате“. ამგვარადვე, მეორე ადგილასაც ავტორის მიერ ნათქვამია: „II. По заключённому в 1783 году царём Ираклием с императрицею Екатериною II трактату, царь поручил себя, дом свой и всё царство своё высокому покровительству империи Всероссийской. По силе сего священного обета, царь Грузии при вступлении на престол испрашивает в достоинстве сём утверждения от российского императорского двора“.

12. XVIII-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო მართლმსაჯულებიანთათვის ანგარიშგანაწილი ხალხური ჩვეულებები და ადათები და ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონები

ერეკლესა და გიორგის მიერ ქართლ-კახეთის. სამეფოს მსაჯულთათვის სახელმძღვანელოდ ძველი სამართლის ძეგლებიდან დატოვებულ და ახლად „მოგონილ“ კანონ-წესებს გარდა, დავით ბატონიშვილს „მომოხილვაში“ ბევრგან, გზადაგზა ჩაწერილი აქვს ამ მეფეთა სანქციით სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგანაწილი ხალხური ჩვეულებები და ადათები და ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონები. დავითი „მომოხილვაში“ ზოგიერთი მათგანის ჩაწერისას პირდაპირ აშკარად გვიმჩვენებს ტექსტში მის ხალხურობას, ხოლო ზოგიერთი მათგანის ჩაწერისას კი არა; ასე რომ უკანასკნელთა ხალხურობა თვით მკითხველისათვის რჩება სათითოელოდ გამოსაცნობი.

დავითის „მომოხილვის“ ზოგიერთ ამგვარ ადგილთან შედარებით ქვემოთ ჩვენ გავიხსენებთ, მხილველთა ჩანაწერიდან ან უშუალოდ ხალხისაგან, შესატყვის ხალხურ ჩვეულებას, ადათს, ჩვეულებითი სამართლის წესს ან კანონს. ამრიგად, მკითხველისათვის ზოგიერთი მაგალითის მოყვანით მაინც შევეცდებით ნათელყოთ

ერეკლეს სამეფოს სახელმწიფო სასამართლოში მსაჯულთაგან ხალხური ჩვეულებებისა და ადათებისადმი ანგარიშგაწევის და ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული კანონ-წყესებით ხელმძღვანელობის საქმე. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, საქიროდ ვცნობთ შევადართ ერთმანეთს დავითის „მიმოხილვა“ და ფრიად საყურადღებო ერთ-ერთი ძველი ჩანაწერი „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი“, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, „ჩვეულებითნი ჰსჯულნი“.

„ჩვეულებითნი ჰსჯულნი“ ცნობილი იყო ჩვენი თანამედროვე მეცნიერებისათვის 1937 წლამდე მხოლოდ რუსულ ენაზე—*„Обычай, введенные при грузинских царях законом“*. „ჩვეულებითნი ჰსჯულნი“ ჩაწერილი იყვნენ 1810—15 წლებში ერეკლესა და გიორგის სამეფოს კარგად მომსწრე ზოგიერთი ქართველი თავადის მიერ, რუსეთის მთავრობის დავალებით, ქართულ ენაზე. ამ ჩანაწერის მაშინდელი რუსული თარგმანი დ. ბაქრაძის მიერ გამოქვეყნდა კრებულში—*„Сборник законов грузинского царя Вахтанга VI“* (Тифлис, 1887 г., გვ. 365—382). 1937 წ. პროფ. პ. გუგუშვილის მიერ საქართველოს ცენტრალურ არქივში მოპოვებულ იქნა ამ ნაწარმოების ქართული ტექსტი, რაც მან გამოსცა კიდევ ენიმკი-ს „მასალებში საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (1938 წ. ნაკვ. III, გვ. 74—90).

დ. ბაქრაძე ზემოხსენებული „Обычай“-ს გამოცემასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს: «Грузинский текст этих „Обычаев“ нам неизвестен; неизвестен он и покойному кн. Г. К. Багратион-Мухранскому („Юрид. Обзор“, № 265). Они собраны, как из содержания самых „Обычаев“ и из официальных актов усматривается, при русском управлении. В высочайшем утверждении воззвании к грузинскому народу в 12 день сентября 1801 г. по поводу учреждения грузинского управления, между прочим, говорится: „Дела гражданския имеют быть производимы по настоящим грузинским обычаям, кои следует привести в известность, и по „Уложению“, изданному царём Вахтангом (იგულისხმება ვახტანგის კრებულში შენგავალი ძეგლები, განსაკუთრებით კი ვახტანგის „სჯული“-ა. რ.)¹, яко по корен-

¹ „Уложение“, изданное царём Вахтангом» აქ უდრის,—მართლაც, როგორც, ქვემოთ ნათქვამისამებრ, თვით გენ. ერმოლოვსაც კი ასე ესმოდა,—*„Сборник законов царя Вахтанга“-ს, ვახტანგ VI-ის მიერ კრებულს სამართ-*

ному грузинскому закону. Главнокомандующий вместе с правителем Грузии должны начертать из „Уложения“ сего и из обычаев народных правила в поведение всех в Грузии учреждаемых правительств“ („Акты Кавк. Археограф. Комиссии“, т. I, стр. 438). Затем в рапорте ген. Торماسова Правительствующему Сенату от 5 сентября 1810 г., № 121, читаем следующее: „Во исполнение указа Правительствующего Сената по 4-му Департаменту, от 11 марта сего года, честь имею препроводить при сем требуемый состав коренных грузинских законов царя Вахтанга, относящихся до дел гражданских, представленный ко мне от общего собрания Верховного грузинского правительства. Что же касается до грузинских законов, введенных обычаем, то для приведения оных в точную ясность были созываемы в общее собрание мдиван-беги и маршалы с членами оною для объяснения существовавших обычаев; но по разным голосам об одном предмете не можно было ничего определить или найти основательного и твердого, а потому общее собрание представляло мне употребить на сей предмет одних членов общего собрания из грузинских князей, которые, получив тетрадь за печатью и подписом председательствующего в общем собрании, должны собираемыя ими сведения об обычаях единогласных записывать в оную, на что я уже дал мое разрешение, предложив общему собранию иметь возможное старание об успешном приведении сего в исполнение, а как скоро таковыя сведения будут собраны членами, то не премину представить оныя в Правительствующий Сенат“ („Акты“, т. IV, стр. 44—45). Из

ლის ძეგლებიანსა. „ჩვეულებითთა მსჯულთა“ ჩამწერნი ქართულად, ხოლო მათი მთარგმნელი რუსულად, როცა მარტივად აღნიშნავენ, ქართულის შესატყვისად რუსული თარგმნით რომ ვთქვათ, „Уложение“ царя Вахтанга“-ს—ამით გულისხმობენ არა ვახტანგის კრებულს მთლიანად, არამედ მასში შემავალ საკუთრივ ვახტანგის „სჯულს“ (იხ. „ჩვეულებითთა მსჯულთა“ II „Обычан“-ს მუხ. 5, 20, 22, 60), ანდა „სჯულის“ აღსანიშნავად მათ მიერ ნახმარია: „1-я книга „Уложения“ царя Вахтанга“ (მუხ. 39). ხოლო ვახტანგის კრებულში შესულ სხვა ძეგლებს ისინი თითოეულს სახელდობრ აღნიშნავენ (მუხ. 1, 4, 7, 10, 14, 15, 20, 52, 60, 73), ანდა ასე: „Уложение“ царя Вахтанга, 3-я книга“ (მუხ. 31) = „Законы армянские“-ს, და სხვა. ამრიგად, ქართულსა და რუსულ ტექსტში I წიგნი = ვახტანგის „სჯულს“, II წ. = „ბერძნულ კანონებს“, III წ. = „სომხურ კანონებს“, VI წ. = „ბეჭა-ალბულას კანონებს“, VII წ. = „მოსეს კანონებს“; ხოლო IV—V წიგნებად იგულისხმებიან გიორგი V-ის „ძეგლის დება“ და „კათალიკოზთა კანონები“ და პირდაპირ (სახელდობრ) იხსენიებიან.

დальнейшей переписки видно, что означенные „Обычаи“, приведенные в совершенное окончание, представлены „на грузинском диалекте, с переводом на русский“, ген.-м. Симоновичем генералу Ртищеву при рапорте от 11 августа 1815 г., № 1617 („Акты“, V, стр. 255); окончательно же редактированные, по распоряжению генерала Ермолова, вместе с переводом „Сборника законов“ царя Вахтанга, „доставлены им при письме от 15 января 1827 г., № 44, государственному секретарю Оленину („Акты“, VI, стр. 93)“¹.

ამრიგად, როგორც ზემომოყვანილი ცნობებიდან ჩანს და თვით ამ „ჩვეულებითაჲ ქსჯულთა“ შინაარსიც მრავალ ადგილას მოწმობს, 1810—15 წლებში, რუსეთის მთავრობის დაეალებით, ერეკლესა და გიორგის სამეფოს კარგად მომსწრე ზოგიერთი ქართველი თავადის მიერ არის დაწერილი „საქართველოს ძველთაგან ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ქსჯულნი“². ეს „ქსჯულნი“, ჩამწერთა კატეგორიული განცხადებებით, უფრო აღრე, ე. ი. ერეკლესა და გიორგის მეფობისას, სამეფოს სამართლის დარგში მოქმედი ყოფილა.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ ზემოხსენებული თავადების მუშაობის დროსვე, 1812—13 წლებში დავით ბატონიშვილის მიერ დაიწერა „მიმოხილვა“, რომელიც მრავალ ადგილას შეიცავს იმავე „ქართველ მეფეთაგან“ დაკანონებული „ჩვეულებების“ აღწერასაც. ზემოხსენებული ორი ნაწარმოები საკმაო სრულ წარმოდგენას გვაძლევს ერეკლესა და გიორგის სამეფოს სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგასაწევი ხალხური ჩვეულებების, ადათებისა და ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონების შესახებ. ამასთანავე, ორივე ნაწარმოები მრავალ შემთხვევაში საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებაც, თუ რამდენად იყო შეზღუდული ვახტანგ VI-ის კრებულში შესული თითოეული ძეგლის კანონ-წყისების გამოყენება XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო სასამართლოში ხალხური ჩვეულებებისა და ადათებისადმი ანგარიშ-

¹ დ. ბაქრაძე, „Обычаи, введенные при грузинских царях законом“, „Примечание“, — „Сборник законов груз. царя Вахтанга VI“, 1887 г., გვ. 365—366.

² დ. ბაქრაძის ზემოხსენებულ „Примечание“-ს გარდა, იხ. პ. გუგუშვილის შენიშვნებიც „ჩვეულებითაჲ ქსჯულთა“ შესახებ, ენიმკი-ს „მასალები...“, 1938 წ. ნაკვ. III, გვ. 67—73.

გაწევისაგან და ჩვეულებითი სამართლიდან გადმოღებული წეს-
კანონებისაგან. აგრეთვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ორი ნაწარ-
მოები შინაარსობრივ ძლიერ ავსებს და ეთანხმება და მხოლოდ
იშვიათ შემთხვევაში უპირისპირდება ერთმანეთს ანა თუ იმ სა-
კითხში. აი, ორივე ნაწარმოებიდან როგორც ურთიერთ შესატყვის,
ისე შინაარსობრივ განსხვავებულ სათანადო ადგილთა ზოგიერთი
მაგალითი:

დავითის „მიმოხილვა“

1) მუხ. 718. При прода-
же движимых и недвижимых
родовых и наследственных име-
ний „обвещается о том вся
фамилия, и когда никто из чле-
нов, к ней принадлежащих, не
пожелает оставить его за собою,
тогда остаётся в воле продавца
распорядит[ь]ся продаваемым
имением. 719. А когда продавец
без ведома фамилии своей со-
вершит продажу, тогда тот
из родственников, кто пожелает
удержать имя в своём роде,
вправе протестовать и утвер-
дить за собою имя, а купив-
шему возвращаются заплачен-
ные за него деньги“.

„ჩვეულებითი ჰსჯულნი“¹

1 მუხლის განმარტება²: „ყმი-
სა და მამულის სყიდვა პირველ
გამსყიდავის მონათესავეს შეხვ-
დებოდა, შემდგომ მომიჯნავესა
იმ ფასათ, რა ერთსაც სხვანი
შეაძლევდნენ; და უკეთუ ისინი
არ ისურვებდნენ სყიდვას, მერმე
ყველას შეეძლო სყიდვა, არამედ
ვინც მეტს ფას[ს] მისცემდა,
სიგელი იმის სახელზედ დაიწე-
რებოდა.“

შენიშვნა: მეფის ვახტანგის
კანონის მეორე წიგნის იგ[13]
(რუს. თარგმანით: „Зак. греч.“)
მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხ-
მარტულარს“.

„ბერძნული კანონე-
ბის“ მე-13 მუხლში კი ნათქვა-
მაია: „Если кто станет прода-
вать на уплату долгов недвижи-
мое или движимое имение, то

¹ ვსარგებლობთ პ. გუგუშვილის მიერ გამოცემული ქართული ტექს-
ტით, — ენიშკის „მასალები...“, 1938 წ. III ნაკვ., გვ. 74—90; შეად. დ. ბაქრაძის
მიერ გამოცემული „Сборник законов...“, 1887 г., გვ. 366—382.

² „ჩვეულებითა ჰსჯულთა“ ტექსტიდან ქვემოთ მოყვანილ ციტატებში
სასვენი ნიშნები ჩვენი გაგებისამებრ გამოვსხით. აგრეთვე ვახტანგ VI-ის კრე-
ბულში შესული ძეგლების მუხლების აღმნიშვნელი ასოების გვერდით ფრჩხილებ-
ში [] შესატყვის არაბულ რიცხვისნიშნებს ჩვენვე ვთავსებთ და რუსული
თარგმანითაც ფრჩხილებში () ზოგი რამ ტექსტში შეგვაქვს. — ა. რ.

родственники его имеют право удерживать оное за собою и удовлетворить кредиторов; в противном же случае может он продать тому из кредиторов, кому болес должен; остаток за уплатою долга возвращается ему¹.

„ჩვეულებითნი ჰსჯულნი“:

2) „მიმოხილვის“ თ. თ. „Векселя и долговыя обязательства—тамасუქისა“ (მუხ. 473—485), „Долги, по гр. вали“ (მუხ. 408—420) და „[Кредитор, должник и залог]“-ის (მუხ. 989—991) ზოგიერთი ადგილი შინა-არსობლივ შეესატყვისება „ჩვეულებითთა ჰსჯულთა“ თ. თ. „საზოგადო თამასუქით ვალისათვის“ (მუხ. 3—6) და „საზოგადო გირ[ა]ოთ აღებულის ვალისათვის“ (მუხ. 7—12) ზოგიერთ ადგილს, განსაკუთრებით კი „მიმოხილვის“ მუხ. „473. По всем тем векселям, кои облечены силою закона и по признанию должника пред судьями, платят сполна по объявлению. Спора не присмлется“. „409. Несостоятельным должникам прощаются проценты“.

თ. II. „საზოგადო თამასუქით ვალისათვის“.

„3. თამასუქი და ხელწერილი, რომელიც მიმცემისაგან ნამდვილ აღიარებულ იქმნებოდა, უკეთუ ისი მიაწვედა სასამართლო ადგილთა შინა, იმას არა რაი დააყენებდა თუ არ ბათილამა, და დასაცველად საზოგადო ესტიბრისა (რუს. თარგ.: «кредитора») და ვაქრობის წარმართებისათვის აიძულებენ ყოვლის ღონითა მოვალეს გარდადისათვის, არა ქონებისა გამო ხელად თეთრისა, გასყიდვით ანუ დაგირავევით მოძრავის და უძრავის ქონებისა, თვინიერ ყოვლისა აპკელაციისა და სამართლის წარმოებისა. ხოლო უკეთუ მოვალეს ექნებოდა მასესხებელისაგან ბარათი თამასუქის რიცხვი ში მიცემულისათვის, ისი რიცხვი გამოეანგარიშებოდა, რომელიც ბარათით ცხად იყოფებოდა. 4. ვალისთვის ოდესაც საჩივარი მიაწვედა სასამართლოდ,

¹ დ. ბაკრაძე, „Сборник законов...“, 1887 г., გვ. 164.

რომ თამასუქში სარგებელი წერებულებიყო, მაშინ ჯერეთ მიუცემელს სარგებელს თუმანზედ თვეში ორ შაურს გაუჩენდნენ, მაშინაც თუნდა თამასუქში მეტის სარგებლის მიცემაც წერებულებიყო.

შენი შენა: მეფის ვახტანგის კანონის მესამეს წიგნის (რუს. თარგ.: „Зак. пра.“) ხლბ [232], მეხუთეს წიგნის მგ [46] (რუსულ თარგმანში არ იხსენიება.—ა. რ.), მეშვიდეს წიგნის (რუს. თარგ.: „Зак. Моис.“) ლთ [39] მუხლნი არ მოხმარებულ-არს“.

ამგვარადვე, შინაარსობლივი შესატყვისობა არსებობს, მეტნაკლებად, ქვემოხსენებულ შემთხვევებშიაც:

„მიმოხილვა“

„ჩვეულებითნი ჰსჯულნი“

3) თ. „Банкроты—котры“ (მუხ. 518—538), განსაკუთრებით მუხ. 519—524.

შინაარსობლივ შესატყვისება ზემოხსენებულ თავთა ზოგიერთი ადგილი და, აგრეთვე, თ. IV: „საზოგადო ვაღის გარდუმბდელთათვის“ (მუხ. 13—22), განსაკუთრებით მუხ. 19, 20-ის შენიშვნა, 13—14.

4) მუხ. 465—467, 240.

შინაარსობლივ ძლიერ შესატყვისება მუხ. 36.

5) თ. „Опекуны и должности их,— векили“ (მუხ. 423—448), განსაკუთრებით მუხ. 425—427, 432, 438—439.

შინაარსობლივ ძლიერ შესატყვისება მუხ. 38.

6) თ. „Раздел“ (მუხ. 342—351), განსაკუთრებით მუხ. 342, 346—348.

თ. VII. „გაყრისათვის“ (მუხ. 39—56), განსაკუთრებით მუხ. 39, 46 და 54.

7) მუხ. 633.

მუხ. 57.

8) თ. „Суд медиаторский. 185. Медиаторский суд составлялся большею частью по делам тяжбым и по оборотам торговым. 186. Избрание медиаторов допущено было на волю самих тяжущихся, однакож по взаимному соглашению обеих сторон. 187. Особы, избранные медиаторами, дают присягу в нелицеприятности своего суда. 188. Потом в полном собрании медиаторов, при обеих спорящихся лицах делается самое точнейшее изыскание истины: рассматриваются документы, щеты, книги, торговые записки и другия бумаги, какия будут представлены или можно будет собрать к разрешению процесса, в подкрепление принимается засвидетельствование людей честных, но не иначе, как по обоюдной ссмылке. 189. По таком изследовании суд медиаторской заключает приговор, сказывает о решении своем обим тяжущимся сторонам и вручает определение для исполнения морураву. 190. Суда медиаторского никакое место, ни правительство переменять не должно. Решение медиаторов исполняется безпрекосновенно во всей полноте его и силе. 191. Таким образом, хотя суд медиаторской и не подлежит апелляции,

თ. IX. „მოსამართლეთ და ბქეთ განჩინებისათვის. 59. განჩინება მდიანბეგთა, ბქეთა (რუს. თარგმ.: „медиаторов“) და ადგილობით დადგინებულ მოსამართლეთა, სადაოს საქმისათვის ქმნილი, დარჩებოდა სრულს ძალსა ზედა, მეფისაგან დაუმტკიცებელიცა, უკეთუ მეფე იმ განჩინების წინააღმდეგს წერილობითს საბუთს არ უბოძებდა და ანუ თვით მეფე არ ინებებდა იმის მოშლას და გარჩევას. 60. ორთა მოდავეთაგან საქართველოსა შინა არა აღმორჩეულარს შეკრულების ხელწერილით ბქენი (რუს. თარგმ.: „медиаторы“), არამედ უწერილოდ ესრეთ: ორნი მოდავენი ვინც იქმნებოდნენ, ურთიერთის თანხმობით გამოირჩევდნენ ორს, სამს, ექვსაც ბქეს (რუს. თარგმ.: „медиаторы“) და მეტს კი აღარ ანუ მეფის ბრძანებით, ანუ სადაურნიც იქნებოდნენ მოდავენი, მუნებურის მოხელის ბრძანებით და ისე გარდასწყვეტდნენ მათს სადაოს; დაუწერდნენ გარდასწყვეტილობის განაჩენს ორსავე მხარეს. და თუ, ვინიცის, რომელიმე მათგანი მოჩივარი იჩივლებდა მეფეთა ანუ მოხელეთა თანა ასე, რომ მედიატორთაგან (რუს. თარგმ.: „медиаторами“) უსამართლო დამემართა[ო], გაშინჯევდნენ მათს გარდასწყვეტილობის განაჩენს: უკეთუ მართლად აღმოჩნდებოდა მოჩი-

ნო ბუვალს სლუაჲ, ჟო ნსდო-
 ვოლნუნ რსუნუნ მუნატოროვ
 ნერუნოსლ დსლო სოვო ნა სუდ
 ცარსკოი ი, ნო უვანუნუნ ობსტო-
 ელუნსტვ, ინოგდ ნაზნაჩალსუნ კ
 პერესლედოვანუნო პროცესა დვ
 ილს ტრს ოსობს, ოტლუნუნუნ დო-
 ვერუნ მოსუდარს. ოდნაკოჟ დსლო
 რაზსატრუნვალოსუნ ი რსშალოსუნ
 პრუნო იმუნემ ცარსკუნ“.

ვარო, მათს გარდარწყვეტოლობას
 მოშლოდნუნ და მოჩოვარს კანონი-
 ნოერს კმაყოფას მისცემდნუნ; და
 თუ კანონოერად იქნებოდა გარ-
 დარწყვეტილი, განაჩუნსაც დაამ-
 ტოცოცებდუნ და მას ტყუილს მო-
 ჩოვარსაც ჯაროიმის გარდახდევო-
 ნებოთ დასჯოდნუნ. და როდო-
 საც გაოისნა რუნსეთოს მმარტებ-
 ლობა, აღმორჩევა წარმოებს მე-
 დოატოროთა (რუნს. თარგ.: „მედო-
 ატოროვ“) მოჩოვაროთ კეთოილნე-
 ბობოთ, თვოინოერ მარტებლობოს
 გარეეოთა; მისცემუნ მედოატოროთ
 შეკრულეობოს ხელოს წეროილს და
 დაამოწმუნებუნ სასამარტოლოსაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მეფოს ვახტან-
 გოს კანონოს პოირველის წოგნოს
 (რუნს. თარგ.: „Уложения“ царя
 Вахтанга“) სოე [215], მეოროს
 წოგნოს—ბერძულოს (რუნს. თარგ.:
 „Зак. греч.“) რლგ [136], და აღ-
 ბულას—მეექვსეს წოგნოს (რუნს.
 თარგ.: „Зак. А[г]буги“) შა
 (91), რ [100] და რა [101] მუხ-
 ლნი ამ ჩეეულეობოსამებრ მო-
 ხმარებულარს, და ბერძულოს—
 მეორეს წოგნოს (რუნს. თარგ.:
 „Зак. греч.“) რლზ [137] და
 რლთ [139] (რუნს. თარგ.: 138)
 მუხლო სრულს ძალაზედ მაშოინ
 შოოყვანებოდა, ოდესაც ბკენო
 (რუნს. თარგ.: „медиаторы“) კემ-
 მაროტობოთ განსჯოდნუნ“.

9) „889. Вдовы имеют со-
 вершенную свободу по произ-
 волению и выбору своему всту-
 пать во второй брак, почему

„65. აროს აღდოლობოთო
 ჩეეულეობა, რომ ოდესაც გათ-
 ხოვდება პოირველად ქალი, ნაშოინ
 მუნებული მებატონე ანუ მოხე-

помещики запрещать им того не вправе, однакож жених обязан заплатить помещику сакврио, т. е. вдовья денги. Количество сих денег располагается навсегда в одинаковом числе, но зависит от обыкновения каждого селения, однакож не превышает 25 рублей“.

ლე, ვისიც გლეხის ქალი იქნებოდა, ვინც წაიყვანდა, წამყვანს გამოართმევდნენ ექვს აბაზს, ორს მინალთუნს და ანუ სამს მინალთუნს. და ეს ჩვეულება არის თავდაზნაურთ ყმათა ზედა; და თუ სახელმწიფო ყმა წაიყვანს, მასაც გამოართმევენ, მაგრამ გარდა ამისა არ არის ჩვეულება. უკეთუ თავადისა და აზნაურის ყმის ცოლი დაქვრივდებოდა და ითხოვდა ვინმე, იმ ქვრივს ვინც წაიყვანს — საქვრივოს გამოართმევენ, ღირსებისამებრ ქვრივისა, ხუთის მინალთუნს და ხუთს თუმნამდე“ (რუსულ თარგმანშია: „65... Сверх того есть обычай, что когда вдова крестьянка, княжеская или дворянская выходит замуж, то с жениха выскивают плату, называемую сакврио по достоинству вдовы от 5 до 50 руб.“).

ამ შემთხვევაში დავით ბატონიშვილი „მიმოხილვაში“ უთუოდ უფრო სწორ ცნობას გადმოგვცემს, ვიდრე „ჩვეულებითთა ჰსჯულთა“ 65-ე მუხლის ჩამწერნი იმ მხრივ, რომ 25 მანეთზე მეტის გადახდა არ ევალდებოდა სასიძოს. 65-ე მუხლის ჩამწერი „თავდათვანნი“, ჩანს, თავიანთი ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისის შედეგად წერენ არაჩვეულებრივ „ხუთ თუმნამდე“-ს („და 50 რუბლ“-ს), რათა რუსეთის მთავრობისაგან კანონად ამის ცნობით მომავალში, XIX საუკუნეშივე, მეტი სარფი მიიღონ ყმა-გლეხები-საგან, ვიდრე ერეკლესა და გიორგის მეფობისას ღებულობდნენ.

10) „695. Моуравы... прилежно смотрят, чтоб помещики не отягощали крестьян излишними палогами и не делали им

„71. მებატონე თავდა-აზნაურნი, ოდესაც შეცოდებისათვის თავიანთ ყმათ [უწ]ყრებოდნენ¹, გარდაახდევინებდენ ჯარი-

¹ გამოცემაში აქ კორექტურული შეცდომაა: „ყრებოდნენ“; ვფიქრობთ, ზნდა იყოს: „[უწ]ყრებოდნენ“.

притеснений. В случае, когда не могут положить сами по мере соотношений помещика к своим крестьянам, доносят на усмотрение высочества царского“. „790. Надвалы также смотрят, чтоб помещики с подданными своими поступали умеренно, не делали отяготительных налогов, тиранства и увечья. В случае нарушения представляют дело на суд моурава“. „550. Первейшею обязанностью мдиванбегов есть прилежное и безпристрастное рассмотрение всякого дела и защита утесненной невинности“. „861. Безчестием полагаются все бранные и поносительные слова, сказанные в лицо. Действие сие неприлично и непростительно никому, поколику полагается в числе причин, нарушающих общественное спокойствие. Люди благородные за нарушение сего арестуются, нижние же воинские чины и чернь подвергаются телесному наказанию. Но когда к безчестию присовокуплены будут побои, тогда сверх сего виноватый обязан удовлетворить обиженного осьмою частью цены, положенной за кровь по Вахтангову Закону“. „322... Помещичьим крестьянам, в случае притеснения их господ, разрешается право приносить на них жалобы в суд.

მით და ჯოხის ცემითაც, თვინიერ ნასადისა (რუს. თარგ.: „71. Помещики, князя и дворяне за преступление или вину могли крестьян своих штрафовать и наказывать палочными побоями, не имея однако же права на лишение членов“); ამისთვის მეფე არც უსაყვედურებდა ამგვარის საქმისათვის, რადგან მებატონეთ ყმათა ზედა სრული უფლება აქვს და ვერც სადმე უჩივლებდა ყმა ბატონსათვისა“.

323. Тогда обязанности суда будет рассматривать и удовлетворять обиженного или наказывать за несправедливость извста“.

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვიდან“ მოტანილ მუხლებსა და „თავადთაგანთა“ მიერ „ჩვეულებით ჰსჯულებში“ ჩაწერილ ამ მუხლს შორის შინაარსობლივად დიდად შესამჩნევი წინააღმდეგობაა, რაც ნათლად ჩანს ჩვენთვის სათანადო ადგილთა მიხედვით მათი ურთიერთი შედარებით. „თავადთაგანნი“ ამ შემთხვევაშია ც. 71-ე მუხლშია ც, ჩანს, თავიანთი ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისით, განგებ კვლავ არა მთლიანად სწორად გადმოგვეცემენ ერეკლესა და გიორგის მეფობის დროს არსებულსა და ამ „მეფეთა“ მიერვე დაკანონებულ „ჩვეულებას“. დავით ბატონიშვილი „მიმოხილვაში“ ამ შემთხვევაშია ც, რა თქმა უნდა, უფრო სწორად გადმოგვეცემს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის „ჩვეულებებს“, ვიდრე „ჩვეულებითთა ჰსჯულთა“ ჩამწერნი. ამ გარემოებას ნათლად მოწმობენ თვითონ ერეკლე მეორის მიერ გლეხთაგან მიღებული უამრავი „არზები“ და თავის მიერ მათზე წარწერილი ბრძანებანი ყმა-გლეხთა ინტერესების დასაცავად, მიმძღავრებულ ბატონთა წინააღმდეგ, და, აგრეთვე, სხვა რიგი საისტორიო წყაროების ცნობებიც.

ზემომოყვანილი მაგალითების მსგავსად, სხვა ამგვარი მრავალი მაგალითის მოყვანაც შესაძლებელია დავითის „მიმოხილვისა“ და „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულთა ჰსჯულთა“ ურთიერთი შესატყვისი ადგილების შედარებათა შედეგად. მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმაოდ ნათელყოფენ იმ გარემოებას, რომ „მიმოხილვა“, მართლაც, მრავალ ადგილას შეიცავს იმავე შინაარსს, რასაც შეიცავენ „ჩვეულებითთა ჰსჯულთა“ ტექსტში ჩაწერილი „ჩვეულებები“. ეს ორი ნაწარმოები შინაარსობლივ მართლაც ძლიერ ავხებენ და ერთნხმებიან ერთმანეთს და მხოლოდ იწვიათ შემთხვევაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამა თუ იმ საკითხში. როგორც ერთ, ისე მეორე ნაწარმოებში ჩაწერილია XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგასაწევი ხალხური ჩვეულებები და ადათები და, აგრეთვე, ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონები.

ყველა ამ გარემოებას აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ „მიმოხილვაში“ ზემოხსენებული ხალხური ჩვეულებები და ადათები და ჩვეულებითი სამართლიდან გადმოღებული წეს-კანონები ხშირად უფრო ვრცლად და დაბეჯითებითაა ჩაწერილი, ვიდრე მეორე ზემოხსენებულ ნაწარმოებში. ამასთანავე, ეს ჩვეულებები, ადათები და კანონ-წესები „მიმოხილვაში“ დაახლოებით 200—250 მუხლშია ჩაწერილი, ხოლო „ჩვეულებითნი ჰსჯულნი“ სულ 74 მუხლისაგან შედგება. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი ნაწარმოები XIX საუკუნის დასაწყისში შედგა მაღალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელთაგან; როგორც გენ. ტორმასოვის ზემომოყვანილ პატაკშია თქმული, სამისოდ „*мысли соображались в общее собрание мдиван-беги и маршалы с членами оногo для объяснения существовавших обычаев*“. მაგრამ, საყურადღებოა, ამ გარკვეული წრის წარმომადგენელთა კრებაზედაც კი „*по разным голосам об одном предмете не можно было ничего определить или найти основательного и твердого, а потому общее собрание представляло мне употребить на сей предмет одних членов общего собрания из грузинских князей...*“ თავისთავად ცხადია, ეს „თავადთაგანნი“, რომლებშიაც XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს დროინდელი მდივანბეგებიც უთუოდ არაერთი შედიოდა¹, რუსეთის მთავრობას წარმოუდგენდნენ ქართველ მეფეთა მიერ დაკანონებულ „ჩვეულებათა“ ისეთ ტექსტს, რომელიც მაშინ თავიანთი ვიწრო კლასობრივი თქალსაზრისით

¹ პროფ. პ. გუგუშვილი ის სამართლიანი შენიშვნით, განსაკუთრებულმა კომიტეტმა, „*ლდისტ. სტატ. სოვეტნიკ*“ მაღლინსკის და შემდეგ გენ.-მ. სიმონოვიჩის თავმჯდომარეობით, 1815 წელს დაასრულა „ჩვეულებითთა ჰსჯულთა“ შეკრება. ამ კომიტეტში უშუალო და ძირითადი მონაწილენი იყვნენ მისი წევრები: ქართველი თავადები „სტატსკი სოვეტნიკი“ ფალავანდიშვილი, პოდპოლკოვნიკი ივანე ანდრონიკაშვილი, „*კოლეჟსკი სერეტარი*“ დარხოტეშოთაშვილი, „*ნადვორნი სოვეტნიკ*“ ხურაბეღლიანი და პრაპორშჩიკი თამაზ ქობულაშვილი, „*которые чиновники, занимаясь собиранием сих законов, привели в совершенное окончание*“, — წერს გენ.-მ. სიმონოვიჩი (АКАК, т. V, 1873, № 313, стр. 255). მაგრამ, უპეველია, სხვა თავადებსაც (მაგალითად, დიმიტრი თუმანოვს, დიმიტრი ორბელიანსა და როსებჯანდიეროვს.—იხ. პ. გუგუშვილის მიერ „ჩვეულებითთა ჰსჯულთადნი“ წამოღვარებული წერილი, — ენიმკი-ს „*მასალები...*“, 1938 წ. III ნაკვ., გვ. 70—73) წინასწარ, 1810 წლიდან გარკვეული შრომა მიუძღვის საქართველოს ამ „ჩვეულებათა“ შეკრების საქმეში. ყველა ამ თავადს შორის არაერთი იყო ერკლევა და გიორგისდროინდელ ქართლ-კახეთში მეფის მოხელე და ზოგიერთი მართლაც „მდივანბეგად“ ნამყოფი.

იყო მისაღები და ყოფილი ქართული საწევროს სინამდვილეს ნაწილობრივ მაინც განასხვავებდა, — ზოგ რამეს ჩქმალავდა და ზოგ რამესაც აზვიადებდა. მაგრამ მათ მიერ ამ ნაწარმოებში თქმულთა უმეტესობა მაინც მართალი უნდა ყოფილიყო და შემდეგ რუს მოხელეებსაც, შეძლებისამებრ, რამდენიმეჯერ ეს ნაშრომი, უთუოდ სხვათა დახმარებითაც, შეუსწორებიათ კიდევ; ამგვარად გახდა თავადთა ეს ჩანაწერები „окопчателно же релактированые“ და 1827 წ. გენ. ერმოლოვის მიერ რუსეთში გადაგზავნილი „государственному секретарю Оленину“.

ცხადია, რამდენიმეჯერ რედაქციის შედეგად ამ ნაწარმოების ტექსტი ბევრგან შესწორდა, მაგრამ ჩამწერ თავადთა ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისის დალი მასში აქა-იქ მაინც დარჩა და დღევანდელი დაკვირვებულნი მკითხველის თვალისათვისაც იგი ტექსტში ადგილ-ადგილ შესამჩნევი ხდება კიდევ. ამ მხრივ დავითის ჩანაწერები „მიმოხილვაში“ საერთოდ უფრო სანდოა და მისაღები საისტორიო თვალსაზრისით: დავითს, პეტერბურგში მყოფს და სამშობლოს განშორებულს, ასეთი ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისი ასეთ „ჩვეულებათა“ ჩაწერისას შედარებით ძლიერ ნაკლებად ახასიათებს და ამ „ჩვეულებებს“ იგი უფრო ისტორიულ-კულტურული ღირებულების თვალსაზრისით უყურებს, ვიდრე რომელიმე თავისი თანამედროვე და, მით უფრო, ზემოხსენებული თავადები და მაშინდელი რუსი მოხელეები. ამიტომ იმ შინაარსობრივ ურთიერთ საპირისპირო განსხვავებებშიაც, რომლებიც იშვიათად, მაგრამ ადგილ-ადგილ მაინც შეიმჩნევა „მიმოხილვასა“ და „ჩვეულებითა ჰსჯულთა“ შორის შედარებისას, უფრო მეტად დავითი და მისი წყაროები არიან სანდონი, ვიდრე ზემოხსენებული თავადები და რუსი მოხელეები. ქართველი ხალხის ისტორიის წინაშე ამ მხრივაც მალაღონიერი დავით ბატონიშვილი თავისი პირუთვნელობით გრძნობს უფრო სრულ პასუხისმგებლად თავს, ვიდრე ბევრი ვინმე მისი თანამედროვე.

ამრიგად, „მიმოხილვა“ მრავალ ადგილას შეიცავს ქართველ მეფეთა მიერ დაკანონებულ „ჩვეულებათა“ აღწერასაც, დავითის შეძლებისამებრ სწორად და სანდოთ ჩაწერილს დაახლოებით 200—250 მუხლად. ამ მუხლებშია გადმოცემული ერეკლესა და გიორგის სამეფოს სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგასაწევი ხალხური ჩვეულებები და ადათები და ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონები; მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ესაა ქართველ მეფეთა მიერ დაკანონებული „ჩვეულებანი“.

რა თქმა უნდა, ყველა ეს „ჩვეულება“ XVII ს-ის მეორე ნახევარში არ დაკანონებულა პირველად თეიმურაზ II-ისა, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მიერ, არამედ ბევრი მათგანი ადრედაც დაკანონებული იყო სხვა მეფეთაგან თავ-თავის დროზე სამეფოს. სამართლისათვის; მრავალი ამგვარი „ჩვეულება“ უძველეს დროიდანვე მრავალი ქართველი მეფისაგან თავ-თავის დროზე, საჭიროებისდა მიხედვით, სანქციონებული იყო მსაჯულთათვის სახელმწიფო სასამართლო ორგანოებში სახელმძღვანელოდ და შემდეგ სამწერლო და ზეპირგადმოცემითი ტრადიციით შემონახულ იქნა თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობის დრომდეც. XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის მეფეებმა თეიმურაზმა, ერეკლემ და გიორგიმ ბევრი ამგვარი „ჩვეულება“ არ შესცვალეს, ადრინდელ მეფეთა მსგავსად, კვლავ სანქცია მისცეს სამეფოს სამართლის დარგში სამოქმედოდ და თანაც, თავიანთ მხრივაც, ზოგიერთი ხალხური სხვა „ჩვეულება“ შემოიღეს სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგასაწევად ან „კანონად“. XVIII ს-ის მეორე ნახევრის ეს ქართველი მეფეები, როგორც ჩანს მათ მიერ გამოცემულ უამრავ „ბრძანებებში“, „განჩინებებსა“ და სხვა საისტორიო წყაროებში, დიდ ანგარიშს უწევდნენ ქართველ ხალხში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით შემონახულ ჩვეულებებსა და ადათებს და ჩვეულებითი სამართლის წესებსა და კანონებს და ამრიგად იყენებდნენ კიდევ მათ სამეფოს სამართლის დარგში. ამ მხრივ მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „გონიერი“ ერეკლე მეორე-განსაკუთრებით მის მალაღონიერებასა და საქმიანობას უნდა მიეწეროს XVIII ს-ის მეორე ნახევარში ხალხური ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში უწინდელზე უფრო მეტად და უკეთ შერჩევით შესული მრავალი ბრძნული წესი და კანონი. ასეთი წეს-კანონები კი დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ მრავალ ადგილასაა უხვად ჩაწერილი. ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ ორ მაგალითს.

დავითს „მიმოხილვაში“ ერეკლესა და გიორგის სამეფოში მოქმედი სამართლის კანონად ჩაწერილი აქვს: „199. 3. Кто ойнажит оружие, но не ранит, наказывається вдвое“. ერეკლეს მეფობის უწინარესი წერილობითი სამართლის ძეგლებში ეს კანონი არ გვხვდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს კანონი ქართველ ხალხში საერთოდ არ მოქმედებდა. იგი, უეჭველია, ქართულ ხალხურ, ჩვეულებით სამართალში ადრედაც არსებობდა და ერეკლემ კი მიზანშეწონილად სცნო თავის სამეფოს სამართალშიაც ოფი-

ციალურად შეეტანა, თავისი სანქცია მიეცა მისთვის მართლმსაჯულებაში მოხელეთაგან გამოსაყენებლად. საჩუქოს კანონად აქცია რა ეს ჩვეულებითი სამართლის წესი, ერეკლემ, ცხადია, ჩაწერა იგი სხვა კანონებს შორის თავისი ახალი სამართლის ერთერთ განჩინებაში მკვლევლობისა და ქრილობის შესახებ, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერეკლეს მეფობისას, როგორც ითქვა, უძველესად არსებობდა¹. დავით ბატონიშვილი უთუოდ ამ განჩინებით სარგებლობს „მიმოხილვაში“ ამ კანონის ჩაწერისას.

ცნობილია, რომ ქართველ ხალხში დღემდე შემონახულია ასეთი ადათი: ჩხუბის დროს იარაღიანმა უიარაღოს წინააღმდეგ იარაღი არ უნდა გამოიყენოს და თუ იშიშვლა, მოწინააღმდეგის დაზიანების გარეშე იგი არ უნდა ჩააგოს ქარქაშში. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის მომხმარებელს თავის საქციელს დიდად უძრახვენ, ვაეკაცობას უწუნებენ, დასცინებენ კიდევაც და სხვა. ეს ასეა ახლა, მაგრამ ძველად ქართველი ხალხი ასეთ უწესო მოჩხუბარს ჩვეულებითი სამართლით უთუოდ სჯიდა კიდევ: დაქრის შემთხვევაში ერთმაგად, რადგან მან თავისი იარაღით დაჩაგრა უიარაღო მოწინააღმდეგე და ამით შელახა რაინდობა; დაუქრელობის შემთხვევაში კი—ორმაგად, რადგან მან, ერთი, იარაღით სულეირად დაჩაგრა (დაშინება) განიზრახა უიარაღო მოწინააღმდეგისა და ამით შელახა რაინდობა, და, მეორე, ვერ აღმოჩნდა ნებისყოფიანი, ღირსეული პატრონი თავისი იარაღის დანიშნულებისაშებრ მოხმარებისა და ამითაც შელახა რაინდობა. ქართველ ხალხში საბრძოლო იარაღის პატრონს მისი მოხმარების თავისებური ზნეობრივი წესები ჰქონდა და მით წარამარა ტრიალი და ბაქიბუქი რაინდული ზნეობის შემბლაღველად ითვლებოდა. რაინდული ზნეობისა და წესების მთავარი შემოქმედი და განმახორციელებელი თვით ხალხი იყო და მათი შელახვის უფლებას იგი არავის არ აძლევდა; ურჩს სჯიდა კიდევ ზემოხსენებული თავისი წესისაშებრ.

ქართველი ხალხი თავისი ამ ადათით ფართო სიზოგადოებრივი ანუ პატრიოტული თვალსაზრისით ძლიერ უწყობდა ხელს ქართული რაინდული წესის მქონე მძლავრებისყოფიან, არაძჩავრელ, პრინციპიან და დროზე თავშეკავებულ, საზოგადო ინტერესებისადმი დაქვემდებარებულ და უანგარო თანამემამულეთა აღზრდას. ასეთი რაინდები სჭირდებოდა ერეკლე მეორეს თავისი ფარ-

¹ იხ. ამის შესახებ ვრცლად ამავე (IV) თავის მე-7 კვეთავში.

თო საზოგადოებრივი, მაღალი პატრიოტული ზრახვებისათვის. სწორედ ამიტომ ქართული ხალხური, ჩვეულებითი სამართლიდან ეს წესი მის მიერ სანქცირებულ იქნა თავის სამეფოს სამართალში ოფიციალური შეტანით და კანონად იქცა კიდევ. ეროვნული თავდაცვის ინტერესები ასეთი რაინდების აღზრდას მოითხოვდა და საამისოდ ქართული ჩვეულებითი სამართლის ეს წესი ერეკლემ გონიერად ჩათვალა კანონად სახელმწიფოს ოფიციალური მართლმსაჯულებისათვისაც.

ზემომოყვანილი კანონის მსგავსი ხასიათისაა და ხალხური, ჩვეულებითი სამართლიდანაა შემოღებული ქართლ-კახეთის სამეფოს სამართალში, საფიქრებელია, კვლავ ერეკლეს ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ განჩინებაში სანქციით განმტკიცებული და დავითის მიერ მის მიხედვით „მიმოხილვაში“ გვიან ჩაწერილი ასეთი წესიც: „298. Кто во время сражения от чу[в]ствования страха оставит свое место и будет укрываться, таковой приводится пред собранный народ, накрытый женским покрывалом, пред всеми обличается в недостойном поступке и будет пристыжден в своей трусости, а нижние чины подвергаются наказанию телесному“. ჩვენ მიერ აქ ხაზგასმული სიტყვები არაა ხალხური; იგი უთუოდ ერეკლემ მიუმატა, საფიქრებელია, თავის განჩინებაში ამ ხალხური წესის აღწერას.

როგორც ითქვა, ხალხური წარმოშობის მრავალი სხვა წესი, ჩვეულება და ადათიც არის დავით ბატონიშვილის მიერ ჩაწერილი თავის „მიმოხილვაში“. მაგრამ ყოველი მათგანის გარჩევასა და მოკლედ დახასიათებას აქ ჩვენ ველარ გამოვეუდგებით და მხოლოდ ზემოთქმულით დავეკმაყოფილდებით.

ამრიგად, ერეკლესა და გიორგის სამეფოს მთელ სამართლის დარგში და შემდეგაც, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში რუსთა ხელისუფლების დამყარებიდანვე სამოქალაქო საქმეთა განსახილველად ვახტანგის „სჯული“ იყო, — მართლაც, როგორც რუსეთის მეფის 1801 წ. 12 სექტემბრის მოწოდებაში და სხვაგანაც ნათქვამია, — „коренной грузинский закон“. მაგრამ ისიც ცხადი ხდება, რომ ჩვენ მიერ ზემოთ თავ-თავის აღგილას „მიმოხილვასთან“ შედარებული ვახტანგის კრებულშივე შესული და სხვა ძველი სამართლის ძეგლების ზოგიერთი კანონითაც იყო XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სახელმწიფო მართლმსაჯულების წარმოება. აგრეთვე მაშინაც ქართველი მეფეების სანქციით სახელმწიფო სასამართლო ორგანოებში მსაჯულები ხალხური,

ჩვეულებითი სამართლის რიგი ნორმებითაც ხელმძღვანელობდნენ თანაბრად სამეფოს კანონ-წესებისა და ანგარიშს უწევდნენ ხალხურ ჩვეულებებსა და ადათებსაც.

ზემოთქმულთან ერთად ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ ერეკლესე მიერ 1791 წ. „განწესებათა“ „მზ“ მუხლში ნათქვამის, იოანე ხუცესმონაზონისა და კირილე არქიმანდრიტის ცნობების¹, დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ შემონახული დღემდე უცნობი და ცნობილი მრავალი კანონ-წესის, აღწერილი ინსტიტუტების, სახელმწიფო მართლმსაჯულებაში ანგარიშგასაწვევი ჩვეულებების, ადათებისა და სხვათა განხილვის შემდეგ აქვე შეგვიძლია საბოლოოდ დავასკვნათ: ერეკლე მეორეს საგანგებოდ შერჩეული მრავალი პირის შემწეობით განსაკუთრებით 1760—61 წლებში და შემდეგ დიდად შეუცვლია ძველი „საქართველოს სამართალი“. საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელმა პროგრესულმა სოციალურ-ეკონომიურმა ძალებმა და მრავალსაუკუნოვანმა მალაღმა ტრადიციულმა კულტურამ მაშინ² წარმოშვეს ერეკლესეული ახალი სამართალი: ერეკლეს მიერ თეიმურაზ მეორესთან ერთად და დამოუკიდებლად სხვადასხვა დროს გამოცემული, ჩვენთვის დღემდე ცნობილი და უცნობი „განჩინებანი“, „ბრძანებანი“, მისგანვე დამტკიცებული საეკლესიო კრებების დადგენილებანი და სხვა, რომლებშიაც ერეკლესეული მრავალი ახალი კანონ-წესი მოიპოვებოდა არამც თუ ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს ცხოვრების პროგრესისათვის სამართლის დარგში სახელმძღვანელოდ. ერეკლესეულ ყველა ამ ახალ კანონ-წესს, რა თქმა უნდა, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ერეკლესა და გიორგის მეფობისას ქართლ-კახეთში, ვიდრე თუნდაც ვახტანგ VI-ის „სჯულს“; ყველა ესეც იყო მაშინ მოქმედი „коренной грузинский закон“ და არა მარტო ვახტანგის „სჯული“ ღა მის კრებულშივე შესული, მაშინაც სახელმძღვანელოდ ნაწილობრივ მიღებული ძველი სამართლის ძეგლები. ამიტომ ბუნებრივია, რომ დავით ბატონიშვილის მიერ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში არსებული სამართლის აღმწერი კრებული „მიმოხილვის“ 300-ზე მეტ მუხლში წარმოდგენილია ერეკლეს მიერ გამომუშავებული ახალი სამართლის, ჩვენთვის დღემდე ცნობილი (100-ზე მეტ მუხლში) და თანაც უცნობი მოქ-

¹ იხ. ვრცლად წინამდებარე გამოკვლევის III თავი.

² ამ საკითხთა შესახებ იხ. ვრცლად აპ. როგავას ნაშრომში „ეპატიკალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე მეორის პოლიტიკა“.

შედი კანონ-წესები (200-ზე მეტ მუხლში); სწორედ ამიტომ და დავითის მიერ „მიმოხილვაში“ მათთან ერთად გზადაგზა, საკითხებისა და მიხედვით, მოცემული ძველი სამართალიდან ვახტანგ VI-ის „სჯულის“ მრავალი კანონ-წესიც, ერეკლეს მიერ მისგან სახელმძღვანელოდ უარყოფილთა გარდა, და შედარებით მცირერიცხოვნად კი—ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“, ბექა-აღბუღას, გიორგი ბრწყინვალის („ძეგლის დების“) და კათალიკოზთა კანონ-წესები და, ამგვარადვე, მოსეს კანონები, ბერძნული კანონები და სომხური კანონებიც. ამასთანავე, ბუნებრივია ისიც, რომ დავით ბატონიშვილმა „მიმოხილვაში“ გულდასმით აგვიწერა XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედი, სახელმწიფო მართლმსაჯულებაში ანგარიშგასაწევი ხალხური ჩვეულებები და ადათები და აგრეთვე ჩვეულებითი სამართლის ის ნორმები, რომლებსათვისაც მაშინდელ ქართველ მეფეებს, განსაკუთრებით ერეკლეს, სამეფოს სამართლის კანონ-წესებისამებრ ხმარების სანქცია მიუციათ მსაჯულთათვის.

13. ბიოგრაფიი XII-ის შივრ აღჩინდელ მათ-მათ კანონში შეხანილი ცვლილება

წინამდებარე გამოკვლევაში მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ერეკლე მეორეს თავისი მეფობის დროს აღჩინდელ მრავალ კანონში შეუტანია რა ესა თუ ის გონივრული ცვლილება, ამით ისინი, წინანდელთან შედარებით, უფრო ჰუმანურიც გაუხდია. ერეკლეს მიბაძვით, ასევე იქცეოდა მისი შვილი გიორგი XII-ც (იგივე XIII) თავისი ხანმოკლე მეფობის დროს (1798—1800 წწ.) ქართლ-კახეთში. დავით ბატონიშვილს „მიმოხილვაში“ ერთ ადგილას აღნიშნული აქვს კიდევ ეს გარემოება. „მიმოხილვის“ 474-ე მუხლში მას უწერია: „Все те должговныя обязательства, кои найдутся составленными фальшиво, уничтожаются. Виновного в сем преступлении хотя и осуждает коронный закон на отсечение руки, но царь Георгий XIII наказание сие смятчил. По установлению его, изобличенный платит всю сумму, в фальшивом векселе написанную, в пользу казны“. რა თქმა უნდა, „ხაზინის სასარგებლოდ“ ამგვარივე სხვა მძიმე ფიზიკური სასჯელის შეცვლას ჰუმანური თვალსაზრისით ადრევე თვით ერეკლე უფრო მეტად აწარმოებდა და ეს საქმე გიორგი XII-ისა მხოლოდ გაგრძელებაა მამის საქმიანობისა.

ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში მეფე გიორგი XII-ის თაოსნობით ხანმოკლედ წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკა ერეკლე მეორის სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს და არსებითად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ახალ რამეს არ შეიცავს სამეფოს სამართლის დარღვევას. გიორგი მეთორმეტის შვილების, იოანესა და დავით ბატონიშვილების 1799—1800 წწ. ახალი „სამართლის“ პროექტებიც კი ერეკლესეული სახელმწიფო პოლიტიკის ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მისი სულისკვეთებით გამთბარი. ამ მხრივაც იოანე და დავითი თავიანთი შორსგამკვერტი სახელოვანი პაპის ნიჭიერი ეპიგონებია, ხოლო თვითონ გიორგი XII, მათთან შედარებით, დიდ ნიქსა და უნარს ვერ იჩენდა ერეკლესებურ „მაღალგონიერ“ სახელმწიფო პოლიტიკურ აზროვნებაში და საამისოდ ზემოხსენებულ თავის სახელოვან შვილებს დიდად იშველიებდა.

* * *

გამოკვლევაში აქამდე მოთავსებულ ოთხ თავში წამოჭრილ შთელ რიგ საკითხებს თავ-თავისი დასკვნები სათანადო ადგილებშივე თან ახლავს. ახლა კი მათზე დაყრდნობითა და ყოველი ზემოთქმულით ერთი უდავო საერთო დასკვნის გამოტანაც აუცილებელია ჩვენთვის: დავით ბატონიშვილის მიერ „მიმოხილვაში“ აღწერილი სახელმწიფო წყობილება და ინსტიტუტები, ჩაწერილი კანონები, წესები, ჩვეულება-ადათები და სხვა—XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო წყობილებაა და ინსტიტუტები, სამეფოს სამართალსა და მართლმსაჯულებაში მოქმედი კანონები, წესები და ანგარიშგასაწევი ხალხური ჩვეულება-ადათები და სხვა. დავითის მიერ ყველა ესენი 1812—1813 წლებში პეტერბურგში შეძლებისამებრ აღწერილი, თანაც შესაკრებნი—შეკრებილი და ჩაწერილია წერილობითი სამართლის ძეგლებისა და საისტორიო საბუთების სარგებლობის, საქართველოში აღრიდანვე მიღებული თავისი შთაბეჭდილებების, დაკვირვებების, ახლობელი ქართველების დაკითხვისა და სხვათა ნიადაგზე. დავითი მათ „მიმოხილვაში“ საგანგებოდ გადმოგვცემს, როგორც მათი კარგი თვითმხილველი და მცოდნე.

„მიმოხილვაში“ შეკრებილი კანონ-წესებვისა და სხვათაღმის დართული კომენტარები და მათი წყაროები

1. დავითის მიერ დასავლეთ მკროველი განმანათლებლების აზროვნების მცოდნეობით სარგებლობა „მიმოხილვის“ წერილსა

დიდად საყურადღებოა ის დიდი ერუდიცია, რომელიც გამოიჩინა დავით ბატონიშვილმა „მიმოხილვაში“ არა მარტო თავისი ქვეყნის ცხოვრების კარგად ცოდნისა და ქართული მწერლობისა და მაღალი კულტურის ღრმად ათვისება-შეგნების ნიადაგზე, არამედ უცხო ლიტერატურის მცოდნეობის შედეგადაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დავითი „მიმოხილვაში“ ზოგიერთი კანონის, წესისა თუ ადათის ან სხვის ჩაწერისას, აზრის უკეთ გასაგებად ხშირად ხმარობს არა მარტო ქართულსა და რუსულ მწერლობაში განმტკიცებულ სპეციალურ ტერმინებსა და გამოთქმებს, არამედ დასავლეთ ჯეროპულსაც, უცხოურსაც, რომლებიც საერთოდ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში მაშინ მიღებული იყო. ამასთანავე, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ დავითი „მიმოხილვაში“ ზოგიერთი კანონის, წესისა თუ ადათის ან სხვა რამის ჩაწერის შემდეგ თუ უწინარეს მის კომენტარში, იმავე ან ცალკე სხვა მუხლში (იხ. ასეთი მაგალითები გზადა-გზა ქვემოთ), იჩენს არა მარტო ამ უცხოური სპეციალური ტერმინებისა და გამოთქმების მცოდნეობას, არამედ დასავლეთ ევროპის რიგი განმანათლებლების აზროვნების კარგად ათვისების უნარსაც. ასეთ შემთხვევებში დავითის მიერ კომენტარებში ამ განმანათლებლების აზროვნების მცოდნეობა გამოიხატება არა მარტო მათთვის დამახასიათებელი სპეციალური ტერმინებისა და გამოთქმების მოხმარებაში, არამედ მათი აზრების მოშველიებაშიაც, მათი ნაწარმოებების სათანადო ადგილების თავისუფლად ან სიტყვა-სიტყვითაც კი გადმოღებაში და სხვა.

ზემოხსენებული გარემოება სრულიად ბუნებრივი საქმეა დავით ბატონიშვილისათვის „მიმოხილვაში“, — ეს საქმე მისგან ასე იყო მოსალოდნელი და ჩანს კიდევაც. საერთოდ ცნობილია, რომ დავით ბატონიშვილი იცნობდა ფრანსუა-ნარი-არუე ვოლტერის (1694—1778) ნაწარმოებებს და ზოგიერთი მათგანი მან ქარ-

თულადაც თარგმნა. დავითი დიდად იზიარებდა ამ დიდი განმანათლებლის აზროვნებას, ასე რომ ზოგიერთი მკვლევრის მიერ იგი ქართველი პირველი ვოლტერიაზელის სახელითაა დღემდეც ცნობილი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულად: იგი არაა სრულყოფილი ვოლტერიაზელი, რასაც მოწმობს თუნდაც ამ თავშივე ქვემოთყვანილი მაგალითები; დავითი ვოლტერზე არანაკლებად ევროპელ სხვა განმანათლებელთა აზროვნებას იცნობდა და მათაც ბევრ რამეში არანაკლებ თანაუგრძნობდა¹. ამგვარად, არაა გასაკვირი, რომ დავითს „მიმოხილვის“ ტექსტში რომელიმე ქართული კანონის, წესის თუ ადათის ან სხვათა კომენტარში რომელიმე ევროპელი განმანათლებლის რაიმე აზრი ან გამოთქმა, თუ შემოღებული ტერმინი შევამჩნიოთ. ასეთ შემთხვევებში „მიმოხილვის“ კომენტარებში აქა-იქ შესაძინებია, ვოლტერის გარდა, თონა ჰოზისის (1588—1679), ჯონ ლოკის (1632—1704), მარლ მონტესკიეს (1689—1755), ჟან-ეკ რუსოს (1712—1778) და ჩეზარე ბეკარიას (Cesare Beccaria, 1738—1794) ნაწარმოებთა ცოდნა დავითის მიერ. ამის მაგალითები ქვემოთ, თავ-თავის ადგილას წარმოვადგინოთ გვაქვს.

**2. დავითის მიერ ეკატერინე მეორის „НАКАЗ“-ითაც
სარგებლობა „მიმოხილვის“ კომენტარებში და ძველი
ძარბაზის კომენტარული აზროვნების ტრადიციის
„მიმოხილვაში“**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ზოგიერთი განმანათლებლის აზრები, გამოთქმები და სხვა დავით ბატონიშვილს ათვისებული აქვს არა მარტო უშუალოდ მისი რომელიმე ნაწარმოების სარგებლობის შედეგად, არამედ შუალობით, სხვა მწერლის ნაწარმოების სარგებლობითაც. მაგალითად, ასეთი რამ შესაძინებია ხდება „მიმოხილვაში“ ქვეთავი „Питкя“-ს წერისას, მუხ. 129—140. ამ შემთხვევაში დავითს ხელში, უეჭველია, გააჩნია რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორის ცნობილი „Наказ комиссии о составлении проекта нового уложения“, 1767 წ. დაწერილი. ეკატერინე მეორე „Наказ“-ში მოცემული ამის შესატყვისი ადგილის წერისას სარგებლობდა ვოლტერისა და მონტესკიეს აზრებით და განსაკუთრებით კი ბეკარიას ცნობილი ნაშრომით „დანაშაულებათა და

¹ დავით ბატონიშვილის განათლებისა და სამწერლო მოღვაწეობის შესახებ იხ. უფრო ვრცლად წინამდებარე გამოკვლევის თ. I, 1. აგრეთვე მისი აზროვნების შესახებ იხ. განსაკუთრებით ქვემოთ.

სასჯელთა შესახებ“. ამრიგად, ბუნებრივია, დავით ბატონიშვილი მუხ. 129—140 წერისას „მიმოხილვაში“ იცნობდა არა მარტო უშუალოდ ვოლტერის, მონტესკიეს და განსაკუთრებით ბეკარიას ნაშრომთაგან აზრებს, ტერმინებსა და სხვას, არამედ ეკატერინე მეორის „Наказ“-საც, რომელმაც კიდევ ხელი შეუწყო თვით ეკატერინეს მიერ გაპერიფრაზებულ მონტესკიესა და განსაკუთრებით ბეკარიას გამონათქვამთა წარმოდგენას „მიმოხილვაში“. მაგალითად:

დავითის „მიმოხილვა“

ეკატერინე მეორის „Наказ...“

1) ქვეთავი „Пытка—тан[д]-
жва“ (მუხ. 129—140):

მოსამართლეთათვის შემთხვევა
„...свидетельства одного чело-
века, кто бы он ни был, есть не-
достаточно...“ (მუხ. 132).

„Одного свидетеля не до-
вольно для того, что когда
обвиняемый отрицается от то-
го, что утверждает один сви-
детель, то нет тут ничего из-
вестного и право всякому при-
надлежащее верить ему, что
он прав, в таком случае пере-
вешивает на сторону обвиняе-
мого“¹. „Законы, осуждающие
человека по выслушании одно-
го свидетеля, суть пагубны
вольности“².

ეკატერინე მეორის ზემომო-
ყვანილი სიტყვები თავის მხრივ
გამომდინარეობდა მონტესკიესა
და ბეკარიას ქვემომოყვანილი
სიტყვებისაგან, რომლებიც, ჩანს,
იყოლა დავით ბატონიშვილმაც.

შ. მონტესკიე:

„...Для наказания всех
преступлений достаточно сви-
детельства двух человек: закон
верит им точно так, как буд-

¹ „Наказ...“, მუხ. 189,—Сочинения импер. Екатерины II, т. I, изд. Ал. Смирдина, СПб, 1849 г.

² იქვე, მუხ. 119.

то говорили они устами самой истины“¹.

ჩ. ბეკარია:

„Необходимо против обвиняемого более одного свидетеля, ибо если один свидетель что-либо утверждает, что отрицает другой, то является сомнение, а в этом случае должно быть отдано предпочтение правде, что всякий предполагается невинным“².

ამრიგად, დავით ბატონიშვილი იცნობს ეკატერინე მეორის, ჩ. ბეკარიასა და შ. მონტესკიეს აზრებს ერთი მოწმის არასაკმარისობის შესახებ. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დავითს მათ გარეშედაც შეეძლო „მიმოხილვის“ 132-ე მუხლში ჩაეწერა ზემომოყვანილი სიტყვები. ერთი მოწმის არასაკმარისობა ზემოთმოთვლილ პირებზე ვაცილებით უფრო ადრე ძველმა ქართულმა სამართალმაც იცოდა და ეს საქმე ქართული მართლმსაჯულების პრაქტიკაში უძველესი ხანიდანაც იყო მიღებული. ასე რომ ეკატერინე მეორის, ჩ. ბეკარიას, შ. მონტესკიესა და ევროპელ სხვა განმანათლებელთა მცოდნეობის გარეშეც, მშობლიური მწერლობის ნიადაგზევე დავითს „მიმოხილვაში“ ზემომოყვანილი სიტყვები უნდა ჩაეწერა კიდევ. საამისოდ მას გააჩნდა ქართულ ენაზევე თუნდაც ვახტანგ VI-ის კრებულში შესული „მოსეს კანონები“ მუხ. 8 და 13; „მოსეს კანონების“ ამ მუხლების სათანადო ადგილები ჩვენ მიერ კიდევაც მოტანილია გამოკვლევაში ზემოთ, „მიმოხილვის“ 132-ე მუხლთან შედარებით (იხ. თ. IV, 3 დ).

ამასთანავე, საყურადღებოა ერეკლესა და გიორგისდროინდელ ქართულ სასამართლოში ზოგიერთ შემთხვევაში ქალთა მოწმეობაც. „მიმოხილვაში“ დავითს უწერია: „1775. Закон хотя и опровергает свидетельство женщин, но по важности обстоя-

¹ „О существе законов“, ч. I, пер. Дм. Языкова, Москва, 1809 г., кн. VI, гл. XVII, стр. 200.

² „О преступлениях и наказаниях“, пер. Ив. Соболева, Радом, 1878 г., стр. 50.

ტელსტვ მოგუტ ი ონი ბყტ დო სეგო დოპუშენყ, იბო ბეპრისტრასტნი ი პრავოტა სერდცა დოჟკიწა პრინადლექატ კაჟკდომუ პოლუ ბეზბისკლუჩიტელნიო“. საფიქრებელია, ეს კანონი ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი ძეგლის მიხედვით ჩაეწერა დავითს თავის „მიმოხილვაში“ და, ცხადია, არა რომელიმე ევროპელი განმანათლებლის ზეგავლენით. ყოველ შემთხვევაში, დავითს საამისოდ ძველთაგანვე არსებული ქართული ტრადიცია მოეპოვებოდა. ქალთადმი პატივისცემა და ნდობა უძველესი ქართული ტრადიციული ჩვეულება იყო და ქალთა ამგვარი მოწმეობა ერეკლეს სამეფოს სამართლისათვის, უეჭველია, ძველი ქართული მართლმსაჯულების პრაქტიკიდან მომდინარეობს ტრადიციულად; ერეკლესაც, ჩანს, თავის მეფობისას მისთვის სანქცია მიუცია ქართლ-კახეთის სამეფოს სამართალში სახელმძღვანელოდ.

რაც შეეხება იმას, რომ „закон... опровергает свидетельства женщин“—ამ გარემოებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარს უჭერს ვახტანგ VI-ის კრებულში შესული „ბერძნული კანონებიც“,—მუხ. 84, 85 და 148¹,—და შესაძლოა არა მარტო ვახტანგ VI-ისა და ერეკლე მეორის მეფობის დროს, არამედ უფრო ადრედაც არსებულიყო საქართველოს სამართალში ეს კანონი უცხოურიდან (თუნდაც ბერძნულიდანვე) ოდესმე ხელოვნურად შემოღებით და არა მაინცდამაინც ეროვნულ ნიადაგზე ბუნებრივად წარმოშობით; ეს კანონი ძველი ქართული სამართლის დარგში მიღებულ ქალთა პატივისცემასა და მათდამი ჰუმანური დამოკიდებულების წესებსა და კანონს არ შეეფერება და ძველი ქართული: ხალხური და სახელმწიფოებრივი მკვიდრი თვალსაზრისი სწორედ ისაა, რომელიც დავითს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთშიაც მოქმედ კანონად მიაჩნია: „...по важности обстоятельств могут и они быть до сего допущены, ибо безпристрастие и правота сердца должна принадлежать каждому полу безъисключительно“. ჩვენში ძველად ქალები არა მარტო მოწმეობად, არამედ, ცნობილია, კრისტიანობის მქადაგებლებად, მეფეებად და სახელმწიფო საქმეებში დიდ დიპლომატებადაც კი იყვნენ! საქართველოს ისტორიამ ამგვარ ქალთა სახელებიც ბევრი იცის; მაგალითად: წმ. ნინო, დედოფალი დინარა, თამარ მეფე, რუსუდან მეფე, კრავაჟ ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი, დედოფალი გვანცა,

¹ იხ. ზემოთ „მიმოხილვის“ შედარება „ბერძნულ კანონებთან“,—გამოკლვის თ. IV, 3 დ.

თეიმურაზ პირველის დედა ქეთევან დედოფალი და მეუღლე ხორე-
შანი და სხვა მრავალი.

დავითის „მიმოხილვა“

2) В Грузии „...хотя пытка и допускается, но однакож не должна оскорблять человечество. Она должна иметь свое действие в случаях самых только необходимых...“ (მუხ. 129).

ეკატერინე მეორის „Наказ...“

„Употребление пытки противно здравому естественному рассуждению; само человечество вопиет против оной и требует, чтоб она была вовсе уничтожена“¹.

ეკატერინე მეორის ზემო-
ყვანილი სიტყვები თავის მხრივ
გამომდინარეობდა შ. მონტეს-
კიესა და ჩ. ბეკარიას ქვემო-
ყვანილი სიტყვებიდან, რომლებ-
ბითაც, ჩანს. ისარგებლა დავით
ბატონიშვილმა თავის კომენტარ-
ში ერეკლესა და გიორგის მეფო-
ბისდროინდელი კანონისა.

შ. მონტესკიე:

“...Пытка, производимая над преступниками, не находится в таком принужденном случае, каковы те. Мы рчим ныне, что один просвещеннейший народ (შენიშვნაშია: „Англичане и Россияне“) отменил её без малейшего вреда. Следовательно, она не нужна по своему существу“. „Хотел бы сказать, что её можно употреблять в деспотических правлениях... Но я слышу глас

¹ „Наказ...“, მუხ. 123,—Соч. имп. Екатерины II, т. I, 1849.

природы, вопиющий против меня¹.

ჩ. ბეკარია:

„Жестокость, освященная обычаем большей части народов, это—пытка, употребляемая над обвиняемым во время процесса. ...Человек не может быть назван преступником прежде судебного приговора о нем, ни общество не может лишить его своей защиты до тех пор, пока не решено, нарушил ли этот человек условия, которыми обеспечивалась ему эта защита. Что, затем, за право такое, если это не право силы, которое дает судье власть употреблять против гражданина наказание в то время, когда еще неизвестно, виновен он или не виновен?“—წერს ბეკარია და ქვემოთ მთელ პარაგრაფში მტკიცებით სასტიკად გმობს ბრალდებულის ტანჯვა-წამებას, ვისგანაც არ უნდა იყოს იგი².

ამრიგად, დავით ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა არა მარტო ეკატერინე მეორის „Наказ“-ს, არამედ შ. მონტესკიესა და ჩ. ბეკარიას ნაშრომებსაც. მაგრამ რუსეთშიაც კი თავის თანამედროვე ყოველ მკითხველს, „მიმოხილვაში“ 129—140 მუხლების ჩაწერით, მან, როგორც საერთოდ პირუთვნელმა

¹ „О существе законов“, ч. I, 1809 г. кн. VI, гл. XVII, стр. 200—201.

² „О преступлениях и наказаниях“, § 16,—1878 г., стр. 56—64.

ისტორიკოსმა, მაინც არ დაუმალა ქართულ სასამართლოს ორგანოებში მიღებული მძიმე კანონებიც „ტანჯვის“ შესახებ და კარგავრცლად გადმოგვცა ჩვენც. ამასთანავე, არავითარ ლოგიკურ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს თუ ვიტყვი იმასაც, რომ „მიმოხილვის“ 129—140 მუხლებში გზადაგზა დავითის მიერ კანონებისადმი დართული ჰუმანური ხასიათის კომენტარები მონტესკიესა, ბეკარიასა და ეკატერინე მეორისაგან მასზე ზეგავლენით კი არ აიხსნება იმდენად, რამდენადაც ასეთი ჰუმანურობა X—XI საუკუნეებიდან თვით ექვთიმე მთაწმინდელის სამართლის წიგნის—„მცირე სჯულის კანონებისაგან“¹, გიორგი მთაწმინდელის შრომებისა და შემდეგი ხანის სხვა ძეგლებიდანაც მომდინარეობდა ერეკლე მეორის მეფობის დრომდე და ერეკლემ ამ კულტურულ ტრადიციას თავის მეფობისას ქართლ-კახეთში ავითარებდა. ამრიგად, კერძოდ, ერეკლესდროინდელი სამეფოს სამართლის კანონთა ჰუმანურობას განსაკუთრებით აღრინდელი ქართული მრავალსაუკუნოვანი სამართლის ჰუმანურობა ედვა საფუძვლად და ქართულ სამართალზე არსებითი რამ უცხოური ზეგავლენა მაშინაც ამ მხრივ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ. დავით ბატონიშვილი თავისი კულტუროსნობით იცნობს თვით მონტესკიეს, ბეკარიასა და ნაწილობრივ მათი თანამგრძნობი ეკატერინე მეორის ჰუმანისტურ აზროვნებასაც. მაგრამ მას არც დიდად ნაკლები ჰუმანისტური საფუძვლები მოეპოვებოდა საკუთარ ეროვნულ ნიადაგზედაც, კერძოდ მშობლიურ ქართულ სამართალშიაც და თავისი ქვეყნის ამ მკვიდრ კულტურულ საფუძვლებს ყველაზე უფრო ეყრდნობოდა იგი „მიმოხილვის“ წერის დროსაც. ზემოთქმულის სისწორეს მოწმობს აგრეთვე მომდევნო ქვეთავში მოყვანილი მაგალითები და მათ შესახებ ჩვენი მსჯელობაც.

3. დავითის სიმკვიდრე ვსოგლიური ვალალი კულტურის ნიადაგზე და მისი ანბარისგზავნა ვმკოვალ განგანათლებელთა აზროვნებასთან „მიმოხილვის“ კომენტარებში

ამ საკითხზე ზემოთაც გვქონდა მსჯელობა „მიმოხილვის“ ორ მაგალითთან დაკავშირებით. ახლა კი სჯობს მასზე უფრო საგანგებოდ შევჩერდეთ „მიმოხილვიდან“ სხვა მაგალითების მოყვანითა და ყურადღების მიქცევითაც.

ცნობილია, რომ ჰობსი, ლოკი და რუსო დანაშაულს განიხილავდნენ, როგორც საზოგადოებრივი ხელშეკრულების დარღვე-

¹ საქ. მუხ. №№: 143 S, 144 S, 2432 S.

ვას. ჩეზარე ბეკარიან, გაიზიარა რა მათი ეს შეხედულება, სასჯელის უფლების საფუძვლად სცნო საზოგადოებრივი ხელშეკრულების დარღვევის დანაშაული. ამასთანავე მან სამართლიან სასჯელად მიიჩნია მხოლოდ ის, რომელიც საზოგადოების დასაცავად გამოტანილი იყო სახელმწიფოს ისეთი კანონით, რომელიც ჰარმონიულად შეესაბამებოდა საზოგადოების ზნეობრივ კანონს¹.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დავით ბატონიშვილს თავის „მიმოხილვაში“ ჰობსის, ლოკის, რუსოსა და ბეკარიას ეს პრინციპი გაზიარებული აქვს თავის მსჯელობებში ქართული კანონ-წესებისა და სხვათა ინტერპრეტაციების დროს. ამასთანავე, „მიმოხილვაში“ მას გზადაგზა ეტყობა მონტესკიესა და ვოლტერის ცოდნაც სახელმწიფოს ძალაუფლების, მოქალაქის პირადი უფლებების თუ სხვათა განმარტებისას. დავითი იზიარებს ამ განმანათლებელთა ზოგიერთ აზრს, ხმარობს მათთვის დამახასიათებელ ზოგიერთ ტერმინს და ცალკეულ გამოთქმებსაც. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ნაშრომთა ადგილებიდან სიტყვასიტყვით მოყვანილი რომელიმე გრძელი ფრაზა მას ვერ შევნიშნეთ „მიმოხილვაში“. ამრიგად, ზემოხსენებული განმანათლებლების აზრთა მცოდნეობის მეტ-ნაკლებ ზეგავლენათა შედეგადაა დაწერილი დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ შემდეგი ადგილები.

1) უუქველია, შ. მონტესკიეს და, უფრო მეტად კი, ფრ. ვოლტერისა და ჩ. ბეკარიას ნაშრომების ადგილთა უშუალო ცოდნითაა ჩაწერილი დავითის მიერ „მიმოხილვაში“ შემდეგი სიტყვები:

დავითის „მიმოხილვა“:

საქართველოში „...нывали примеры, что духовенство от мнимой ревности к вере или по личным своим видам не раз было причиною народного угнетения и, вместо кротости евангельского слова, сопровождало действия свои жестокими явлениями, ужасающими природу“. შემდეგ ავტორს მოჰყავს

ცნობილია, რომ ფრ. ვოლტერს თავის რიგ ნაწარმოებებში ამგვარივე აზრები აქვს გამოთქმული სამღვდლოების შესახებ დავით ბატონიშვილზე უფრო ადრე. ამიტომ ვოლტერის ნაშრომთაგან ადგილთა ციტირებას აქ ჩვენ არ ვაწარმოებთ. დავითი ამ შემთხვევაში ვოლტერისაგან დიდად სარგებლობს,

¹ იხ. მისი „О преступлениях и наказаниях“, §§ 1, 2, 3, 6, 7, 8, 36 და სხვ.

იმერეთში ბერთა მიერ მეტად სასტიკი სასჯელებით ხალხის შევიწროების მაგალითები — აღამიანთა კოცონზე დაწვის შესახებ, ანათემა, ძალად განქორწინება, დაუმარხაობა და სხვ., — და დასძენს: „таковые меры, духовенством приемлемые, весьма далеки от истинного христианского учения, основанного на добродетели и прямом просвещении. Они ни в каком случае не могут назидать нравственность народную. Жестокость производит страх, основывает заблуждение, суеверие и невежество“ (მუხ. 62+[C]).

მაგრამ ამასთანავე, ჩანს, ზან კარგად იცის ჩ. ბეკარიას შემდეგი სიტყვებიც ნაშრომიდან „დანაშაულობათა და სასჯელთა შესახებ“:

„Истинные отношения между верховной властью и подданными и отношения между различными нациями выяснились; торговля и другие сношения между людьми оживились при господстве истин наук, сделавшихся при помощи прессы общим достоянием... Таковы плоды, принесенные просвещением настоящего столетия. Но весьма немногие исследовали и подвергали критике жестокость наказаний и неправильность уголовной процедуры этой части законодательства столь же важной, сколько и заброшенной почти по всей Европе; весьма немногие, восходя к общим принципам, разбивали заблуждения, накопленные многими веками, обуздывая хотя до некоторой степени силу признанных уже истин слишком широкое развитие дурно направленной силы, которая до сих пор давала такой продолжительный и авторизированный пример холодной жестокости. Хотя казалось бы, что стоны несчастных, принесенных в жертву свирепому невежеству и изнеженному бо-

гатству, варварския истязания, расточаемыя с бесполезною жестокостью по поводу часто недоказанных или химерических преступлений, тюрьмы, наводящая страх и ужас, усиленные для заключенных еще неизвестностью их участи, этим ужаснейшим мучителем несчастных,—казалось бы, что все это должно было потрясти тот род сановников, которые руководят умами людей. Бессмертный президент де-Монтескье мелком коснулся этого предмета. Нераздельность истины поставила меня в необходимость идти тою же дорогою, на которой видны славные следы этого великого человека, но мыслящие люди, для которых я пишу, сумеют отличить мои шаги от его“¹.

2) დავითის „მომხილვა“:

მუხ. „157. За частное воровство, учиненное в первой раз, налагается штраф в семь раз против украденного, за вторичное воровство—вдвое, в третий раз—втрое, а далее—виноватый подвергался уже уголовному суду“.

ჩ. ბეკარიას „О преступлениях и наказаниях“:

„Кражи, не соединенныя с насилием, должны бы быть наказываемы денежными наказаниями. Кто стремится к обогащению чужим, тот должен быть лишаем того, что принадлежит ему“².

¹ „О преступлениях и наказаниях“, пер. Ив. Соболева, Радом, 1878 г., стр. 25—26.

² იქვე, 83. 72.

მართალია, ამ შემთხვევაში დავითს თავის „მიმოხილვაში“ ჩაწერილი აქვს საზღაური ქურდობაზე თითქოს ბეკარიას ამ სიტყვების ნაწილობრივი ზეგავლენით. მაგრამ ჩვენთვის უეჭველია, რომ მას ბეკარიას ზეგავლენით არ შეუთხზავს ეს მუხლი, არამედ დავითი გადმოგვცემს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სინამდვილეში არსებულ ამ კანონს, რასაც მოწმობს მრავალი საბუთი ამ დროისა. ორივე ავტორის შრომების ამ ადგილებში შინაარსობლივად ნაწილობრივი ურთიერთ მსგავსება შემთხვევითია და ბეკარიას ზეგავლენა დავითზე აქ არც შეიძლება ყოფილიყო. ამრიგად, „მიმოხილვაში“ მსგავს სხვა ადგილებშიაც სხვა ავტორთა ზეგავლენა დავითზე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ და დავითს ამ ნაწარმოებში რომელიმე მუხლის განგებ ცრულ შეთხზვას, როგორც ზოგიერთს ჰგონია¹, ვერ დავაბრალებთ.

3) დავითის „მიმოხილვა“: ჩ. ბეკარიას „О преступлениях и наказаниях“:

მუხ. „731(bis). Клевета часто навлекает вред обществу и бывает причиною к угнетению невинности. Клеветники наказываются строго; их осуждают на то самое наказание, какому подлежал обвиняемый ими“.

„143. Естли же кто-[нибудь] сделает о сем извет и онго не докажет или по изследовании донос его окажется ложным, полвергается тому же самому наказанию, какое определяют законы за вписенное им на другого преступление“.

„280. Ложные доносители и все те, кои не докажут своего извета, подвергаются тому же наказанию, какому подлежал бы обвиняемый ими“.

„...Всякое правительство, как республиканское, так и монархическое, должно клеветникам определять то самое наказание, которое должно было упасть на обвиняемого“².

¹ ამის შესახებ იხ. მაგალითები ქვემოთ, თ. VI, 2.

² Пер. Ив. Соболева, Радом, 1878, стр. 56.

ამ შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი: დავით ბატონიშვილმა ხომ არ ისარგებლა ბეკარიას ამ ადგილით და განგებ ხომ არ შეთხზა საქართველოში თითქოს არსებულ კანონებად „მიმოხილვის“ შემოხსენებული მუხლები? რა თქმა უნდა, არა. მუხ. 731 (bis)-ში ნახნარი სიტყვები „осуждают“ და „подписала“ და მუხ. 143-ში ნათქვამი „подвергается“ და „определяют законы“ მოწმობენ იმას, რომ ქართლ-კახეთში ეს კანონები იყო მოქმედი; ესენი ქართული სამართლის რომელიღაც ძეგლიდან ჩაუწერია „მიმოხილვაში“ დავითს და არ შეუთხზავს მას ეს კანონები ბეკარიას, მონტესკიეს ან რომელიმე სხვისი ზეგავლენით. დავითს შემომოტანილი მუხლები „მიმოხილვაში“ ჩაწერილი აქვს უთუოდ ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენთვის დღემდე უცნობი ძეგლის მიხედვით. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ „მიმოხილვის“ ამ მუხლებში ჩაწერილ კანონებს მოეპოვება საფუძველი ვახტანგ VI-ის კრებულში შესულ „მოსეს კანონთა“ „იდ“ (14) მუხლშიაც, რის შესახებ ჩვენ მიერ გამოკვლევაში ზემოთ აღინიშნა კიდეც¹.

4) დავითის „მიმოხილვა“

მუხ. „145. Законодательная власть имеет попечение о всех состояниях, составляющих государства, изыскивать способы к его благосостоянию, свободе и неприкосновенности. Право общее и частное твердо ограждается законами. За нарушение взаимностей общественных законы определяют наказание. Но[так] как преступления бывают весьма многообразны, то несовместно бы было налагать везде наказание единообразное“. „497. Смертоубийство суть противно даже закону естественному. Законы положительные, без всякого изъятия, осуждают смертоубийцу на смерть. 498. Но [так] как все действия человеческой жизни подвергаются разным переменам, стечению обстоятельств и случаям чрезвычайным, потому как самое преступление, так и наказания за оное весьма многообразно“.

შ. მონტესკიე, თავისი ნაშრომის „კანონთა არსის შესახებ“ საგანგებო თავში „О справедливой сразмерности наказаний с злодеянием“, სხვათა შორის, წერს: „Непреренно нужно, чтобы наказания согласовались между собою, потому что непременно нужно, чтобы скорес убегали от большего злодеяния, нежели

¹ იხ. წინამდებარე გამოკვლევის თ. IV, 3 დ.

от меньшего, от того, которое более оскорбляет общество, нежели от того, которое не так противно оному¹. „Очень ясно, что для общественной безопасности надлежало бы положить некоторое различие в наказаниях².

в. ზღვაობა „О преступлениях и наказаниях“:

„Не полезна смертная казнь, потому что она дает людям пример жестокости³. „...Смертная казнь никогда не удерживала решительных людей от нарушений общественного порядка...; ближайшего рассмотрения природы человека будет достаточно для того, чтобы почувствовалась истина того, что я утверждаю⁴. „Чтобы наказание было справедливо, оно должно иметь только ту степень тяжести (intensione), которая достаточна для удержания людей от преступлений⁵. „Должна быть пропорция между преступлениями и наказаниями⁶. „Цель наказания...—не что иное, как воспрепятствование преступнику совершить новые вредные его согражданам деяния и отклонение других от совершения таких деяний. Поэтому должны быть употребляемы такие наказания и такие способы их исполнения, которые пропорционально преступлениям, производили бы наиболее сильное и продолжительное впечатление на умы людей и наименее причиняли бы физических страданий преступнику (la meno tormentosa sul corpo del reo)⁷.

ბ) „დავითის მიმოხილვა“

მუხ. „595. К учреждению обществ побудила людей как самая польза, от общегития получаемая, так и внешнее ограждение собственности каждого гражданина, и потому все части оно, одна с другою имеют непрерывную взаимность и состав-

¹ „О существе законов“, ч. I, 1809 г., кн. VI, гл. XVI, стр. 197.

² იქვე, გვ. 199.

³ „О преступлениях и наказаниях“, 1878 г., § 28, стр. 90—91.

⁴ იქვე, § 28, გვ. 86.

⁵ იქვე, § 28, გვ. 87.

⁶ იქვე, § 6, გვ. 36.

⁷ იქვე, § 12, გვ. 49.

ляют твёрдое ограждение всего общественного тела. От сей общей взаимности открывается и общая польза целого государства. 596. Закон определяет строгое наказание за расторжение гражданских взаимностей и доверия". „120. Человек в природном своем состоянии имеет необходимость в законах. Законы ограждают его спокойствие, благосостояние и собственность. Законы издаются властью пре[д]ержашею или устанавливаются соглашением общественным. За точным хранением их назирает неослабно правительство. Законам подчинены все сословия, составляющие тело государственное. Они должны во всей их полноте и силе сохраняться свято и ненарушимо“.

დავით ბატონიშვილის სიტყვები „მიმოხილვის“ ზემომოტანილ სამ მუხლში უთუოდ გამომდინარეობენ თომა ჰობსის შემდეგი მოსაზრებებიდან: „... Всякая верховная власть... дана вначале с согласия каждого из подданных, с тем чтобы получать защиту от этой верховной власти в течение всего времени, пока он будет повиняться её повелениям...“¹ „... Закон был принесен в мир не для какой другой цели, как только для того, чтобы ограничить свободу отдельных людей, с тем чтобы они могли не вредить, а помогать друг другу и объединиться против общего врага“². „...Государство (по нашему определению) есть одно лицо, воля которого в силу соглашения многих людей считается за волю их всех с тем, чтобы государство могло распоряжаться силами и способностями отдельных членов в интересах общего мира и защиты“³.

აგრეთვე, დავით ბატონიშვილი „მიმოხილვის“ ზემომოტანილ სამ მუხლში ზოგადად ეყრდნობა შარლ მონტესკიეს მოსაზრებებს, გამოთქმულს მის „კანონთა არსის შესახებ“ I წიგნში, განსაკუთრებით III თავში, მაგალითად, ასეთ ადგილებში: „Люди, вступая в общество, теряют чувство своей слабости; равенство, бывшее между ими, прекращается, и состояние бранное начинается... Бранное состояние народа с народом“ и „бранное состояние“ между „частных людей в каждом обществе“, — „сии два рода бранного состояния заставляют учреждать законы

¹ „Лев и афан...“, под редакцией А. Ческина, ОГИЗ, 1936, стр. 243.

² იქვე, გვ. 210.

³ „Философские основания учения о гражданине“, пер. В. Погосского, Москва, 1914, стр. 74.

между людей. Рассматривая их, как жителей столь обширной планеты, на которой необходимо должно быть разным народам, они имеют законы в том отношении, какое сии народы имеют между собою, и вот право народное. Рассматривая их, как живущих в обществе, которое должно держаться, они имеют законы в том отношении, какое имеют управляющие к управляемым, и вот право политическое. У них есть ещё другая отношения, какия все граждане имеют между собою, и вот право гражданское¹. „Общество не может существовать без правления“². „Держава политическая необходимо соединяет в себе многия семейства“³. „Закон, вообще, есть рассудок человеческий, поколику управляет всеми народами вселенная; и законы политические и гражданские каждого народа должны быть, не иное что, как частные случаи, под которые подводится этот человеческий рассудок“⁴. და ასე სხვა ადგილებშიაც ამ თავშივე (III) შეინიშნება „მიმოხილვის“ ზემომოტანილი სამი მუხლისადმი შესაბამისობა.

რა თქმა უნდა, ე.ე. რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ მკოდნეობის შედეგიცაა გამოქვეყნებული დ. ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ზემოხსენებულ მუხლებში (განსაკუთრებით მუხ. 595 და 120); მაგალითად, ამის მაჩვენებელია გამოთქმები: „к учреждению обществ побудила людей как самая польза от общежития...“; „человек в природном своем состоянии...“ „устанавлиются соглашением общественным“, და სხვა მისთანანი. დავითმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ „...верховный властелин знает только народное тело и не различает никого из тех, кто его составляет“⁵.

ამასთანავე, დ. ბატონიშვილი ამ შემთხვევაშიაც უთუოდ ამქვეყნებს რუსოს მეორე ნაშრომის—„ემილის“ ცოდნასაც, მაგალითად, ასეთი ადგილებისას: „...Общественный договор есть основание всякого гражданского общества, и в природе этого акта нужно искать объяснение природы образуемого им обще-

¹ „О существе законов“, ч. I, пер. Дм. Языкова, Москва, 1809, кн. I, гл. III, стр. 10—11.

² იქვე, გვ. 12.

³ იქვე, გვ. 12—13.

⁴ იქვე, გვ. 13.

⁵ „Общественный договор, или принципы государственного права“, пер. С. Нестеровой, Москва, 1906, стр. 29.

ства". „Каждый из нас вносит в общее достояние свое имущество, свою личность, свою жизнь и всю свою силу под верховным руководством общей воли, и мы принимаем каждого члена в общественном теле за нераздельную часть целого“, „...На место частного лица каждого договаривающегося этот акт ассоциации создает моральное и коллективное тело... Эта общественная личность получает вообще название политического тела (corps politique), которое называется своими членами государством (état)...“ „... Нет и не может быть иного основного закона в собственном смысле слова, кроме общественного договора“. „...Общественный договор не нуждается в иной гарантии, кроме государственной власти (force publique), так как нарушение может последовать лишь со стороны частных лиц, и в таком случае они не освобождаются, благодаря этому, от своего обязательства, а наказываются за его нарушение“¹. „...Первым законом всякого общества является некоторое условное равенство, либо между людьми, либо между вещами. Условное равенство между людьми, совершенно отличное от естественного, делает необходимым положительное право, то-есть правительство и законы“².

აგრეთვე საყურადღებოა განსაკუთრებით ჩ. ბეკარიას „О преступлениях и наказаниях“: „Законы суть условия, на которых люди свободные и разъединенные соединились в общество, утомясь жить в постоянной войне и наслаждаться свободой, которая была неплодотворна, так как неприкосновенность ее была в постоянной опасности. Они пожертвовали некоторую часть ее, для того, чтобы пользоваться остальной частью безопасно и покойно. Сумма всех частиц свободы, пожертвованных каждым на общее благо, составила национальную верховную власть известного народа... и представитель этой власти явился законным хранителем и распорядителем ее“³.

¹ „Эмил или о воспитании“, пер. М. Энгельгардта, Петербург, 1913 г., стр. 468—469; შუად. ქართული თარგმანი — საქ. პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ გამოც., თბილისი, 1949. „ემილიას“ რუსული ტექსტი ვაშკობინზე „მიმოხილვის“ რუსული ტექსტის პარალელურად ციტაციისათვის.

² იქვე, გვ. 170.

³ „О преступлениях и наказаниях“, § 1, გვ. 26.

„Всякое наказание, которое не вытекает из абсолютной необходимости, говорит великий Монтескье, несправедливо (è tirannica). Это положение может быть обобщено следующим образом: всякий акт власти одного человека над другим, который ни вытекает из абсолютной необходимости — несправедлив. Таким образом, вот на чем основывается право верховной власти наказывать преступления: на необходимости охранять сокровище общей свободы (il deposito della salute pubblica) от захватов отдельных лиц¹“. „...Наказания на преступления могут быть определяемы только законами и ...эти последние могут существовать только при законодателе, который представляет собою все общество, соединенное общественным договором (contratto sociale)²“.

6) დავითის „მომხილვა“

მუხ. „601. Правительство, ограждая право каждого из сограждан во всей целостности и неприкосновенности, бдительно наблюдает за преступлениями и наказаниями. 602. Но [так] как точное наблюдение всей строгости предписанных законами наказаний не всегда бывает совершенным исправлением, но часто еще служит к ожесточению сердца и к нераскаянной закоренелости в пороках, то все вообще наказания должны быть употребляемы с крайнею осторожностью и осмотрительностью, так чтобы, не ослабляя важности и силы закона, не отягощалась ничья судьба выше меры. Но наказания необходимы, ибо нередко и порок имеет вид добродетели. 603. И потому в Грузии введен был средний род между наказанием и страхом наказания. С виноватого бралась росписка, где он, признавая свои погрешности, давал твердое и непрсменное обещание исправиться. Ежелиж не покажет исправления, судится и истязуется по всей строгости законов, яко нарушитель собственного своего слова, незаслуживающий уже общего доверия“.

7. მონტესკიე

„В правлении монархическом не может быть таких простых законов, как в деспотическом. Оно требует судилищ. Сии судилища делают решения; решения должны быть сохраняе-

¹ „О преступлениях и наказаниях“, § 2, гл. 27.

² იქვე, § 3, გვ. 29.

мы; их должно знать для того, чтобы и сегодня судить точно также, как и вчера, и чтобы собственность и жизнь граждан были ограждены безопасностью и тверды, как и самая государственная конституция. В монархии управление правосудия, от которого зависит не только жизнь и имущество, но и честь, требует подробных розысканий. Осторожность судей умножается по мере того, чем более у него залог, и чем важнее то дело, которое он решить должен¹. „...Судебные места должны быть хладнокровны, и для которых все дела некоторым образом равны“². „Строгость в наказаниях прилична более деспотическому правлению, основанному на ужасе, нежели монархии и республике, в которых побуждение составляет честь и добродетель. В умеренных державах любовь к отечеству, стыд и страх посрамления составляют укротительные причины, которые могут удержать от многих злодеяний. Величайшее наказание за дурное дело будет состоять в приличии в оном. Следовательно, гражданские законы будут управлять в них гораздо легче и не будут иметь нужды в такой силе. В сих державах хороший законодатель будет стараться не столько о наказании преступлений, сколько о предупреждении оных: он потщится более вселять благонравие, нежели налагать казни“³. „Людей не надобно водить путями крайними; не надобно расточать средств, данных нам природою для управления ими. Рассмотрите причину всех послаблений, увидите, что она происходит от ненаказанности злодеяний, а не от умеренности наказаний. Последуем природе, давшей людям стыд вместо бича; и чтобы самая большая часть наказания состояла в посрамлении подвергнуться оному“⁴.

В. Вольфов

„Лучше предупреждать преступления, чем карать за них. Это составляет главную цель всякого хорошего законодательства, которое является собственно искусством вести людей к

¹ „О существе законов“, ч. I, пер. Дм. Языкова, Москва, 1809, кн. VI, гл. I, стр. 156—157.

² 0330, кн. VI, гл. VI, стр. 175.

³ 0330, кн. VI, гл. IX, стр. 178.

⁴ 0330, кн. VI, гл. XII, стр. 184.

наибольшему счастью или к возможно наименьшему несчастью, говоря сообразно с тем или другим результатом вычислений количества добра и количества зла в жизни¹.

7) დავითის „მიმოხილვა“

მუხ. „652. Точно важная степень служения требует людей, пренеполненных благоправия и честности, чтоб могли служить примером для всех тех, кои вверяются их попечению и управлению“.

დავით ბატონიშვილი „მიმოხილვის“ ამ მუხლში უთუოდ იჩენს თ, ჰობსის შემდეგი მოსაზრების ცოდნას: „Честь высокопоставленных лиц должна оцениваться в зависимости от тех благодеяний и той помощи, которые они оказывают нищестоящим людям, или же эта честь ничего не стоит“².

დავით ბატონიშვილი „მიმოხილვის“ ამ მუხლში უთუოდ იჩენს, აგრეთვე, ე. - ე. რუსოს „ემილის“ შემდეგ ადგილთა ცოდნასაც: „...В государстве есть промежуточное тело между подданными и сувереном; это промежуточное тело, состоящее из одного или нескольких членов, обязано заботиться о государственном управлении, исполнении законов и поддержании государственной и политической свободы. Члены этого корпуса называются чиновниками (magistrats) или королями (rois), то-есть правителями“³. Эмил, „если монарх или государство призывает тебя на службу отечеству, бросай все и иди исполнять на назначенном тебе посту почетную функцию гражданина. Если эта функция слишком обременительна для тебя, то есть честное и верное средство избавиться от нея, именно исполнять ее настолько добросовестно, чтобы от тебя поспешили отделаться. Впрочем, не слишком опасайся, что тебя обременит подобной должностью: пока не переведутся люди нашего века, тебя не позовут на службу государству“⁴ „Тебе важно находиться там, где ты можешь исполнить свои обязанности... Будь их (ადამიანთა.—ა. რ.) благодетелем, их образцом; твой пример

¹ „О преступлениях и наказаниях“, 1878, стр. 124—125.

² „Левиафан...“, 1936, стр. 261.

³ „Эмиль...“, пер. М. Энгельгардта, 1913, стр. 471.

⁴ იქვე, გვ. 483.

послужит им лучше, чем все наши книги, и добро, которое будешь делать, тронет их сильнее всех наших пустых речей“¹.

ბ) დავითის „მიმოხილვა“

მუხ. „704. Здесь однакож допускаются причины, кои могут разрушить святость слова и не допустят совершения брачного. Они полагаются: 705. Распутное поведение невесты или жениха, болезни периодические и проч., крайнее несходство нравов, поколику союз брачный есть главным основанием и подпорою существования государства“.

დავით ბატონიშვილს ამ შემთხვევაში უთუოდ ეტყობა ე.-ე. რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ შემდეგი ადგილის ცოდნა: „...Брак, являясь гражданским договором, имеет последствия гражданского характера, без которых даже невозможно существование общества“². აგრეთვე, მან უთუოდ იცის „ემილის“ შემდეგი ადგილებიც: „Разве характер женщины выражается в один день? Знаете-ли вы, в скольких положениях нужно видеть её, чтобы узнать досконально её нрав?“ „Чувства не зависят от принципов; она может остаться вполне честной и перестать вас любить“. Эмиль „согласится лучше отложить брак, чтобы иметь позднее здоровую жену и здоровых детей, чем удовлетворить свое нетерпение на счет их жизни и здоровья“. „Мечтая о состоянии супруга и отца, хорошо-ли вы обдумали его обязанности? Став главою семьи, вы станете членом государства. А что значит быть члном государства? Знаете-ли вы это? Вы изучали обязанности человека, но известны-ли вам обязанности гражданина? Знаете-ли вы, что такое правительство, законы, отечество? Знаете-ли вы, под каким условием вам позволено жить и ради чего вы должны умирать? Вы думаете, что вы научились всему, а вы еще ничего не знаете. Прежде чем занять место в гражданском порядке, изучите его и узнайте, какое звание в нем подобает вам“,—წერს რუსო კორწინებით შექმნილი ოჯახის მნიშვნელობის შესახებ სახელმწიფოსათვის³. აგრეთვე, დავით ბატონიშვილისათვის „მიმოხილვაში“ შემოხსენებული მუხლების ჩაწერისას უთუოდ ცნობილი იყო რუ-

¹ „Эмиль...“, пер. М. Энгельгардта, 1913, стр. 482.

² „Общественный договор...“, 1906, стр. 133, შენიშვნა.

³ „Эмиль...“, 1913, стр. 454—455.

სოს შემდეგი სიტყვებით: „Я часто думал, что если бы можно было продолжить счастье любви в браке, то на земле осуществился бы рай“¹. „Всякий мужчина, которому нравятся дома, любит свою жену. Помните, что если ваш супруг будет счастливым в своей семье, вы будете счастливой женщиной“². „Если есть счастье на земле, то его нужно искать в убежище, где мы живем“³.

რუსოს „ემილის“ ზემომოტანილ და სხვა ადგილთა ცოდნის შედეგად დავით ბატონიშვილს ქართულ ზემოხსენებულ კანონთათვის შეეძლო მიეწერა განმარტებად: „...поколяку союз брачный есть главным основанием и подпорою существования государств“. მაგრამ დავითს ეს სიტყვები შეეძლო ეთქვა რუსოს ყოველგვარი გავლენის გარეშეც ქართულ ნიადაგზევე, რადგან მზობლიური ხალხური სათანადო ადათები, ზნე-ჩვეულებები და ქართული ადრინდელი სამართალიც სწორედ ასეთ განმარტებას უკარნახებდა მას ოჯახისა და ქორწინების მიმართ. რუსოს შრომების ცოდნა დავითის მეტად დიდი კულტუროსნობაა, მაგრამ რუსოზე ძლიერ ადრე ეს ქეშმარიტებანი მთელმა ქართველმა ხალხმაც კი იცოდა; ამით განამტკიცებდა იგი არა მარტო ყოველი თავისი წევრის ოჯახს, არამედ სამშობლოს „ძნელბედობის“ ხანებშიაც.

9) დავითი „მომოხილვაში“ იმდენად ობიექტურად აწარმოებს ქართული სამეფოს სამართლის აღწერას, რომ მან, საზოგადოებაში ცნობილმა მეცნიერმა ათეისტმა, საკუთარ ათეისტურ მოსაზრებებსაც კი არ დაუთმო ადგილი ხსენებულ თხზულებაში და მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ქართული იურიდიული ნორმები და მათი განმარტებები წარმოგვიდგინა რელიგიის შესახებ: მუხ.

„1. Богопочитание установлено древностию и ознаменовано великими примерами в летописях мира. Религия соединила и утвердила общества и была первым основанием всех гражданских добродетелей. Христианские государи и государства служат непреложным доказательством сей оправданной истины. И потому религия должна быть почитаема без различия вероисповедания“. „565. Закон божий повелевает иметь повиновение к власти пре[д]ержашей; связь соотношений государственных, равно и польза в общежитии еще более утверждает нас

¹ „Эмиль...“, 1913, стр. 484.

² იქვე, გვ. 488.

³ იქვე, გვ. 489.

«в оправданной сей истине. 566. По чему все состояния, составляющие общее государственное тело, непременно должны повиноваться правителям и местам, властью законодательною установленным и устанавливаемым».

მიუხედავად XVIII საუკუნემდე მოღწეული ქართული იურიდიული ნორმებისა და მათი განმარტებების გადმოცემისა, დავით ბატონიშვილს ამ მუხლებში განმარტებებსა და სიტყვების შერჩევაში უთუოდ ეტყობა ე.-ე. რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ შემდეგი ადგილების მცოდნეობა და თავისებური ზეგავლენაც: „...Не возникало ни одного государства, основой которого не служила бы религия...“¹ „Существование всемогущего, разумного, благодетельного, провидящего и заботливого божества, будущая жизнь, блаженство праведных, наказание злых, святость общественного договора и законов—вот положительные догматы“². „Теперь, когда более не существует и не может существовать исключительно национальной религий, следует относиться терпеливо ко всем религиям, которые сами терпимы по отношению к другим, поскольку догматы их не противоречат долгу гражданина“³. ცნობილია, რომ რუსოს დაბადებამდეც, მრავალი საუკუნის განმავლობაში კანონით არსებობდა ყველა რელიგიის შეწყნარება საქართველოში და სწორედ ამ კანონს აღნიშნავს დავითი ზემოთ ჩვენში XVIII ს-ის პირობებშიაც.

აგრეთვე, დავით ბატონიშვილს ზემომოტანილ მუხლებში უთუოდ ეტყობა ე.-ე. რუსოსვე „ემილის“ შემდეგი ადგილების გავლენა და სწორედ ესეც აჩუმებს ათეისტური სიტყვების ხმარებისაგან „მიმოხილვაში“ (და სხვა საისტორიო თხზულებებშიაც) დავითს: „...Я думаю, что увещать кого-нибудь отказаться от той религии, в которой он родился, значит увещать его поступить дурно, а следовательно и самому поступать дурно. В ожидании большего просвещения, будем сохранять общественный порядок; в каждой стране будем уважать законы, не станем возмущать культа, который они предписывают; не станем побуждать граждан к неповиновению; так как мы не знаем на верное, будет-ли для них благом заменить свои мнения другими, но знаем допод-

¹ „О общественный договор...“, 1906, стр. 127.

² იქვე, გვ. 133.

³ იქვე, გვ. 134

ლინო, что неповиновение законам есть зло¹. „...Помните..., что во всякой стране и во всякой секте любить бога превыше всего, а ближнего, как самого себя, есть сущность закона; что нет такой религии, которая избавляла-бы от моральных обязанностей; что только они имеют действительно существенное значение; что внутренний культ есть главная из этих обязанностей, и что без веры нет истинной добродетели“².

4. „მიმოხილვის“ კომენტარების სხვა წყაროები

ავტორი „მიმოხილვისა“ სარგებლობს თავის კომენტარებში საღმრთო წერილებითაც. მაგალითად, მას მოყავს მუხ. 961-ში ასეთი ციტატი: „По словам Христа Спасителя,—у евангелиста Матфея в главе 19-й, в ст. 9-й изображенным,—«брак ни по чему не распускается, разве словесе прелюбодейна»“.

ავტორი „მიმოხილვისა“ სარგებლობს თავის აღწერილობებსა და განმარტებებში „ქართლის ცხოვრებაში“ შესული მატიანეებითაც. მაგალითად, „Дворяне...“ სათაურს ქვეშ მას ერთ ადგილას მათ შესახებ ნათქვამი აქვს:

მუხ. „221. § 1. [Дворянин] по грузински называется азнаури. По преданию историков грузинских, достоинство сие основалось со времен Азона, наместника Александра Великого, когда по смерти македонского героя досталась Азону в распредел Грузия“.

დავით ბატონიშვილს თავისი კომენტარების წერისას, რა თქმა უნდა, სხვა წყაროებიც გააჩნდა, მაგრამ ყველა მათგანის აქ დასახელება შეუძლებელია. ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის ერთი მაინც უეჭველია: იგი კარგად იცნობდა თავის დროინდელ და უძველეს ქართულ მწერლობასა და კულტურას და ეს იყო მისი მთავარი წყარო „მიმოხილვაში“ არა მარტო XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამართლის კანონ-წესების და მართლმსაჯულებაში ანგარიშგასაწევი ჩვეულება-ადათებისა და სხვათა. ჩაწერისა, არამედ ღათი კომენტარების შექმნისათვისაც.

¹ „Эмилъ...“, 1913, стр. 307.

² იქვე, გვ. 308—309.

„მიმოხილვა“, როგორც XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფართოდ ამსახველი უპირფასეო ძეგლი

1. დავით ბატონიშვილის ზოგადი უნებლიე შეცდომა „მიმოხილვაში“

მიუხედავად იმისა, რომ დავითის მიერ „მიმოხილვაში“ მოცემული აღწერები და ცნობები ჩვენ საერთოდ სწორუბოვრად გადმოცემულად და სანდოთ მიგვაჩნია, მას კერძო შემთხვევებში მაინც მოეპოვება ადგილ-ადგილ ზოგიერთი უნებლიე შეცდომა. მაგალითად, თხზულების ავტორს ტექსტში მოეპოვება ასეთი არასწორი თარიღები: ავტორი 42-ე მუხლის შენიშვნაში წერს: „2) [B] 1:44 [году] грузинский царь Георгий III племяннику своему Дмитрию за измену выколол глаза. 3) В 1770-м году царица грузинский Паата казнён смертию за умышление и измену против особы царской“. პირველ შემთხვევაში თარიღად 1144 წლის მაგიერ ავტორს უნდა დაეწერა 1177 წ., რადგან ამ დროს დაიწყო თვალების დათხრით დიმიტრი (დემნა) ბატონიშვილი გიორგი მესამის მიერ; ხოლო მეორე შემთხვევაში 1770 წ. მაგიერ მას უნდა დაეწერა 1765 წ., რადგან ერეკლეს მიერ ამ წელს იქნა სიკვდილით დასჯილი (თავის მოკვეთით) პაატა ვახტანგის-ძე ბატონიშვილი, „მარკოზაშვილის დარბაზის“ წევრთა შეთქმულების ორგანიზატორი.

დავით ბატონიშვილი შეცდომას უშვებს მაშინაც, როცა XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის „სამი კლასის მოქალაქეებში“ ხედავს (მას ასე ჰგონია) სამ „გილდიას“ („მიმოხილვის“ მუხ. 912—915): საქართველოში მაშინ ნამდვილი ბურჟუაზიული გილდიები არ არსებობდნენ და ისინი მასში მხოლოდ XIX ს-ში გამოჩნდნენ.

ზემოხსენებული უნებლიე შეცდომებისა და არასიზუსტეთა მსგავსად, სხვა უნებლიე შეცდომებსა და არაშესატყვის გამოთქმებს კიდევ უშვებს ავტორი „მიმოხილვის“ სხვა ადგილებშიაც, რომლებსაც განსაკუთრებული გულისყური და მეცნიერულ-კრიტიკული დამოკიდებულება სჭირია ყოველი მკვლევრისაგან. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ ასეთი შეცდომები და არაშესატყვისი გამოთქმები საერთოდ მაინც იშვიათია „მიმოხილვაში“. ამასთანავე, ყო-

ველ მკვლევარს არანაკლები სიფრთხილე და გულისხმიერება სჭირდება ზოგიერთი თითქოს საექვოლ მისაჩნვეი ადგილებისადმი „მიმოხილვისა“.

2. რით შეიძლება მკვლევარისათვის საფაქო გახდეს „მიმოხილვის“ ზოგიერთი ცნობა

შესაძლებელია ვინმე მკვლევარი დავით ბატონიშვილს „მიმოხილვის“ ზოგიერთ ადგილას ნაწილობრივ ან მთლიანად არ დაეთანხმოს; „მიმოხილვის“ ზოგიერთ ადგილას ასეთი რამ მისთვის უთუოდ აღმოჩნდება რაიმე მოსაზრებით. მაგრამ ამგვარ შემთხვევებში მკვლევარს მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე და თავისი არათანხმობისა ან ნაწილობრივ არათანხმობისათვის მან უნდა იქონიოს მტკიცე რეალური საფუძველი. მას საამისოდ დასჭირდება საკმაოდ მყარი საფუძვლიანობით, უფრო სანდო სხვა საისტორიო წყაროებზე დამყარებით, ავტორს ამგვარ ადგილებში შეუტანოს შესწორება. შეიძლება ზოგიერთ მკვლევარს რაიმე მოსაზრების აკვიატებით თავდაპირველად იოლ საქმედ მოეჩვენოს ამგვარი რომელიმე შესწორების შეტანა, მაგრამ იგი არც ისე ადვილია სრული მეცნიერული დამაჯერებლობით: „მიმოხილვის“ ყოველ ამგვარ შემთხვევაში დიდად ანგარიშგასაწევია XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის საუკეთესო მცოდნე, უალრესად განათლებული, ფაქტების თვითმხილველი და უშუალოდ განმცდელი ისტორიკოსი.

ამასთანავე ცნობილია, რომ ყოველი მკითხველი, მით უფრო—მკვლევარი ვალდებულია ყოველი ავტორის ნაწარმოების ესა თუ ის ადგილი გაიაზროს მთელი ამ ნაწარმოების საერთო შინაარსის შესაბამისად და თავისთვის საყურადღებო ადგილი არ მოწყვიტოს მასთან დაკავშირებულ ტექსტის სხვა ადგილებს; აგრეთვე, მის მიერ გასათვალისწინებელია ამავე ავტორის სხვა ნაწარმოების სათანადო ადგილებიც. ამ ელემენტალური მოვალეობის შესრულებისა და მართებული მიმოაზრების გარეშე მკითხველი სწორად ვერ გაიგებს ავტორის ამა თუ იმ ცნობას და დაუშვებს შეცდომას. ეს მოვალეობა ყოველთვის უნდა ახსოვდეს მკითხველს, კერძოდ, დავით ბაგრატიონის „მიმოხილვის“ მიმართაც. მაგალითად, თავდაპირველად თითქოს უმართებელო ჩანაწერად გვეჩვენება დავითის მიერ „მიმოხილვაში“ აღნიშნული XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს კანონები: „243. 17. Дворяне не наказываются телесно. 244. 18. Не подвергаются смерти по-

ლითიკის. 245. 19. Не лишаются имени". „მიმოხილვის“ ამ ერთი ადგილის მიხედვით შეუძლია ვინმე მკვლევარს ცილი დასწავლოს დავითს და „ამხილოს“ იგი მთელი რიგი საისტორიო წერილობითი წყაროებით, თუნდაც ვერცხვს 1772 წ. ბრძანებანისტრუქციაში ზემო ქართლის სადროშოსადმი თქმულით: ლეკების საწინააღმდეგოდ მღევარს, „თუ აზნაურშიელი დააკლდეს—საქაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში“¹, და ამგვარი უამრავი სხვა საბუთებიც წარმოადგინოს არა მარტო პირველის, არამედ დანარჩენი ორი მუხლის „სიტყვის“ დასამტკიცებლადაც. მაგრამ ამგვარ მკვლევარს დაავიწყდება ის გარემოება, რომ მან ეს ციტატი ამოგლიჯა „მიმოხილვიდან“ მასშივე სხვა ადგილების გაუთვალისწინებლობით (მუხ. 246—247, 129—140 და სხვ.); ავტორს ამ ადგილებში კინათქვამი აქვს, რომ ეს პრივილეგიები თავადაზნაურობას გააჩნდა. სამოქალაქო სამართლით საქმის ძიებისას ან სისხლის სამართლით მსუბუქ დანაშაულობათა გამოკვლევისას და არა მაშინ, როცა საქმე ეხებოდა „Важнейших вин, ко вреду царя и царства относящихся“-ს (მუხ. 246). ამგვარ და სხვაგვარ ადგილებშიაც „მიმოხილვა“ საგანგებოდ შესასწავლი ხდება ყოველი მკვლევრისათვის. მანამ, ვიდრე რაიმე მხრივ არასანდო გახდება მიხთვის ავტორი და ამის შესახებ სიტყვას იტყვის ბეჭდვის ორგანოში.

სამწუხაროდ, ამგვარ და სხვაგვარ გარემოებათა შედეგად, ზოგიერთმა ქართველმა ისტორიკოსმა,—მაგალითად, დ. გვრიტიშვილმა, ა. კიკვიძემ და სხვ.,—სრულიად მიივიწყა თავის ნაშრომში დ. ბაგრატიონის „მიმოხილვა“ და ზოგიერთი სხვა ავტორის ძვირფასი ორიგინალური საისტორიო ნაწარმოებები²; ხოლო ზოგმა კი მათ სარგებლობასაც მიჰყო ხელი, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც დაუშვა მძიმე შეცდომა. კერძოდ, „მიმოხილვის“ ზოგიერთი ადგილის მართებულად გაუგებლობის გამო.

მაინც რა მხრივ შეიძლება „მიმოხილვის“ ავტორს ჩვენ ნაწილობრივ მაინც ვერ ვენდოთ ან რაში შეიძლება შესწორება შეეუტანოთ მსჯელობაში?

¹ საქ. მუხ. № 13714 Hd.

² ამის შედეგად ხსენებულ ისტორიკოსთა მიერ დაშვებულ მძიმე შეცდომათა შესახებ იხ. ვრცლად ა.პ. როგავას ნაშრომში „კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ვრცელ მეორის პოლიტიკა“.

დავით ბატონიშვილმა „მიმოხილვა“ დაწერა, როგორც ითქვა, 1812—13 წლებში რუსეთში (პეტერბურგში). უპირველეს ყოვლისა, რუსი მკითხველისათვის. ჩანს, მას სურდა იგი გამოეცა იქ იმგვარადვე, როგორც 1805 წ. გამოსცა რუსულადვე „Краткая история Грузии, Санкт-Петербург“. მაგრამ, აშკარაა, 1819 წ. 13 მაისს გარდაცვლილ ავტორს ეს საქმე ვერ მოუხერხებია. საბაგიეროდ თხზულების სამი ხელნაწერი (A, B, C) დღემდე შემონახულა, ხოლო, როგორც საფიქრებელია, მეოთხე, მთლიანად თავებად დაყოფილი, შინაარსობლივ და ფორმითაც უფრო სისტემაში მოყვანილი თხზულების ხელნაწერიც (D) ავტორს გადამწერის დახმარებით კაი-ხელად საბოლოოდ უნდა შეემზადებინა გამოსაცემად; ავტორმა, ალბათ, ამგვარად კიდევაც დაამზადა იგი 1813 წლიდან 1819 წლამდე, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ჩვენთვის უცნობია¹.

ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ რუსეთში გადასახლებული დავით ბატონიშვილი ცდილობდა არა მარტო ქართველი მკითხველებისათვის, არამედ განსაკუთრებით ძმები რუსი² მკითხველებისათვისაც გაეცნო ქართველი ხალხის დიდი კულტურული წარსული და მისი ისტორია. ზემოხსენებული გამოცემა—„Краткая история Грузии, Санкт-Петербург, 1805 г.“—განსაკუთრებით რუსი მკითხველის მიმართ აწას ნათლად მოწმობს. ამასვე მოწმობს უთუოდ გამოსაცემად გამზადებული, მაგრამ ხელნაწერად დარჩენილი დავითისვე ვრცელი, დიდად საყურადღებო „История Грузии“³ და წინამდებარე ეს ძვირფასი ძეგლიც—„Обозрение...“, რომლის გამოცემაც ავტორს, უეჭველია, ჰქონდა განზრახული, უპირველეს ყოვლისა, ისევ რუს მკითხველთა საყურადღებოდ.

საინტერესოა გავიგოთ, თუ რა ამოძრავებდა დავით ბატონიშვილს რუსულ ენაზე ასეთ თხზულებათა შეთხზვისა და გამოცემის შემთხვევებში. XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როცა საქართველო რუსეთთან უკვე შეერთებული იყო (1801 წ.), იგი

¹ იხ. ამის შესახებ ვრცლად წინამდებარე გამოკვლევის თ. I, 3.

² მოწინავე ქართველებს აღრიდანვე ძმებად მიაჩნდათ რუსები (მაგ., იხ. ანტონ პირველის „სპეკალი“, თ. 61, ვრცელე მეორის წერილები, აგრეთვე სხვათა ნაწარმოებები). დავითიც მათ ამ თვალსაზრისს იხიარებდა.

³ საკ. მეტნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდის M 25 (ძე. შიფრით M 14).

მეფის რუსეთის კოლონიად იქცა და თვითმპყრობელ იმპერატორთა ბიუროკრატიულმა წესწყობილებამ საქართველოში ფეხი მაგრად მოიდგა. ამასთანავე, ცხადია, ადგილობრივ ქართულ ადრინდელ ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად შესაფერისი საზოგადოებრივ-იდეოლოგიური და კულტურული ცვალებადობაც ახლებურად მიმდინარეობდა. ქართველთა „ევროპიზაციამ“ და „განათლებლამ“ საქართველოში ძველი ქართული კულტურის საერთოდ იგნორირების ტენდენციაც წარმოშვა. მეფის მთავრობა, მისი მოხელეები და რუსული ოფიციალური პრესა ამ გარემოებას კოლონიზატორულ-„საგანმანათლებლო“ მიზნით განგებ ხელს უწყობდნენ. მიუხედავად დიდი რუსი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის პროტესტებისა, მეფის მთავრობა მაშინ ნაკლებად ცდილობდა გაცნობოდა ქართულ მრავალსაუკუნოვან კულტურას და ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსული გამომეზუერებინა. ამასთან ერთად, თვითონ საქართველოში, განსაკუთრებით კი თავადაზნაურობის ერთ ნაწილში, „გარუსებამ“ ფეხი მაგრად მოიდგა და ქართული ეროვნული ენისა და კულტურის მივიწყება დაიწყო. მეორე მხრივ, რუსეთში მაინც იჩინა თავი მოთხოვნილებამ ქართული კულტურისა და საქართველოს წარსულის საფუძვლიანად გაცნობისა. დიდ რუს ხალხს და მის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას გულწრფელად სურდა სცოდნოდა რაც შეიძლება სრულად და საფუძვლიანად საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავი მიღწევები. სწორედ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ისახავდა მიზნად მაშინ რუსეთში მყოფი ქართველი ბატონიშვილების: დავითის, იოანეს, თეიმურაზის, ბაგრატიისა და სხვათა სამეცნიერო მრღვაწეობა; სწორედ ამიტომ ცდილობდა დავით ბატონიშვილი რუსულ ენაზე დაეწერა სამშობლო ქვეყნის ისტორია და ის ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა. ასეთმა გარემოებამ ათქმევინა დავით ბატონიშვილს თავის „История Грузии“-ში თავისი დროის ნიჰილისტთა და კოსმოპოლიტთა მკაცრად მამხილებელი სიტყვები: „Многие думают, что грузины не имели ни книг, ни типографий и даже будто не умели ни писать, ни читать...“ მაგრამ უძველეს დროიდანვე დიდად განათლებული ვიყავითო და ჩამოთვლის იმ დროიდან თავის დრომდე ქართულ ენაზე შექმნილ მრავალ ნაწარმოებს მთელ შვიდ ფურცელზე. ბოლოს კი გადმოგვცემს: „При деде моем, царе Ираклии, усовершенствована была в Тифлисе типография, где для всей Грузии отпечатано было

ქნიგ ვ დოვლინომ კოლიჩესთე, დჳა ვსეხ მესთ პო ვსეი გრუჳიჳი
ი იმერეთიჳი¹.

რუსულ ენაზე დავითის შიერ გამოსაქვეყნებლად დაწერილი
ზემომოყვანილი სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, რუს, შემდეგ კი
რუსოვლ და თვით ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ იყო
ნათქვამი ქართული ეროვნული მრავალსაუქუნოვანი დიდი კულ-
ტურის დასაცავად მის გამაბიბრუებელთაგან; ეს იყო, აგრეთვე,
იმავე დროს რუსეთის მეფის მთავრობის კოლონიზატორული პო-
ლიტიკის წინააღმდეგ ხმის ამალღებაც. ამგვარმა სულსკვეთებამ
დააწერინა და გამოაქვეყნებინა ქართველ დიდ მამულიშვილს და-
ვით ბატონიშვილს 1805 წ. პეტერბურგში თავისი „Испраткая исто-
рия Грүзии“, აგრეთვე, იმავე განწყობილებითვე აქვს მას დაწე-
რილი თავისი ვრცელი „История Грүзии“ და რიგი სხვა ნაწარ-
მოებებიც. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი
„Обозрение Грүзии по части нрав и законоведения“, რომელიც
დაწერა მან რუსულად უთუოდ გამოქვეყნების მიზნითვე. ყველა
ამით დავითის ნიჳანი იყო XIX ს-ის დასაწყისის ქართველები-
სათვის, განსაკუთრებით კი ნამდვილი მოძმე რუსებისა და მათი
მოწინავე ინტელაგენციისათვის. მეცნიერული თვალაზრისით გაე-
შუქებინა ადრინდელი საქართველოს სინამდვილე არაკჩევეშჩინის
საპირისპიროდ.

დავით ბატონიშვილის ზემოასენებულ ნაწარმოებთაგან „მიმო-
ხილვა“ („Обозрение...“) ყველაზე მეტად ცხადყოფს ქართლ-კახე-
თის სამეფო ტახტის ამ უკანასკნელი მეპკვიდრის უაღრესად პატ-
რიოტულ გრძნობებს თავისი მშობლიური ეროვნული კულტურის
დასაცავად მისი ყოველი ჯურის ცილისმწამებელთა და გამაბიბ-
რუებელთაგან. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ავტორი უნდა ცდი-
ლიყო 1812-13 წლებში, „მიმოხილვის“ წერისას, ძველი საქარ-
თველოს კარგად მცოდნე ქართველ და რუს თანამედროვეთა წი-
ნაში არ შერცხვენილიყო და სხვა მკითხველთათვისაც რამდენადაც
შეიძლებოდა დაჰაჯერებლად გადმოეცა წერილობრივ XVIII ს-ის
მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წესწყობი-
ლება და სამართალი და თავისთავის გასაკიცხავად მათთვის რაიზე
აღარ შეეთხზა. ზემოაღწერილ გარემოებაში ქართული კულ-
ტურის ნიჳილისტ-ცილისმწამებლებთან (პაულუჩი, არაკჩევევი და
სხვ.)² ბრძოლა ავტორს კატეგორიულად უქარნახებდა XVIII ს-ის

¹ საქ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის
განყოფილების ხელნაწერთა ფონდის M 25. (ძვ. შიფრით M 14).

² იხ. ამის შესახებ მაგალითები წინამდებარე გამოკვლევის თ. IV-ის მე-10
ქვეთავში და სხვა.

მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სინამდვილე რამდენადაც შეიძლება
ბოდა სწორად აეწერა. მაგრამ ცნობილია, რომ ავტორი თავის
თანამედროვე მოწინავე რუსთა აზროვნებას ზიარებული იყო და
ცნობილ დასავლეთ ევროპულ განმანათლებელთა რიგ შრომებსაც
კარგად იცნობდა და იყენებდა თავის ორიგინალურ ნაშრომებში
ან ზოგიერთი მათგანი ქართულ ენაზე თარგმნა კიდევაც. ამიტომ
მოსალოდნელი იყო და, როგორც ვნახეთ, მას კიდევაც უსარგებ-
ლია „მიმოხილვის“ წერისას ზოგიერთ ადგილას რუსული და გან-
საკუთრებით კი დასავლეთ ევროპული ლიტერატურით, ცნობილ
განმანათლებელთა ნაშრომებით. მაგრამ საყურადღებოა ის, რომ
მათი აზრით დავითს „მიმოხილვაში“ უსარგებლია მხოლოდ ოცი-
ოდე მუხლში და ისიც იქვე თავის მიერ ჩაწერილი კანონის, წე-
სის, თუ ადათის ან სხვის შესახებ საუბრის ჩამოგდებისას ან გან-
მარტებისას, კომენტარებში. ჩანს, ავტორს სურდა ამ შემთხვევებში
ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ეს არსებული კანონები, წესები,
ადათები და სხვა, რომლებითაც ერეკლესდროინდელი ქართველი
მსაჯული მართლმსაჯულებისას სარგებლობდა, დიდად ჰუმანური,
იყვნენ და თვით ევროპულ განმანათლებელთა აზრითაც შეიძლება
ისინი გამართლებულ იქნან, როგორც მიზანდასახულობით მათთან
ახლო მდგომი. ცხადია, ძლიერ იშვიათად, ზოგიერთ ასეთ კომენ-
ტარში ავტორს ეტყობა კიდევაც გაიდეალება შესაბამ მუხლში
მოცემული კანონისა, წესისა თუ სხვისა, მაგრამ ჩაწერილი თვით
კანონები, წესები და სხვა მას ყველგან სინამდვილეში არსებო-
ბისამებრ მაინც სწორად აქვს გადმოცემული. ამიტომ ასეთ კო-
მენტარებში დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ
მათში მოცემული წარმოდგენანი, შეხედულებანი და სხვა თვითონ
დავითის საკუთარი გონების ნაყოფია ან მის მიერ თავის დროზე
რუს ან უცხოელ განმანათლებელთაგან გაზიარებული აზრებია
ქართული კანონ-წესების, ადათების და სხვათა გასამართლებლად.
მაგრამ, ამასთანავე, აღსანიშნავია „მიმოხილვაში“ ისიც, რომ მრავალი
კანონის, წესის და სხვ. კომენტარებში მოცემული იგივე,
მსგავსივე და სხვა მაღალი აზრები, რუს და უცხოელ განმანათლებ-
ელთა უწინარესადაც, ქართველი მათი შემუშავებულებისაგან რიგ
კანონ-წესებში, ადათებსა და სხვაში ძველად ჩაქსოვილა და ესეც
დავითის მიერ ქართული კულტურის საკმაო ღრმა ცოდნით, ცხა-
დია, რუს და უცხოელ განმანათლებელთა დამოუკიდებლად, მშობ-
ლიურ ნიადაგზევე ათვისებულ-შეგნებულ იქნა და გადმოცემული
„მიმოხილვაში“. ასე რომ დავითი მშობლიური მაღალი კულტუ-

რის ღრმა მცოდნეობა-შეგნებასთან ერთად ევროპული კულტურისა და პროგრესული აზროვნების მცოდნეობასაც კარგად იჩენს. ასეთი გარემოების საილუსტრაციოდ ზემოთ, თავ-თავის ადგილებში, ჩვენ მიერ წარმოდგენილ იქნა „მიმოხილვის“ სათანადო მუხლები ცალ-ცალკე გარჩევით.

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვა“, როგორც ითქვა, დაწერილია რუსულ ენაზე განსაკუთრებით ძმები რუსი მკითხველებისათვის. ამიტომ ავტორი ცდილობს, რამდენადაც ეს მის მიერ შესაძლებელია, გასაგებად აუწეროს რუს მკითხველს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილება და ქართული სამართლის ინსტიტუტები და გადასცეს მას სწორად ქართული კანონები, წესები და სხვა. საამისოდ იგი, ბუნებრივია, ცდილობს ქართული სახელმწიფოსა და, კერძოდ, სამართლის დარგის ინსტიტუტებს XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებასა და სამართლის ინსტიტუტებში მოუწინააღმდეგებელი პარალელები და რუს მკითხველებს გადასცეს ქართული ინსტიტუტები რუსული სახელწოდებებით. მაგრამ დავითი გზად-გზად გრძობს, რომ ეს სახელწოდებები, სპეციალური ტერმინები და გამოთქმები ზუსტად ვერ გამოხატავენ ზოგიერთ ადგილას იმას, რისი თქმა სურს მას, და ამიტომ ავტორის მეცნიერულ დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება, რომ ამგვარი რუსული სახელწოდებებისა და რუსულსა და უცხოურ მწერლობაში განმტკიცებული ტერმინების გვერდით იგი ტექსტში ბევრგან ხმარობს შესატყვის ქართულ სახელწოდებებსა და ტერმინებს ან საქართველოში მაშინ მიღებულ უცხო ტერმინებს. ასეთებია, მაგალითად: вера—сарицхუიხეა; внутренняя стража, очередь—აორიგე; пушкарн—топчи; пытка—таძჯვა; генерал—сардарь და სხვა მისთანანი. „მიმოხილვის“ იმ ადგილებში, სადაც ავტორი ქართულ ენაში ხმარებულ შესაფერის სახელწოდებებსა და ტერმინებს არ ათავსებს, «მართლაც, ძნელდება ქართული ინსტიტუტის არსის გაგება; მაგალითად, ავტორი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების დახასიათებისას ხმარობს ტერმინებს „გენერალს“ და „ოფიცერს“ და სხვ., მაგრამ სანამ ავტორი საქართველოს სამხედრო წყობილების დახასიათებისათვის არ მიმართავს თვითონ ქართულ ტერმინს „სარდალს“ და სხვ., მანამ „გენერალი“ და „ოფიცერი“ არაფერს არ გვიხსნისა¹. მხოლოდ

¹ ი ვ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 9—10.

ვიწრო სპეციალისტი საქართველოს ისტორიისა თუ მიუხედავად, რომ ეს „გენერალი“ უთუოდ „სარდალია“, ან „ოფიცერი“— მინბაში თუ უზბაში ერეკლესდროინდელი ქართლ-კახეთისა; რუსი მკითხველი კი დავითის ამ „გენერალს“ მისი თანამედროვე რუსი გენერლის მსგავსად წარმოიდგენდა, ან ქართველ მინბაშს თუ უზბაშს—რუსი „ოფიცრის“ მსგავსად.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ დავითს „მიმოხილვაში“, სანწიხბაროდ, ზოგიერთი რუსული სახელწოდების თუ ტერმინის არამც თუ გვერდით, არამედ სადმე თხზულების ტექსტში არ მოუთავსებია მისი შესატყვისი, საქართველოში მაშინ ხმარებული სახელწოდება თუ ტერმინი, რაც მკითხველისათვის საყურადღებო იქნებოდა, რომ მას მოეცა. ასე, მაგალითად, არ მოეპოვებო რუსულ შემდეგ სახელწოდებებს ქართული შესატყვისები: чрезвычайное вооружение, вспомогательная войска, Военная контора, Царской Непременной Совет და სხვ. მართალია, ზემოხსენებულ დაწესებულებებს სათანადოდ აგვიწერს „მიმოხილვას“ ავტორი და მკითხველს გარკვეული წარმოდგენა რჩება მათი რაობის შესახებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა ავტორს ამ რუსული სახელწოდებების გვერდითაც ერთხელ მაინც სადმე ტექსტში ეხსენებინა მათი შესატყვისი ქართული სახელწოდებებიც, როგორც სხვათათვის სხვა შემთხვევებში მოუცია. ცხადია, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, სპეციალისტი, დავითის ზიერ ტექსტში ნათქვამის მიხედვით, რუსულ ბევრ ამგვარ სახელწოდებას ან ტერმინს სათანადო ქართულ სახელწოდებას ან ტერმინს, სხვა წყაროების შემწეობით, მოუძებნის. მაგრამ ხანდახან ზოგ სპეციალისტსაც კი გაუძნელდება ქართულად ზოგი მათგანის უცბად გახსენება და მოხდება იშვიათი შემთხვევაც, რომ მკვლევარი ზოგიერთ მათგანს შესაფერის ქართულ სახელწოდებას ან ტერმინს ვერც მოუძებნის, რადგან იგი თვით ქართულ წყაროებში არ შემონახულა (მაგ., Военная контора), თუქცა, უქველია, არსებობდა იგი თუნდაც უცხოური სახელწოდებითვე ჩვენში თავის დროზე. ამრიგად, არამც თუ რუს მკითხველს თავის დროზე მოუვიდოდა, არამედ ჩვენს თანამედროვე მკვლევარს, სპეციალისტსაც კი მსგავს შემთხვევებში დღესაც მოუვა შეცდომა ან რაიმე გაუგებრობა, თუ ავტორს კარგად არ გაუგო და სათანადო მეცნიერული სიფრთხილით არ მიუღდა მას. მით უფრო, შეცდომები უფრო მძიმე იქნება მკვლევრისაგან დაშვებული, თუ იგი ავტორის სიტყვებს სწორად არ გაიგებს და თავის მხრივ რაიმე მოჩვენ-

ნებით საქმეს ან აკვიტებულ აზრს მიაწერს მას, ან ზედმეტო უნდობლობით მოეპყრობა და მოგონილად ჩაუთვლის რაიზე თქმულს, თხზულების სხვა ადგილთა გაუთვალისწინებლად, მათგან მოწყვეტით.

ასე, მაგალითად, „მიმოხილვის“ მე-10 მუხლში დავით ბატონიშვილის სიტყვით, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში თვითმპყრობელობა იყო: „в Грузии правительство самодееспавное и наследственное. Законодательная власть, заключаетя в особе царского высочества“. ამ შემთხვევაში „მიმოხილვის“ წერისას, 1812—13 წლებში, დავითი XI ს-ის დასაწყისიდან XIII ს. 40-იან წლებამდე არსებული გაერთიანებული საქართველოს „თვითმპყრობელობისაგან“ მხოლოდ იურიდიულად (და არა ფაქტიურადაც) XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სინამდვილეშიაც ტრადიციით შემორჩენილ ადრინდელ „თვითმპყრობელურ“ მონარქიულ მთავრობას გულისხმობს¹ და არა ვიწრო ცნებით გაგებულ აბსოლუტურ, გვიანდელ თვითმპყრობელურ მონარქიულ მთავრობას², რომლისადმი შეეძლო მაშინ ზოგიერთ რუს მკითხველს ხსენებული „правительство самодееспавное“ შეცდომით გაეტოლებინა, რადგან რუსეთში მაშინ ვიწრო ცნებით გაგებული აბსოლუტური, გვიანდელი თვითმპყრობელური მონარქია ანუ გვიანდელი „самодеспавие“ არსებობდა XVII—XVIII სს. მიჯნიდან. მაგრამ დავითი მკითხველს თავიდან აცილებს ამ მოსალოდნელ გაუგებრობას „მიმოხილვის“ რიგ სხვა ადგილებში რიგი სათანადო ფაქტებისა და საზოგადოებრივი მოვლენების აღნიშვნით, განსაკუთრებით თავში „Непременной Царской Совет“ (მუხ. 78—106) და ბევრგან სხვაგანაც. ასე რომ დავითი მას ამ ადგილებში კარგად ამცნებს იმას, რომ მე-10 მუხლში ხმარებული გამოთქმა „в Грузии правительство самодееспавное“ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში არსებულად აბსოლუტურ მონარქიას კი არ აღნიშნავს, არამედ ადრინდელ აბსოლუტურ, ანუ ადრინდელ „თვითმპყრობელურ“ მონარქიას, XI—XII საუკუნეების საქართველოდან მხოლოდ იურიდიულად (და არა ფაქტიურ-

¹ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, I, 1946, გვ. 189—197, 217—220, 401; შეად. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, I, მაკეტი, 1956.

² „История СССР“, т. I, с древнейших времен до конца XVIII века, под редакцией акад. Б. Д. Грекова и др., изд. II, ОГИЗ, 1947, стр. 433.—см. „Марксистское понимание абсолютизма“.

რადაც) შემონახულს სწორედ ამავე (მე-10) მუხლში დავითისკე მიერ ტრადიციული ზეპირგადმოცემის მიხედვით ჩაწერილი ძირითადი კანონით. სამწუხაროდ, აღნიშნული გარემოების გაუთვალისწინებლობის გამო დიდ შეცდომას უშვებს პროფ. ივ. სურგულაძე. იგი თავის ნაშრომში „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“ (ტ. I) მხოლოდ გვიანდელ, განვითარებულ აბსოლუტურ მონარქიას ცნობს თვითმპყრობელობად და თვითმპყრობელური მონარქიის განვითარების ადრინდელი (პირველი) სტადია მან ყველგან მსოფლიოში სრულიად უგულვებელპყო, გარდა აღმოსავლური დესპოტიზმისა. ასე რომ, მისი აზრით, არამც თუ ერეკლე მეორის მეფობის დროს არ იყო თვითმპყრობელობა საქართველოში, არამედ დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის მეფობის დროინდელ საქართველოშია¹.

ამრიგად, დავითს შეეძლო გარკვეული პირობით კიდევ ენმარა ერეკლე მეორის მთავრობის დამახასიათებლად ტერმინი „თვითმპყრობელობა“ — „правительство самодержавное“ (მუხ. 10). ასე რომ, ქართული სამეფო ხელისუფლების „რუსული სინამდვილის მიხედვით გააზრების“ — აბსოლუტური მონარქიის სრული შესატყვისობის შინაარსით კი არ აქვს დავითს „თვითმპყრობელობა“ („самодержавное“) ნათქვამი, როგორც ივ. სურგულაძე ფიქრობს არამედ მხოლოდ იურიდიული იმ „თვითმპყრობელობის“ სინამდვილის თვალსაზრისით, რომელიც ერეკლეს ძველთაგან, ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის მეფობის დროიდან მოდგამდა და რომელიც არსებობდა ქართული მონარქიული სახელმწიფოს ერთ-ერთი დაუწერელი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული კანონით: „მიმოხილვის“ მე-10 მუხლში, უდავოა, თვით ეს მრავალსაუკუნოვანი (XI—XVIII სს.) სახელმწიფო ძირითადი კანონია დავითის მიერ გადმოცემული ქართული სახელმწიფოს სამეფო ხელისუფლების შესახებ².

ამგვარადვე, პროფ. ივ. სურგულაძის განცხადებანი იმის შესახებ, რომ თითქოს დავით ბატონიშვილი „მიმოხილვაში“ ქართული ინსტიტუტების რუსული სინამდვილის მიხედვით გააზრების შედეგად განგებ „ქართული ინსტიტუტების ერთგვარ „შეკეთებას“ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ „შელამაზებას“

¹ იხ. ივ. სურგულაძის ზემოხს. ნაშრომი. გვ. 8—15 და თ. VII.

² „თვითმპყრობელობის“ საკითხის შესახებ იხ. უფრო ვრცლად ა. პ. როგავას ნაშრომში „დავით ბაგრატიონის „მიმოხილვაში“ აღნიშნულ ისტორიულ კუთხარტებთან დამახინჯების წინააღმდეგ“.

აწარმოებდა მაშინდელი რუსეთის „გემოვნების“ მიხედვითა, ანდა მათ „იგონებდა“ კიდეც—ეს განცხადებანი საერთოდ უმართებულად მიგვაჩნია, როგორც ძველ ქართველთა სამეფო ხელისუფლების „თვითმპყრობელობის“ უარყოფის შემთხვევაში, ისე სხვადასხვა შემთხვევებშიაც.

ასე, მაგალითად, სრულიად უარსაყოფია პროფ. ივ. სურგულაძის მეორე შეცდომაც. იგი, როგორც თავისი შრომის ერთ ადგილას (გვ. 15), ისე სხვა ადგილასაც ქართველ ადვოკატთა („მონაცვლე-კაცთა“) ინსტიტუტს „ნოვონილად“ უთვლის დავით ბატონიშვილს: „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის დღევანდლამდე ცნობილი ძეგლებიდან არც ერთი არ შეიცავს ადვოკატობის ინსტიტუტის დამადასტურებელ რაიმე ცნობას, ამიტომ დავით ბატონიშვილის „მონაცვლე კაცის“ ინსტიტუტი დამცველის შინაარსით ქართულ სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს და ის ავტორის მიერ გამოგონებული უნდა იყოს“, — წერს პატივცემული პროფესორი¹. ივ. სურგულაძის წიგნიდან შემომოკვანილი სხვა ციტატების მიხედვით გამოდის, რომ დავითის ეს „გამოგონებაც“ «მაშინდელი რუსეთის „გემოვნების“ მიხედვით» ნიხდა, რა თქმა უნდა, თანამედროვე რუსი და ქართველი მკითხველის პირისპირ 1812—13 წლებში, „მიმოხილვის“ წერილისას. ნუთუ ისე გონებაჩლუნგი იყვნენ 1812—13 წლებში ერეკლესა და გიორგისდროინდელი საქართველოს კარგად მცოდნე რუსი და ქართველი თანამედროვენი დავითისა, რომ ასეთი დიდი სიცრუე დავით ბატონიშვილისათვის მათ არ შეენიშნათ და მისთვის იგი, კერძოდ, ქართული კულტურის მაშინდელ ნიჰილისტებს ვასაკიცხველად აღარ გაეხადათ? ანდა ნუთუ ასეთ დიდ სიცრუეს საჯაროდ იტყოდა ერეკლეს ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე, საკმაოდ გონიერი ისტორიკოსი და რუსეთის სენატორი? ეს, პირდაპირ, წარმოუდგენელია!... მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენში ადვოკატთა, „მონაცვლე-კაცთა“ ინსტიტუტი XVIII საუკუნეშია რომ არსებობდა და „მიმოხილვის“ 750—753 მუხლებში დავითმა შემოგვინახა ერეკლესა და გიორგის მეფობისას ქართლ-კახეთში მოქმედი კანონ-წესები სამართლისა, როგორც კარგმა თვითმხილველმა „მონაცვლე-კაცებისამ“, ქართველ ადვოკატებისამ. სხვა არა იყოს რა, განა დავით ბატონიშვილმა ამ შემთხვევაში „მოი-

¹ ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 14.

გონა“ იურიდიული ტერმინი „მონაცვლე-კაცი“ ან „ვექილი (13 ხელნაწერისა)?... თუნდაც მართლაც სხვა წყაროები ქართველ ადვოკატთა შესახებ არაფერს არ გვეუბნებოდეს, მარტო დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ ერთ ადგილას, 750—753 მუხლებში, ცნობით, ქართველ ადვოკატთა არსებობა ძველ საქართველოში დავითს არ დაეჯერება და მას იგი „მოგონილად“ ჩაეთვლება?— რა თქმა უნდა, არა. საქმე ისაა, ვინ ლაპარაკობს, როგორ, რა პირობებში, რა დროს და ერთი გადმომცემის ცნობაც შეიძლება სანდოდ მიიჩნიოს ეკლევარმა. ასეთი სანდოა ამ შემთხვევაში დავით ბატონიშვილი. საბედნიეროდ, დავითის ამგვარი ცნობების არმორწმუნეთა საწინააღმდეგოდ ჩვენ ამ შემთხვევაშიაც ზოვიპოვეთ მრავალი საისტორიო სანდო ცნობა და გაგვაჩნია რიგი არგუმენტებიც იმის შესახებ, რომ XI—XVIII საუკუნეებში, უდავოდ, ჩვენში არსებობდა „მეობთა“, „მოსარჩლეთა“, „თანამოსარჩლეთა“, „ვექილთა“, „ქომავთა“ ანუ „მონაცვლე-კაცთა“, ქართველ ადვოკატთა ინსტიტუტი. ამასთანავე, ჩვენ მიერ წამოყენებულია საკმაო საფუძვლიანობით ჰიპოთეზა იმის შესახებაც, რომ ადვოკატ-„მეობები“ IV—X საუკუნეებშიაც უნდა არსებულებოდნენ ჩვენში. ამ გარემოებათა შესახებ ჩვენ საგანგებოდ ცალკე ნაშრომში „ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში“, შეძლებისამებრ, საკმაო ვრცლად გვაქვს დიდად საინტერესო საისტორიო წყაროები ამტკველებული. ამ საფუძვლებს შორის, სხვა არა იყოს რა, ეფრემ მცირისა და საბა ორბელიანის ცნობებს და ზემოჩამოთვლილ ქართულ მრავალ იურიდიულ ტერმინს ადვოკატის აღსანიშნავად, საისტორიო წყაროებში აღნიშნულთ, და სხვას ვერაფერი დღეს ვერ უარყოფს იმის ურყევ მოწმობად, რომ დავით ბატონიშვილისა და მეფე ერეკლეს უწინარესაც, მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოში არსებობდა ქართველ ადვოკატთა ინსტიტუტი¹.

ამრიგად, დავით ბატონიშვილი სრულიად მართალია ადვოკატთა არსებობისა და მათი კანონ-წესების შესახებ „მიმოხილვის“ 750—753 მუხლებში ნათქვამშიაც და დღევანდელ ისტორიკოსს არავითარი უფლება არ რჩება მასში სადმე ეჭვიც კი შეიტანოს მანამ, სანამ უფრო სანდო, მისი უარმყოფი სხვა საისტორიო წყარო არ ექნება ხელში. ასეთი არც ერთი წყარო პროფ. ივ. სურ-

¹ იხ. ვრცლად ა. პ. როგავას ნაშრომი „ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში“ (ქურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 4, გვ. 30—39).

გულაძეს არ აქვს დასახელებული თავის ნაშრომში და ნაჩქარევად თქმული «რუსეთის „გემოვნების“ მიხედვით» ვერც „შეკეთებას“ ვერც „შელამაზებას“ და, მით უფრო, „გამოგონებას“ ვერც ამ შემთხვევაში მიაკუთვნებს იგი დავით ბატონიშვილს იმ საბაბით, რომ უკანასკნელი რუსეთში (პეტერბურგში) იმყოფებოდა „მიმოხილვის“ წერისას და მას უთუოდ ასე უნდა გაეკეთებინა. ნამდვილი ისტორიკოსის კეთილსინდისიერება დავით ბატონიშვილს თავისი დროისათვის საკმაო პასუხისმგებლობით ახასიათებს საქართველოში ყოფნისას და ეს კეთილსინდისიერება მას რუსეთშიაც საკმაოდ დაუცავს, თუნდაც ისეთ თითქოს „გამოგონილ“ საკითხშიაც კი, როგორც ეს ძველ ქართველ ადვოკატთა ინსტიტუტის არსებობის გადმოცემის საქმეა.

პროფ. ივ. სურგულაძე ამგვარადვე ამახინჯებს დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ აღნიშნულ ქვეშარიტებებს ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიაც. მაგალითად, „მიმოხილვის“ შემდეგი მუხლების განხილვისას: 8, 124, 125, 158, 979, 980; 358; 598—599; 463, 585; 881, 878; 885, 888; 572—573 და სხვ. პროფ. ივ. სურგულაძეს, სამწუხაროდ, არასწორად გაუგია „მიმოხილვის“ მთელი რიგი ადგილები საზიანოდ დავით ბატონიშვილის ავტორიტეტისა. აშკარა ხდება, რომ არა დავითს, არამედ თვით ივ. სურგულაძეს უმართებულოდ „გადმოაქვს“ დავითისადმი მიკუთვნებით, „ქართული ინსტიტუტების რუსული სინამდვილის მიხედვით გააზრების შედეგად“ „რუსეთის საზოგადოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ქართლ-კახეთის სამეფოზე“, ამიტომაც სრულიად უმართებულოდ მიაწერა მან დავითს ქართული ინსტიტუტების „შეკეთება“, „შელამაზება“ და ხანდახან სრულიად „გამოგონებაც“ კი. ასე რომ, ასეთ შემთხვევებში ივ. სურგულაძე თავის ნაშრომში ძალად მიაკუთვნებს თავის სუბიექტურ, მეტად ხელოვნურ მოსაზრებებს დავით ბატონიშვილს, XX საუკუნის ადამიანი XVIII—XIX ს-ის სინამდვილის თვითმხილველსა და სწორუპოვრად ფაქტების გადმომცემ მენციერს¹.

ზემოთ ჩვენ განგებ მოვიყვანეთ პროფ. ივ. სურგულაძის შეცდომები მაგალითებად. ეს მაგალითები საერთოდ იმას მოწმობენ, რომ თუ საკმაოდ ფრთხილი მენციერი ასეთ დიდ შეცდომებს.

¹ იხ. უფრო ვრცლად ა. ბ. გ. ა. ვ. ა. ნაშრომში „დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ აღნიშნულ ისტორიულ ქვეშარიტებათა დამახინჯების წინააღმდეგ“.

უშვებს დავით ბატონიშვილის მიმართ, მით უფრო, უფრო ნაკლები ერუდიციისა და გამოცდილების მქონე პიროვნებისაგან მოსალოდნელია უფრო მეტი შეცდომების დაშვება დავითის „მიმოხილვის“ ადგილთა შეფასებისას, თუ მან ხელალებით მას „არასანდოობა“ გამოუცხადა ტექსტის რომელიმე ადგილის მიმართ და თავისი აზრის დასაცავად უფრო მძიმე და დამაჯერებელი რაიმე დოკუმენტი ხელში მას არ გააჩნია საწინააღმდეგოდ. ასეთი რაიმე დოკუმენტი „მიმოხილვის“ რომელიმე ამგვარი ადგილის მიმართ პირადად ჩვენ, მიუხედავად მრავალგვარი ცდისა, ჯერჯერობით ვერ გვიპოვია, იგი ვერც პროფ. ივ. სურგულაძეს მოაქვს და, ვფიქრობთ, ძლიერ იშვიათად თუ ვინმე სხვა ამის შესახებ მომავალში რაიმე ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს. უნებლიე შეცდომები კი დავითს „მიმოხილვაში“ იშვიათად აქვს და რაც არის, იმათ შესახებ ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითი ჩვენ მიერ გამოკვლევაში აქა-იქ საკიროებისამებრ წარმოდგენილია. მაგრამ „მიმოხილვას“, როგორც ყოველ საისტორიო ძეგლს, რა თქმა უნდა, მაინც ფრთხილად უნდა მოვეპყრათ მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით ყოველ ადგილას და, შესაძლოა, მართლაც აღმოჩნდეს სადმე, რომ ავტორი რამეს არაუნებურადაც კი, ხელოვნურად, ამეტებდეს ან აკლებდეს ქართველთა კულტუროსნობის მეტად გამოსაჩენად. ამგვარად საექვო თუ სხვაგვარად საექვო „მიმოხილვის“ ყოველ ადგილას ავტორს, რა თქმა უნდა, მუდმივ შემოწმება სჭირია „მიმოხილვისე“ სხვა სათანადო ადგილებით და სხვა სანდო საისტორიო წყაროებით და გულუბრყვილოდ, მთლიანად, სიტყვასიტყვით ყველაფერში შესაძლოა ვერ ენდოს მას მკვლევარი. მაგრამ ასეთი ადგილები ავტორს თხზულებაში, როგორც ითქვა, იშვიათად აქვს, ისიც განსაკუთრებით ჩაწერილ კანონ-წესთა, ჩვეულებათა და სხვათა კომენტარებშია, სადაც ავტორის პირად აზრებსა და შეხედულებებს, ბუნებრივია, ადგილი აქა-იქ ეძლევა. მკვლევარი დავითის „მიმოხილვის“ ყოველი ამგვარი ადგილის მიმართ ვალდებულია არა მარტო პარალელურად გაითვალისწინოს „მიმოხილვის“ სხვა ადგილები იმავე საკითხზე და, ამასთანავე, თუ მოეპოვება, შეადაროს სხვა საისტორიო წყაროების სათანადო ცნობებს, არამედ სხვა მხრივაც კრიტიკულად განიხილოს დავითის თხზულების ეს საექვო ადგილები. ამგვარი მუშაობისა და დაკვირვების შედეგად ყოველი მკვლევარი უეჭველად დარწმუნდება იმაში, რომ დავითს საერთოდ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახე-

თის სინამდვილე შეძლებისამებრ სწორად და კეთილსინდისიერად გადმოუცია, იშვიათად უშვებს უნებლიე შეცდომას და განგებ არაფერს არ თბზავს, არ „ალამაზებს“, არ „იგონებს“ და სხვა.

ამასთანავე, მართალია, აზრის უკეთ გასაგებად დავითი ხშირად ხმარობს „მიმოხილვაში“ რუსულ და უცხოურ მწერლობაში განმტკიცებულ სპეციალურ ტერმინებსა და გამოთქმებს, ანგარიშს უწევს ცნობილ მეცნიერთა და მწერალთა აზრებს და სხვა. ასეთ შემთხვევებში მოსალოდნელი იყო და აქვს კიდევ ავტორს „მიმოხილვაში“ ადგილ-ადგილ არასიზუსტე სინამდვილის გადმოცემაში. მაგრამ ეს საქმეები მოსათხრობი სინამდვილის განგებ გადასამახინჯებლად კი არ არის ნაწარმოები ავტორის მიერ, არამედ, პირიქით, საერთოდ სინამდვილის უფრო უკეთ გასაგებად რუსი-ჭკითხველისათვის. ამასთანავე მოსალოდნელ ჩავარდნებს ავტორი რუსული ტერმინების პარალელური ქართული ტერმინებით, სხვა ადგილებში კანონების, წესების, ჩვეულებებისა და სხვათა უკეთ აღწერითა და განმარტებებით და სხვა საშუალებებით ცდილობს. თავი აარიდოს და ქართული სინამდვილე, რამდენად შესაძლებელია მისთვის, სწორად გადასცეს განათლებულ რუს მკითხველს რუსულ ენაზე. ამის მაგალითები ჩვენ მიერ ზემოთ, გამოკვლევის სხვადასხვა თავებში, მრავალია წარმოდგენილი „მიმოხილვიდან“ და აქ სანიმუშოდ მხოლოდ ერთ-ერთ მაგალითს წარმოვადგენთ დამატებით.

დავით ბატონიშვილი „მიმოხილვაში“ წერს: მუხ. „711. В сем случае (იგულისხმება გარეშე მტერთა შემოსევა. — ა. რ.), чтоб не лишался никто достоинства своего, хотя бы в посторонних, чьих бы то ни было землях сохранялось сокрытое имение и деньги. По существующему узаконению, всё сполна возвращается хозяину, поколику взаимная доверенность обяыывает каждого доставлять всевозможныя средства своему соотечественнику в сохранении своего достоинства. 712. Корыстолюбцы, нарушившие сию взаимность общественного союза, без всякого изъятия наказываются даравне с ворами“.

„მიმოხილვის“ ამ ორ მუხლში გადმოცემული კანონი ასე გააზრებულად ერეკლე მეორის მეფობის დრომდე საქართველოში არსებული სამართლის არცერთ, ჩვენთვის დღემდე ცნობილ ძეგლში არ მოიპოვება. დავით ბატონიშვილის მიერ ამ მუხლებში გადმოცემულია ერეკლესა და გიორგის სამეფოში არსებული კანონი, უეჭველია, ერეკლეს ახალი სამართლის ერთ-ერთი, ჩვენ-

თვის დღემდე უცნობი განჩინების მიხედვით, რასაც მოწმობს თავით დავითის გამოთქმები „по существующему узаконению“, „возвращается“ და „наказываются“. დავითის მიერ აქ გადმოცემულია XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედი ეს კანონი ხსენებული განჩინების ტექსტის თავისუფლად სარგებლობით. ამას თანავე, როგორც მის გადმოცემისას ორ მუხლად, ისე მის განმარტებისას მას ნასარგებლები აქვს ე.-ე. რუსოსა¹ და ჩ. ბეკარიასათვის² თავიანთ ნაშრომებში დამახასიათებელი ტერმინები და გამოთქმები („взаимная доверенность“, „взаимность общественного союза“); აგრეთვე, დავითს თავისი განმარტებაც ამ კანონისადმი ხსენებული ევროპელი განმანათლებლების აზროვნების მცოდნეობის შედეგად აქვს შედგენილი („...поколикү взаимная доверенность обязывает каждого доставлять всевозможныя средства своему соотечественнику в сохранении своего достояния“). ასე რომ დავით ბატონიშვილს ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კარგად აქვს გათვალისწინებული ე.-ე. რუსოს არა მარტო „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში“ გამოთქმული ცნობილი აზრები³, არამედ კერძოდ მისი „ემილიდან“ ასეთი ადგილიც: „Тот, кто проедает в праздности не заработанное им самим имущество, крадет его... Труд есть неизбежная обязанность общественного человека“⁴, და სხვა მისთანანი. ამასთანავე, მან უთუოდ იცის ჩ. ბეკარიას შემდეგი სიტყვებიც: „Крайи, несоединенные с нами, должны быть наказываемы денежными наказаниями. Кто стремится к обогащению чужим, тот должен быть лишаем того, что принадлежит ему“⁵. „Я называю политическим тунеядством то, что не приносит обществу никакой пользы ни трудом, ни богатством; политический тунеядец тот, кто приобретает, никогда ничего не теряя; тот, на кого толпа смотрит с глупым удивлением, а люди разумные с презрением и со страданием к его жертвам“⁶, და სხვა მისთანანი.

¹ იხ. „Общественный договор...“ და „Эмиль или воспитание“.

² იხ. „О преступлениях и наказаниях“.

³ იხ. „Общественный договор, или принципы государственного права“, пер. С. Нестеровой, Москва, 1906.

⁴ „Эмиль...“, пер. М. Энгельгардта, 1913, стр. 183.

⁵ „О преступлениях и наказаниях“, пер. И. Соболева, 1878, § 22, стр. 72.

⁶ იქვე, § 24, გვ. 76.

ამრიგად, ჩვენთვის უეჭველი ხდება, რომ დავითს „მიმოხილვის“ ზემომოტიანილ მუხლებში უსარგებლია ე.-ე. რუსოსა და ჩ. ბეკარიასათვის დამახასიათებელი ტერმინებითა და გაძოტქმებით, აგრეთვე, ქართული კანონისადმი განმარტებაც ამ ევროპელ განმანათლებელთა აზროვნების მკოდნეობის შედეგად მოუცია. მაგრამ, ამასთანავე, ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ „მიმოხილვის“ ამ ადგილას დავითს ამით სინამდვილე არ დაუმახინჯებია, ანუ არ „შეუკეთებია“, არ „შეულამაზებია“ თუ „მოუგონია“ და ნათლადაც გადმოგვცემს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედ კანონს სხვის „მიწებში“ შენახული ქონებისა და ფულების“ შესახებ.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართველთა „ურთიერთი ნდობა“ და „საზოგადოებრივი ურთიერთი კავშირიც“ ქართული ხალხური წეს-ადათებითა და სამეფოს სამართლითაც კი, თვით რუსოსა და ბეკარიას ცხოვრების დრომდეც ისეთი ჰუმანური იყო, რომ დავითს, ზემოხსენებულ ევროპელ განმანათლებელთა აზროვნების მკოდნეობის გარეშეც, თავისუფლად შეეძლო მშობლიურ ნიადაგზედაც იგივე ეთქვა, რაც მათი სიტყვების მოხმარებით გამოთქვა. ასეთი სპეციალური ტერმინებით, გამოთქმებითა და აზრებით სარგებლობა დავითისათვის „მიმოხილვაში“ ნბოლოდ ერთ-ერთი ხერხი და საშუალებაა უფრო ნათლად და კარგად მიაწოდოს განსაკუთრებით არაქართველ მკითხველებს მისგან აღსაწერი ქართული სინამდვილე, ქართველებისა და საკუთრივ თავისი კულტურის ნდობის უკეთ და არა „შელამაზებით“ გამოსაჩენად, რაშიაც მას ვერც გავამტყუნებთ. ასეთი საქმე ბუნებრივი მოვლენაც იყო რუსეთს გადასახლებაში მყოფი, მაღალი მშობლიური კულტურის მატარებელი დიდი პატრიოტი ბატონი-შვილისაგან თავისი თანამედროვე და აღრინდელი ქართული კულტურის ნიჰილისტების საწინააღმდეგოდ. საკვირველია, რომ ასეთი ნიჰილისტები დავითს და მისმაგვარ ძველ დიდ ქართველ მოღვაწეებს, სამწუხაროდ, დღეს ჩვენს სინამდვილეშიაც რომ არ გამოვლათ და თავიანთ მზრივ კელავ აქა-იქ „მოღვაწეობენ“ ძველი ქართული დიადი კულტურის სინამდვილის მისაჩქმალავად. მაგრამ ამ კულტურის ძვირფასი, ჩვენთვის ახალ-ახალი ძეგლები და, მათ შორის, დავითის „მიმოხილვაც“ დღეს, ვიდრე ოდესმე, მისი ყოველი ჯურის „ურწმუნო-თომა“ ნიჰილისტების ცილისწამებებს ქემმარტების მზეზე მაგრად ანიავებს სწორი საისტორიო ცნობების გადმოცემით მათი მსჯელობის უსუსურობის მეცნიერულად

დასამტკიცებლად. დავითს დღესაც ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის.

3. დაშავებული აკრძოვნილები „მომოხილვაში“ მოცემული აღწერებისა და ცნობების საერთოდაც სანდოობის შესახებ

ზემოხსენებულ საექვო ადგილებში დავითის მიერ ყველაზე მეტი „შეკეთება“, „შელამაზება“ და „გამოგონება“, თუ ასეთ რამეს ის გააკეთებდა, მოსალოდნელი იყო „მიმოხილვის“ VIII თავში „Народное образование“. მაგრამ „მიმოხილვის“ ავტორის სასიქადლოდ, ამ თავის ყველა მუხლის (175—184) სისწორე დადასტურდა XVIII საუკუნიდან შემორჩენილი უტყუარი მრავალგვარი საისტორიო წყაროებით. ამ სტრიქონების ავტორის ნაშრომში „სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“¹ ეს გარემოება საკმაო სრულად მოწმდება მრავალ ადგილას.

აგრეთვე, ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო სამხედრო საკითხების განხილვისას რუსი და უცხოელი მკითხველების წინაშე „მიმოხილვის“ ავტორს რაიმე „შეეკეთებინა“, „შეელამაზებინა“ ან „გამოგონებინა“. მაგრამ ამ მხრივაც მას ცილს ვერაფრით ვერ დავწამებთ. ერეკლეს მეფობის დროიდან შემონახული ისეთი ძვირფასი სამართლის ძეგლი, როგორც ეს 1774 წ. 1—4 იანვრის „მორიგე ჯარის განჩინება“ თავისი 37 მუხლითვე² საკმაოდ ვრცლად გადმოცემულია „მიმოხილვის“ IV თავში (მუხ. 63—77) და ადგილადგილ სხვაგანაც და ჩვენ ვერ შევნიშნავთ შინაარსობლივ სადმე წინააღმდეგობას ამ „განჩინების“ რომელიმე მუხლსა და „მიმოხილვის“ რომელიმე მუხლს შორის. მართალია, დავითი „მიმოხილვაში“ სიტყვასიტყვით იშვიათად იხეობებს „განჩინების“ ტექსტის ამა თუ იმ ადგილს, მაგრამ ჩვენთვის უქვევლია, რომ „მიმოხილვის“ ავტორი კარგად იცნობს ამ „განჩინებას“, სარგებლობს კიდევაც მისი ტექსტით და შინაარსობლივად თითქმის სავსებით სრულად გადმოუცია მას იგი თავის თხზულებაში, თუმცა ხშირად შესატყვის ადგილთა არა მსგავსი თანმიმდევრობით აქვს გადმოლებული. აგრეთვე, დავითი კარგად იცნობდა არა თუ დღემდე შემონახულ თავისი პაპა ერეკლეს სამხედრო ხასიათის „ბრძანებებს“.

¹ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ გამოცემული 1950 წელს თბილისში.

² იხ. ი. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული, — საქ. მთა მ ბ ე. XIV—B, 1947, გვ. 281—288.

არამედ ჩვენთვის უცნობ სხვა საბუთებსაც, რომლებიც არ შემონახულა, თანაც იგი იყო კარგი თვითმხილველი და უშუალო მონაწილე ერეკლეს სამხედრო ორგანიზაციებისა და სხვა. ამიტომ დავითმა თავის „მიმოხილვაში“ უფრო ვრცლად და უთუოდ არა ნაკლებ უტყუარად, ვიდრე ეს ბევრ რამეში ხსენებული „განჩინებითა“ და სხვა დოკუმენტებით მოწმდება, აგვიწერა ერეკლეს მთელი საჯარისო ორგანიზაციები და წყობილება და მათთან დაკავშირებული მოქმედი კანონები და წესები. ამასთანავე, თუ დავითი, დღემდე შემონახული საისტორიო წყაროებით სხვაგვარად შემოწმებული, უაღრესად მართალი ჩანს სამხედრო დარგის ფაქტებისა და მოვლენების აღწერისას ჩვენთვის „მიმოხილვის“ უამრავ ადგილას, მაშასადამე, ამრიგად იგი იმ დანარჩენ ადგილებშიაც, სადაც წყაროების შემოუნახველობის გამო მისი შემოწმება ჩვენთვის შეუძლებელი ხდება, სანდოა სამხედრო დარგში ინსტიტუტების, კანონების, წესების, ადათებისა და სხვათა აღწერაშიაც.

ამრიგად, თუ სახალხო განათლებისა და სამხედრო დარგების საკითხებზე ჩაწერილ ტექსტში დავით ბატონიშვილი საერთოდ სანდოა თავის „მიმოხილვაში“, უეჭველია, სახელმწიფო ცხოვრების სხვა დარგების საკითხებზე ჩაწერილ ტექსტშიაც, სადაც ქართველთა კულტუროსნობის დაკვეხნა და „შელამაზება“ შედარებით ნაკლებად მოსალოდნელი იყო მისგან რუს და უცხოელ მკითხველთა წინაშე, მით უფრო დაუფარავად აგვიწერს იგი თავის მიერ ნახულსა და მრავალგვარად შემოწმებულ სინამდვილეს XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში არსებული ინსტიტუტების, კანონების, წესების, ადათებისა და სხვათა შესახებ.

ამასთანავე, როგორც ითქვა, „მიმოხილვა“ გამოცემისას უნდა წაეკითხა არა მარტო რუს და უცხოელ მკითხველებს, არამედ რუსეთსა და საქართველოში მყოფ ქართველებსაც და, ცხადია, რაიზე ტყუილის მასში ჩაწერა დავითის დიდი ერუდიციისა და ფართო კომპეტენტობისათვის უკანასკნელთა წინაშეც სრულიად შეუფერებელი და დასაძრახისი იყო. კერძოდ, XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში ნაშრომი მრავალი განათლებული რუსი და უცხოელი XIX საუკუნის დასაწყისს, როცა დაიწერა „მიმოხილვა“, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მათგანაც მოელოდა ავტორს ასეთ შემთხვევაში გაკილვა თვით რუსეთშიაც, კერძოდ პეტერბურგშივე, სადაც დაწერა მან. ეს ნაშრომი. რიგ სხვა პირობებთან ერთად, ეს გარემოებაც დავითს უკარნახებდა „მიმოხილვა“ დაეწერა სანდოდ ყველასათვის. ამიტომ, გარდა ზემოხსენებული დარგებისა, სახელ-

ნიწიფოს სხვა დარგებში მოქმედი ინსტიტუტების, კანონების, წესების, ადათებისა და სხვათა აღწერაშიაც დაეითი საერთოდ პირუთენელი გადმომცენია სინამდვილისა, რასაც მოწმობს ზემოთ, საგანგებო თავებში, ცნობილი საისტორიო წყაროების შედარება „მიმოსილვის“ სათანადო ადგილებსადმი. ასეთი პარალელური შედარებების წარმოება აქ, გამოკვლევაში, უფრო უხედაც შეგვეძლო „მიმობილვის“ მრავალი ადგილის მიმართ, მაგრამ ამას საჭიროება მიინცდამაინც არ მოითხოვდა და ადგილი არც დაგვიტმია.

ამრიგად, ცხადია, რომ დაეითის ყოველგვარი პირადი აზრები და შეხედულებები „მიმობილვაში“ მოიპოვება მისგან ნახული და მრავალგვარად შემოწმებული, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედი ინსტიტუტების, კანონების, წესების, ადათებისა და სხვათა აღწერებში კი არა, არამედ ზოგიერთი მათგანის ჩაწერასთან დაკავშირებულ ახსნებსა და განმარტებებში, ანუ კომენტარებში. ასეთი ადგილები დაეითს უალრესად პატრიოტული თვალსაზრისითა და ლიტერატურის ფართო მცოდნეობის შედეგად მართლაც მოეპოვება „მიმობილვაში“ და თითოეული ამ კომენტარის, ანუ ავტორის პირადი აზრის თუ შეხედულების ცალკე გამორჩევა ავტორისვე მიერ იქვე აღწერილი, ერეკლესა და გიორგის სამეფოში მოქმედი ინსტიტუტის, კანონის, წესის, ადათის, ჩვეულებისა თუ სხვისაგან არცაა ძნელი: ამას ტექსტის ყოველ ადგილას თვით დაეითის მიერ ნაწარმოები თხრობის ხასიათი და შინაარსი უჩვენებს ხოლმე ყოველ დაკვირვებულ მკითხველს. საამისოდაც ზემოთ, მთელ რიგ თავებში ჩვენ მიერ გზადაგზა განგებ მოტანილია კიდევაც მრავალი ნიმუში.

